ეკა ღვინაშვილი

ჩეხეთის ეკონომიკური ინტეგრაცია – მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის ტრანსფორმაციის სახელმოფის მიმართულება



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2018

წინამდებარე მონოგრაფია წარმოადგენს ავტორის სამეცნიერო კვლევითი კონცეფციის საფუძველზე ეტაპობრივად განხორციელებულ ნაშრომს, რომელიც განხილულ იქნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე.

მონოგრაფიაში გამოკვლეულია რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის პოლიტიკის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის წანამძღვრები, მიზნები, პოლიტიკა და მოსალოდნელი შედეგები. ამასთან, პრობლემის შესწავლისას აქცენტი გაკეთდა მცირე ქვეყნების ინტეგრირებაზე რეგიონულ ინტეგრაციულ გაერთიანებებში, რადგან ეს სტრატეგია განიხილება საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრიორიტეტულ მიმართულებად; შესწავლილ იქნა ეკონომიკური ინტეგრაციის პოლიტიკის შეფასების ეკონომიკური და გეოგრაფიული ასპექტები, მათ შორის ჩარჩო პოლიტიკის შემუშავების თავისებურებები და მსოფლიოში მოქმედი ინტეგრაციის მოდელები რეგიონების მიხედვით: დასავლეთ ევროპის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის და აზიის, ამერიკის, აზია-წყნარი ოკეანის, არაბეთის და აფრიკის სახელმწიფოთა რეგიონული ორგანიზაციები. კვლევაში აქცენტი გაკეთდა მცირე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის სრულყოფის მიმართულებებზე, მათ შორის საქართველოს პოზიციებზე და რეგიონულ დაჯგუფებებში წარმატებით ინტეგრირების ასპექტებზე.

ნაშრომი განკუთვნილია ეკონომიკური პორფილის უმაღლესი სასწავლებლებისა და ეკონომიკის და ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების სტუდენტებისა და პროფესორებისთვის, აგრეთვე, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის პოლიტიკის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისთვის.

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

სამეცნიერო რედაქტორი: თსუ პროფესორი
რევაზ გველესიანი

რეცენზენტები: თსუ ასოცირებული პროფესორი
ირინა გოგორიშვილი

თსუ ასოცირებული პროფესორი
გულნაზ ერქომაიშვილი

© ე. ლეჟავა, 2018

გამომცემლობა „უნივერსალი", 2018

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-235-7

EKA LEKASHVILI

REGIONAL ECONOMIC INTEGRATION AS THE IMPROVEMENT DIRECTION OF SMALL COUNTRIES ECONOMIC POLICY COORDINATION



Publishing House "Universal"
2018

This study is a gradual research based on a scientific study concept that was accomplished by the author and discussed at the Department of Economic Policy at the Faculty of Economics and Business.

The monograph investigated theoretical and practical issues of regional economic integration policy, preconditions of regional economic integration, goals, policies and the expected outcomes. Besides this, during the problem research emphasis was made on integration of small countries into regional integration associations, as this strategy is considered to be the priority direction for inhancing Georgia's international competitiveness. The study referred to the economic and geographical aspects of economic integration assessment, including the peculiarities of the framework policy and the active integration models in the world, according to the regions: Western European, Central and Eastern Europe and Asia, America, Asia Pacific, Arab and African regional organizations. The research focused on the direction of the coordination improvement of small countries' economic policies, including the aspects of Georgia's position and successful integration into regional groups.

The study is intended for students and professors of economics and business administration programs, high education institutions of economic sections, as well as a wide range of readers interested in theory and practice of regional economic integration policy.

Published on the decision of Ivane Javakhishvili Tbilisi State University's Publishing Board

Scientific Editor: TSU Professor **Revaz Gvelesiani**

Reviewers: TSU Associate Professor **Irina Gogorishvili**
TSU Associate Professor **Gulnaz Erkomaishvili**

© E. Lekashvili, 2018

Publishing House "UNIVERSAL", 2018
19, I. Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi,Georgia ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-235-7

ნაშრომი ეძღვნება ჩემი მშობლების –

მზია დემეტრაშვილისა და რობერტ ლეკაშვილის

ნათელ ხსოვნას.

სარჩევი

წინასიტყვაობა 9
შესავალი 12

თავი I. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი 17
1.1. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ობიექტური წანამძღვრები 17
1.2. ეკონომიკური ინტეგრაცია: მიზნები, პოლიტიკა და მოსალოდნელი შედეგები 24
1.3. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია – მცირე ქვეყნების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრიორიტეტული მიმართულება 43
1.4. ეკონომიკური ინტეგრაციის პოლიტიკის შეფასების ეკონომიკურ-გეოგრაფიული ასპექტი 59
1.4.1 ჩარჩო პოლიტიკა ჩამორჩენილი და წამყვანი რეგიონების ინტეგრაციისთვის 76
1.4.2 რეგიონული ინტეგრაციის გეოგრაფია და ინტეგრაციის მოდელები 92

თავი II. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის განსხვავებული ფორმები, ფუნქციონირების თავისებურებები და პრაქტიკული შედეგები 107
2.1 რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმები დასავლეთ ევროპაში 107
2.2 ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის რეგიონული ორგანიზაციები და მათი ფუნქციონირების შედეგები 145
2.3 რეგიონული ინტეგრაციის განვითარება ამერიკაში 158
2.4 აზია-წყნარი ოკეანის სახელმწიფოების რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციების თავისებურებები 187

2.5 არაბეთის სახელმწიფოების რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციების გამოწვევები.....202
2.6 აფრიკის სახელმწიფოთა რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები და მათი განვითარების პერსპექტივები. 208

თავი III. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმირების სისტემური პრობლემები სამხრეთ კავკასიაში (მაგალითის განხილვა).....222

დასკვნა.....238
გამოყენებული ლიტერატურა 242

INTRODUCTION

Chapter I. Theoretical - Methodological Basis of the Formation of Regional Economic Integration **17**
1.1. Objective preconditions of regional economic integration... 17
1.2. Economic Integration: Objectives, Policies and Expected Results 24
1.3. Regional economic integration - the priority direction for inhancing international competitiveness of small countries 43
1.4. Economic-geographical aspect of economic integration policy evaluation 59
1.4.1 The framework policy for integration of backward and leading regions 76
1.4.2 Regional integration geography and integration models 92
Chapter II. Different Forms of Regional Economic Integration, Functional Features and Practical Results **107**
2.1 Forms of Regional Economic Integration in Western Europe 107
2.2 Central and Eastern European and Asian Regional Organizations and the results of their functioning 145
2.3 Development of regional integration in America 158
2.4 Peculiarities of regional economic organizations of the Asia-Pacific countries 187
2.5 Challenges of regional economic organizations of the Arab states 202
2.6 Regional economic organizations of Africa and prospects for their development 208
Chapter III. Systemic Problems of the Formation of Regional Economic Integration Issues in the South Caucasus (Case Study) **222**

Conclusion **233**
Bibliography **242**

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სამეცნიერო კვლევითი კონცეფციის საფუძველზე ეტაპობრივად განხორციელებულ კვლევას, რომელიც აისახა ყოველწლიურ სამეცნიერო კვლევით ნაშრომებში და განხილულ იქნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობების შესწავლის პროცესში, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხმა, როგორც მცირე ქვეყნების კონკურენტული უპირატესობის მიღწევის სტრატეგიამ, სიღრმისებული შესწავლის და კვლევის საჭიროება წარმოაჩინა. მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების ინტენსივობამ და აქტუალურობამ შემდგომში საერთაშორისო რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიული და პრაქტიკული საკითხების მეცნიერული შესწავლის და ანალიზის შედეგების სისტემატიზაციის ინტერესი გაზარდა.

კვლევის ინტერესი გააძლერა საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრირების მკაფიო მიზანსწრაფვამ, ასევე, სუამის, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის რეგიონულ დაჯგუფებებში აქტიურმა წევრობამ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან დაკავშირებით განვითარებულმა წინააღმდეგობრივმა გამოცდილებამ. საკვლევი პრობლემით დაინტერესება აისახა სამეცნიერო კვლევით კონცეფციაში, რომლის საფუძველზე განხორციელებულმა ნაშრომმა წინამდებარე მონოგრაფიის სახე მიიღო.

მონოგრაფიაში გამოკვლეულია რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის პოლიტიკის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის წანამძღვრები, მიზნები, პოლიტიკა და მოსალოდნელი შედეგები. ამასთან, პრობლემის შესწავლისას აქცენტი გაკეთდა მცირე ქვეყნების ინტეგრირებაზე რეგიონულ ინტეგრაციულ გაერ-

თიანებებში, რადგან ეს სტრატეგია განიხილება საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრიორიტეტულ მიმართულებად; შესწავლილ იქნა ეკონომიკური ინტეგრაციის პოლიტიკის შეფასების ეკონომიკური და გეოგრაფიული ასპექტები, მათ შორის ჩარჩო პოლიტიკის შემუშავების თავისებურებები და მსოფლიოში მოქმედი ინტეგრაციის მოდელები რეგიონების მიხედვით: დასავლეთ ევროპის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის და აზიის, ამერიკის, აზია-წყნარი ოკეანის, არაბეთის და აფრიკის სახელმწიფოთა რეგიონული ორგანიზაციები. კვლევაში აქცენტი გაკეთდა მცირე ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის სრულყოფის მიმართულებებზე, მათ შორის საქართველოს პოზიციებზე და რეგიონულ დაჯგუფებებში წარმატებით ინტეგრირების ასპექტებზე.

ნაშრომს აქვს თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. კერძოდ, იგი არის პირველი მცდელობა სისტემატიზირებული სახით თავმოყრილი და გაანალიზებული იყოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის თეორიისა და პრაქტიკის საკვანძო საკითხები და თანამედროვე მიდგომები, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, მკვლევარებს და ყველა დაინტერესებულ პირს გააფართოვონ რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის შესახებ ცოდნა და გამოიყენონ იგი პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას. ამასთან, წინამდებარე ნაშრომი დაეხმარება უმაღლესი სასწავლო დასწესებულებების პედაგოგებს დამხმარე სასწავლო მასალის სახით ისარგებლონ მთელ რიგ სასწავლო კურსებში: „ეკონომიკური პოლიტიკა“, „საერთაშორისო რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები“, „მსოფლიო ეკონომიკა“ და სხვა.

წინამდებარე ნაშრომის გამოცემის მომზადებაში მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის გამგემ, პროფესორმა რევაზ გველესიანმა, ეკონო-

მიკური პოლიტიკის კათედრის წევრებმა, რომელთაც კრიტიკული თვალსაზრისები გამოთქვეს კვლევითი ნაშრომის ცალკეულ კომპონენტზე; რეცენზენტებმა – ასოცირებულმა პროფესორებმა ირინა გოგორიშვილმა და გულნაზი ერქომაიშვილმა; სტუდენტებმა – ილია ლატაურმა, ლამარა ბეიტრიშვილმა, თათია ხიდაშელმა, მარიამ ტალახაძემ და მანანა ებანოიძემ, რომელთაც განაახლეს რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციების შესახებ გარკვეული სახის ინფორმაცია.

ნაშრომი არ არის დაზღვეული ხარვეზებისგან, შესაბამისად, ყველა კეთილგანწყობით გამოთქმული კრიტიკული თვალსაზრისი დაგვეხმარება საკითხის შემდგომი დამუშავების, სრულყოფის და კვლევის უფრო მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაში.

შესავალი

პრობლემის აქტუალურობა: ეკონომიკური ინტეგრაცია ქვეყნებს შორის ურთიერთზემოქმედების პროცესია, რომელიც სამეურნეო მექანიზმებს ერთმანეთთან სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე აახლოვებს.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ინდუსტრიული ქვეყნების სწრაფმა ეკონომიკურმა ზრდამ და სატრანსპორტო-საკომუნიკაციო საშუალებების სრულყოფამ წარმოების ფაქტორთა საერთაშორისო მოძრაობის ინტენსიფიკაციას შეუწყო ხელი. შედეგად, მოგების გამომუშავება შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ ეროვნული საზღვრების ფარგლებში, არამედ მის გარეთაც. საქონლისა და მისი წარმოებისათვის საჭირო ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობის განვითარება რეგიონული ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებას იწვევს, რაც ქვეყნებს შორის გამარტივებულ და ურთიერთხელსაყრელ საწარმოო-სავაჭრო კავშირებში გამოიხატება.

რეგიონული ინტეგრაცია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითად ტენდენციას წარმოადგენს. იზრდება სახელმწიფოთაშორისი ორმხრივი და მრავალმხრივი რეგიონული ხელშეკრულებების რაოდენობა, რაც გლობალური სავაჭრო შეთანხმებების და რეგიონული მიდგომების მომხრეებს შორის აზრთა სხვადასხვაობას ამძაფრებს. ორმხრივი ხელშეკრულებების და რეგიონული ინტეგრაციის მექანიზმი ხშირად არასწორად აღიქმება. **რეგიონული ინტეგრაცია მოიცავს არა მარტო შეღავათიან სავაჭრო პირობებს, განსხვავებით პრეფერენციული სავაჭრო ხელშეკრულებებისგან, არამედ ეტაპობრივ ნაბიჯებს მონაწილე ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.** რეგიონული და საერთაშორისო ინტეგრაცია სხვადასხვა მიზნებს ემსახურება: **რეგიონული ინტეგრაცია ეხმარება მცირე და ღარიბ ქვეყნებს გააფართოონ თავიანთი მიწოდების (საწარმოო) სიმძლავრეები რეგიონული საწარმოო კავშირების მეშვეობით. ეს უკანასკნელი კი ამ**

ტიპის ქვეყნების გლობალურ ბაზარზე დასაშვებად წინაპირობებს ქმნის.

რეგიონულ ინტეგრაცია ეროვნული ეკონომიკის **სივრცითი ტრანსფორმაციის** გადამწყვეტი ელემენტია. სივრცითი ტრანსფორმაციის **ეფექტიანობის მისაღწევად რეგიონული ინტეგრაციის სტრატეგია უნდა უკავშირდებოდეს ეკონომიკურ გეოგრაფიას. წარმატებისთვის უმნიშვნელოვანესია ბაზრების ზომა, მდებარეობა და მსოფლიოს ცალკეული ნაწილის დიდ ბაზრებთან კავშირებზე გასვლა.**

მცირე ქვეყნების უმრავლესობას, ცალკე აღებულს, კვალიფიციური სამუშაო ძალა არ ჰყავს, ადგილობრივი ფინანსური სახსრების სიმცირეს განიცდის, საწარმოო კლასტერის და დამატებითი მომსახურების შექმნის უნარი არ აქვს. რეგიონული ინტეგრაცია ამ პრობლემებიდან გამოსავალია. მისი მიზანია გაიზარდოს რეგიონის ქვეყნების საწარმოო შესაძლებლობები რეგიონული საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების გზით, ან სპეციალიზაციიდან უპირატესობის მოპოვებით.

ამრიგად, რეგიონული შეთანხმებები საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მოპოვების სტრატეგიაა მცირე, ღარიბი და უპირატესობების არ მქონე ქვეყნებისთვის, რომელთაც სურთ მსოფლიო ბაზარზე გასვლა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერული შესწავლის აქტუალურობა ეჭვს არ ბადებს.

კვლევის მიზანია მცირე ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის თეორიული და პრაქტიკული საკითხების გამოკვლევა, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის სრულყოფას უზრუნველყოფს.

საკითხის შესწავლის მდგომარეობა და თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლები: ეკონომიკური ინტეგრა-

ციის ტერმინი შვედმა მეცნიერმა ელი ჰექსერმა(1930) დაამკვიდრა, თუმცა თანამედროვე ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიის ძირითადი პრინციპები იაკობ ვაინერმა (1950) შეიმუშავა. მან გამოიკვლია ინტეგრაციის შედეგად ვაჭრობის ფორმირების და ვაჭრობის გადახრის ეფექტები, რაც გამოიხატება ინტეგრაციის წევრ ქვეყნებში საქონლის შიდარეგიონული ნაკადების ცვლილებით. ვაინერის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ ვაჭრობის გადახრის ეფექტმა შეიძლება გადაწონოს ფორმირების ეფექტი, ამიტომ საბაჟო კავშირი, როგორც სავაჭრო პოლიტიკის მოდელი, არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად დადებით მოვლენად განვიხილოთ საერთაშორისო ეკონომიკაში. თანამედროვე ლიბერალური ეკონომიკური მიმდინარეობის წარმომადგენელთა თვალსაზრისით, არ არსებობს თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკის ალტერნატიული თეორიული მოდელი, რომლის საფუძველზეც მსოფლიო კეთილდღეობა ერთმნიშვნელოვნად დადებითი იქნება. აღნიშნული დასკვნის გათვალისწინებით ინგლისელმა მეცნიერმა ჯონ მილმა (1955) რეგიონული ინტეგრაციის თეორიას „მეორე უკეთესის“ თეორია უწოდა.

რეგიონული ინტეგრაციის თეორიის საბაზისო პრინციპები შეაჯამა უნგრელმა ეკონომისტმა ბელა ბალასამ (1960). მისი აზრით, ზენაციონალური ბაზრები ეროვნული საზღვრების გარეშე, წარმოების ფაქტორების თავისუფალი მიმოსვლის პირობებში, ინტეგრაციას როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ სფეროში ბუნებრივად იწვევს.

დინამიკური ანალიზით ინტერდისციპლინურ ჭრილში საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის სტატიკური თეორიის რევიზია განხორციელდა (დალიმოვი, 2009). ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დაგროვილი ცოდნა წარმატებით იქნა გამოყენებული ეკონომიკური პროცესების დინამიკის ანალიზისა და პროგნოზირებისათვის, კერძოდ, ვაჭრობის **ფორმირების** და **გადახრის** ეფექტები, ფაქტორების (შრომა, კაპიტალი) პარეტო ეფექტიანობა და დამატები-

თი ღირებულება. დინამიკური მოდელით მათემატიკურად დადასტურდა, რომ ყველა ქვეყანა მოიგებს ეკონომიკური გაერთიანებიდან, თუმცა დიდი სახელმწიფოები მიიღებენ მშპ-ის და მწარმოებლურობის ნაკლებ ზრდას და, პირიქით, გაერთიანება უფრო მეტად მომგებიანია მცირე ქვეყნებისთვის. მასშტაბის ეკონომია ეკონომიკური ინტეგრაციის დასაბუთებაა, რადგან მასშტაბის ეკონომია ზოგჯერ მოითხოვს უფრო დიდი ბაზარს, ვიდრე ეს შესაძლებელია ცალკეული ქვეყნის მასშტაბით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დავისახეთ შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

1. მცირე ქვეყნების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის გავლენის შესაფასებლად თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შესწავლა;

2. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორების, მათ შორის გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ისტორიული, დემოგრაფიული და ა.შ ფაქტორების გამოკვლევა;

3. ეკონომიკური ინტეგრაციის პოლიტიკის გეოგრაფიული დონის შეფასების მეთოდოლოგიის განხილვა, რომელიც ემყარება შესაბამისი ინსტრუმენტების ნაკრებს: სივრცით ინსტიტუციებს, ინფრასტრუქტურის სივრცით შეკავშირებას და სივრცით მიზნებს;

4. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის განსხვავებული ფორმების, ფუნქციონირების თავისებურებების და პრაქტიკული შედეგების კვლევა: მსოფლიო გამოცდილება და საქართველო.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა გარკვეული სირთულე, რომელიც გამომდინარეობს ეკონომიკური პროცესების კვლევის განსხვავებული რაოდენობრივი მეთოდების საფუძველზე საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მონაცემთა ბაზების პროგრამული დამუშავებიდან, რაც დაკავშირებულია გარკვეულ საფასურთან მონაცემთა მიღების

მიზნით, ასევე სპეციალური უნარების მქონე სპეციალისტების საჭიროებასთან და დიდ დროით რესურსთან. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი სისტემატიზირებული ინფორმაცია შესაძლებელია გამოყენებული იქნას ისეთი კვლევების განხორციელებისას, რომელთა მიზანიც იქნება საქართველოს რეგიონულ ეკონომიკურ გაერთიანებებში შესაძლო ინტეგრაციიდან მიღებული დანახარჯები – სარგებლის ეკონომიკური ანალიზი, მათი რაოდენობრივი შეფასება და საპროგნოზო მაჩვენებლების კვლევა. მიზანშეწონილია, მსგავსი კვლევა ჩატარდეს მკვლევართა ჯგუფის მიერ, რომლებიც ღრმად სპეციალიზირებულნი იქნებიან ეკონომიკური თეორიის, ეკონომიური პოლიტიკის, ეკონომიკური პროესების რაოდენობრივი შეფასების მეთოდების, მონაცემთა ბაზის ანალიზის, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროგრამული უზრუნველყოფის და ა.შ. მიმართულებებით.

თავი I. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი

1.1. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ობიექტური წანამძღვრები

სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია ეკონომიკური ინტეგრაციის ობიექტური საფუძველია. ინტეგრაციას, როგორც ეკონომიკურ მოვლენას მნიშვნელოვანი პოლიტიკური პოტენციალი ახასიათებს. ინტეგრაციული პროცესების მიმდინარეობა შეუძლებელია მასში მონაწილე ქვეყნების მთავრობათა მხრიდან სპეციალური ღონისძიებების გატარების გარეშე. ინტეგრაციული დაჯგუფებები იქმნება იმ სახელმწიფოთა ჯგუფის საფუძველზე, რომელთაც საერთო პოლიტიკური ინტერესები აქვთ და ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად სურთ გადაჭრან სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

ინტეგრაციული პროცესები ხშირად ეკონომიკური რეგიონალიზმის განვითარებას იწყობენ ხელს, რის საფუძველზეც ქვეყნების ცალკეული ჯგუფები ურთიერთშორის ვაჭრობის უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნიან. რიგ შემთხვევაში ეს წარმოების ფაქტორთა რეგიონის შიგნით მოძრაობასაც ეხება. მიუხედავად პროტექციონისტული ნიშნებისა, ეკონომიკური რეგიონალიზმი საერთაშორისო ეკონომიკის განვითარებაში ნეგატიურ მოვლენად არ ითვლება მანამ, სანამ იგი არ გაართულებს ვაჭრობის პირობებს დანარჩენ მსოფლიოსთან.

რეგიონული ინტეგრაცია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითად ტენდენციას წარმოადგენს. ყოველდღიურად მატულობს სახელმწიფოთაშორისი ორმხრივი და მრავალმხრივი რეგიონული ხელშეკრულებების რაოდენობა, რაც საერთაშორისო ეკონომიკის სპეციალისტებს – გლობალური სავაჭრო შეთანხმებების და რეგიო-

ნული მიდგომების მომხრეებს შორის აზრთა სხვადასხვაობას ამძაფრებს. **რეგიონული შეთანხმებების ზრდის ტენდენცია არსებითად მნიშვნელოვანია მსოფლიოს მცირე, ღარიბი და უპირატესობების არ მქონე ქვეყნებისთვის, რომელთაც სურთ მსოფლიო ბაზარზე გასვლა. სწორედ ამ თვალსაზრისით არის აქტუალური საქართველოსთვის რეგიონულ ინტეგრაციულ გაერთიანებებში მონაწილეობა, რათა შეძლოს საერთშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მსოფლიო ბაზართან ინტეგრირება.**

რეგიონულ ინტეგრაციაზე მოქმედ ფატორთა შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭება გეოგრაფიულ ფაქტორებს, განსაკუთრებით, ქვეყნების გეოფიზიკურ მდებარეობას, ბუნებრივ კლიმატს, სახელმწიფოთა ტერიტორიების ზომებს.

ქვეყნის გეოფიზიკური მდებარეობა ისტორიულად ბევრად განსაზღვრავდა სახელმწიფოების ბედს. გეოგრაფიული ფაქტორების (კლიმატის, ტერიტორიის სიდიდის და ა. შ.) ზეგავლენით ყალიბდება მოსახლეობის ცხოვრების წესი, ტემპერამენტი, რაც თავის ასახვას პოულობს მოთხოვნის ჩამოყალიბებაზე და მთლიანად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობა სავაჭრო ეკონომიკურ კავშირებზე თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში წარმოდგენილია გრავიტაციული მოდელით (კრუგმანი, ოფსვილდი, 2008).

რეგიონული ინტეგრაციის მიდგომების შედარების მიზნით მსოფლიო ბანკის ფარგლებში ჩატარდა კვლევა (მსოფლიო ბანკის ანგარიში, 2009), რომელშიც გაანალიზებულია **ვაჭრობის განვითარების მიმართულებები ეკონომიკური გეოგრაფიის ჭრილით.** განვითარების პროცესს თან ახლავს სექტორული ტრანსფორმაცია აგარარული წარმოებიდან მრეწველობასა და მომსახურებისკენ. მსოფლიო ბანკის პოზიციით, განვითარებადმა ქვეყნებმა უნდა დაიწყონ **სივრცითი ტრანსფორმაცია,** რაც გულისხმობს **ეკონომიკური აქტივობის გეოგრაფიულ განვრცობას ქვეყნებს შიგნით და ქვეყნებს შორის.** ამ ტრანსფორმაციის გადამ-

წყვეტი ელემენტი რეგიონული ინტეგრაციაა. **ეფექტიანობის მისაღწევად რეგიონული ინტეგრაციის სტრატეგია უნდა უკავშირდებოდეს ეკონომიკურ გეოგრაფიას. წარმატებისათვის უმნიშვნელოვანესია ბაზრების ზომა, მდებარეობა და მსოფლიოს ცალკეული ნაწილის დიდ ბაზრებთან კავშირებზე გასვლა.**

გეოგრაფიული ტრანსფორმაციის არსი: ერები კარგად ვითარდებიან, თუ ხელს უწყობენ ტრანსფორმაციას ეკონომიკური გეოგრაფიის სივრცის მიხედვით: მაღალი კონცენტრაცია ქალაქებში, მანძილის შემოკლება მუშაკებისა და საქმიანი ადამიანებისთვის, ნაკლები ეკონომიკური ბარიერები ქვეყნებს შორის, მსოფლიო ბაზრებზე გასვლა მასშტაბის უპირატესობით და დასპეციალებული პროდუქციით. **ტრანსფორმაციის სამ არსებით სივრცეს წარმოადგენს სიმჭიდროვე, მანძილი და დანაწილება, რაც რეგიონული ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავების საკვანძო ელემენტებს წარმოადგენენ.**

თუმცა სივრცით ტრანსფორმაციას თან სდევს დაუბალანსებელი ზრდა: ქალაქები იზრდება, მაგრამ მილიარდობით მოსახლე კვლავ სიღარიბეში ცხოვრობს. ისინი გლობალიზაციის ყველა სარგებელს მოკლებულნი არიან. **იქ, სადაც სიმდიდრის კონცენტრაცია იზრდება, ადამიანებს მაინც შეუძლიათ ეკონომიკური საქმიანობიდან სარგებლის მიღება.**

ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის და საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის შეთანაწყობით 2008 წლის ნობელის პრემიის ლაურეატმა პოლ კრუგმანმა შეძლო აეხსნა ინტერნაციონალიზაციის დაჩქარების მიზეზები. თუ მეცხრამეტე საუკუნეში, გლობალიზაციის პირველი ტალღის ეტაპზე, ქვეყნები ვაჭრობის ზრდას ახორციელებედნენ ფარდობითი უპირატესობის საფუძველზე, მეოცე საუკუნეში სატრანსპორტო დანახარჯები იმდენად შემცირდა, რომ **უკვე მსგავსი საქონლით, ან მისი ნაწილებით და დეტალებით ვაჭრობას მიეცა ეკონომიკური შინაარსი.** ქვეყნებმა დაიწყეს სხვა-

დასხვა ტიპის სასურსათო პროდუქციის, ასევე, ავტომობილების და კომპიუტერების დეტალების გაცვლა. სატრანსპორტო დანახარჯების და ვაჭრობის ბუნების ცვლილების ურთიერთქმედებამ გამოიწვია ეკონომიკური მასის თავმოყრა მსოფლიოს წამყვან ბაზრებზე. იქ, სადაც სატრანსპორტო დანახარჯები შემცირდა, ფირმებმა გაზარდეს მასშტაბი და სპეციალიზაცია. ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა განვითარებულ ქვეყნებში არის შიგადარგობრივი ვაჭრობა, ნაწილების და დეტალების დონეზე. ვაჭრობის ეს ტიპი სატრანსპორტო დანახარჯების მიმართ უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე პირველადი მოხმარების საქონლით და საბოლოო პროდუქციით ვაჭრობა. მსოფლიოს წამყვან რეგიონებში მყიდველსა და მიმწოდებელს შორის კავშირების ზრდა გლობალიზაციის მთავარი ფუნქციაა. მზა პროდუქციის კლიენტები შესაძლოა ყველგან იყვნენ, მაგრამ **შუალედური პროდუქტის მომხმარებელი სიახლოვეში უნდა იყოს.** მზარდი სპეციალიზაცია ავითარებს მცირე ქვეყნის ვაჭრობის შესაძლებლობებს. მაგალითად, შესაძლებელია საქართველოში ვერ იქნას წარმოებული საბოლოო პროდუქტი, მაგრამ წარმოებული იქნას მისი ერთი ნაწილი, რომელიც თურქეთის ამწყობ ხაზს მიაწვდის ამ ნაწილს. წარმოების ე.წ. **ვერტიკალური დანაწილება სატრანსპორტო დანახარჯებს ამცირებს და განვითარებადი რეგიონების სწრაფი ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი ხდება.**

ეს მოდელი წარმატებული აღმოჩნდა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებითვის, თუმცა მსოფლიოს სხვა ნაწილში ცალკეული ქვეყნის შესაძლებლობები ძალიან მცირე იყო იმისთვის, რომ მოეხდინა მასშტაბის ეფექტის გენერირება და ინვესტიციების მოზიდვა.

შეუძლიათ თუ არა ღარიბ, მცირე ქვეყნებს მიიღონ სარგებელი იგივე გზით, როგორც ეს აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა შეძლეს? **პრობლემური ქვეყნების უმრავლესობას, ცალკე აღებულს, არ ჰყავს კვალიფიციური სამუშაო ძალა, განიცდის ადგილობრივი ფინანსური შესაძლებლო-**

ბების სიმცირეს, არ აქვს უნარი, რომ შექმნას საწარმოო კლასტერი და დამატებითი მომსახურება. რეგიონული ინტეგრაცია ამ პრობლემებიდან გამოსავალია. მისი მიზანია გაიზარდოს რეგიონის ქვეყნების საწარმოო შესაძლებლობები რეგიონული საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების გზით, ან სპეციალიზაციიდან უპირატესობის მოპოვებით.

რეგიონული ინტეგრაცია, შეღავათიანი ვაჭრობის რეჟიმთან შედარებით, უფრო მეტს ნიშნავს. იგი მოიცავს რამოდენიმე საფეხურს, რომლის გავლის შემდეგაც ეკონომიკური სუბიექტი გლობალური ინტეგრაციის მონაწილე ხდება. ამ პროცესში მნიშვნელოვანია სამი ძირითადი პრინციპის გათვალისწინება:

• **მცირედან დაწყება** – რეგიონული ინტეგრაცია დასაწყისში მიმართული უნდა იყოს კოოპერაციის ვიწრო სფეროსკენ, სადაც დანახარჯები და მოგება მკაცრად განსაზღვრულია;

• **გლობალურად აზროვნება** – რეგიონული ინტეგრაცია ეხმარება ქვეყნებს გავიდნენ მსოფლიო ბაზარზე, რომელშიც ინდივიდუალურად ვერ აღწევენ. დიდ ქვეყნებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ მრავალმხრივი და რეგიონული ინტეგრაციის ჩარჩოები, მაშინ როცა მცირე, ღარიბ და კარჩაკეტილ ქვეყნებს სჭირდებათ ერთმანეთში შეღწევა, კავშირი. მაგალითად: საზიარო სატრანსპორტო დერეფანი ქვეყნებს მათთვის მიუწვდომელ მსოფლიო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობას აძლევს;

• **ყველა შესაძლებლობის გამოყენება** – რეგიონული ინტეგრაციის თანმდევი ეკონომიკური აქტივობის კონცენტრაციის ფარგლებში ქვეყნები სპეციალიზდებიან და ზრდიან წარმოების მასშტაბს, რაც განვითარების პროცესის შეუცვლელი ნაწილია. ეს, მართალია, ნიშნავს, რომ ერთი ნაწილი უფრო მეტ სარგებელს ნახავს, ვიდრე მეორე, მაგრამ მხოლოდ დასაწყისში. წამყვან რეგიონებში ჩასული მიგრანტები აგზავნიან შემოსავლებს თავის სამშობლოში და შემოსავლებიც ნაწილობრივ გადანაწილდება რეგიონის ფარ-

გლებში. შესაძლებელია, ქვეყნებში სოციალური მომსახურების და ინფრასტრუქტურის გამართული საკომპენსაციო სქემების ამოქმედება (მსოფლიო ბანკის ანგარიში, 2009).

რეგიონული ინტეგრაციის ეკონომიკურ პოლიტიკაში საინტერესოა არა პასუხი კითხვაზე ცუდია თუ კარგი ინტეგრაცია, არამედ რომელი ფაქტორები განაპირობებენ მის წარმატებას. აღსანიშნავია, რომ რეგიონულ სავაჭრო შეთანხმებებს შეიძლება ჰქონდეთ დადებითი და უარყოფითი ეფექტები, რაც დამოკიდებულია ინტეგრაციული ბლოკის ფორმირებასა და განვითარებაზე. ყველა გლობალურ პარტნიორთან დაბალი სავაჭრო ბარიერების დაწესება რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების წარმატების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. არადისკრიმინაციული ლიბერალიზაცია რეგიონის შიგა ვაჭრობის ზრდის უსწრაფესი და ყველაზე ეფექტიანი გზაა.

ინტეგრაციის შედეგების გაზომვა შესაძლებელია რეგიონის მთლიან იმპორტში რეგიონული პარტნიორებიდან განხორციელებული იმპორტის წილის მაჩვენებლის გაანგარიშებით. ანალოგიური მაჩვენებელი გაითვლება ექსპორტის მიმართულებითაც. ტენდენციების თვალსაჩინოების მიზნით, უმნიშვნელოვანესია, გავაანალიზოთ წლის განმავლობაში რეგიონის შიგა ვაჭრობის მოცულობის ცვლილება მსოფლიო ვაჭრობის მოცულობასთან მიმართებაში.

რეგიონული ინტეგრაციის წარმატების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის რეგიონის შიგა ვაჭრობის მოცულობის დინამიკა და მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი საბაზისო პერიოდის მაჩვენებლებთან.

რეგიონული ინტეგრაციების განვითარების მსოფლიო გამოცდილება ცხადჰყოფს, რომ ზოგიერთი გაერთიანების ფარგლებში რეგიონის შიგა ვაჭრობის მოცულობის ზრდა მიღწეულ იქნა (მაგალითად, ევროკავშირი, ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია, მერკოსური) მოკლე პერიოდში, ზოგგან კი ათწლეულების განმავლობაში იყო შენარჩუნებული (მაგ. აფრიკის რეგიონულ დაჯგუფებებში)

უძრაობის პერიოდები. რეგიონული ვაჭრობის ეკონომიკური გავლენის შესაფასებლად მნიშვნელოვანია გაანგარიშებული იყოს რეგიონის შიგა და რეგიონის საგარეო ვაჭრობის მოცულობების წილი რეგიონის მშპ-ში.[1]

თუმცა წარმატებული რეგიონული ინტეგრაცია ნიშნავს: 1. ყველა პარტნიორის მიმართ ტარიფების შემცირებას; ამასთან, შესაძლებელია რეგიონული ვაჭრობის წილი არ იზრდებოდეს, რეგიონული ვაჭრობის მოცულობის ზრდის შემთხვევაში; 2. რეგიონულმა ინტეგრაციამ შესაძლებელია შეამციროს სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული დანახარჯები და სტიმული მისცეს ვაჭრობას; 3. რეგიონული ინტეგრაცია ვაჭრობის გარდა არასავაჭრო საკითხებზეც ახდენს გავლენას, როგორებიცაა, ინვესტიციები, მომსახურება, სამუშაო ძალა, რაც შემოსავლების და ზრდის ხელშემწყობი ფაქტორებია.

ამრიგად, მცირე ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ამაღლება შესაძლებელია ეფექტიანი რეგიონული ინტეგრაციის სტრატეგიით. რეგიონული ინტეგრაციის სტრატეგიები მსოფლიოს რეგიონებში ერთნაირად არ ვითარდება. ეკონომიკური გეოგრაფია ინტეგრაციული განვითარების მიმართულებას აყალიბებს და გვთავაზობს შესაბამისი ტიპის ინსტრუმენტებსაც. ინტეგრაციული გაერთიანების წარმატებული განვითარება ნიშნავს ისეთი საერთო პრობლემების დაძლევას, როგორებიცაა ეკონომიკური ბარიერების სიმრავლე, ეკონომიკური სიმჭიდროვე რეგიონში და სიშორე მსოფლიოს დიდი ბაზრებიდან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ქვეყნებისთვის რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება დიდ მეზობლებთან მანძილის შესამცირებლად.

[1] World Bank: Regional Trade Agreements, Effect on Trade, 2005. p. 59

1.2 ეკონომიკური ინტეგრაცია: მიზნები, პოლიტიკა და მოსალოდნელი შედეგები

საქონლისა და მისი წარმოებისათვის საჭირო ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობის განვითარება ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებას იწვევს, რაც ქვეყნებს შორის უფრო მეტად საიმედო საწარმოო-სავაჭრო კავშირების არსებობას და საერთაშორისო ვაჭრობისა და წარმოების ფაქტორთა მოძრაობის გზაზე მრავალრიცხოვანი დაბრკოლებების მოხსნას გულისხმობს. ეს შესაძლებელია მხოლოდ ისეთი სახელმწიფოთაშორისო ინტეგრაციული გაერთიანების ფარგლებში, რომელიც მრავალმხრივ პოლიტიკურ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს ეყრდნობა.

XX საუკუნის მეორე ნახევარში, ინდუსტრიული ქვეყნების სწრაფი ეკონომიკური ზრდის და საერთაშორისო სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებების სრულყოფის შედეგად, გაფართოვდა საქონლით და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა. პროცესს თან დაერთო წარმოების ფაქტორთა საერთაშორისო მოძრაობის ფორმების განვითარება, რის შედეგადაც მოგება, რომელიც ჩადებულია საქონლის ფასში, იქმნება არა მხოლოდ ეროვნული საზღვრების ფარგლებში, არამედ მის გარეთაც. ამგვარად, ეკონომიკური ინტეგრაცია საქონლითა და მომსახურეობით საერთაშორისო ვაჭრობის და წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობის განვითარების კანონზომიერ შედეგს წარმოადგენს.

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის წარმატებული განვითარებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წანამძღვრები:

1) ინტეგრირებული ქვეყნების საბაზრო სიმწიფის ხარისხის და ეკონომიკური განვითარების თანაბარი დონე. სახელმწიფოთაშორისო ინტეგრაცია ვითარდება ინდუსტრიულ ქვეყნებს, განვითარებად ქვეყნებს შორის ან ინდუსტრიული და განვითარებული ქვეყნების ფარგლებში. მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ინტეგრაციული პროცესე-

ბი მსგავს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს შორის უფრო აქტიურად მიმდინარეობს. თუმცა, ინდუსტრიულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ინტეგრაციული ტიპის გაერთიანებების მზარდი ეტაპი დაიწყო ევროკავშირის 2004 წლის გაფართოების პერიოდიდან. განვითარების სხვადასხვა დონის ქვეყნების ინტეგრაციის დროს, სამეურნეო მექანიზმების შეუსაბამობის გამო, გაერთიანება გარდამავალი შეთანხმებების საფუძველზე იწყება – ასოცირების, ნებაყოფლობითი გაერთიანების, სპეციალური პარტნიორობის, სავაჭრო პრეფერენციების და ა.შ. საშუალებით, რომელთა მოქმედების ვადა მრავალი წლის მანძილზე გრძელდება მანამ, სანამ ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში არ შეიქმნება განვითარებული ქვეყნის საბაზრო სიმწიფის მსგავსი მექანიზმები;

2) ინტეგრირებული ქვეყნების გეოგრაფიული სიახლოვე, საერთო საზღვრები და ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირები. მსოფლიოს უმრავლესი ინტეგრაციული გაერთიანება მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ისინი, ხშირ შემთხვევაში, ერთ კონტინენტზე მდებარეობენ, გეოგრაფიულ სიახლოვეში, ერთი სასაუბრო ენა და ერთიანი სატრანსპორტო კომუნიკაციები აქვთ. ეს ქვეყნები წარმოადგენენ გაერთიანების ბირთვს, რომელსაც შემდგომ სხვა მეზობელი სახელმწიფოები უერთდებიან;

3) საერთო ეკონომიკური და სხვა პრობლემები განვითარების, ფინანსების, ეკონომიკის რეგულირების და პოლიტიკური თანამშრომლობის სფეროებში. ეკონომიკური ინტეგრაცია მოწოდებულია გადაჭრას იმ კონკრეტული პრობლემების ნაკრები, რომელიც რეალურად დგას ინტეგრაციაში მონაწილე ქვეყნების წინაშე. ამ მიზეზით ის ქვეყნები, რომელთა მთავარი პრობლემაც საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაა, ვერ ინტეგრირდებიან სახელმწიფოებთან, რომელთა ბაზრის განვითარებაც ერთიანი ვალუტის შემოღებას მოითხოვს;

4) დემონსტრაციული ეფექტი. ინტეგრაციულ დაჯგუფებებში მონაწილე ქვეყნებში დადებითი ეკონომიკური ძვრები მიმდინარეობს, რაც თავისებურ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს არაწევრ ქვეყნებზე, რომლებიც თვალყურს ადევნებენ მიმდინარე ცვლილებებს;

5) „დომინოს ეფექტი". მას შემდეგ, რაც ამა თუ იმ რეგიონის ქვეყნები ინტეგრაციულ დაჯგუფებებს შექმნიან, მის ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქვეყნები გარდაუვლად განიცდიან სიძნელეებს, რაც გამომდინარეობს ინტეგრაციის წევრი ქვეყნების სტრატეგიის შეცვლიდან, ეს კი ინტეგრაციის წევრ ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების შესუსტებას იწვევს. პრობლემის თავიდან ასაცილებლად არაწევრი ქვეყნები ინტერესდებიან ინტეგრაციაში გაწევრიანებით.

ამრიგად, ეკონომიკური ინტეგრაციის წარმატებული განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ინტეგრირებული ქვეყნების საბაზრო სიმწიფის ხარისხის და ეკონომიკური განვითარების თანაბარი დონე; ინტეგრირებული ქვეყნების გეოგრაფიული სიახლოვე, საერთო საზღვრები და ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირები; საერთო ეკონომიკური და სხვა პრობლემები განვითარების, ფინანსების, ეკონომიკის რეგულირების და პოლიტიკური თანამშრომლობის სფეროებში და ა.შ.

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის არსის გასარკვევად პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რა მიზანს ემსახურება საერთაშორისო რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია? თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკაში აღმოცენებული ინტეგრაციული დაჯგუფებები მიზნად ისახავენ მსგავსი ამოცანების გადაჭრას:

1. მასშტაბის ეკონომიის უპირატესობებით სარგებლობას, რაც ნიშნავს ბაზრის მასშტაბების გაფართოებას, დანახარჯების შემცირებას და სხვა უპირატესობების გამოყენებას მასშტაბის ეკონომიის საფუძველზე;

2. ხელსაყრელი საგარეო-პოლიტიკური გარემოს შექმნას. უმრავლესი ინტეგრაციული დაჯგუფების მიზანია ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შენარჩუნება წევრ ქვეყნებს შორის პოლიტიკურ, სამხედრო, სოციალურ, კულტურულ და სხვა არაეკონომიკურ სფეროებში. პოლიტიკური პრიორიტეტები ინტეგრაციული დაჯგუფების ფარგლებში მყარდება ეკონომიკური ვალდებულებებით;

3. სავაჭრო პოლიტიკის ამოცანების გადაწყვეტას. რეგიონული ინტეგრაცია ხშირად გვევლინება წევრი ქვეყნების პოზიციათა გამყარების საშუალებად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში. რეგიონული ბლოკის საშუალებით, მრავალმხრივ სავაჭრო შეთანხმებებთან შედარებით, ურთიერთშორის ვაჭრობაში უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება;

4. ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაზე ზემოქმედებას. ინტეგრაციის ფარგლებში ქვეყნებს, რომლებიც ქმნიან საბაზრო მოდელს, მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებთან ინტეგრირებისას, ხელი მიუწვდებათ საბაზრო გამოცდილებაზე. განვითარებული ქვეყნები დაინტერესებულნი არიან ინტეგრაციაში ჩართული სხვა ქვეყნების საბაზრო რეფორმების დაჩქარებით და სრულფასოვანი ტევადი ბაზრების შექმნით;

5. ეროვნული მრეწველობის ჩვილი დარგების მხარდაჭერას. ინტეგრაციული დაჯგუფებების შექმნა არ ითვალისწინებს მესამე ქვეყნების მიმართ დისკრიმინაციული ზომების გატარებას. იგი განიხილება ეროვნული მრეწველობის ჩვილი დარგების მხარდამჭერი საშუალების სახით, რადგანაც იქმნება უფრო ფართო რეგიონული ბაზარი.

ეკონომიკური ინტეგრაციის წარმატება და წარუმატებლობა მისი მიზნების ბუნებიდან გამომდინარეობს. სარგებლის მიღება სახელმწიფოთა გაერთიანების მთავარი მიზანია. მნიშვნელოვანი აქცენტი იმაზე კეთდება, რომ ეკონომიკური ინტეგრაციის ტერმინის მიუხედავად, გაერთიანების სარგებელი შეიძლება არაეკონომიკური იყოს. რეგიონული

ეკონომიკური ინტეგრაციის ზოგიერთი წევრისათვის, ან ყველა მათგანისათვის უმთავრესია პოლიტიკური, ნაციონალური, თავდაცვის და სხვა მიზნები. საბოლოო მიზნების მიუხედავად, ყველა ეკონომიკურ გაერთიანებას ყოველთვის ახლავს დადებითი და უარყოფითი შედეგები, რომლებიც ვაჭრობის ლიბერალიზაციის და გაფართოებულ ბაზარზე გამკაცრებული კონკურენციის შედეგად ჩნდება.

რეგიონული ინტეგრაციის ეკონომიკური შედეგები ანალიზის და შეფასების საგანი უნდა გახდეს. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნებმა შეიძლება გააგრძელონ ეკონომიკური ინტეგრაცია დადებითი, მაგრამ ქვეყნისთვის უმნიშვნელო ეფექტების მოლოდინში, მაგრამ მათი წევრობა კავშირში არ წარმოადგენდეს საჭირო აუცილებლობას. ბევრი ქვეყნისათვის ეროვნული ღირებულებები და ნაციონალური თვითგამორკვევა უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე ეკონომიკური წინსვლა ეკონომიკური კავშირის შიგნით.

კავშირის მიზნები ხშირად არაეფექტიანი ან საერთოდ მიუღწეველია კავშირის სხვა წევრებთან მჭიდრო კოოპერაციის გარეშე. კავშირში მონაწილეობა და ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვა შეიძლება გამართლებული ნაბიჯი იყოს გაერთიანების კოლექტიური მიზნების მიღწევის პროცესში. ხშირად ერთიანი მიზნების მიღწევისას, შესაბამისი წესებისა და პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების გარეშე, დანახარჯები – სარგებელი წევრ ქვეყნებს შორის არათანაბრად ნაწილდება, რაც აფერხებს ინტეგრაციის მსვლელობას.

რეგიონული ეკონომიკური გაერთიანების ტერმინი დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის სხვადასხვა ფორმებს განსაზღვრავს. ეკონომიკურ ლიტერატურაში გაერთიანების განვითარების ეტაპების მიხედვით წარმოდგენილია ინტეგრაციის ოთხი ძირითადი ფორმა შემდეგი თანმიმდევრობით:

1. **თავისუფალი ვაჭრობის ზონა** – თავისუფალი ვაჭრობა წევრ-ქვეყნებს შორის;

2. **საბაჟო კავშირი** – თავისუფალი ვაჭრობის ზონას დამატებული ერთიანი საგარეო ტარიფი არაწევრ ქვეყნებთან ვაჭრობისას;
3. **ერთიანი ბაზარი** – საბაჟო კავშირს დამატებული წარმოების ფაქტორთა თავისუფალი მოძრაობა;
4. **ეკონომიკური კავშირი** – ერთიან ბაზარს დამატებული ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკა.

ეს კლასიფიკაცია სისტემატიზებულია და არ გვიჩვენებს ეკონომიკური ინტეგრაციის საფეხურებს და სიღრმეს. რეალობაში ეკონომიკური გაერთიანებები უფრო მეტად კომბინირებული ფორმით წარმოგვიდგებიან.

თავისუფალი ვაჭრობის ზონის გარდა, რომელიც მხოლოდ წევრ ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ეფუძნება, ყველა სხვა ფორმა შიგა დინამიკური პროცესებით ხასიათდება. იგი ინტეგრაციის სამომავლო განვითარებას განაპირობებს. საბაჟო კავშირმა შეიძლება გამოიწვიოს ინტეგრაციის უფრო განვითარებულ ფორმაზე გადასვლა, თუ რა თქმა უნდა წევრი ქვეყნები ამაზე შეთანხმდებიან. ინტეგრაცია ეკონომიკის გახსნილობის ზრდის და წევრი ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის საფუძველზე იწყება. ინტეგრაცია წევრი სახელმწიფოს შესაძლებლობებს დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის გატარებასთან ან ერთიანი ჯგუფური მიდგომიდან გადახვევასთან დაკავშირებით ასუსტებს. მზარდი ურთიერთდამოკიდებულება ექსტერნალიებს იწვევს. იგი გამოწვეულია სხვა ქვეყანაზე ცალკეული წევრი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ზეგავლენით. ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე ქვეყნები ესწრაფიან სარგებლის მაქსიმალურ გაზრდას ანუ გარე ეკონომიის მიღწევას და დანაკარგების მინიმიზაციას ანუ გარე დისეკონომიას (დაბალი ეფექტიანობა ან მაღალი საშუალო დანახარჯები წარმოების გაფართოებიდან). ეკონომიკური გაერთიანების წევრები ირჩევენ ან განახორციელონ საგარეო პოლიტიკის კოოპერაცია გარე ეფექტების ინტერნალიზების მიზნით, რაც ეკონომიკურ ინტეგ-

რაციას აძლიერებს, ან უარი თქვან კოოპერაციულ პოლიტიკაზე, რომელიც ურთიერთდამოკიდებულებიდან თავისუფალი სავაჭრო ზონისკენ უკუსვლას ნიშნავს. ამ შემთხვევაში, საერთაშორისო ვაჭრობაში უკვე ჩართულ ქვეყნებს შორის პოლიტიკის თავსებადობის საჭიროება მინიმალური მოთხოვნაა და შეიძლება სახელმწიფოთაშორის უკვე არსებულ სახელშეკრულებო არხებს ემყარებოდეს. და პირიქით, ეკონომიკური ინტეგრაციის მოწინავე ფორმებს განსაზღვრავს ეროვნული პოლიტიკის ჩარჩო, რომელიც ეკონომიკურ გაერთიანებას აიძულებს ჩამოაყალიბოს წესები ახალი ხელშეკრულებების საფუძველზე და დააფუძნოს ზენაციონალური სპეციალური ინსტიტუციები. შედეგად, ინტეგრაციის მოწინავე ფორმები სახელმწიფოთაშორისო კოოპერაციის განვითარებას ასახავს მარტივი თავსებადობიდან სრულ კოორდინაციამდე, ჰარმონიზაციასა და უნიფიკაციამდე. ეს ქმედებები არაწევრი სახელმწიფოების დაახლოვების ან ზოგჯერ მასში მონაწილეობის მიღების მიზეზი შეიძლება გახდეს.

ინტეგრაციის ფორმების ტაქსონომია აჩვენებს, რომ ინტეგრაციის წარმართვა და გახსნილობა იზრდება, ურთიერთდამოკიდებულება წევრ ქვეყნებს შორის ღრმავდება და, შესაბამისად, ჩნდება ინტენსიური კოოპერაციის საჭიროება. საბაჟო კავშირის საწყის ეტაპზე შიგა საკავშირო ვაჭრობაში შეზღუდვების ლიკვიდაციას ერთობლივი საგარეო ტარიფი ემატება. მოგვიანებით კი წევრი ქვეყნების ეროვნულ საგარეო სავაჭრო პოლიტიკას ერთიანი ინტეგრირებული სავაჭრო პოლიტიკა ანაცვლებს. შესაბამისად, საბაჟო კავშირის ერთიან ბაზრად გარდაქმნა განაპირობებს წარმოების ფაქტორების თავისუფალ მობილობას, რის გამოც იცვლება მათი მიწოდება და ფასი ყველა წევრ ქვეყანაში.

ინტეგრაციის საწყის ეტაპზე ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მოდელი და ტემპი იცვლება და თითოეული ქვეყნის წარმოება ვითარდება. თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების ძირეული ასპექტია უცხოური პირდაპი-

რი ინვესტიციები, როგორც ხელმომწერ ქვეყნებს შორის ძლიერი კოოპერაციის განსხვავებული გზა (UNCTAD, 2009). თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, რომელიც ფარავს საქონლის ექსპორტს, იმპორტს და ინვესტიციებს, ხელშემკვრელ ქვეყნებს სჭირდებათ მისი ინსტიტუციონალიზაცია. თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებებით ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე უნდა განისაზღვროს ინსტიტუციების პასუხისმგებლობა, კონკურენციის კანონის შედეგები ადგილობრივი მწარმოებლებისა და იმპორტიორებისათვის. ინტეგრაციაში გაერთიანებამდე თითოეულმა ქვეყანამ უნდა შეაფასოს თავისი კონკურენტუნარიანი დარგების საჭიროებები და დამატებული ღირებულებების ასპექტები, რათა თავიდან იქნას აცილებული ურთიერთკონკურენცია.

ეკონომიკური ინტეგრაციის მსვლელობისას წევრი ქვეყნები საკუთარი ეკონომიკური ინტერესებისა და პოლიტიკის შეზღუდვას ნებაყოფლობით ირჩევენ და მათ ზოგჯერ რთული ამოცანებით და პოლიტიკით ანაცვლებენ, რომელიც ერთიანობაში პასუხისმგებელია კავშირის პოლიტიკაზე. ინტეგრაციის განვითარება დამოკიდებულია წევრი ქვეყნების სურვილზე, გააძლიერონ თუ არა მათზე ზეეროვნული ხელისუფლების გავლენა.

ამგვარად, ინტეგრაციის პროცესის მსვლელობისას წევრი ქვეყნების ეროვნული ხელისუფლების მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა პროგრესიულად იზღუდება. ამავე დროს, კავშირის ძალაუფლება, რომელიც გამოხატულია ერთიან პოლიტიკაში, ძალას იკრებს. ძალაუფლების დანებება და ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვა ხშირად ძლიერ წინააღმდეგობებს წარმოშობს. ამ მიზეზით, ქვეყნები ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდის პირობებში ეკონომიკურ ინტეგრაციაში ჩართვისას შეიძლება აღმოჩნდნენ კრიზისში. შესაბამისად, წევრი ქვეყნების სურვილი, დათანხმდნენ კომპრომისულ ვარიანტს და მიაღწიონ კონსენსუსს,

გაერთიანებას ასულდგმულებს, მაგრამ მხოლოდ ინტეგრაციის და ურთიერთდამოკიდებულების უმაღლეს დონეზე.

საერთაშორისო ეკონომიკაში ინტეგრაციის ეფექტი ფასდება იმის მიხედვით თუ რა შედეგს გვაძლევს ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანება: მივყავართ მას თავისუფალი ვაჭრობისაკენ, თუ პირიქით, ზღუდავს სავაჭრო ნაკადებს. ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმების (GATT)[2] თანახმად, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პირობებში შესაძლებელია საბაჟო კავშირის და თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა. წესების მიხედვით, ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნამდე შესაძლებელია გარდამავალი მოლაპარაკებების წარმოება, რომელმაც უნდა მოამზადოს საფუძველი საბაჟო კავშირის შესაქმნელად.

90-ანი წლების დასაწყისში მსოფლიო ბანკის სპეციალისტებმა ჩამოაყალიბეს კრიტერიუმების ნუსხა, რომლის მიხედვითაც ინტეგრაციული დაჯგუფებების საერთაშორისო ეკონომიკის ჭრილში ეფექტიანი ფუნქციონირების ხარისხი შეისწავლება. ეს კრიტერიუმებია:

1. რეგიონულმა შეთანხმებებმა ეკონომიკის ყველა დარგი უნდა მოიცვას გამონაკლისის გარეშე;

2. გარდამავალი პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს და უნდა შედგეს ინტეგრირებულ მხარეებს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაციის მკვეთრად განსაზღვრული გრაფიკი;

3. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პირობებში ვაჭრობის ლიბერალიზაცია წინ უნდა უსწრებდეს ან თან უნდა სდევდეს ნებისმიერი ახალი ინტეგრაციული დაჯგუფების ჩამოყალიბებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ საწყისი ტარიფები საკმაოდ მაღალია;

4. საბაჟო კავშირის ფარგლებში შემოღებული ერთიანი საბაჟო ტარიფი არ უნდა აღემატებოდეს ყველაზე მცირე ტარიფს შესაბამის დარგში;

[2] http://www.wto.org/english/tratop_e/region_e/region_e.htm (16.05. 2009).

5. ინტეგრაციულ დაჯგუფებებში ახალი წევრების მიღების წესები ლიბერალური უნდა იყოს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანების გაფართოებას;

6. საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა გამჭვირვალე უნდა იყოს და დაჯგუფების შიგნით პროტექციონიზმის იარაღს არ უნდა წარმოადგენდეს;

7. აუცილებელია ინტეგრაციული დაჯგუფების დაბალი ფორმებიდან დროულად მოხდეს გადასვლა განვითარების მაღალ ფორმებზე, რაც უზრუნველყოფს წარმოების ფაქტორთა რაციონალურ გადანაწილებას და გამოყენებას;

8. ინტეგრაციული გაერთიანების ჩამოყალიბების შემდეგ ანტიდემპინგური წესები უნდა აიკრძალოს, ხოლო არაწევრ ქვეყნებთან ურთიერთობაში ვაჭრობის წესი მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში რეგიონული ინტეგრაცია წარმოდგენილია, როგორც ადგილობრივი მიწოდების შესაძლებლობების გაზრდის, გლობალური ინტეგრაციის გაუმჯობესებისა და ბაზარზე ხელმისაწვდომობის მექანიზმი. ინტეგრაცია ნიშნავს ქვეყნებს შორის თანამშრომლობას ვაჭრობის, შიდა რეგულაციებისა და პოლიტიკის მიმართულებების, რეგიონული ინფრასტრუქტურისა და სხვა უცხოური ინიციატივების სფეროში. რეგიონული ინტეგრაცია გულისხმობს თანამშრომლობას მეზობელ ქვეყნებთან, ხოლო გლობალური ინტეგრაცია – საერთაშორისო დონეზე. რეგიონული ინტეგრაციის მთავარი გამოწვევაა მეზობელი სახელმწიფოების კონტექსტით განვიხილოთ განვითარებადი ქვეყნის განვითარების სტრატეგია განვითარების თანმდევ გამოწვევებთან მიმართებაში.

პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებები რეგიონული ინტეგრაციის მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილე ქვეყნების ეკონომიკის, უსაფრთხოების, პოლიტიკის, სოციალური და კულტურული სფეროების უფრო მჭიდრო კავშირს. დასაწყისში პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებები უპირატესად განსაზღვრავდა თავისუფალი

ვაჭრობის პოლიტიკას ექსპორტ-იმპორტის კუთხით. დღეისათვის პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებები ეკონომიკის სფეროს ფართო სპექტრს მოიცავს, როგორებიცაა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, საქონლის წარმოშობის წესები, პროდუქციის სტანდარტები, ტექნიკური ბარიერები, სავაჭრო საშუალებები, მომსახურება, შრომითი რესურსების მობილობა, ინვესტიციები, გარემო, შრომითი უფლებები და ადამიანის უფლებები (ჩაფორი და მარი, 2011). საგარეო ვაჭრობა განიხილება რა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთერთ მთავარ ფაქტორად, მასთან ერთად იზრდება მსოფლიო კონკურენციულ ბაზრებზე პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებების მნიშვნელობაც. საგარეო ვაჭრობა ეკონომიკური განვითარების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მხარეებზე ზემოქმედებს. ამავდროულად, ის ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედ ყველა ფაქტორზე (ბუნებრივ რესურსებზე, ადამიანი-კაპიტალზე და ტექნოლოგიაზე) ახდენს გავლენას.

თავისუფალი ვაჭრობის ზონა (შეთანხმებები) პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა (სხვა არის საბაჟო კავშირი და ნაწილობრივი მონაწილეობის შეთანხმებები – partial-scope agreements). კლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელთა თვალსაზრისით, თავისუფალი ვაჭრობის ზონა მოკლევადიან პერიოდში წევრი ქვეყნებისათვის პოზიტიური შედეგების პოზიციიდან განიხილება. თუმცა თავისუფალი ვაჭრობის ზონას პრეფერენციული ნაციონალური ჩარჩოები აქვს და არასამართლიან პირობებს აყალიბებს ზონის არაწევრი ქვეყნებისთვის. თუ ჩვენ თავისუფალი ვაჭრობის ზონას განვიხილავთ ბაზარზე ორიენტირებული, რეგიონის შიგნით შეფარდებით უპირატესობაზე დამყარებული სპეციალიზაციის ხელშემწყობი ინსტრუმენტის სახით, თავისუფალი ვაჭრობის ზონა წარმოების, ვაჭრობის, კაპიტალბრუნვის ზრდას, ახალი ტექნოლოგიების გაცვლას, სამუშაო ძალის გადაადგილებას და, შესაბამისად, გლობალიზაციის პროცესის გამარტივებას გამოიწვევს.

საერთაშორისო ეკონომიკის სპეციალისტებმა მულტინაციონალურობა ინტეგრაციასთან შედარებით უპირატეს ადგილზე დააყენეს, რადგან მასში განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები ერთად მოიაზრება. თუ ჩვენ განვიხილავთ ინტეგრაციას როგორც მულტინაციონალიზაციისაკენ (მულტი სავაჭრო ლიბერალიზაცია) მიმართულ პროცესს, რეგიონულ ქვეყნებსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას შორის ჩამოყალიბებული თავისუფალი სავაჭრო სივრცე არ შეიძლება განხილულ იქნას ლიბერალიზაციის საპირისპირო ტენდენციად. პირიქით, მას მსოფლიო ეკონომიკა ნაბიჯ-ნაბიჯ ლიბერალიზაციისაკენ მიჰყავს.

დასასრულს, თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების (ზონების) რაოდენობის და როლის ზრდა თანამედროვე პერიოდში განპირობებულია რიგი ფაქტორებით:

• ***მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებით.*** მიზანმიმართული პოლიტიკურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შედეგად გაიზარდა მოთხოვნა თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებებზე, რადგან გლობალიზაცია მოითხოვს რეგიონულ სპეციალიზაციას შეზღუდული რესურსების უკეთესად გამოყენების მიზნით;

• ***მცირე ბაზრების უნიფიკაცია.*** მცირე და დაბალგანვითარებული ქვეყნებისათვის განსაკუთრებით რთულია კონკურენცია მსოფლიო ბაზარზე, ამიტომ უნიფიკაცია და შესაძლებლობების გაერთიანება ხელს უწყობს მცირე ქვეყნების კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე;

• ***მასშტაბის ეკონომია.*** თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებები აყალიბებენ ფართო ბაზრებს , რითაც იზრდება ფირმების მასშტაბის ეკონომია;

• ***შემცირებული ფასები.*** რეგიონული სპეციალიზაცია ხელს უწყობს ფასების შემცირებას. ეკონომიკური სარგებლისა და დანაკარგების გვერდით თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებებს შეუძლიათ პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაზე მოქმედება როგორც ეკონომიკური უნიფიკაციის გზით, ან სტრატეგიული ბიზნესისათვის პოლიტიკურად ჩა-

კეტილი საზღვრების შერჩევითი გაღებით, ასევე, თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების პრინციპების სამართლიანი გატარებით. შესაბამისად, თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების დადებითი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფით შედეგებთან შედარებით შეიძლება მცირე იყოს, თუ არ გატარდა ეკონომიკური პოლიტიკის დამატებითი ღონისძიებები ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიმართებით. მათ შორის: ხელმომწერი ქვეყნების მხრიდან სტანდარტიზაციისა და ლიცენზირების მიღების თანხმობა; ბიზნეს-საზოგადოების და სამეწარმეო შესაძლებლობების განვითარება, რომლებზეც თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებებს გავლენა აქვთ; საინფორმაციო ცენტრებისა და ლაბორატორიების დაფუძვნება; მცირე და საშუალო საწარმოების ექსპორტის ხელშეწყობა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის განხილვისას ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევის შედეგების ანალიზს.

კეთილდღეობის ამაღლებაზე ორიენტირებულ განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის ეკონომიკური გაერთიანების პრინციპული მოთხოვნებია:

- ეკონომიკური განვითარების სათანადო დონე;
- მსგავსი, მაგრამ პოტენციურად შემავსებელი (კომპლემენტარული, სრულმყოფი) სტრუქტურების არსებობა წარმოებასა (მიწოდებასა) და მოხმარებაში (მოთხოვნაში).

განვითარებულ ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირის ძალისხმევა მიმართულია პოტენციურად შემავსებელი საკითხების გააქტიურებისაკენ. წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, ბაზრის ლიბერალიზაცია და გაფართოება იწვევს მყისიერ საერთო სარგებელს ეკონომიკური გაერთიანების სტატიკური ეფექტის სახით. იგი წარმოების და მოთხოვნის არსებული სტრუქტურის პირობებში მზარდი ვაჭრობის და კონკურენციის მიზეზით ჩნდება. გრძელვადიან პერიოდში გაფართოებული კონკურენციული

ბაზრიდან მოსალოდნელია ეკონომიკური ინტეგრაციის დინამიკური ეფექტები დაჩქარებული განვითარების და კეთილდღეობის ზრდის სახით. კერძოდ, ადგილი აქვს

- წევრ ქვეყნებს შორის რესურსების განთავსებისა და უტილიზაციის გაუმჯობესებას;
- წარმოებასა და მოხმარებაში მასშტაბის ეკონომიის რეალიზაციას;
- სპეციალიზაციას კონკურენტული უპირატესობის საფუძველზე.

ამ სარგებლის სრული სიდიდე არ შეიძლება იყოს მიღწეული ერთი ქვეყნის მცდელობით, განსაკუთრებით მაშინ, თუ საკითხი განიხილება ეკონომიკურად „მცირე" ქვეყნის მიმართ. თუ ეროვნული ბაზრები კავშირის ფორმირებამდე ოლიგოპოლისტური იყო, ეკონომიკურ ინტეგრაციას ბაზრის გაფართოებიდან მეტი სარგებელი მოაქვს, რადგან მიღებული შემოსავლების ზრდა განპირობებულია მასშტაბის ეკონომიით. ინტეგრაცია ხსნის ბაზრებს მზადრი ინტენსიური კონკურენციისთვის, რასაც რესურსების განთავსების გაუმჯობესებისაკენ და კეთილდღეობის ეფექტიანობის ამაღლებისკენ მივყავართ. ეს უკანასკნელი სტიმულს აძლევს კვლევას და განვითარებას, იწვევს ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ცვლილებებს და ინოვაციების რიცხვის მატებას, მეტ ინვესტიციას და სწრაფ ეკონომიკურ ზრდას.

მოცემულ სავაჭრო მოდელში **განვითარებად ქვეყნებს შორის** ინტეგრაციის ძირითადი მიზეზი არ ეფუძნება კონკურენციით გამოწვეულ სტატიკურ სარგებელს, რომელიც ასახავს არსებულ განვითარებად საწარმოო მოდელს. მათი ინტეგრაციის მიზანი პოტენციურ დინამიკურ ეფექტებში გამოიხატება. მჭიდრო თანამშრომლობის მოლოდინი რეგიონულ ბაზრებს სტიმულს აძლევს. ეს უკანასკნელი წარმოების სტრუქტურას ავითარებს მოცულობის ზრდის და ვაჭრობის მიმართულების თავისებურებების თვალსაზრისით. თუმცა მათ ინტეგრაციას აქვს ერთი მთავარი მიზანი – მათი განვითარების დაჩქარება, რაც გამოიხატება:

• ბაზრის გაფართოების საფუძველზე მასშტაბის ეკონომიით მიღებული სარგებლით და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურის კონკურენციული განვითარების პოტენციალით;

• ეკონომიკური ზრდისათვის დეფიციტური რესურსების თავმოყრით, როგორიცაა კაპიტალი, კვალიფიციური მუშახელი, უცხოეთთან ვაჭრობა და მეწარმეობა;

• ინვესტიციების განხორციელების დროს კვლევის დანახარჯებსა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისას არასასურველი და არაეკონომიკური მიდგომების თავიდან აცილებით.

შედეგის სახით, ინტეგრაციის წარმატება განვითარებად ქვეყნებს შორის განხილულ უნდა იქნას გრძელვადიანი პერიოდისთვის, მას შემდეგ რაც წევრები დატვირთავენ საწარმოო შესაძლებლობებს შიგარეგიონული მოთხოვნის ზრდის საპასუხოდ. განვითარებად ქვეყნებს შორის ეკონომიკური გაერთიანებების შედეგების შესაფასებლად განხილვას მოითხოვს მათი კოლექტიური გარიგებების გავლენა ეკონომიკასა და ზოგჯერ პოლიტიკაზეც, საგარეო ურთიერთობებზე.

თუმცა, გრძელვადიანი პერიოდში, განვითარებად ქვეყნებს შორის ინტეგრაციის შემთხვევაში, ეკონომიკური დანაკარგების შემდეგ სარგებლის მიღება შიდა დესტრუქციული ელემენტებით იზღუდება. ამ ტიპის ეკონომიკური გაერთიანებები მოიცავს ორ და მეტ ქვეყანას, რომელთაგან ყველას მსგავსი მიზანი აქვს – პარტნიორების ხარჯზე საკუთარი განვითარების მიღწევა. შესაბამისად, თითოეული წევრი ქვეყანა ცდილობს გაზარდოს საკუთარი შესაძლებლობები ფიქსირებული რესურსების პირობებში, რომელიც ხელმისაწვდომია კოლექტიური განვითარების პირობებში. ეს პროცესი ტენდენციის ხასიათს იღებს და იწვევს კავშირის პარტნიორებს შორის კონფლიქტს, რომლის გადაჭრაც საკმაოდ რთულია და, ჩვეულებრივ, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უძრაობის მიზეზი ხდება. 1950-იანი წლებიდან გან-

ვითარებად ქვეყნებს შორის 40-ზე მეტი ეკონომიკური გაერთიანება შეიქმნა, მაგრამ მათი უმეტესობა წევრებს შორის მტრობის და ბრალდებების გამო მალევე უმოქმედო გახდა და დეზინტეგრაცია განიცადა [71;4-5].

მაგალითად, 1960 წელს შეიქმნა ცენტრალური ამერიკის ერთიანი ბაზარი კოსტა-რიკას, ელ.სალვადორეს, გვატემალას, ჰონდურასის და ნიკარაგუას მონაწილეობით. პრობლემები შეიქმნა მაშინ, როდესაც წევრებმა აღმოაჩინეს, რომ ერთიანი ბაზარი ვაჭრობაზე ორიენტირებული იყო და თავისუფალ ვაჭრობას ემხრობოდნენ ძირითადად ის ქვეყნები, რომელთაც უფრო ფართო ინდუსტრიული ბაზა ჰქონდათ. უფრო მეტიც, ექსპორტზე ორიენტირებული ზრდა არ განხორციელდა. 1969 წლე ელ. სალვადორსა და ჰონდურასს შორის მიგრანტი მუშაკებისადმი დისკრიმინაციული მიდგომის გამო ომი დაიწყო. მომდევნო წლებში პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და სამოქალაქო ომებმა წევრ ქვეყნებში თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შეჩერება გამოიწვია და მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ ამოქმედდა ხელშეკრულება ხელახლა [71;4-5].

ანალოგიური მაგალითია დსთ – საქართველოს შეთანხმება: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საწარმოო-ეკონომიკური ინტეგრაციის კავშირების შენარჩუნების მიზნით და, პარალელურად, პოლიტიკური განზრახულობების მოტივაციით, 1991 წელს შეიქმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. მისი მიზანი იყო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ სფეროებში თანამშრომლობა; ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფარგლებში წევრი-ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე, სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობაზე და ინტეგრაციაზე ზემოქმედება. მისი წევრები არიან აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, მოლდავეთი, ბელორუსია, ყაზახეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი. 1993 წელს ქვეყნებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიური კავშირის შექმნის შესახებ.

1994 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ, რაც ითვალისწინებდა საბაჟო ტარიფების ეტაპობრივ შემცირებას და მოხსნას; საბაჟო პროცედურების გამარტივებას; საბაჟო დოკუმენტაციის უნიფიკაციას საბაჟო სტატისტიკის წარმოების გამარტივების მიზნით; თავისუფალი ტრანზიტის პრინციპის დაცვას და სხვა.

1995 წელს დაიდო შეთანხმება რუსეთის ფედერაციას, ბელარუსსა და ყაზახეთს შორის საბაჟო კავშირის შექმნის შესახებ.

საქართველოს დსთ-ის წევრი 1993 წლის დეკემბერში გახდა. ის ორგანიზაციაში ყველაზე ბოლოს გაწევრიანდა. დსთ-ში ყოფნის პერიოდში საქართველომ ხელი მოაწერა 113 მრავალმხრივ, არასამხედრო ხასიათის ხელშეკრულებას.

2008 წლის საქართველოს წინააღმდეგ განახორციელებული სამხედრო აგრესიის და საქართველოს ტერიტორიის ანექსიის მიზეზით, საქართველომ მიიღო გადაწყვეტილება დსთ-დან გამოსვლის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ დსთ-ს წესდების მე-9 მუხლის თანახმად დსთ-ს წევრობის შეწყვეტა ხდება წერილობითი შეტყობინების დღიდან 12 თვეში, შესაბამისად, 2009 წლის 18 აგვისტოსათვის დასრულდა დსთ-დან საქართველოს გამოსვლის ფორმალური პროცედურა.

2009 წლის 19 აგვისტოდან საქართველო ოფიციალურად წყვეტს ურთიერთობას დსთ-სთან, ამასთან საქართველო რჩება დსთ-ს მრავალმხრივი ეკონომიკური შეთანხმებების წევრი.

ამრიგად, როცა ქვეყნები თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებას ხელს აწერენ მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, პოზიტიური ეფექტი მათ ეკონომიკაზე ძალიან მცირეა.

ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის და ჩრდილო – აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა გადალახეს ეროვნული საზღვრები და მოახდინეს ინტეგრაცია თავიანთ მეზობელ ქვეყნებსა და

დანარჩენ მსოფლიოსთან. ამ განვითარებული რეგიონებისთვის რეგიონული და გლობალური ინტეგრაცია გახდა ეკონომიკური განვითარების შემავსებელი და არა შემცვლელი. გლობალური ინტეგრაციის გარეშე რეგიონული თანამშრომლობისგან მიღებული სარგებელი მცირე ან უარყოფითი იქნებოდა, როგორც წარსულში არსებული ბევრი რეგიონული თანამშრომლობის შემთხვევაში. ასევე, რეგიონული ინტეგრაციის გარეშე, გლობალიზაციიდან მიღებული სარგებელი შეიძლება მიუწვდომელი იყოს ზოგიერთ ქვეყანაში, რომლებიც არ არიან კონკურენტუნარიანები გლობალური მასშტაბით.


ბევრ შემთხვევაში რეგიონულმა თანამშრომლობამ მნიშვნელოვანი სარგებელი მოიტანა, ბევრი რეგიონული შეთანხმება კი შემდგომში დაიშალა. მიღებულმა გამოცდილებამ ხაზი გაუსვა რეგიონში მცირე და დიდ სახელმწიფოებს შორის არათანაბარ მიღწევებს, რამაც თავის მხრივ გავლენა იქონია შეთანხმების სტაბილურობაზე გრძელვადიან პერსპექტივაში. ამრიგად, დიდი ძალისხმევის მიუხედავად ვერშემდგარმა რეგიონალურმა თანამშრომლობამ გამოიწვია გარკვეული სკეპტიციზმი.

აღსანიშნავია, რომ არასტაბილურობას ცუდი მაკროეკონომიკური პოლიტიკა და მმართველობა განაპირობებს. ასე რომ, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო პრობლემების წინაშე მეზობელი ქვეყნის გავლენით დადგეს, იმ შემთხვევაში, თუ მისი ეკონომიკა ინტეგრირებულია მსოფლიო ბაზართან, სატრანსპორტო ხარჯები შემცირებულია, გლობალური ვაჭრობის გაფართოებულია, სარგებელი წარმატებული ექსპორტის ზრდის შედეგად უფრო მაღალია, ვიდრე სხვა შემთხვევაში. თანამედროვე სახელმწიფოები დაინტერესებულნი არიან მათი პოლიტიკისა და ინსტიტუტების სხვა ქვეყნებთან ჰარმონიზებით, რაც არსებითად ზრდის რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივებს.

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ტენდენციის შესახებ მეტყველებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მო-

ნაცემები: 2016 წლის მეორე ნახევრიდან ოთხი ახალი რეგიონული სავაჭრო შეთანხმება და ერთი არსებული რეგიონული სავაჭრო შეთანხმების გაფართოება იქნა აღიარებული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ. მათ შორის სამი ლათინური ამერიკის ქვეყნებს მოიცავს, დანარჩენი კი აზიას და ევროპას. აქედან სამი აღიარებს მსო-ს დებულებების ფარგლებში საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობას, ხოლო ორი მოიცავს მხოლოდ საქონლით ვაჭრობის ლიბერალიზაციას.

დიაგრამა 1.2.1 რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების განვითარება მსოფლიოში, 1948-2017 [3]



მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მონაცემებით, რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების 20% ევროპაზე მოდის, რომელიც ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებს მოიცავს; აღმოსავლეთ

[3] https://www.wto.org/english/tratop_e/region_e/rtajuly-dec16_e.pdf (20.06.2017)

აზიაზე მოდის რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების 127%, სამხრეთ ამერიკაზე – 12% და დსთ-ს რეგიონზე – 9 %[4]. თუმცა, განვითარებადი სამყაროს უმეტეს ნაწილში, კონცენტრაცია და პრიორიტეტების თანხვედრა სუსტი იყო. ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განსხვავებები ქვეყნებს შორის ართულებდა სახელმწიფოებს მიეღოთ სარგებელი მასშტაბის ეკონომიით, შრომისა და კაპიტალის მობილობით და სატრანსპორტო ხარჯების შემცირებით. ზოგიერთი განვითარებადი სახელმწიფო ცდილობს დაადგეს გლობალიზაციის გზას ცალმხრივი ლიბერალიზაციით, ხოლო სხვები რეგიონალურ ინტეგრაციას ანიჭებენ უპირატესობას. ორივე სტრატეგიის შემთხვევაში ვხვდებით როგორც წარმატებას, ასევე, მარცხს. თუმცა, ამ სტრატეგიების კომბინირება მეზობელ ქვეყნებთან გაზრდილი თანამშრომლობის გზითა და მსოფლიო ბაზართან ძლიერი კავშირების დამყარებით, ერთმანეთს ხელს არ უშლის.

1.3 რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია – მცირე ქვეყნების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრიორიტეტული მიმართულება

მცირე ქვეყნების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის გავლენის შეფასების მიზნით მოვახდინოთ აღნიშნული პრობლემის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების სისტემატიზაცია.

ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიის ფუძემდებლად გვევლინება კანადელი მეცნიერი იაკობ ვაინერი, რომელმაც ანალიზი განახორციელა ინტეგრაციაში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდგომ ქვეყნებს შორის ვაჭრობის მოცულობის შედარებაზე დაყრდნობით. ვაინერის მიხედვით საბაჟო კავშირის შექმნის შედეგად არსებობს ეკონომიკაში

[4] https://www.wto.org/english/tratop_e/region_e/rtajuly–dec16_e.pdf (20.06.2017)

მოსალოდნელი ეფექტების ორი სახე: სტატიკური და დინამიკური.

სტატიკური ეფექტი არის ეკონომიკური შედეგი, რომელიც ვლინდება ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნის ადრეულ ეტაპზე მისი უშუალო შედეგის სახით. დინამიკური ეფექტი არის ეკონომიკური შედეგი, რომელიც ვლინდება ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნის გვიან ეტაპზე, როგორც დაჯგუფების ფუნქციონირების შედეგი. სტატიკურ ეფექტებს შორის უდიდესი მნიშვნელობა ვაჭრობის ფორმირების და ვაჭრობის გადახრის ეფექტებს ენიჭება. ვაჭრობის ფორმირების ეფექტი სახეზეა იმ შემთხვევაში, როდესაც ინტეგრაციული დაჯგუფების, საბაჟო კავშირის, შექმნის შედეგად შეიძლება წარმოიშვას სიტუაცია, როდესაც საქონელი, რომელიც ტრადიციულად შეისყიდებოდა საშინაო ბაზარზე, ხდება ძვირი, ვიდრე უცხოეთში წარმოებული იგივე საქონელი. თუ საბაჟო კავშირის შექმნამდე ადგილობრივ მწარმოებელს საიმპორტო ბაჟები იცავდა, რაც საზღვარგარეთ საქონლის შეძენას არამომგებიანს ხდიდა, საბაჟო კავშირის შექმნის შემდეგ, ტარიფების შეცვლის შედეგად, უცხოური საქონელი სამამულოზე იაფი ხდება და დაიწყება უცხოეთიდან ამ საქონლის შემოტანა. ანუ საბაჟო კავშირის ჩამოყალიბების შედეგად იმპორტული საქონლის ნაკადი იზრდება, რაც ვაჭრობის ფორმირების მაჩვენებლებში აისახება.

ვაჭრობის ფორმირება ნიშნავს ადგილობრივი მომხმარებლების გადართვას დაბალეფექტიანი საშინაო საქონლის მიღების წყაროდან მაღალეფექტიან საგარეო წყაროზე (იმპორტზე), რომელიც შესაძლებელია საბაჟო კავშირის ფარგლებში საიმპორტო ბაჟების მოხსნის შედეგად.

ვაჭრობის გადახრის ეფექტი ვაჭრობის ფორმირების ეფექტის საპირისპირო მაჩვენებელია, რადგან ამ შემთხვევაში საქონლის მიღების საგარეო წყარო არ გვევლინება ყველაზე ეფექტიანად. ინტეგრაციის არაწევრ ქვეყანას, რომლის მიმართაც არ ვრცელდება ერთიანი საბაჟო ტარიფი, შეუძლია მოცემული საქონლის მიწოდება უფრო ნაკლებ ფა-

სად. ვაჭრობის გადახრა არის ადგილობრივი მომხმარებლების გადართვა ინტეგრაციის გარე წყაროდან ინტეგრაციის შიგა, ნაკლებ ეფექტიან წყაროზე, რომელიც წარმოიშობა საბაჟო კავშირის ფარგლებში საიმპორტო ტარიფის დაწესების შედეგად. ზოგადად, ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნიდან მიღებული საბოლოო შედეგი განისაზღვრება იმით, თუ როგორი შესაბამისობაა ვაჭრობის ფორმირებისა და ვაჭრობის გადახრის მაჩვენებლებს შორის.

საბაჟო კავშირის თეორიის წარმოშობამდე აღიარებული იყო, რომ თავისუფალი ვაჭრობა, როგორც ვაჭრობის მოდელი, ერთმნიშვნელოვნად უზრუნველყოფს მსოფლიოს ყველა ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებას. საბაჟო კავშირები თავისუფალი ვაჭრობის დადებით ეფექტებს აძლიერებენ იმ შემთხვევაში, თუ ინტეგრაციაში მონაწილე წევრების ტარიფი მესამე ქვეყნების მიმართ არ მაღლდება. ტარიფების მოხსნა ქვეყნებს შორის საბაჟო კავშირის შექმნის შედეგად რეგიონის შიგნით თავისუფალი ვაჭრობისკენ გადადგმულ ნაბიჯად განიხილება. თუმცა ვაინერის მიერ განხორციელებულმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ ვაჭრობის გადახრის ეფექტმა შეიძლება ფორმირების ეფექტი გადაწონოს. ამიტომ საბაჟო კავშირი, როგორც სავაჭრო პოლიტიკის მოდელი, არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად დადებით მოვლენად განვიხილოთ საერთაშორისო ეკონომიკაში.

ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნიდან მიღებული დადებითი ეფექტები აჭარბებს ნეგატიურს შემდეგი კანონზომიერებების პირობებში:

1) რაც უფრო მაღალია საბაჟო ტარიფის დონე ინტეგრაციამდე, მით მეტია იმის ალბათობა, რომ ვაჭრობის ფორმირების ეფექტი გადაწონის გადახრის ეფექტს და, პირიქით;

2) რაც უფრო დაბალია საერთო საბაჟო ტარიფის დონე მესამე ქვეყნების მიმართ, მით ნაკლებია იმის ალბათობა, რომ ვაჭრობის გადახრის ეფექტი გადაამეტებს ფორმირების ეფექტს;

3) რაც მეტი ქვეყანა ინტეგრირდება ერთმანეთთან და რაც მეტია მათი სიდიდე, მით მეტია ალბათობა, რომ ვაჭრობის ფორმირების ეფექტი გადაამეტებს გადახრის ეფექტს;

4) რაც უფრო მსგავსია ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონე და ძლიერია მათ შორის კონკურენცია, მით მეტია ვაჭრობის ფორმირების ეფექტის გადახრის ეფექტზე გადამეტების ალბათობა. ამ შემთხვევაში თითოეული ქვეყანა ახდენს სპეციალიზაციას იმ საქონლის წარმოებაზე, რომელსაც შედარებით ნაკლები დანახარჯებით აწარმოებს და ახორციელებს მის ექსპორტს;

5) რაც მეტია ვაჭრობის ზრდის ალბათობა პარტნიორ ქვეყნებს შორის ინტეგრაციის შექმნამდე, მით მეტია ვაჭრობის ფორმირების ეფექტის ალბათობა.

საბაჟო კავშირი და თავისუფალი ვაჭრობის ზონა წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო ბარიერების მოხსნის საფუძველზე ყალიბდება. საბაჟო კავშირი ასევე მოიცავს საგარეო სავაჭრო პოლიტიკას არაწევრ ქვეყნებთან ვაჭრობაში ერთიანი საგარეო ტარიფის შემოღების მეშვეობით. ამასთან, ქვეყნები გაერთიანებას არაოპტიმალური ტარიფის მოხსნით იწყებენ. ჩამოყალიბებული საბაჟო კავშირი კი წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაციას ემყარება შეზღუდული ვაჭრობით დანარჩენ მსოფლიოსთან: ნათელია, რომ გვაქვს ვაჭრობის დისკრიმინაციული ლიბერალიზაციის შემთხვევა. ერთი დაბრკოლების მოხსნა სხვების არსებობის პირობებში ან ერთი დაბრკოლების შენაცვლება მეორე დაბრკოლებით, კეთილდღეობას არ აუმჯობესებს. ეს მეორე უკეთესის თეორიის მაგალითია, რომელიც გვიჩვენებს, რომ თუ ოპტიმალურობის ყველა პირობა არ შეიძლება ერთდროულად შენარჩუნებულ იქნეს, მათგან რომელიმეს მიღწევამ კეთილდღეობა შეიძლება გააუმჯობესოს, ან გააუარესოს. შედეგები კი დამოკიდებულია ცალკეულ გარემოებაზე.

სტატიკური ეფექტების რიცხვში მოიაზრება ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნის შედეგად სასაზღვრო და საბა-

ურო ადმინისტრაციაზე გასავლების შემცირების მაჩვენებელი.

ინტეგრაციის დინამიკური ეფექტების რიცხვში აღსანიშნავია კონკურენციის ზრდა სხვადასხვა ქვეყნის მწარმოებლებს შორის, რომელიც აკავებს ფასების ზრდას, აუმჯობესებს საქონლის ხარისხს, სტიმულს აძლევს ახალი ტექნოლოგიების შექმნას და დანერგვას და ა.შ. ამასთან ინტეგრაციის შედეგად წევრი ქვეყნები სარგებლობენ მასშტაბის ეკონომიის ეფექტით, რომელიც იძლევა წარმოების გაზრდის საშუალებას დანახარჯების შემცირების საფუძველზე.

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროკონკურენციული (კონკურენციის განმაპირობებელი) ეფექტები ჩნდება მაშინ, თუ ქვეყნის ბაზრის ზომა შეზღუდულია და კონკურენცია არასრულყოფილია. საბაჟო კავშირში მონაწილეობა კონკურენციას წარმოშობს და შედეგად ქვეყნის კეთილდღეობა იზრდება.

და ბოლოს, ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიული ანალიზისათვის მოვახდინოთ სტატიკური და დინამიკური ეფექტების სისტემატიზაცია. სტატიკური ეფექტი ჩნდება საბაჟო კავშირში გაწევრიანებით მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში წარმოების არსებულ სტრუქტურასა და მოთხოვნაში ვაჭრობის ლიბერალიზაციის სწრაფი საპასუხო რეაქციის სახით. სტატიკურ მოკლევადიან შედეგებში ერთმანეთს ვადარებთ ვაჭრობის ფორმირების და ვაჭრობის გადახრის ეფექტებს, რომლებიც წარმოიშობა პროტექციონიზმსა და ვაჭრობის სტრუქტურაში ცვლილებების საფუძველზე. პროკონკურენციული ეფექტები და მასშტაბის ეკონომიის ეფექტები სტატიკური ეფექტებია, რომლებიც ბაზრის გაფართოების მიზეზით საშუალოვადიან პერიოდში იჩენენ თავს, კონკურენციის ზრდის შესაბამისად. დინამიკური ეფექტები მიიღება გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური კავშირის ეკონომიკის სტრუქტურაში ცვლილებების გავლენით.

ამრიგად, კლასიფიკაცია შემდეგი სახისაა:

სტატიკური ეფექტები

მოკლევადიანი: 1. ვაჭრობის ეფექტები (თავისუფალი ვაჭრობის ზონა, საბაჟო კავშირი)

საშუალოვადიანი: 2. პროკონკურენციული ეფექტები;
3. მასშტაბის ეკონომიის ეფექტები;
4. ფაქტორთა მობილობის ეფექტები (ერთიანი ბაზარი);

დინამიკური ეფექტები

გრძელვადიანი: 5. ზრდის ეფექტები (ევროკავშირი) [71; 6].

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ რეგიონულ ეკონომიკურ გაერთიანებას ვაჭრობაზე, ასევე, წევრების კეთილდღეობაზე და დანარჩენ მსოფლიოზე პოზიტიური და ნეგატიური გავლენის მოხდენა შეუძლია. შეუძლებელია პოზიტიური და ნეგატიური ეფექტების ზუსტი შეფასება ცალკეული შემთხვევის სპეციალური კვლევის გარეშე.

ინტეგრაციის თეორიისგან განსხვავებით დაიელ ბროუს და მიშელ რუტას ნაშრომი „ეკონომიკური ინტეგრაცია, პოლიტიკური ინტეგრაცია, თუ ორივე ერთად?“ (დანიელ ბრო, მაიკლ რუტა, 2011) შესწავლილია **ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის ეფექტები** მოდელით, რომელშიც ფირმები ერთმანეთთან კონკურენციაში შედიან როგორც ეკონომიკური ბაზარზე – სადაც ისინი აწარმოებენ საქონელს და მეტოქეობენ ბაზრის წილის მოსაპოვებლად, ასევე, პოლიტიკურ ბაზარზე – სადაც ისინი ბრძოლობენ სამთავრობო ტრანსფერების მიღების მიზნით. ზრდა მიიღწევა ფირმების მხრიდან ინოვაციური აქტივობის გზით დანახარჯების შემცირების საფუძველზე. ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია ფირმების ინოვაციურ სტიმულირებაზე განსხვავებულ გავლენას ახდენს. ამ პირობებში, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია შეგვიძლია განვიხილოთ როგორც დამატებითი გარემოება. ეკონომიკურმა ინტეგრაციამ, რომელსაც არ ახლავს პოლიტიკური ინტეგრაცია, შეიძლება წაგვიყვანოს ინოვაციის შემცირებისა და შენელებული ზრდისკენ, რადგანაც ბაზარზე ფირმები რეაგირებენ

მზარდი კონკურენციიდან სარგებლის მიღებაზე ფოკუსირების გზით. როდესაც ეკონომიკურ ინტეგრაციას ახლავს პოლიტიკური ინტეგრაცია, ინოვაცია და ზრდა უფრო ძლიერია და კეთილდღეობაც მაღლდება.

საინტერესო თვალსაზრისები პოსტ-საბჭოთა სივრცეში რეგიონული ინტეგრაციისა და ეკონომიკური კონვერგენციის შესახებ წარმოდგენილია ალექსანდრ ლიბმენის და ევგენი ვინოკუროვის (ალექსანდრ ლიბმენი, ევგენი ვინიკუროვი, 2011) ნაშრომში, სადაც განხილულია **რეგიონული ინტეგრაციისა და ეკონომიკური კონვერგენციის დინამიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში 1999-2008 წლებში**, როგორც მთლიანი კონტექსტით, ასევე ცალკეული ქვეყნების ჯგუფების მიხედვით. მიუხედავად ვაჭრობის ინტეგრაციის ნეგატიური ტრენდისა, აღნიშნულ პერიოდში განსახილველ ქვეყნებში და ქვეყანათა ჯგუფებში შრომითი მიგრაციის უპრეცენდენტო ზრდა აღინიშნა, რითაც დადასტურდა, რომ წარმოების ფაქტორთა ნაკადების ინტეგრაცია შეგვიძლია ასევე განვიხილოთ საქონლისა და მომსახურების ბაზრების ინტეგრაციის სახით, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშემწყობი ფაქტორი.

განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის შეფასება გაანალიზებულია სალიფ კონეს (სალიფ კონე, 2012) სამეცნიერო კვლევაში, სადაც განიხილება განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესები ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობით. ანალიზის პროცესი ეყრდნობა შემდეგ სამ ძირითად მიდგომას: **თეორიული მიდგომა** ეკონომიკური ინტეგრაციის მრავალი მიმართულებების ანალიზისას ნორმატიულ მიდგომად განიხილება; **აღწერილობითი მიდგომა,** რომელიც ემყარება ეკონომიკური ინტეგრაციის მოცემულობას, წარსულის და აწმყოს წარმოდგენას; **შედარებითი ანალიზი,** რომლის საფუძველზე მიღებული იქნა კვლევის ორი ძირითადი შედეგი: 1. ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის მახასიათებლები საკმარისად მოქნილია, რათა ასახვა

ჰპოვოს განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესზე; 2. ინტეგრაცია წარმოგვიდგება როგორც მრავალ განზომილებიანი და ფორმიანი ფენომენი, რომელიც პროცესის სახითაცაა და იმავდროულად ამ პროცესის შედეგიცაა.

ვაჭრობის ფორმირების და გადახრის გაანგარიშების ალბათობის მოდელის რევიზია განხორციელდა ეისერის, ჰენინის და პაპაგეორგიუს (ტეო ეისერი, ქრისტიან ჰენი და კრის პაპაგიორგიუ, 2008) მიერ, სადაც პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებების ვაჭრობის თეორიის ვალიდურობა საშუალოების BMA (Bayesian Model Averaging) მოდელით დადგინდა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ზოგიეთი ცნობილი ცვლადის კონტროლის გზით შესაძლებელია ვაჭრობის ფორმირება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ფაქტორები დაკავშირებულია ფინანსებთან და ეკონომიკურ პოლიტიკასთან.

რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებების ალოკაციის, აკუმულაციის და ლოკაციის ეფექტები განხილულია ბოლდვინის და ვინეიბლის (რიჩარდ ე. ბოლდვინი, ანტონი ჟ. ვინეიბლისი, 2004) ნაშრომში. ალოკაციის ეფექტები მოიცავს რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებების გავლენას რესურსების სტატიკურ განაწილებაზე; აკუმულაციის ეფექტებში განიხილება რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებების გავლენა საწარმოო ფაქტორების თავმოყრაზეა და რადგან კვლევაში ფაქტორთა შორის ტექნოლოგიური ფაქტორებიც არის წარმოდგენილი, შესაბამისად, მისი გავლენა ზრდის ეფექტებზე. ლოკაციის ეფექტები კი მოიცავს რესურსების სივრცით განთავსებას ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის კონტექსტით.

ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიული ანალიზის დროს, ზემოთაღნიშნული კვლევების შედეგების გარდა, ძირითადად ვისარგებლეთ თიო ჰატირისის (თეო ჰიტირის, 2009) ნაშრომით „ევროკავშირის ეკონომიკა", სადაც ფორმალიზებული მეთოდით გადმოცემულია ეკონომიკური ინტეგრაციის ეფექტები და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.

ასევე, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გავლენის შეფასების მეთოდოლოგია წარმოდგენილია პლამერის, ჩეონგის და ჰამანაკას (2010) ნაშრომში, სადაც განხილულია ზოგადი წონასწორობის მოდელი, ვაინერის მოდელი და მისი გაფართოება, თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების დინამიკური ეფექტები, სავაჭრო ინდიკატორები, როგორებიცაა შიგარეგიონული ვაჭრობის ინტენსიურობა, ფარდობითი უპირატესობა, ინტრავერსულობის ინდექსი, ექსპორტის მსგავსება და ა.შ.

მასშტაბის ეკონომიის ეფექტები თავს იჩენს ისეთ გარემოებებში, როდესაც ქვეყნებში, რომლებსაც სურთ საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება, საწარმოო დანახარჯების ზრდა მიმდინარეობს, ხოლო მსოფლიო ბაზარზე წარმოების დანახარჯები მუდმივია. საბაჟო კავშირის ფარგლებში ბაზრის გაფართოებას შეუძლია პირობები შექმნას ოპტიმალური ზომის წარმოებისათვის და ჩამოაყალიბოს შესაძლებლობები მასშტაბის ეკონომიის საფუძველზე დანახარჯების შესამცირებლად. რეალურ მსოფლიოში ვაჭრობის დიდი ნაწილი განპირობებულია მასშტაბის ეკონომიის მიზეზით, ვიდრე შეფარდებითი უპირატესობით. ეს კარგად ჩანს შიგადარგობრივი ვაჭრობის მოცულობის ზრდით: მსგავსი საქონლით ვაჭრობა იზრდება იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც აქვთ ერთნაირი დანახარჯები და გამოიყენებენ მსგავს ტექნოლოგიას. მასშტაბის ეკონომიიდან შესაძლებელია დანახარჯების შემცირება და მოგების მიღება, რაც პოტენციურად განაპირობებს თავისუფალი ვაჭრობიდან მიღებულ სარგებელს საბაჟო კავშირის შიგნით.

საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება დიდ ბაზარზე გარანტირებულ წვდომას წარმოშობს, რაც ეხმარება მწარმოებლებს მასშტაბის ეკონომიის მიღწევაში. დიდი ბაზარი შესაძლებელს ხდის ინვესტიციების გზით გაფართოვდეს წარმოების მასშტაბი, რომელიც იწვევს ვაჭრობის ზრდას და ფარდობითი უპირატესობის საფუძველზე დამყარებული სპეციალიზაციის გაღრმავებას. პარტნიორებს შორის საბაჟო კავ-

შირის შიგნით ერთობლივი ვაჭრობის ლიბერალიზაცია უკეთესი პოლიტიკაა ცალმხრივ სავაჭრო ლიბერალიზაციასთან შედარებით.

მასშტაბის ეკონომიის ანალიზის დროს პრობლემა ჩნდება იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის თავსებადი სრულყოფილ კონკურენციასთან. მზარდი შემოსავლები ნიშნავს, რომ ფირმას, რომელიც ფლობს ბაზრის უდიდეს ნაწილს, შეუძლია უფრო დაბალი ფასი დააწესოს, ვიდრე ამ წარმოებაში არსებულ სხვა ფირმებს და შემდგომ კონკურენტების ჩამოშორებით გააფართოვოს თავისი ბაზრის წილი მანამ, სანამ ის მონოპოლია გახდება. შესაბამისად, თუ ცალკეული ქვეყნის წარმოება წარმოდგენილია მონოპოლიის სახით, საბაჟო კავშირის დამყარება გამოიწვევს კონკურენციას მონოპოლიებს შორის მანამდე, სანამ ერთი არ გადარჩება. ეს იმიტომ ხდება, რომ ინტეგრაცია არასრულყოფილ კონკურენციას აძლიერებს, მაგრამ არა ყველა შემთხვევაში (კრუგმანი, 1990).

რეალურ მსოფლიოში ბევრი ბაზარი მონოპოლისტურია, ვიდრე სრულყოფილად კონკურენციული, მასშტაბის ეკონომიის სხვადასხვა მიზეზების გამო, თუმცა მონოპოლისტური ფირმები ამ ბაზრებზე არ არიან ფასის დამწესებლები. ინტეგრაცია კავშირის მონაწილე ქვეყნებში ამ ტიპის ფირმებს შორის კონკურენციის ხარისხს ზრდის.

ამრიგად, მასშტაბის ეკონომიის და ბაზრის ოლიგოპოლისტური სტრუქტურის ელემენტები ზრდიან ინტეგრაციიდან მიღებულ სარგებელს უფრო მეტად, ვიდრე ფარდობითი უპირატესობიდან მიღებული სარგებელია. ამასთან,

- ინტეგრაცია მასშტაბის ეკონომიის საფუძველზე ქმნის რაციონალიზაციის შესაძლებლობებს;
- ინტეგრაცია მოქმედებს ანტიტრესტული პოლიტიკის სახით, რომელიც მონოპოლიურ ძალაუფლებას ზღუდავს.

ფაქტორთა მობილობა-ერთიანი ბაზრები: ვაჭრობისა და საბაჟო კავშირის ეკონომიკური თეორიის შესწავლამ გვიჩვენა, რომ წარმოების ფაქტორები თავისუფლად გადა-

ადგილდებიან ქვეყნის შიგნით დარგებს შორის, მაგრამ ერთიან ბაზრებში დაშვებულია წარმოების ფაქტორთა თავისუფალი გადაადგილება წევრ ქვეყნებს შორის. სამუშაო ძალის საერთაშორისო მობილობის ეფექტები რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ფარგლებში კაპიტალის მობილობის საკითხის მსგავსია.

შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაციის შედეგად უცხოეთში გადანაცვლდება განსაკუთრებული თვისების მქონე საქონელი – სამუშაო ძალა. სხვა საქონლისაგან განსხვავებით, იგი გვევლინება წარმოების ფაქტორად. ქვეყანა, რომელიც ახორციელებს სამუშაო ძალის ექსპორტს, ემიგრანტების შემოსავლის ნაწილის სამშობლოში გზავნილების სახით შემოსავალს იღებს. შრომითი რესურსების შედარებითი სიჭარბის გამო, ზოგიერთ ქვეყანაში სამუშაო ძალის ექსპორტი ამცირებს უმუშევრობის დონეს; მეორე მხრივ, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის გადინება ექსპორტიორი ქვეყნის ტექნოლოგიურ პოტენციალს, მის სამეცნიერო და კულტურულ დონეს ამცირებს.

საბაჟო კავშირის შიგნით მიგრაცია დიდ გავლენას ახდენს სამუშაო ძალის როგორც ექსპორტიორი, ასევე იმპორტიორი ქვეყნის ეკონომიკაზე, თუმცა ზოგი წევრი ქვეყნის და საზოგადოებრივი ჯგუფის შემოსავალი იზრდება, ზოგის კი – მცირდება.

ამრიგად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური ინტეგრაციის დინამიკური ეფექტები, სტატიკური ეფექტების შემდგომ გრძელვადიან პერიოდში იჩენს თავს. შესაბამისად, სტატიკური ეფექტი ქვეყნების ინტეგრაციაში გაწევრიანების გადამწყვეტ ფაქტორად არ გვევლინება. სტატიკური ეფექტი თავს იჩენს მხოლოდ ერთხელ – ვაჭრობის ლიბერალიზაციის მომენტში და მისი სიდიდე არ განსაზღვრავს დინამიკური ეფექტების სიდიდეს.

დინამიკური ეფექტები უმნიშვნელოვანესია, რადგან იგი კონკურენციის ინტენსიფიკაციიდან და ბაზრების ინტეგრაციის შესაძლებლობებიდან გამომდინარე წარმოიშო-

ბა. დიდ ბაზარს შეუძლია სტიმული მისცეს მეტ სპეციალიზაციას, რომელიც ცოდნისა და ტექნოლოგიის დიფუზიის საფუძველზე დანახარჯების შემცირებას, მწარმოებლურობის გაუმჯობესებას იწვევს, ხელს უწყობს რესურსების ოპტიმალურ განთავსებას, მასშტაბის ეკონომიის მიღებას, ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას.

მასშტაბის უკუგების ზრდა, ინტეგრაცია და ეკონომიკური ზრდა: გამოშვების ზრდა შეიძლება მიღწეულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ მასშტაბის უკუგება არა მუდმივი, არამედ მზარდია. თუ ქვეყნების საზღვრებზე ეკონომიკური ბარიერები ბაზრის ზომას ზღუდავს და, შესაბამისად, ამ ბაზრებზე ფირმები ოპერირებენ ოპტიმალური ზომის პირობებში, ბაზრების ინტეგრაცია მასშტაბის ეკონომიის შესაძლებლობას იძლევა, რომელიც გაზრდის გამოშვებას და კეთილდღეობას.

ზრდის შემდგომი ეფექტი შეიძლება მიღეწეულ იქნას კაპიტალის დაგროვებაზე ვაჭრობის ლიბერალიზაციის გავლენის ეფექტით. თუ ვაჭრობის ლიბერალიზაცია ბაზარს აფართოებს და, ამგვარად, ზრდის არსებული კაპიტალის ამონაგებს, მას შეუძლია ახალ ინვესტიციებს სტიმული მისცეს. თუ დანაზოგების განხორციელება შესაძლებელი იქნება, ახალი კაპიტალის გაზრდის გამოშვებას. ვაჭრობის ლიბერალიზაცია საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და სამუშაო ძალის ბაზრებზე, ტექნოლოგიურ ცოდნასთან ერთად, გაფართოებულ ბაზარზე ეფექტიანობას ამაღლებს და აჩვენებს, რომ დინამიკური სარგებელი ეკონომიკური ინტეგრაციიდან შეიძლება ძალიან მაღალი იყოს.

ენდოგენური ზრდა: ადამიანი-კაპიტალის მაღალი დონე უკავშირდება გამოშვების დონის ამაღლებას. იგი მოითხოვს მასში რეინვესტირებას. ინვესტიციების განხორციელებამ ადამიან-კაპიტალში შეიძლება გაზარდოს ადამიან-კაპიტალის ფონდი. დამატებით ადამიან-კაპიტალი არ ცვლის ეკონომიკური ზრდის ბუნებას. აქ, ფაქტორთა კლებადი უკუ-

გების მიზეზით, ზრდის შემზღუდველი ძალები მოქმედებენ.

ახალმა თეორიულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ინვესტიციებს კვლევასა და განვითარებაში პოზიტიური ექსტერნალიები ან საზოგადოებრივი ეფექტები ახასიათებთ, რომლებიც ფირმის პირდაპირ კერძო სარგებელს აჭარბებენ. ეს სოციალური ეფექტები კვლევას და განვითარებას სტიმულს აძლევს და მოძრაობაში მოჰყავს ენდოგენური ზრდის მოდელი. ამ შემთხვევაში ტექნოლოგიური უპირატესობის დონე და, შესაბამისად, ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდის დონე, ენდოგენური ხდება და იგი აიხსნება აღნიშნული მოდელით. მაგალითად, ადამიან-კაპიტალს შეუძლია გაზრდოს მწარმოებლურობა დამატებითი გამოცდილების მეშვეობით, რომლის შედეგიც მუდმივია ინვესტიციებზე კლებად უკუგებასთან მიმართებაში. შესაბამისად, კლებადი უკუგება შეიძლება თავიდან ავიცილოთ და გავზარდოთ ორივე – ფიზიკური და ჰუმანური კაპიტალი, რომელთა ერთიანობას გაუმჯობესებულ ეფექტიანობასთან შეუძლია ეკონომიკაში შემოსავლების და ზრდის დონე აამაღლოს. ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ ფიზიკურ და ადამიან-კაპიტალში კერძო და საზოგადოებრივმა ინვესტიციებმა შეიძლება ზრდის დონე ხანგრძლივ პერიოდში აამაღლოს. უფრო მეტიც, ქვეყნებმა, ერთ მუშაკზე მაღალი ფიზიკური და ადამიან-კაპიტალით ინტეგრაციის გზით შეიძლება მუდმივად მაღალი ზრდა უზრუნველყონ.

სამწუხაროდ, ემპირიული მონაცემები, რომლებიც უკავშირდება ენდოგენური ზრდის ჰიპოთეზას, არასრულყოფილია და ძირითადად მიუღებელი: არცერთ ქვეყანას არ აქვს ხანგრძლივი ზრდის გამოცდილება. მასშტაბის ეკონომიის და გაფართოების ურთიერთკავშირი პრაქტიკაში მკაფიოდ არ იჩენს თავს. იგი არასრულყოფილი და წინააღმდეგობრივია. პირიქით, მკაფიოდ ჩანს, რომ ქვეყანებში ტექნოლოგის დონე ერთნაირი არ არის და, შესაბამისად, ახალი ტექნოლოგიების დიფუზიას ზრდის პოზიტიური ეფექტები შეიძლება ჰქონდეს. არ არის საკამათო ადამიან-კაპიტალის მნიშვნელობა ტექნიკური ინოვაციების გაფართოებაში, რო-

მელსაც ინტეგრაციის ფარგლებში, ბაზრის ლიბერალიზაციასთან ერთად, შეუძლია კონკურენციის საფუძველზე პოზიტიური ეფექტების გამოწვევა.

ეკონომიკური ინტეგრაციის სხვა ეფექტები – ვაჭრობის პირობები: საბაჟო კავშირის ფორმირებიდან მიღებული კეთილდღეობის ანალიზის ერთ-ერთი მცდარი დაშვება არის მცირე სახელმწიფოების შემთხვევა. საბაჟო კავშირში, ზოგიერთ ქვეყანას ცალკე აღებულს და სხვებთან ერთობლივად, საკუთარი უპირატესობის მოსაპოვებლად საკმარისი ძალაუფლება აქვს: შეუძლია იმოქმედოს ვაჭრობის პირობებზე და ამგვარად აიმაღლოს კეთილდღეობა. რეალურად, მცირე ქვეყნები ეჯახებიან დაწესებულ ფასებს, ან ვაჭრობის პირობებს საგარეო ვაჭრობაში, რადგან მათ არ შესწევთ უნარი სავაჭრო პირობების შესაცვლელად. მიუხედავად ამისა, ქვეყნისათვის ან საბაჟო კავშირისათვის, რომელიც აფართოებს თავის ძალაუფლებას ვაჭრობის პირობებზე დაყრდნობით, სარგებელს იღებს მესამე მხარის დანაკარგების საფუძველზე.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საბაჟო კავშირის არაწევრმა ქვეყნებმა შესაძლებელია ვაჭრობის პირობების საწინააღმდეგო პოლიტიკა გაატარონ.

შეთანხმებული ძალაუფლება. ბევრი რეგიონული სავაჭრო სივრცისთვის გაერთიანების მხრიდან შეთანხმებული მოქმედება ბუნებრივი და ობიექტური შეიძლება იყოს. ასეთი სწრაფვა შესაძლებელია განპირობებული იყოს პოლიტიკური მიზნებით, თუმცა ეფექტები ეკონომიკურია. ამ შემთხვევის ნათელი მაგალითია ევროკავშირი.

დაზღვევა. მცირე ქვეყნები შეიძლება შეუერთდნენ საბაჟო კავშირს სამომავლო პროცესებიდან თავის დასაზღვევად, რაც შეიძლება სავაჭრო ომით ან ვაჭრობის დისკრიმინაციით გამოიხატოს. დაზღვევა უფრო პოლიტიკური ხასიათისაა, ვიდრე ეკონომიკური. საბერძნეთი, პორტუგალია და ესპანეთი, სადაც იყო ავტორიტარული რეჟიმები, ევროკავშირს შეუერთდნენ არამხოლოდ ეკონომიკური მიზეზების

გამო, არამედ ევროპულ-პოლიტიკურ სისტემაში გაწევრიანების და ლიბერალური დემოკრატიის გამო. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ბევრი ქვეყნის გაწევრიანება ევროკავშირში სწორედ ამ მიზეზით მოხდა. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შექმნის საწყისი იდეაც ნაწილობრივ სწორედ მცირე დასავლეთევროპულ ქვეყნებს – ბელგიას, ლუქსემბურგსა და დანიას – ეკუთვნით, რომელთა მონაწილეობითაც შეიქმნა ევროგაერთიანების ბირთვი.

დღეისათვის თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის სამი ძირითადი სტრატეგია განიხილება:

1. მსოფლიო ბაზრებთან მჭიდრო კავშირში მყოფმა სახელმწიფოებმა ეკონომიკური დაახლოების უფრო მაღალ დონეს უნდა მიაღწიონ და **გააფართოვონ ბაზრები** აშშ-ს, ევროკავშირისა და იაპონიის ბაზრებთან მიმართებაში. ინტეგრაცია მარტივია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელმოწერის საფუძველზე. თუმცა, განვითარების თანმდევი ყველაზე დიდი გამოწვევაა საშინაო ბაზრების მიმზიდველობა ინვესტორებისათვის.

2. სახელმწიფოებმა, რომელთაც ესაზღვრებათ დიდი ქვეყნები, მაგრამ შორს არიან მსოფლიო ბაზრისგან, უნდა განავითარონ რეგიონული ბაზარი. ეს მოითხოვს ორ ინსტრუმენტს: **ინსტიტუციურ რეფორმებს,** რაც ხელს შეუწყობს რეგიონთა შორის ვაჭრობას, ფაქტორთა მობილობასა და ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, რომლებიც დააკავშირებენ განვითარებად ქვეყნებს წამყვან სახელმწიფოებთან და რეგიონს მსოფლიო ბაზართან. რეგიონელ ინტეგრაციას შეუძლია მხარი დაუჭიროს **რეგიონული წარმოების ქსელებს.** ეს თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შექმნას სახელმწიფომ თავისი სპეციალური ნიშა კონკრეტულ პროდუქტზე.

3. მსოფლიო ბაზრებიდან შორს მყოფი ქვეყნების წინაშე დგას ყველაზე ძლიერი გამოწვევები ეკონომიკური ზრდის მხრივ და ერთობლივი გადაწყვეტილებებისთვის ძლიერ თანამშრომლობას საჭიროებენ. მათთვის, სხვა შემ-

თხვევების მსგავსად, აუცილებელია **მჭიდრო ინსტიტუციური თანამშრომლობა და ყოვლისმომცველი რეგიონული ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში.** თუმცა ინტეგრაციის ძალისხმევის შენარჩუნებისთვის შეიძლება საჭირო გახდეს სახელმწიფოთაშორისო კომპენსაციის მექანიზმები, რადგან ღრმა ინტეგრაცია, სავარაუდოდ, დროის მოკლევადიან პერიოდში გამოიწვევს არათანაბარ მოგებასა და ზარალს ქვეყნებში. საერთაშორისო საზოგადოებას შეუძლია ამ ინტეგრაციის მხარდაჭერა კოორდინირებული წახალისების გზით. მნიშვნელოვანია რეგიონული მთავრობებისა და საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობა სოციალური მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მხრივ. ასეთი ქვეყნები უნდა სარგებლობდნენ შეღავათიანი ხელმისაწვდომობით განვითარებული ქვეყნის ბაზრებზე რეგიონული ექსპორტის მეშვეობით. სანაცვლოდ, როგორც წამყვანი, ისე ჩამორჩენილი ქვეყნები ამ „ბუნებრივ სამეზობლოებში" ისარგებლებენ შრომის, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი მოძრაობით.დღევანდელი განვითარებადი ქვეყნები, დგანან არჩევანის წინაშე: დარჩნენ დაყოფილები და წაგებულ მდგომარეობაში ან გახდნენ გამარჯვებულები საზღვრების გარეშე.

ამრიგად, ქვეყნები აყალიბებენ რეგიონულ ეკონომიკურ გაერთიანებებს ეკონომიკური, პოლიტიკური, სტრატეგიული და სხვა მიზეზების გამო. ამ გაერთანებების ძირითადი ეკონომიკური ზეგავლენა ბაზრის გაფართოება და კონკურენციის სრულყოფაა. მას აქვს სტატიკური ეკონომიკური ეფექტები, რომელიც მოკლე და საშუალო ვადებში იჩენს თავს და რომლებიც შეიძლება პოზიტიური და ნეგატიური იყოს. ეკონომიკურ ინტეგრაციას დინამიკური ეფექტები ახლავს, რომელიც გრძელვადიან პერიოდში მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილებების და ზრდის დონის გავლენის მიზეზებით ჩნდება.

1.4. ეკონომიკური ინტეგრაციის პოლიტიკის შეფასების ეკონომიკურ-გეოგრაფიული ასპექტი

ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიის საფუძვლების დასკვნითი ნაწილი უკავშირდება ვაჭრობის თეორიისა და პოლიტიკის ანალიზს. მასში განხილულია ეკონომიკური ინტეგრაციის ეფექტები, რომელთა გათვალისწინებითაც ხდება სავაჭრო ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება.

ზოგადად, ქვეყნის შიგნით ეკონომიკური ეფექტიანობა მოიცავს წარმოების, მოხმარების და განაწილების ეფექტიანობას. წარმოების ეფექტიანობა თავს იჩენს, როდესაც ყველა მწარმოებელი ერთი და იგივე საწარმოო ფასს ეჯახება – ერთსა და იმავე საქონელსა და მომსახურებაზე. მოხმარების ეფექტიანობა ჩნდება, როდესაც მომხმარებლები ერთი და იგივე სამომხმარებლო ფასს ეჯახებიან ერთსა და იმავე საქონელსა და მომსახურებაზე. განაწილების ეფექტიანობა თავს იჩენს, როდესაც მწარმოებლისა და მომხმარებლის ფასები ერთი და იგივეა. ეკონომიკური ეფექტიანობა და რესურსების ოპტიმალური განაწილება წარმოიშობა მაშინ, როდესაც სახეზეა სრულყოფილი კონკურენციის აუცილებელი წინაპირობები. ამიტომ სახელმწიფო პოლიტიკა, როგორებიცაა გადასახადები და სუბსიდიები, სრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკაში ამახინჯებს ეფექტიანობის პირობებს. და პირიქით, თუ ეკონომიკა უკვე დამახინჯებულია, მაგალითად, არასრულყოფილი კონკურენციის გზით, სამთავრობო პოლიტიკას შეუძლია სცადოს ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდა ნაკლოვანებების კორექციის ან აღმოფხვრის მეშვეობით.

საერთაშორისო ვაჭრობა: ოპტიმალურობა მოითხოვს, რომ ვაჭრობის შედეგად ქვეყნების ფასები მსოფლიო ფასების ეკვივალენტური იყოს. თეორია გვიჩვენებს, რომ თუ ეფექტიანობის წინაპირობები დაკმაყოფილებულია (როცა საწარმოო ფასი სამომხმარებლო და მსოფლიო ფასის ტოლია) არა მარტო ყველა ქვეყანას შეუძლია მიიღოს სარგებელი საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვით, არამედ თავისუფა-

ლი ვაჭრობა, კლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელთა თვალსაზრისით, არის საუკეთესო (მაქსიმალური კეთილდღეობის მიღწევის) პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ რეალურ მსოფლიოში ყველა აუცილებელი წინაპირობა არ გვხვდება სხვადასხვა ეკონომიკური და არაეკონომიკური მიზეზების გამო, ქვეყნების უმრავლესობა საგარეო ვაჭრობის სექტორში ინტერვენციას ახორციელებს, ჩვეულებისამებრ, უცხოური კონკურენციისგან საკუთარი მწარმოებლების დასაცავად. პროტექციონიზმი ადგილობრივ ფასებსა და საერთაშორისო ფასებს შორის განსხვავებას იწვევს (როცა საწარმოო ფასი ტოლია სამომხმარებლო ფასის და ორივე აღემატება მსოფლიო ფასს) არამარტო იმ მიზეზით, რომ უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივ მწარმოებლებს, დაბალი ფასის უცხოურ წარმოებასთან შედარებით, არამედ მსოფლიო კეთილდღეობის მიღწევის პოზიციიდან: პროტექციონისტული პოლიტიკა არაეფექტიანობის მიზეზი ხდება და კეთილდღეობა მცირდება წარმოების ფაქტორთა არასწორი განაწილებით. შესაბამისად, ეს მდგომარეობა არასასურველია.

პროტექციონიზმის ეფექტები: იმპორტზე ტარიფის დაწესება პროტექციონიზმის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ტარიფი გადასახადია, რომელიც ყველაზე ხშირად წესდება იმპორტის ფასზე (ადვალორული) ან ზოგჯერ საქონლის ერთეულზე (სპეციფიკური). ტარიფი ადგილობრივ წარმოებას უჭერს მხარს და მიმართულია უცხოური წარმოების კონკურენტული საქონლის წინააღმდეგ. X საქონლის ბაზრის განხილვისას, ტარიფის ანალიზის დროს განიხილება მცირე ფასის მიმღები ქვეყანა საქონლისა და ფაქტორების ბაზრებზე სრულყოფილი კონკურენციის პირობებში. მოდელის ანალიზისას კეთდება შემდეგი დაშვებები:

1. წარმოების ფაქტორების (შრომა და კაპიტალი) მიწოდება მუდმივია, სრულად დასაქმებული და მობილურია დარგებს შორის ქვეყნის შიგნით, მაგრამ არამობილურია ქვეყნებს შორის;

2. სატრანსპორტო დანახარჯები იგნორირებულია;

3. არ არსებობს ვაჭრობის ხელშემშლელი სხვა მიზეზი გარდა ტარიფისა;

4. X საქონელი ჰომოგენურია: ადგილობრივი წარმოების და იმპორტირებული საქონელი ბაზარზე იდენტურია, მაგრამ ადგილობრივ წარმოებას პრიორიტეტი აქვს იმპორტთან შედარებით.

მომხმარებელი და ჭარბი პროდუქცია. კეთილდღეობის გაზომვა შესაძლებელია წონასწორობის ფასის ცვლილების დროს (ან შესაბამისი პოლიტიკით გამოწვეული ფასის ცვლილებისას, როგორიცაა ტარიფები, გადასახადები ა.შ) და ემყარება მომხმარებლისა და ნამეტი პროდუქციის კონცეფციას. ნამეტი პროდუქცია განასხვავებს იმ მომხმარებლებს, ვინც მართლა იხდის პროდუქციის საფასურს და ვისაც სურს საფასურის გადახდა.

ნამეტი პროდუქცია ასევე განასხვავებს იმ მწარმოებლებს, რომლებისთვისაც მისაღებია არსებული ფასები და რომლებსაც რეალურად უხდიან თავიანთი გაყიდვებისთვის.

ტარიფების ზეგავლენა. მთავრობა თუ იღებს გადაწყვეტილებას იმპორტის შეზღუდვასთან დაკავშირებით ტარიფების დაწესებით, ეს გამოიწვევს საშინაო მიწოდების გაზრდას ბაზარზე, დაზოგავს დანახარჯებს უცხოური პროდუქციის შეძენაზე, გაზრდის ტარიფებიდან მიღებულ შემოსავლებს და ა.შ. ზოგადად, იმპორტის ნებისმიერი შეზღუდვა საშინაო საქონლის ფასებს გაზრდის, მომხმარებლებს აიძულებს შეამცირონ შესყიდვები და საშინაო მწარმოებლებს მიწოდებას გააზრდევინებს. ამასთან, მსგავსი დაცვა შეამცირებს მომხმარებლის კეთილდღეობას და გაზრდის მწარმოებლის კეთილდღეობას.

ფორმალურად, ტარიფის დაწესებას აქვს **ფასის ეფექტი** (ტარიფის დამახინჯება გამოწვეულია საშინაო და თავისუფალი ვაჭრობის/საერთაშორისო ფასით), **მოთხოვნის ეფექტი** (რაც უფრო მაღალია ფასი, მით უფრო გავლენას ახდენს მომხმარებელთა მოთხოვნაზე შემცირების კუთხით), **წარ-**

მოების ეფექტი (მაღალი საბაზრო ფასები (და ფაქტორული შემოსავალი) იზიდავს საშინაო რესურსებს სხვა წარმოებიდან მოცემული საქონელის წარმოებისაკენ), **იმპორტის ეფექტი** (შიგა მოთხოვნის შემცირება და შიგა წარმოების ზრდა გვიჩვენებს იმპორტზე გაფართოებულ მოთხოვნას), **უცხოური ვალუტის დაზოგვის ეფექტი** (იმპორტის მოცულობის შემცირება მუდმივი საიმპორტო ფასის პირობებში ნიშნავს, რომ იმპორტზე დანახარჯებიც შემცირებულია), **სატარიფო შემოსავლების ეფექტი** (იმპორტზე ტარიფი მთავრობის შემოსავალია, რომელიც ტოლია ტარიფის განაკვეთის ნამრავლისა იმპორტის რაოდენობაზე), **რედისტრიბუციის ეფექტი** (სატარიფო პოლიტიკა და ხარჯების გადანაწილების შედეგი იმპორტსა და ადგილობრივ წარმოებას შორის შემოსავლების რედისტრიბუციას გამოიწვევს: მომხმარებელი წააგებს, მაშინ როცა ორი სხვა ეკონომიკური ჯგუფი, მწარმოებლები და მთავრობა, მოიგებს).

მცირე ქვეყნების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის გავლენის შეფასების სრულყოფილი სურათისთვის უნდა გავიანგარიშოთ ზოგადი რეგიონული ვაჭრობის ისეთი ინდიკატორები, როგორებიცაა: ინტრარეგიონული ვაჭრობის წილი (ITS) და ინტრარეგიონული ვაჭრობის ინტენსიურობა (ITI) ქვეყანასა და ინტეგრაციულ გაერთანებას შორის, სადაც ITS = Tii/Tiw (Tii – ქვეყნის ექსპორტი ინტეგრაციაში დამატებული ინტეგრაციის იმპორტი მოცემულ ქვეყანაში / Tiw – ქვეყნის სავაჭრო ბრუნვა მსოფლიოსთან მიმართებაში). ხოლო ITI = (Tii/Tiw)/(Tiw/Tw), სადაც Tw არის მსოფლიო ექსპორტს დამატებული მსოფლიო იმპორტი)(პლამერი, ჩეონგ და ჰამანაკა, 2010). ამ მაჩვენებლების გამოსათვლელად სარგებლობენ 6 ციფრიანი სავაჭრო ნომენკლატურით (HS 2000) და ტარიფებით. მონაცემები მოცემულია მსოფლიო ინტეგრირებული სავაჭრო გადაწყვეტილების the World Integrated Trade Solution (WITS) მონაცემთა ბაზაში. ITS-ს მაღალი ხვედრითი წილი გვიჩვენებს ქვეყნის რეგიონულ ვაჭრობაზე დამოკიდებულე-

ბის მაღალ ხარისხს. თუ ITI არის ნულის ტოლი, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა ძალიან მცირეა მსოფლიო ბაზრისათვის და მთავრობამ უნდა განაახლოს საექსპორტო დარგების განვითარების სტრატეგია მათ ზრდის მიზნით.

შემდეგი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ე.წ. გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობა, რომელიც გამოიანგარიშება (RCA[5]) = (Xcg/Xc)/(Xwg/Xw), სადაც Xcg არის g საქონლის ექსპორტი c ქვეყნიდან, Xc არის c ქვეყნის მთლიანი ექსპორტი, Xwg არის g საქონლის მსოფლიო ექსპორტი, ხოლო Xw არის მთლიანი მსოფლიო ექსპორტი. RCA მაჩვენებელი შეიმუშავა ბალასამ (ბალასა, 1965), პარტნიორებს შორის თავისუფალი სავაჭრო სივრცის ეფექტიანობის შეფასების მიზნით. რაც დიდია RCA მაჩვენებელი, მით ეფექტიანია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება. RCA ყოველთვის გამოიყენება თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების შეფასებისას მრავალი ქვეყნის მკვლევარის მიერ.

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ RCA ინდექსს ახასიათებს არათანმიმდევრულობა და შეუთავსებლობა (სანიდას და შინი, 2010). მიუხედავად ამისა, RCA არის ყველაზე საუკეთესო ინდექსი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების ეფექტიანობის შესაფასებლად. ქვეყანა ფლობს კონკურენტულ უპირატესობას თუ RCA>1. პირუკუ შემთხვევაში, როცა RCA<1, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანას არ აქვს კონკურენტული უპირატესობა მოცემული საქონლის ან დარგის შემთხვევაში. RCA ინდექსის ერთი-ერთი ნეგატიური ასპექტია ის, რომ იგი არ გულისხმობს პოტენციურ RCA, რაც ძირითადად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრატეგიებზე.

ქვეყნისა და რეგიონული ინტეგრაციის ვაჭრობის ინტენსიურობის დასახასიათებლად გამოიყენება რეგიონული ორიენტაციის ინდექსი (RO)cgr = (Xcgr/Xct)/(Xcgr/Xcr), სადაც

[5] Revealed Competitive Adventage

(Xcgr – g საქონლის ექსპორტია c ქვეყნიდან r რეგიონში; Xct – c ქვეყნის მთლიანი ექსპორტია r რეგიონში, Xcg - r რეგიონის g საქონლის ექსპორტია c ქვეყანაში; Xc – r რეგიონის მთლიანი g საქონლის ექსპორტია r რეგიონის გარეთ ქვეყნებში). რეგიონული ორიენტაციის ინდექსი გვიჩვენებს, მოცემული ქვეყნის სპეციალური პროდუქტების ექსპორტი აჭარბებს თუ არა სხვა დანიშნულების ადგილზე ექსპორტს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი გვიჩვენებს ინტრარეგიონული ექსპორტის მნიშვნელობას ექსტრარეგიონულ ექსპორტთან შედარებით. RO მოძრაობს 0-დან +∞, სადაც მნიშვნელობის ზრდა მიუთითებს რეგიონში ექსპორტის გაფართოებისკენ ქვეყნის მიდრეკილებას.

ინდიკატორების შეფასების შემდეგ შესაძლებელია გავაანალიზოთ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შედეგები ქვეყნების შემოსავლებზე და კეთილდღეობაზე, ასევე, ინტეგრაციით გამოწვეული ეფექტები ვაჭრობის ფორმირებასა და გადახრაზე ე.წ. SMART მოდელის გამოყენებით. ეს მოდელი არის ნაწილობრივი წონასწორობის მოდელი, რომელიც გამოიყენება ვაჭრობის ფორმირებისა და გადახრის ეფექტების განსახილველად ტარიფის შემცირების შემთხვევებში.

ვაჭრობის ფორმირების შემთხვევა გვიჩვენებს, როგორ გავლენას მოახდენს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება შერჩეულ პროდუქციაზე (1) ტოლობაზე დაყრდნობით:

$$TC^{1}_{ijk} = n_i^m M_{ijk} \frac{\left(1+t^{1}_{ijk}\right)-\left(1+t^{0}_{ijk}\right)}{\left(1+t^{1}_{ijk}\right)} \qquad (1) - [84;27]$$

სადაც, TC_{ijk} არის ვაჭრობის მოცულობის გაუმჯობესება მილიონ დოლარში, რომელიც ჩნდება i საქონელზე ტარიფის ცვლილების გამო; n_i^m არის i საქონელზე იმპორტზე მოთხოვნის ელასტიკურობა იმპორტიორ ქვეყანაში; M_{ijk} არის

i საქონელზე მიმდინარე იმპორტზე მოთხოვნის დონე; t^0_{ijk} და t^1_{ijk} არის ტარიფის დონე i საქონელზე საწყის და ბოლო პერიოდებში, შესაბამისად.

თუ ვაჭრობის ფორმირების ინდექსი 0-ის ტოლია, მაშინ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას არ აქვს გავლენა.

ვაჭრობის გადახრა წარმოდგენილია შემდეგი ტოლობით (2):

$$TD_{ijk} = \frac{M_{ijk}}{\Sigma_k M_{ijk}} \frac{\Sigma_k M_{ijk} \Sigma_K M_{ijK} \frac{\Delta\left(P_{ijk} / P_{ijK}\right)}{P_{ijk} / P_{ijK}} \sigma_M}{\Sigma_k M_{ijk} + \Sigma_K M_{ijk} \frac{\Delta\left(P_{ijk} / P_{ijk}\right)}{P_{ijk} / P_{ijK}} \sigma_M} \qquad (2) - [84;27]$$

სადაც, k აღნიშნავს იმპორტს უცხოეთიდან მოცემულ ქვეყანაში და K არის იმპორტი დანარჩენი მსოფლიოდან. ვაჭრობის გადახრა გვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორია შემოსავლების ცვლილება ეფექტიანი დანახარჯების მქონე მიმწოდებლებიდან არაეფექტიანი დანახარჯების მქონე მიმწოდებლებზე გადართვისას თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის მიზეზით. თუ ვაჭრობის გადახრა ნულის ტოლია, მაშინ თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა არ იწვევს მიმწოდებლების ხელშეკრულების ხელმომწერ ქვეყნებში ცვლილებებს.

ამ ორ ინდიკატორს შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ვაჭრობის ფორმირება გვიჩვენებს ფასის რეალურ ნეტო გაუმჯობესებას, მაშინ როცა ვაჭრობის გადახრა თავს იჩენს მაშინ, როდესაც უიაფეს მიმწოდებელ სახელმწიფოსთან ვაჭრობა სავაჭრო კავშირის წევრი ქვეყნისთვის შეფერხებულია და საქონელი იაფდება მხოლოდ ტარიფების შემცირების შემთხვევაში.

ამრიგად, SMART მოდელი გვიხსნის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების გავლენას ორმხრივ სავაჭრო ნაკადებზე

სიმულაციის გზით. იგი რაოდენობრივი მეთოდია და გაიანგარიშება ნაწილობრივი წონასწორობის მოდელზე დაყრდნობით. იგი შემუშავდა მსოფლიო ბანკის და გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ერთობლივი ძალისხმევით სავაჭრო პოლიტიკის ანალიზის მიზნით.

SMART მოდელის მთავარი უპირატესობაა ის, რომ იგი მინიმალურ მონაცემებს ითხოვს სავაჭრო ნაკადებთან, სავაჭრო პოლიტიკასთან და ბაზრის ელასტიკურობასთან დაკავშირებით, რაც უფრო ხელმისაწვდომია World Integrated Trade Solution (WITS) ბაზიდან. იგი ამავდროულად უფრო მეტად ადექვატურია, ვიდრე ჰომოგენური საქონლის მოდელი სატარიფო შეღავათების განხილვისას (ჩოდრი, კოლუმალი და ვარნა, 2013). ამ მოდელის მთავარი ნაკლოვანება არის ის, რომ იგი არ ითვალისწინებს შეზღუდვებს, რომელთაც იყენებენ დარგებს შორის მოძრობისას სხვადასხვა წარმოების ფაქტორის მიმართ. SMART მოდელი შემოთავაზებულ იქნა აზიის განვითარების ბანკის გამოცემაშიც (*Methodology for Impact Assessment of Free Trade Agreements* (პლამერი, ჩეონგი და ჰამანაკა, 2010). SMART-ის უარყოფითი მხარეები მდგომარეობს იმაში, რომ იგი ახორციელებს თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების შეფასებას და უგულებელყოფს მოწინავე სექტორებში პარტნიორების გრძელვადიან სპეციალიზაციას თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების პირობებში. ამასთან, შემოსავლების ცვლილება დამოკიდებულია ელასტიკურობაზე.

ამრიგად, გლობალიზაციამ და მოწინავე ტექნოლოგიებმა საგარეო ვაჭრობა ეკონომიკური ზრდის მეოთხე, ყველაზე ძლიერ ფაქტორად გადააქცია. თავისუფალი ვაჭრობა უპირატესის სტრატეგიაა იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც დამკვიდრებული აქვთ საკუთარი ადგილი მსოფლიო ბაზარზე. ბაზარზე შესვლის ახალი, დამწყები განვითარებადი და მცირე ეკონომიკისათვის, თავისუფალი ვაჭრობა არა ხელისშემწყობი, არამედ მავნე (ზიანის მომტანი) სტრატეგიაა. შესაბამისად, რეგიონალიზაცია არის ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება ამგვარი მცირე განვითარებადი ქვეყნები-

სათვის, რომელთაც ექნებათ მტკიცე ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგია. შესაბამისად, რეგიონული ინტეგრაცია მათი ეკონომიკური ზრდის ფუნდამენტური ფაქტორი შეიძლება გახდეს. რეგიონული ინტეგრაციის ეფექტი ორმაგდება იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ხაზგასმით ღია ვაჭრობის საპირისპიროდ აუმჯობესებენ ვაჭრობის პირობებს, რომელიც მოითხოვს მრავალი სახის თავისუფალი ვაჭრობის ზონის (სივრცის) შექმნას.

არსებობს რეგიონალიზაციის მრავალი განმარტება, რომელშიც ხაზგასმულია ამ პროცესის მონაწილე ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითი და უარყოფითი ზეგავლენა. კვლევა ემაყრება შემდეგ განმარტებას: რეგიონალიზაცია არის განსაზღვრული რეგიონის შიგნით ეკონომიკური აქტივობის კონცენტრაციის პროცესი. თუმცა, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების პოზიტიური ეფექტები ცალკეული ქვეყნის ეკონომიკაზე შეიძლება მცირე იყოს, ან უარყოფითიც.

ზოგიერთი ეკონომიკური თეორიის შესაბამისად, დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალის ქვეყნები უკეთესად კოოპერირებენ მცირე ქვეყნებთან. კლასიკური ეკონომიკური თეორიის მიმდევრების აზრით, სადაც არის ორი ქვეყანა განსხვავებული უპირატესობებით, კოოპერაციიდან ორივე მოგებული რჩება.

რეგიონული ინტეგრაციის პოტენციალის შესასწავლად აუცილებელია ქვეყნის უპირატესობების განსაზღვრა. რომელი იქნება ძირითადი ინტენსიური საქონელი თავისუფალი ვაჭრობის ზონის პირობებში.

მსოფლიო ეკონომიკაში მცირე ქვეყნების კონკურენტუნარიანობის დონე ქვეყნების კონკურენტუნარიანობის სხვადასხვა რეიტინგების (მენეჯმენტის განვითარების შვეიცარული ინსტიტუტის რეიტინგი, ლოზანა) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეიტინგი, დავოსი) მეშვეობით განისაზღვრება, რომელიც გვაძლევს ინფორმაციას ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის, მისი განვითარების დონის, ძლიერი და სუსტი მხარეების შესაფასებლად. ქვეყნის საერთაშორისო კონკურენ-

ტუნარიანობის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს ეკონომიკური პოლიტიკის აუცილებელი ინსტრუმენტები, რომლებიც მიმართული იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურის გაუმჯობესებისაკენ.

ქვეყნებისა და რეგიონების კონკურენტუნარიანობის კონცეფციის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ სუბიექტების, როგორც მთავარი ფაქტორის მნიშვნელობას ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდაში, რაც მიანიშნებს, რომ პრობლემის გადაწყვეტისას გამოიყენება ინსტიტუციონალური მიდგომა. ასევე, მნიშვნელოვანია რეგიონების სპეციფიკური მახასიათებლები და ლოკალური კონკურენტული უპირატესობები, რომლებიც აუცილებელია წარმოების ორგანიზაციის კონკურენტუნარიანი ფორმების შესაქმნელად.

შესაბამისად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ძირითადი ინსტიტუციური ფაქტორების ქვეშ იგულისხმება ის ეკონომიკური სუბიექტები, რომლებიც ფორმირდებიან საერთაშორისო კონკურენციის გავლენით, შრომის საერთაშორისო დანაწილების საფუძველზე. ამ ფაქტორების რიცხვშია: სახელმწიფო, კვლევითი ორგანიზაციები, ტრანსნაციონალური კომპანიები და მცირე და საშუალო საწარმოები.

თანამედროვე სამეცნიერო-ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული თეორიული მიდგომები, რომლებიც ასახავენ რეგიონული პოლიტიკის დადებით და უარყოფით შედეგებს. რეგიონალიზაციის განსხვავებული საფეხურები დამოკიდებულია წევრების სპეციფიკურ სავაჭრო-ეკონომიკურ, ფინანსურ ან პოლიტიკურ მიზნებზე. სხვადასხვა თეორიული მიდგომების წარმომადგენლები რეგიონული ინტეგრაციის შინაარსს განსხვავებულად განმარტავენ. მასში მოაზრება ორმხრივი შეთანხმებები, პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებები და რეგიონული ორგანიზაციები.

ეკონომიკური ინტეგრაციის პოლიტიკის შეფასებისას ეკონომიკურ ასპექტებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება გეოგრაფიულ ფაქტორს. ეკონომიკური ინტეგრაციის გეოგრაფიულ დონის შესწავლის საფუძველია შესაბამისი ინ-

სტრუმენტების ნაკრები: ინსტიტუციების, ინფრასტრუქტურის სივრცითი შეკავშირებისა და სივრცითი მიზნები.

საერთაშორისო კონკურენტული უპირატესობის მიღწევის თვალსაზრისით გასათვალისწინებელია შემდეგი პოსტულატები: გლობალური ბაზრები ადგილობრივ ბაზრებთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ამასთან, ბაზრების ღიაობა ხელს უწყობს მანძილის შემცირებას; ეკონომიკური განვითარების შეფასებაში გასათვალისწინებელია ტრანსპორტის და ტელეკომუნიკაციის ხარჯები; ცოდნა ადვილად ხელმისაწვდომია განვითარებადი ქვეყნებისთვისაც, რაც მათ კონკურენტული უპირატესობის მიღწევის შესაძლებლობებს აძლევს.

თანამედროვე მწვავე კონკურენციის პირობებში განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები სხვადასხვა სახის გამოწვევების წინაშე დგანან. განვითარებად ქვეყნებს შემდეგი თავისებურებები ახასიათებს:

• დღევანდელი გლობალური ბაზრის სიდიდიდან გამომდინარე, მათი განვითარება ძირითადად ეყრდნობა საგარეო ბაზარზე ორიენტირებულ სტრატეგიას, სადაც წამყვანი სივრცეები/ტერიტორიები ვაჭრობენ და კონკურენციას უწევენ კომპანიებს საერთაშორისო დონეზე;

• დღევანდელ განვითარებაში, საშინაო ეკონომიკური გეოგრაფიის სწრაფი ტრანსფორმაცია და სივრცობრივი უთანასწორობა უფრო მასშტაბური ხდება, ვიდრე ეს იყო ინდუსტრიულ ქვეყნებში, განვითარების საწყის ეტაპებზე;

• რადგან რედისტრიბუციის მექანიზმების ფორმირება და მზაობა დაკავშირებულია დროსთან, შრომითი რესურსების მიგრაცია და ბაზრების ურთიერთკავშირი ეროვნული ეკონომიკის ჩამორჩენილი ტერიტორიების ინტეგრაციის ძლიერი მექანიზმი ხდება.

ამასთან, დღევანდელი განვითარებადი ქვეყნების წამყვან და ჩამორჩენილ ტერიტორიებს შორის არსებული სივრცობრივი უთანასწორობის ზრდის მიუხედავად, განვითარების პროგრესი თანამედროვე ინფორმაციული და საკომუ-

ნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით უფრო ჩქარდება, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური მანძილის შემცირებას წამყვან და ჩამორჩენილ ტერიტორიებს შორის.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წარმატების გასაღები ის სუბეროვნული სივრცეებია, რომლებსაც ბაზარზე წვდომის უდიდესი პოტენციალი გააჩნიათ. კომუნიკაცია, მიგრაცია, ტელეკომუნიკაცია, ინფორმაციული ნაკადები პროდუქციის მწარმოებელ და მიმღებ სფეროებს აკავშირებს. განათლების და ვაჭრობის სფეროები განსაკუთრებით მომგებიანია, თუმცა არსებობს გარკვეული ზიანის მომტანი ურთიერთკავშირებიც (მაგალითად, დაავადებების გავრცელება). ეკონომიკაშიც, სხვა სფეროების მსგავსად, ბაზართან ახლოს მდებარეობა ბუნებრივ უპირატესობად განიხილება.

ამასთან, ეკონომიკური აქტივობების წამყვანი სფეროები თავისი საბაზრო შესაძლებლობებით ფირმებსა და დასაქმებულებს ერთგვარ სტიმულს აძლევს ამ სფეროში გადასანაცვლებლად. ფირმები და მუშები აფართოებენ შესაძლებლობებს, რომლებზეც ხელი მიუწვდებათ მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე. ისინი ზრდიან თავიანთ შემოსავლებს და, ასევე, კონკურენციას მოცემულ სფეროში. შესაბამისად, მანძილის შემცირების ბუნებრივი გზა არის მოსახლეობის მიგრაცია.

ინტეგრაციის პოლიტიკის გეოგრაფიული დონის შესაბამისი ინსტრუმენტების ნაკრების განხილვამდე უნდა აღინიშნოს, რომ ხელსაყრელი ფიზიკური გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობს განვითარებას. გლობალიზაციის პირობებში შეიქმნა რეგიონული გაერთიანებები, რაც, თავის მხრივ, მოქმედებს ინტეგრაციის წევრი ქვეყნების განვითარებაზე. ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენის მქონე გეოგრაფიული ფაქტორებია ფიზიკური მდებარეობა, სანაპირო ზოლი, ბუნება, კლიმატი. განვითარებულ ქვეყნებთან სიახლოვე და მათთან ვაჭრობის გახსნილობა განაპირობებს საწარმოო ფაქტორების თავისუფალ მოძრაობას. თავის

მხრივ, განვითარებული ქვეყნების ქცევას დემონსტრაციული ეფექტი აქვს.

მასშტაბის ეკონომიით სარგებლობისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები იქმნება მაშინ, როდესაც საწარმოო ფაქტორები და წარმოებული საქონელი კონცენტრირებულია რეგიონულ ეკონომიკურ ცენტრში. თითოეული რეგიონი, რასაკვირველია, სარგებელს იღებს საშინაო ბაზრიდან, თუმცა ეს სარგებელი გაცილებით იზრდება, თუ მას წარმოებული საქონელი ექსპორტზე გააქვს.

ეკონომიკურ აქტივობებში გეოგრაფიული განსხვავებები ხელს უწყობს მიგრაციის პროცესს ეკონომიკურად ჩამორჩენილი ადგილებიდან და ხალხის კონცენტრაციას (ღარიბების ჩათვლით) განვითარებულ ადგილებში. თუმცა საცხოვრებელ სტანდარტებს შორის გეოგრაფიულმა უთანასწორობამ შეიძლება გამოიწვიოს მრავალი სახის კონფლიქტი, პრობლემები და შეაფერხოს სოციალური და ეკონომიკური განვითარება. შიგა ინტეგრაციის პრობლემების დასაძლევად სარგებლობენ შემდეგი სახის პოლიტიკით:

• იმ ქვეყნებში სადაც მუშახელი და კაპიტალი მობილურია, ეკონომიკური უთანასწორობის პრობლემა ქვეყნის ჩამორჩენილ და წამყვან რეგიონებს შორის უნდა გადაიჭრას „სივრცულად ბრმა“ ანუ უნივერსალური პოლიტიკით (სამეცნიერო ლიტერატურაში ამ სახის პოლიტიკას სივრცითი ინსტიტუცია ეწოდება).

• იმ ქვეყნებში, სადაც ჩამორჩენილ რეგიონებში ღარიბი მოსახლეობის დიდი რაოდენობაა, მაგრამ ამავე დროს მიგრაციის დამაბრკოლებელი (კულტურული, ლინგვისტური ან პოლიტიკური) ფაქტორები ცოტაა, ინსტიტუციებმა ხელი უნდა შეუწყონ მობილობას სივრცითი დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის განვითარების გზით. ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, რომელიც გაზრდის საქონლის, ხალხის და ინფორმაციის მოძრაობას დაეხმარება ეკონომიკურ კონცენტრაციას და სივრცულ კონვერგენციას.

• **ქვეყნებში, რომლებიც დაყოფილია ლინგვისტურ, პოლიტიკურ, რელიგიურ ან ეთნიკურ ერთეულებად, სივრცულად მიზნობრივი ინტერვენციები შეიძლება იყოს საჭირო.** იმ შემთხვევაში თუ ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონები შემდეგი გამოწვევების წინაშე დგანან, ინფრასტრუქტურასა და ინსტიტუციებში ინვესტიციების გაფართოების სტრატეგიას უნდა დაემატოს მიზნობრივი ინიციატივები ჩამორჩენილ რეგიონებში, ეკონომიკური პროდუქციის წარმოების წასახალისებლად [84].

ინსტიტუციები, ინფრასტრუქტურა და ინიციატივები – ეს არის შიგა ინტეგრაციის წასახალისებისკენ მიმართული წარმატებული პოლიტიკის სამი მდგენელი. ინტეგრაციის საშუალებების არჩევისას მთავრობებმა უნდა გაითვალისწინონ ამ ინსტრუმენტების ფისკალური მხარე და გამოუყენებელი შესაძლებლობებით გამოწვეული დანაკარგები.

ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონების კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ პოლიტიკის განხილვა ხშირად იწყება ჩამორჩენილ რეგიონზე ფოკუსირებით – ამ ადგილებში პროდუქციის წარმოების გადატანის მიზნობრივ პოლიტიკაზე ან ინტერვენციებზე ყურადღების გამახვილებით. ამის ნაცვლად ტერიტორიული განვითარების პოლიტიკით აქცენტირება უნდა მოხდეს **ტერიტორიულად ჩამორჩენილი რეგიონების წამყვან რეგიონებთან ინტეგრაციაზე**. ხოლო სივრცულად მიზნობრივი ინტერვენციების განხილვა უნდა მოხდეს ბოლოს – მას შემდეგ რაც მოხდება „სივრცულად ბრმა" პოლიტიკის – როგორიცაა **ეროვნული შემოსავლის განაწილება, სოციალური დანახარჯების დაგეგმვა და სივრცულად დამაკავშირებელი ინიციატივების** – განხილვა. ამასთან, ინვესტიციები უნდა ჩაიდოს ისეთ აქტივობებში, რომელიც ეროვნულ დონეზე დიდ ეკონომიკურ და სოციალურ შედეგს მოგვცემს. **ეკონომიკურად წამყვან რეგიონებში უნდა განხორციელდეს გრძელვადიანი ინვესტიციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეროვნული ეკონომიკის ზრდას.**

ბევრ ქვეყანაში არსებობს სივრცული განსხვავება პროდუქციის წარმოებასა და სიღარიბეს შორის, წამყვან და ჩამორჩენილ რეგიონებს შორის ეკონომიკური მანძილისა და პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური განსხვავებების გამო. ყველა ქვეყანა ცდილობს გაერთიანებას ამ განსხვავებებით გამოწვეული ბარიერების შემცირების გზით. მაგალითად, ევროკავშირის ახალი სახელმწიფოების მიერთების პოლიტიკა მიმართულია **შერწყმისკენ.** თუმცა შერწყმის ან ერთიანობის პოლიტიკის მიზნები შემდგომ გრძელდება **კონვერგენციით.** კონვერგენციის მიზნები მოიცავს ტერიტორიული უთანასწორობის აღმოფხვრას ეკონომიკურ განვითარებაში (ეკონომიკური შერწყმა) და მუშახელისა და შემოსავლის მისაწვდომობაში (სოციალური შერწყმა). შერწყმა უკავშირდება ევროკავშირის რეგიონალურ პოლიტიკას, რომელიც გამოყოფს ფინანსების 60%-ს განვითარებადი ტერიტორიების დასაფინანსებლად.

ჯერ კიდევ 2002 წლიდან ევროპის კავშირის საბჭოს მიერ კონკურენტუნარიანობის პოლიტიკა განიხილება, როგორც ევროპის განვითარების ძირითადი მაკროეკონომიკური ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს მოქალაქეთა მისწრაფებები, არა მარტო გათანაბრების პოლიტიკის, არამედ, ცოდნაზე დამყარებული, მაღალეფექტიანი ეკონომიკური განვითარების მეშვეობით – როგორც ეროვნულ, ისე, სუბნაციონალურ დონეზე [1; 5]

უკვე 2014-2020 წლებში ევროკავშირმა განათავსა 325 მილიარდი ევრო (2011 წლის ფასებით) კოჰეზიის პოლიტიკის განსახორციელებლად, საიდანაც 256 მილიარდი ევრო ორი სტრუქტურული ფონდიდან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ფონდისა (ERDF) და ევროპის სტრუქტურული ფონდიდან (ESF) გაიცემა. ნაკლებად განვითარებულ რეგიონებზე თანადაფინანსებაში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ფონდის წილი წარმოდგენილი იქნება პროექტის ღირებულების 85%-ით; გარდამავალ რეგიონებში – 60% და მეტით, ხოლო მეტად განვითარებული რეგიონებისთვის –

50% და მეტი. (http://www.europarl.europa.eu/atyourservice/-en/displayFtu.html?ftuId=FTU_5.1.2.html)

ევროკავშირში რეგიონულ განვითარებაში უთანასწორობის დაძლევის პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის სტრუქტურა შემდეგი სახისაა:

ცხრილი 1.4.1 სტრუქტურული ფონდების ბიუჯეტი თანადაფინანსებაზე (მლრდ. ევრო)

ERDF + ESF				ERDF
ინვესტიციების ეკ. ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნისთვის				ევროპის ტერიტორიული თანამშრომლობა
ნაკლებგანვითარებული რეგიონები	გარდამავალი რეგიონები	განაპირა და ნაკლებად დასახლებული რეგიონები	მეტად განვითარებული რეგიონები	
164 279	32 085	1 387	49 271	8 948

წყარო: http://www.europarl.europa.eu/atyourservice/en/displayFtu.html?-ftuId=FTU_5.1.2.html (27.09.2017)

თუ 21-ე საუკუნის დასაწყისში რეგიონული განვითარების პოლიტიკის ბიუჯეტის განაწილება მიზნად ისახავდა ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონების განვითარებას და სტრუქტურულ გაუმჯობესებას, საზღვრისპირა რეგიონების და სამრეწველო მიზნებისთვის გამოუყენებელი ტერიტორიების განვითარებას, საგანმანათლებლო და სატრეინინგო სისტემების მოდერნიზაციას და ადაპტაციას, 2014-2020 წლების პროგრამით ფინანსდება კვლევები და ინოვაციები, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და ნაკლები ნახშირბადის ეკონომიკის ხელშეწყობა. შერწყმის პოლიტიკა მიზნად ისახავს გააუმჯობესოს სპეციფიკური ადგილების ეკონომიკური მდგომარეობა და დაეხმაროს მათ წამოეწიონ ევ-

როკავშირის განვითარების დონეს.

რესურსების ასეთი მასშტაბის განაწილება ინტეგრაციის მხარდასაჭერად შეიძლება არ აისახოს წევრი ქვეყნების შეღავათების გადანაწილებაზე (განსაკუთრებით მათთვის, რომელთა მოსახლეობის გადასახადებსაც დიდი წილი აქვთ). თუმცა ეს პოლიტიკა არ ასტიმულირებს მთლიან ზრდას, არამედ ხელს უწყობენ სივრცული თანასწორობის მიღწევას. ტრადიციული შერწყმის პოლიტიკა არ ზრდის ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონების კონკურენტუნარიანობას. ამ პროგრამებისგან განსხვავებით, საგანმანათლებლო და ინსტიტუციურ პროგრამებს უფრო მეტის გაკეთება შეუძლიათ, რის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტემპუსის პროგრამები საგანმანათლებლო და ინსტიტუციური განვითარების მიზნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **ეკონომიკური ინტეგრაციის პოლიტიკის გეოგრაფიული ასპექტების გათვალისწინებით საქართველოსთვის ევროკავშირთან ახლო მდებარეობა ბუნებრივ უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან, ქართველ ემიგრანტთა ძირითად დანიშნულების ქვეყნების რიცხვში სხვა მეზობელ ქვეყნებთან ერთად ევროპის ქვეყნები ფიგურირებენ** [38].

შედარებითი ანალიზისთვის ვისარგებლოთ რეგიონულ განვითარებასა და ინფრასტრუქტურაზე გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების მონაცემებით, რომელიც გვიჩვენებს საქართველოში რეგიონული განვითარებისა და სივრცითი მოწყობის სტრატეგიების ურთიერთკავშირს. მუნიციპიალური ფინანსების სახით ბიუჯეტიდან რეგიონულ განვითარებაზე 2015 წელს დაიხარჯა 854 800 000 ლარი, საიდანაც 97,6% გამოთანაბრებითი ტრანსფერია, 1,35% – მიზნობრივი, ხოლო 1,05% – სპეციალური ტრანსფერი. აქედან რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (შეიქმნა 2010 წელს და სახსრების გაცემის წესს განსაზღვრავს მთავრობა) ამავე წლისთვის გამოყოფილი იქნა 385 000 000 ლარი [36;136]. აღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქარ-

თველოში შიგა ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით მიმდინარე ეტაპზე გამოიყენება სივრცითი ინსტიტუციის პოლიტიკა მცირე მიზნობრივი პოლიტიკის ელემენტებით.

1.4.1 ჩარჩო პოლიტიკა ჩამორჩენილი და წამყვანი რეგიონების ინტეგრაციისთვის

ადამიანები ეძებენ შესაძლებლობებს და ქვეყნები ცდილობენ გაერთიანებას. პოლიტიკა, რომელიც ჩამორჩენილი და წამყვანი რეგიონების ინტეგრირებას ახდენს, ორივეს ეხმარება. ინტეგრაციის პოლიტიკის ჩარჩო ინსტიტუციების, ინფრასტრუქტურისა და ინიციატივების გენერირებულ კომბინაციებს გვთავაზობს იმ საშინაო გამოწვევების გადასაძლევად, რომლებიც სიმჭიდროვის, მანძილისა და დაყოფის შედეგად წარმოიქმნება. კარგად გამოყენების შემთხვევაში, ამ ზომების კომბინაცია ქვეყნებს დაეხმარება ეკონომიკური სარგებლის მიღებაში.

პოლიტიკის გამტარებლები ეკონომიკურ კონცენტრაციას ხშირად საცხოვრებელი სტანდარტების სივრცულ თანასწორობასთან შეუსაბამობაში განიხილავენ და ცდილობენ კონცენტრაციის შემცირებას სივრცულად მიზნობრივი ინტერვენციებით. ასეთი პოლიტიკის მიზანია „დაბალანსებული დემოგრაფიული განვითარების“ ხელშეწყობა და სიღარიბის შემცირება, ღარიბი უმიწო მოსახლეობისთვის მიწისა და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ხელშეწყობა. მხოლოდ სივრცულად მიზნობრივ ინტერვენციებზე დაყრდნობა შედეგის მომტანი შეიძლება არ იყოს. უმჯობესია ისეთი ინსტიტუციების გამოყენება, რომლებიც უფრო „უხილავად“ მუშაობენ. მაგალითად, პროგრესული საშემოსავლო გადასახადების, სოციალური უსაფრთხოებისა და უმუშევრობის შეღავათების შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებობდეს ადგილმდებარეობის მიხედვით (გასათვალისწინებელია ევროკავშირისა და შეერთებული შტატების გამოც-

დილება, რაც გულისხმობს სივრცული თანასწორობის მისაღწევად სივრცული საგადასახადო სისტემის გამოყენებას).

„სივრცულად ბრმა“ საგადასახადო და სატრანსფერო პოლიტიკას შეუძლია საზოგადოებრივი პოლიტიკის საფუძვლები ჩამოაყალიბოს და დაეხმაროს მათ კონცენტრაციიდან და კონვერგენციიდან სარგებლის მიღებაში. მაგრამ მხოლოდ ეს პოლიტიკა შეიძლება საკმარისი არ იყოს. მდგომარეობიდან გამომდინარე, ქვეყნები უფრო ფართო ინსტრუმენტებს საჭიროებენ შიგა ინტეგრაციისთვის.

ზოგადადი ეკონომიკური ინტეგრაციის ჩარჩო პოლიტიკის ინსტრუმენტები მოქცეულნი არიან უნივერსალურ და გეოგრაფიულ მიზნობრივ პოლიტიკებს შორის. თითოეული შეიძლება მოიცავდეს გადასახადებს, საზოგადოებრივ დანახარჯებს და რეგულაციებს. ცუდი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები ზოგადად ეკონომიკურ მანძილს ზრდის, საქონლით და სერვისებით ვაჭრობას და მუშახელის, კაპიტალის და ინფორმაციის მოძრაობას აფერხებს, რაც თავის მხრივ ართულებს კომუნალური სერვისების უზრუნველყოფას. უარყოფითი პირობების გამო ასეთ ტერიტორიებზე სიღარიბის დონე შეიძლება მაღალი იყოს, მაგრამ, იმავე მიზეზებით, ძალიან ცოტა ხალხი ცხოვრობდეს ამ რეგიონში, სამთავრობო პოლიტიკის, სოციალურ-პოლიტიკური მიზეზებისა და ინიციატივების მიუხედავად.

ინტეგრაცია ჩამორჩენილ რეგიონებსა და უფრო დინამიურ სივრცეებს შორის ეკონომიკურ მანძილს ამცირებს. ინტეგრაციული პოლიტიკა განსხვავებული უნდა იყოს იმ ჩამორჩენილი რეგიონებისთვის, რომლებიც მჭიდროდ არ არის დასახლებული, მჭიდროდ დასახლებული ჩამორჩენილი რეგიონებისგან.

ფაქტორთა მობილობის შესუსტება, ხშირ შემთხვევაში, შიგა პოლიტიური და სოციალური განსხვავებებით აიხსნება. ასეთ ქვეყნებში ინტეგრაციის პოლიტიკის გამოწვევები ეკონომიკური მანძილის დაძლევას, სიმჭიდროვის ადგილმდება-

რეობის ცვლილებას და საშინაო განსხვავებებს მოიცავს. ქვეყნის მახასიათებლების მიხედვით, როგორიცაა მანძილი, სიმჭიდროვე და განსხვავებები, შესაძლებელია ქვეყნების კლასიფიკაცია იმ მიზნით, რომ მათ შეძლონ ინტეგრაციის პოლიტიკის მორგება საკუთარ სპეციფიკურ-გეოგრაფიულ მახასიათებლებთან. ამ მხრივ გამოიყოფა სამი ძირითადი ტიპი:

- ტიპი 1: ქვეყნები მეჩხერად დასახლებული ჩამორჩენილი რეგიონებით;
- ტიპი 2: ინტეგრირებული ქვეყნები, სადაც მჭირდოდ დასახლებული ჩამორჩენილი რეგიონებია;
- ტიპი 3: არაინტეგრირებული ქვეყნები, სადაც მჭირდოდ დასახლებული ჩამორჩენილი რეგიონებია [82].

მაგალითად, საქართველოში მოსახლეობის სიმჭიდროვე, დასახლებების სიდიდე, ურბანული და სასოფლო დასახლებების ტიპები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მნიშვნელოვნად განსხვავდება. მთათაშორის დაბლობებსა (სადაც ძირითადი სატრანსპორტო მარშრუტები გადის და რომლებიც ყველაზე ნაყოფიერი ადგილებია) და შავი ზღვის სანაპირო ზოლში მოსახლეობა ისტორიულად შედარებით უფრო დიდი რაოდენობით და მჭიდროდ არის დასახლებული, ხოლო მთიანი, განსაკუთრებით კი დიდი კავკასიონის რეგიონი, მეჩხერადაა დასახლებული. საქართველოს მოსახლეობის არათანაბარი განაწილების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ქალაქ თბილისში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის თავმოყრა. მოსახლეობის მეოთხედზე მეტი, ოფიციალურად, ქალაქ თბილისის მცხოვრებია და თუ მის შემოგარენსაც გავითვალისწინებთ (მათ შორის, ქალაქ რუსთავსა და მცხეთას), თანაფარდობა თითქმის ნახევარს უტოლდება [1;10].

ამასთან, საქართველოს რეგიონებს შორის მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) წილის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. ასეთივე სხვაობაა ურბანულ და სასოფლო ტიპის დასახლებებს შორის. ქვეყნის მშპ-ს ნახევარი ქალაქ თბილისში იწარმოება. ამასთან, მშპ-ს მნიშვნე-

ლოვნად უფრო მაღალი წილი რეგიონებზე მოდის, სადაც დიდი ქალაქებია განლაგებული (ქუთაისი – იმერეთში, რუსთავი – ქვემო ქართლში, ბათუმი – აჭარაში, ფოთი და ზუგდიდი – სამეგრელოში), ვიდრე სასოფლო ტიპის რეგიონებზე, ამ უკანსაკნელთა დიდ ქალაქებთან და მთავარ სატრანსპორტო მაგისტრალებთან სიახლოვის მიუხედავად. რეგიონები ერთმანეთისგან განსხვავდება ეკონომიკის სექტორების სტრუქტურითაც. ძირითადად, ესაა 3 მთავარი სექტორი: ეკონომიკის პირველადი სექტორი – სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყევეობა და მეთევზეობა; მეორადი სექტორი – მრეწველობა, საყოფაცხოვრებო პროდუქციის გადამუშავება და მშენებლობა და მესამე რიგის სექტორი – ვაჭრობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, სახელმწიფო მმართველობა, განათლება, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და ა.შ. [1;17].

შესაბამისად, საქართველო სპეციფიურ-გეოგრაფიული ტიპების არცერთ კატეგიორიას არ ეკუთვნის, რადგან იგი პირველ და მესამე ტიპს აერთიანებს. მიუხედავად ამისა, ინტეგრაციის სტრატეგიები შესაძლებელია არ იყოს განსხვავებული.

ქვეყნის შიგა ინტეგრაციის სტრატეგიებში მნიშვნელოვანია შემდეგი ძირითადი მიმართულებების განხილვა:

1. ინვესტიციები ადამიანურ რესურსებში: ადამიან-კაპიტალის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია პოლიტიკა, რომელიც მიმართულია შექმნას სამუშაო ადგილები ყველგან, სადაც მოსახლეობაა, ან ხელი შეუწყოს სამუშაო ადგილებისაკენ მოსახლეობის გადაადგილებას. ეკონომიკური თვალსაზრისით, ყველაზე დიდი შედეგი მოაქვს ადამიანების მიგრაციას ჩამორჩენილი ადგილებიდან იმ ტერიტორიებისკენ, სადაც უფრო მეტი შესაძლებლობები არსებობს, თუმცა გასათვალისწინებელია სოციალურ-პოლიტიკური, კრიმინოგენული და კულტურული ეფექტებიც.

მიგრაციის გახსნილი შესაძლებლობები ხელს უწყობს მეტი ინვესტიციის მოზიდვას ადამიან-კაპიტალში:

ადამიანები განათლებიდან ელოდებიან ამონაგებს არა მარტო ადგილობრივად, არამედ სხვა რეგიონებიდანაც. თუკი განათლების მიღების შესაძლებლობა ხელმისაწვდომი იქნება დაბალგანვითარებული რეგიონებისთვისაც, მაშინ პოტენციური მიგრანტები დამატებით ინვესტიციებს ჩადებენ ადამიან-კაპიტალში, იმ მოლოდინის გათვალისწინებით, რომ წამყვან რეგიონებში სამუშაო ადგილების მიღებისათვის საჭიროა მაღალი კვალიფიკაცია, რადგან ამ რეგიონში დამსაქმებელებს უფრო მეტად მოსწონთ განათლებული კადრი.

საქართველოში, ბოლო კვლევების [ISET, 2013] თანახმად, 15 წელს ზემოთ ასაკის საქართველოს მოსახლეობის 66%-მა საცხოვრებელი შეიცვალა ქვეყნიდან გაუსვლელად, აქედან 11% ბოლო 5 წელიწადზე მოდის. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ შიდა მიგრანტების დიდი ნაკადის შემოდინება დედაქალაქში ხდება. ისინი ზოგიერთ რაიონში ახლად გადმოსახლებულ მაცხოვრებელთა მთლიანი რაოდენობის 20%-ზე მეტს შეადგენენ. პარალელურად, მოსახლეობის რაოდენობა იკლებდა როგორც ყველა სხვა დიდ და საშუალო ზომის ქალაქში, ასევე, თითქმის ყველა მცირე ზომის ქალაქში. ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიური იყო 1992-2002 წლებში, თუმცა ქალაქ თბილისისთვისაც კი მოსახლეობის ამგვარი შემოდინება ვერ ახდენს საზღვარგარეთ მიგრაციის კომპენსირებას.

მიგრაციასთან დაკავშირებული კიდევ ერთი აღსანიშნავი გარემოებაა ის, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე და შემდეგაც საზღვარგარეთ მიგრირებულთა უმრავლესობას, ქალაქთან შედარებით (იგულისხმება სოფლიდან ქალაქში მიგრაცია საქართველოში – ე.ლ.), კარგად განათლებული მცხოვრებლები შეადგენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სოფლიდან ქალაქში მიგრაციამ, რაოდენობის თვალსაზრისით, ქალაქის მოსახლეობის დანაკარგის ნაწილობრივი კომპენსირება მოახდინა, მიგრაციის ტენდენციამ ურბანული მუშაკების კვალიფიკაციისა და სამუშაო უნარ-ჩვევების დონის შე-

ნარჩუნებაზე გარკვეული უარყოფითი გავლენაც მოახდინა [36;9].

2. საჯარო სერვისებში ტრანსფერის მექანიზმები: მაღალი დონის ხელისუფლებიდან ტრანსფერების გადანაწილებას შეუძლია ფისკალურ შესაძლებლობებსა და საჯარო სერვისებს შორის განსხვავება შეამციროს. ტრანსფერების გადანაწილებისას მნიშვნელოვანია შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინება:

საჭიროება. რეგიონები უფრო დაბალი შემოსავლებით მიიღებენ მეტ ინვესტიციას, მაგრამ მდიდარი ნაწილიც მოითხოვს მაღალ დანახარჯებს მოსახლეობის და მათი მოთხოვნილებების ზრდის შესაბამისად.

ეფექტიანობა. ინვესტიციებზე უფრო მაღალი უკუგების მქონე რეგიონები მიიღებენ მეტ ასიგნებას.

თანასწორობა. დანახარჯები გადანაწილდება რეგიონების მიხედვით, რათა მთავრობამ არ მისცეს უპირატესობა რომელიმე ერთ რეგიონს [82].

საჭიროებებზე დაფუძნებულ ტრანსფერებს შეუძლიათ გააუმჯობესონ საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობა განვითარებად რეგიონებში, რადგან ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრები შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს საჭირო შემოსავლების მისაღებად. ბიუჯეტთაშორის ტრანსფერების საშუალებით შესაძლებელია საჯარო სერვისების თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა ქვეყნის ყველა მაცხოვრებლისათვის. ასეთი ტრანსფერები მნიშვნელოვანია ასევე სუბნაციონალური ხელისუფლებისთვის, რომელთა ხარჯების დაფარვა დამოკიდებულია სახელმწიფო ტრანსფერებზე.

გადანაწილების ასეთ საშუალებებს პირდაპირი კავშირი აქვთ სხვადასხვა რეგიონის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან. მაგრამ მთავრობათაშორისო ტრანსფერები, რომლებითაც ფინანსდება სუბნაციონალური ხარჯების დიდი წილი, იშვიათად გამოიყენება სივცობრივი წონასწორობის მისაღწევად. სინამდვილეში, მაღალი ტრანსფერები მიემარ-

თება იმ რეგიონებში, სადაც ხალხი ისედაც იღებს მაღალი ხარისხის სერვისს.

ფისკალური გათანაბრების მისაღწევად, ტრანსფერები დაბალგანვითარებულ რეგიონებში ფინანსდება წამყვანი რეგიონების მოსახლეობის გადასახადებით. ფინანსურ ლიტერატურაში ძირითადი კონცეფცია ეფუძნება აზრს, რომ მაღალ-ეფექტიანი გადასახადები ზოგ რეგიონში წაახალისებს პროდუქტიული კადრების გადინებას. თუმცა, ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ გადასახადების სიმძიმით გამოწვეული მიგრაცია შეიზღუდება, თუ მაცხოვრებლები მიიღებენ ერთობლივ ეკონომიკურ სარგებელს. თუკი მაცხოვრებლები იგრძნობენ სარგებელს სხვა მსგავსი მაცხოვრებლების გვერდით, ისინი ნაკლებად მგრძნობიარენი იქნებიან გადასახადებში სხვაობის მიმართ.

მართალია, დაბალგანვითარებულ რეგიონებში ტრანსფერებით შესაძლებელია ფინანსების მოკლევადიანი დეფიციტის დაძლევა, მაგრამ ფისკალური დამოკიდებულება შეიძლება საშიში აღმოჩნდეს. თუ მთავრობათაშორისო გადარიცხვები დააფინანსებს რეგიონების ყველა ხარჯს, ადგილობრივი ბიუჯეტები ნაკლებად გააუმჯობესებენ ადგილობრივი შემოსავლების დონეს. ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებმა ამ უარყოფითი ეფექტის გამო შეამცირეს ხარჯებისა და გრანტების გამოთანაბრების კომპონენტი (მაგალითად, იტალია და ესპანეთი). იმ შემთხვევაში, როცა ადგილობრივი საგადასახადო შემოსავლები უკავშირდება ადგილობრივ შემოსავალს, მაშინ დაბალშემოსავლიანი რეგიონების ფისკალური პოტენციალი უარესია მაღალშემოსავლიან რეგიონებთან შედარებით.

მაგალითად, საქართველოში 2016 წლის პირველი იანვრიდან საგადასახადო შეღავათები შეეხო მაღალმთიან რეგიონებს, რომლის მიხედვითაც საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება მაღალმთიანი დასახლების

საწარმოს სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის მიერ მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობით სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი; ასევე, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის მიერ ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 6000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციიდან ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა; მოგების გადასახადის დაბეგვრისგან თავისუფლდება მაღალმთიანი დასახლების საწარმოს მიერ ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით, შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მოგება; ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი; ასევე მაღალმთიანი დასახლების საწარმოს საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე ქონება შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში. წინამდებარე საკანონმდებლო ცვლილება მიზნობრივი ინიციატივების ჩარჩო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და მოითხოვს დინამიკაში საკანონმდებლო ცვლილებების ეფექტიანობის კვლევას [65].

საპენსიო შეღავათები. მოძრავი აქტივების არსებობის შემთხვევაშიც კი, მოსახლეობამ შეიძლება რთულად ჩათვალოს სხვა ტერიტორიაზე გადასვლა. რამდენიმე ქვეყანაში საპენსიო შესაძლებლობების ნაკლოვანებები ანელებს მიგრაციის ტემპებს. დაბალ საპენსიო შეღავათებთან შეჯახება, მათი მოუქნელობის ან სხვადასხვა სქემების არსებობის გამო, მუშაკებს გადაადგილების სურვილს უმცირებს, მაშინაც კი თუ წამყვანი რეგიონები მაღალ ხელფასებს შესთავაზებენ.

მიწის ბაზრის უკეთესი რეგულირება. გამართულად მოქმედი მიწის ბაზრები მოსახლეობას შესაძლებლობას აძლევს მიწები შეიძინოს, გადაცვალოს და გამოიყენოს ეფექტიანად. პოლიტიკა, რომელიც მიწებისა და სახლების ბრუნვის და გაყიდვის კარგ პირობებს შექმნის, მოსახლების გეოგრაფიულ მობილობას აადვილებს. შესაძლებლობა, რომ გამოიყენონ მიწა, როგორც უზრუნველყოფა ან მისი გაყიდვის შესაძლებლობა საშუალებას აძლევს მოსახლეობას დაფარონ მიგრაციის დანახარჯები და მიიღონ ეკონომიკური და სოციალური სარგებელი სხვაგან.

მთავრობის ჩარევა მართოს მიწის ბაზრები და უზრუნველყოს საკუთრების უფლებები, ოჯახურ მეურნეობებს საკუთარი სახსრების დაზოგვის საშუალებას აძლევს. თუმცა მთავრობის მაღალი ხარისხია ჩარევამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ეფექტიანობაზე. მთავრობის ხელში მიწების დიდი რაოდენობით არსებობამ შეიძლება მიწის ბაზარის ფუნქციონირებას ხელი შეუშალოს და გაზრდოს მის ფასები. მაღალი პირდაპირი დანახარჯები და რთული პროცედურები ამცირებენ ადამინების სტიმულებს – გაცვალონ მიწები. პოლიტიკა, რომელიც მიმართულია დაიცვას ღარიბები მიწისა და სახლების ფასების ზრდისგან, ხშირად ართულებს ბაზრის ფუნქციონირებას.

აღნიშნული მიდგომებიდან გამომდინარე საქართველოში არსებულ მდგომარეობას თუ განვიხილავთ, ჩარჩო-პოლიტიკა საქართველოში რეგიონული განვითარების 2015-2017 წლების პროგრამას ეფუძნება. იგი დიდწილად შესაბამისობაშია ევროკავშირის კოჰეზიის პოლიტიკის (რეგიონებს შორის უთანაბრობის შემცირება) გამოცდილებასთან. ევროკავშირის კოჰეზიის პოლიტიკა მნიშვნელოვნად განმტკიცდა პირველად 1990-იან წლებში, რათა დახმარება გაეწია შედარებით ნაკლებ განვითარებული წევრი ქვეყნებისთვის, მოგვიანებით კი გამოეყენებინათ ახალი წევრი ქვეყნების მიმართ, მათი გაწევრიანების შემდგომ არსებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამავდროულად, მნიშვნელოვანი

იყო, პროგრამა ნაწილობრივ მაინც ყოფილიყო ორიენტირებული კონკურენტუნარიანობის ამაღლების პოლიტიკის მიმართულებაზეც, როგორც უთანასწორობის შემცირების, თუ განვითარების უფრო ფართო საჭიროებების უზრუნველყოფის საშუალებაზე. პროგრამის შემუშავების პროცესში ეს მიდგომები განხილული იქნა როგორც თავსებადი, რამდენადაც, ხშირ შემთხვევაში, ორივე ამოცანის გადაჭრა იდენტური აქტივობებით არის შესაძლებელი. შემდგომში, ამ ორ მიდგომას შორის განსხვავებაზე აქცენტების დასმის ან მათი კომბინირებული გამოყენებისას, არ გამოირიცხება გარკვეული დაზუსტებების აუცილებლობა – თუ რომელი მიდგომა უკეთ ემსახურება რეგიონების განვითარების საჭიროებებს, დროის კონკრეტულ პერიოდში. მთლიანობაში, ეს პროგრამა მაქსიმალურად მორგებულია და პასუხობს საქართველოს რეგიონული განვითარების სპეციფიურ, მის ყველაზე კრიტიკულ, პირველად და გადაუდებელ საჭიროებებს. საქართველო ევროკავშირის თითქმის ყველა წევრ ქვეყანასთან შედარებით ნაკლებად განვითარებულია, ამიტომაც, ძირითადი ინფრასტრუქტურის და მდგრადი მომსახურების უზრუნველყოფის განვითარებისთვის მიზანშეწონილია უფრო მეტი რესურსების გამოყენება, ვიდრე ეს საჭიროა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის (როგორც უთანაბრობის შემცირების, ასევე, კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნებისთვის). ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით საქართველოს მსგავს პატარა ქვეყნებში, კონკურენტუნარიანობის საკითხის გადაჭრა დიდწილად ეროვნულ დონეზე ხდება და თუმცა შესაბამისი პოლიტიკების მხარდაჭერა სუბნაციონალურ დონეებზეც სათანადოდ ხორციელდება, ამ კონკრეტული პროგრამის პრიორიტეტები და ღონისძიებები უფრო კონცენტრირებულია უთანაბრობების შემცირებაზე და მხოლოდ ნაწილობრივ, ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მხარდაჭერაზე. აღნიშნული არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს შემდგომ წლებში სა-

ქართველოს რეგიონების განვითარებისთვის კონკურენტუნარიანობის საკითხის ნაკლებ პრიორიტეტულობას [1; 4-5].

ამასთან, საქართველოს სწრაფი განვითარებისთვის საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავდა რეფორმების 4 პუნქტიანი გეგმა, რომელიც მიმართულია თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის მთავარი გამოწვევების დაძლევის და ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ზრდისკენ. ამ გეგმით, მთავრობას სურს ფოკუსირება მოახდინოს იმ მიმართულებებზე, რომლებმაც უნდა მოიტანოს თვისებრივი ცვლილებები ქვეყნის განვითარებაში, უზრუნველყოს ეკონომიკის სწრაფი ზრდას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება. კერძოდ:

- **ეკონომიკური რეფორმა,** რომელიც ორიენტირებული იქნება კერძო სექტორის მაქსიმალურ წახალისებასა და მის გაძლიერებაზე.
- **განათლების რეფორმა,** რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანი – კაპიტალის განვითარება და მისი მაქსიმალური, ეფექტიანი ჩართვა ქვეყნის განვითარებაში.
- **სივრცითი მოწყობის გეგმა,** რომელიც იქნება ქვეყნის განვითარების მთავარი ჩარჩო. მთავრობის პოზიციით, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა არის ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. სივრცითი მოწყობის რეფორმის ფარგლებში მომზადდება ქალაქებისა და სოფლების განაშენიანების რეგულირების გეგმები. სწორი სივრცითი მოწყობით საქართველო გახდება ოთხი სეზონის ტურისტული ქვეყანა, რაც უზრუნველყოფს ტურიზმიდან ახალი შემოსავლების მიღებისა და წლის განმავლობაში მათი სტაბილური განაწილების საშუალებას. მთელი საქართველოს მასშტაბით დაპროექტდება და დაიგება რეგიონების დამაკავშირებელი სატრანსპორტო ქსელი, რომელიც ყველა რეგიონს მჭიდროდ დააკავშირებს ერთმანეთთან. გეოგრაფიული მდებარეობა აღარ იქნება ბარიერი ბიზნესის წარმოებისა და გადაადგილებისთვის. საქართველოს საავტომობილო გზების

ქსელი გახდება მიმზიდველი სატრანზიტო გადაზიდვებისათვის, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტურიზმის, განაპირა და მაღალმთიან რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარებასა და რეგიონების დაკავშირებას. სწორი დაგეგმარებით და გააზრებული სივრცითი მოწყობით საქართველო ეფექტიანად აითვისებს ქვეყნის განვითარების პოტენციალს და მსოფლიო რუკაზე გაძლიერდება საქართველოს, როგორც ტრანზიტული ჰაბის, მნიშვნელობა.

- **საჯარო მმართველობის რეფორმა,** რომელმაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო სერვისების პოლიტიკის შემუშავება და მომსახურების ხარისხის დახვეწა. ასევე, უწყებების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება. უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის საჭიროა მმართველობის ეფექტიანობის გაზრდა.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, იგი საქართველოს რეგიონების განვითარების, საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებში საქართველოს მაქსიმალური ინტეგრირებისა და ეკონომიკური განვითარების სტიმულირების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობისა და სატვირთო გადაზიდვების მზარდი დინამიკის გათვალისწინებით, მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის სივრცითი მოწყობის კომპონენტის ფარგლებში, გაგრძელდება და სწრაფი ტემპით წარიმართება ახალი მაგისტრალური გზების მშენებლობა, არსებული გზების რეკონსტრუქცია და საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება. ქვეყნის მასშტაბით აშენდება საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანზიტო და რეგიონების დამაკავშირებელი შიდა საავტომობილო გზები. 2020 წლამდე დაიგება 800 კმ-ზე მეტი სიგრძის, 3.5 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების საგზაო ინფრასტრუქტურა, დასრულდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტობანის მშენებლობა. შედეგად, საქართველოს საავტომობილო გზების ქსელი გახდება მიმზიდველი სატრანზიტო გადაზიდვებისათვის.

საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ერთიანი სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და რეგიონში ლოგისტიკურ ჰაბად გარდაქმნა.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, მოხდება საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ტრანსპორტის სფეროში ევროკავშირის დირექტივებსა და რეგულაციებთან, რაც ხელს შეუწყობს სატრანსპორტო ოპერაციების უსაფრთხოების ზრდას.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი ქვეყნის რეგიონების განვითარება და მათ შორის უთანასწორობის აღმოფხვრაა. საქართველოს მთავრობას აქვს რეგიონული განვითარების სტრატეგიული ხედვა, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გათანაბრების პოლიტიკის მიდგომებს. ეს გულისხმობს ინტეგრირებულ, დარგთაშორის და ტერიტორიაზე მორგებულ დაგეგმვას და შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებას. აქტიურად გაგრძელდება რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების ხელშეწყობა, რომელიც შემუშავებულია თითოეული რეგიონისათვის.

ზემოაღნიშნული მიდგომების შესაბამისად, მთავრობა შეიმუშავებს მომდევნო, 2018-2020 წლების რეგიონული განვითარების პროგრამას, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის რეგიონების დაბალანსებული ეკონომიკური ზრდის შემდგომი ხელშეწყობისკენ. რეგიონული განვითარება, თანამიმდევრული დეცენტრალიზაცია და ტერიტორიული ერთეულების აქტიური როლი ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების სტიმულირებაში კვლავ განიხილება როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთოეროვნული წარმატების მისაღწევად. სწორედ რეგიონებში წარმოებული საქონლისა და მომსახურების, მათი საინვესტიციო მიმზიდველობისა და

კონკურენტუნარიანობის ზრდას, თანამედროვე ფიზიკური და ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის შექმნას და განვითარებას შეუძლია ეკონომიკური ზრდისა და მოქალაქეთა ცხოვრების დონის თვისებრივი გაუმჯობესება. შესაბამისი რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისას, უზრუნველყოფილი იქნება თვითმმართველობების ჩართულობა და მათი საჭიროებების გათვალისწინება, ცალკეული რეგიონის განვითარების პრიორიტეტებისა და გამოვლენილი პერსპექტიული მიმართულებების შესაბამისად. მაღალმთიანი რეგიონების განვითარების კანონის შესაბამისად, მთავრობა აგრეთვე გააგრძელებს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ მხარდაჭერას, ადგილობრივი წარმოების განვითარების ხელშეწყობას, მაღალმთიან დასახლებებში დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაზე და იქ მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობის დონის ამაღლებაზე ზრუნვას. გაგრძელდება მუშაობა მთის განვითარების სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამის შემუშავებისთვის, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება საშუალოვადიან პერიოდში დამატებით განსახორციელებელი აუცილებელი ღონისძიებები, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.

რეგიონული განვითარების დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული კონფლიქტისპირა რეგიონების მოსახლეობის საჭიროებები და პრიორიტეტები. უზრუნველყოფილი იქნება რეგიონული განვითარების დაგეგმვის პროცესში ახალი მიდგომების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონში დარგთაშორისი კომპლექსური კავშირების განვითარებასა და ადგილობრივ პირობებთან მაქსიმალურად მორგებული ეკონომიკური მოდელის შემუშავებას.

ხელისუფლება მხარს დაუჭერს რეგიონალურ დონეზე სოციალური, კულტურული, გარემოსდაცვითი, განათლების, ინოვაციების, კვლევის, ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროებში კერძო ბიზნესის ჩართვას. კიდევ უფრო დაიხვეწება რეგიონული განვითარების დაფინანსების სისტემა, მათ

შორის, ხარჯსარგებლიანობის ანალიზის გამოყენების ფართოდ დანერგვის გზით. გაუმჯობესდება რეგიონული განვითარების ზედამხედველობისა და ანგარიშგების ინსტრუმენტები და მექანიზმები. დაიხვეწება რეგიონული განვითარების სამართლებრივი ბაზა და ინსტიტუციური უზრუნველყოფის მექანიზმები. განხორციელდება ადგილობრივი ეკონომიკური და მატერიალური აქტივებისა და მათი პოტენციალის სრულფასოვანი შესწავლა და სისტემატიზაცია მათი გონივრული მართვისა და გამოყენების პოტენციალის ამაღლების მიზნით.

ამრიგად, 4-პუნქტიანი გეგმის განხორციელება, მთავრობის თვალსაზრისით, მიმართულია თანამედროვე, განვითარებული და საერთაშორისო სტანდარტის ინფრასტრუქტურის შექმნისკენ, შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისი ადამიანური რესურსით, უსაფრთხო და სტაბილური ბიზნეს-გარემოთი და ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობით უზრუნველყოფისკენ. სწორედ ეს კომპონენტები განაპირობებს უფრო სწრაფ განვითარებასა და კეთილდღეობის ზრდას.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური რეფორმა, რომელიც ძირითადად მეწარმობის წახალისკებისკენ არის მიმართული, ვერ უზრუნველყოფს კეთილდღეობის ამაღლებას, რაც დასტურდება უთანასწორობის და სიღარიბის მაჩვენებლების ზრდით (ს. არჩვაძე, 2018).

განათლების რეფორმის სტრატეგიის უქონლობის გამო კი ფერხდება რეალური თანმიმდევრული ცვლილებები საგანმანათლებლო სივრცეში, რაც საბოლოო ჯამში აისახება ერის კონკურენტუნარიანობაზე, ეკონომიკის განვითარებაზე და კეთილდღეობაზე.

რაც შეეხება საჯარო მმართველობის რეფორმას, 2017 წლის დასასრულს საქართველოს მთავრობაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების მიუხედავად ვერ საბუთდება რა მმართველობითი ეფექტების მოლოდინია ამ ცვლილებებით. აღსანიშნავია, რომ გასული წლის მონაცემე-

ბით, საჯარო მმართველობა ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსით, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ინდექსით და სხვა საერთაშორისო მაჩვენებლებით არაეფექტიანად არის მიჩნეული.

სივრცითი მოწყობის გეგმის კონტექსტით, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა არის ქვეყნის მდგრადი განვითარების და ცხოვრების დონის ამაღლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. თუმცა, 4 პუნქტიანი გეგმის მიხედვით, მისი ამოცანებია გააუმჯობესოს ურთიერთკავშირი ქალაქსა და სოფელს შორის; ხელი შეუწყოს მაღალხარისხიანი მდგრადი ტურიზმის განვითარებას, ასევე საქართველოს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ჰაბად ჩამოყალიბებას, შექმნას ინვესტირებისთვის მასტიმულირებელი და მიმზიდველი გარემო, შეამციროს გარემოზე მავნე ზემოქმედება. აღნიშნულ ამოცანებში კრიტიკას იმსახურებს ტურიზმის სფეროს განვითარებაზე აქცენტირება, მაშინ როდესაც არ არის განხილული რეალური სექტორის ამოქმედების მნიშვნელობა და შესაძლებლობები, რაც რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველი უნდა გახდეს.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის თვალსაზრისით სწორი დაგეგმარებითა და გააზრებული სივრცითი მოწყობით საქართველო გახდება ოთხი სეზონის ტურისტული ქვეყანა, რაც უზრუნველყოფს ტურიზმიდან ახალი შემოსავლების მიღების და წლის განმავლობაში მათი სტაბილური განაწილების საშუალებას, უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტული პროდუქტი მგრძნობიარე პროდუქტია და მასზე ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად მყისიერ გავლენას ახდენს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ა.შ. ფაქტორები. ამიტომ მოცემული დარგი არ შეიძლება განხილულ იქნას განვითარების საბაზისო დარგის სახით.

1.4.2 რეგიონული ინტეგრაციის გეოგრაფია და ინტეგრაციის მოდელები

წარმატებული ინტეგრაციის პოლიტიკა კონცენტრირდება ეკონომიკურ აქტივობებზე ისეთ ადგილებში, სადაც უკეთესად ხელმისაწვდომია სუბეროვნული, ეროვნული თუ რეგიონული ბაზრები. ინტეგრაციამ შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოებს შორის შემოსავლის განსხვავება რეგიონულ დონეზე მცირე ხნით, ვიდრე ჩამორჩენილი ქვეყნები შეუერთდებიან განვითარების ტალღას.

რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებები, კომპლექსური მოლაპარაკებები, რეალობაში განხორციელება და განვითარება ითხოვს ადმინისტრაციული რესურსების ინტენსიურ გამოყენებას. რეგიონული ინსტიტუტების გაერთიანებამ ასეთი შეთანხმებების მეშვეობით, შეიძლება მოითხოვოს შიდა ადმინისტრაციული დანახარჯების ზრდა და ცალმხრივი ლიბერალიზაცია, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ინტეგრაციას დანარჩენ მსოფლიოსთან. რეგიონული შეთანხმებები ხელს უშლის ზოგიერთი სახელმწიფოს სწრაფ გლობალურ ინტეგრაციას, როცა რეგიონის სხვა წევრები ნელი ინტეგრირებით ხასიათდებიან.

რეგიონული და გლობალური ინტეგრაციის საკითხზე დებატების ერთი მხარე მიიჩნევს რეგიონულ ინტეგრაციას გლობალურის მხარდამჭერ პროცესად, ხოლო მეორე დეზინტეგრაციის ინსტრუმენტად განიხილავს. ამ დებატებზე შეთანხმება ადვილად ვერ მიიღწევა. მაგრამ ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის ობიექტივი განსხვავებულ პერსპექტივას გვთავაზობს. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ფიზიკური გეოგრაფია მოიცავს სავაჭრო მოდელებს. რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები შეიძლება იყოს უფრო მეტად კეთილდღეობის გაუმჯობესების მომტანი, ვიდრე მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებები, რადგან კონტინენტთაშორისი ვაჭრობიდან დანახარჯებიც გაცილებით მეტია (კრუგმანი,1991; ფრანკელი, სტეინი, ვეი, 1996; კარერე, 2005). რეგიონულ ინტეგრა-

ციას გააჩნია არაეკონომიკური მიზნებიც, როგორიცაა მეტი მშვიდობა და უსაფრთხოება, ისევე როგორც, გაზრდილი როლი საერთაშორისო დონეზე. ხანდახან, რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებების მიღებისას, არაეკონომიკური მოტივი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეკონომიკური.

რეგიონულ ინტეგრაციას შეუძლია მიიღოს ბევრი ფორმა, დაწყებული ფორმალური ხელშეკრულებებით, რომელიც ეკონომიკური გაცვლის სხვადასხვა ასპექტებს არეგულირებს, დასრულებული არაფორმალური, დეფაქტო თანამშრომლობით კერძო სექტორთან. მიუხედავად იმისა, რომ გლობალური შეთანხმებები ყოვლისმომცველი და იშვიათია, რეგიონული შეთანხმებები შეიძლება დაიწყოს თავისუფალი გადაადგილების მცირე ტემპით და მასშტაბით, რომლებიც უფრო მეტად მოსახერხებლია. თითოეულ რეგიონს სჭირდება იპოვოს ის ნაწილი, რაც საშუალებას მისცემს, ისარგებლოს რეგიონული და გლობალური ინტეგრაციით.

ევროპის წარმატებული „სამეზობლოების", ჩრდილოეთ ამერიკისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის გამოცდილება გვაძლევს რეგიონული და გლობალური ინტეგრაციის ინიციატივების განხორციელების სამ მოდელს – იფიქრე გლობალურად, დაიწყე მცირედით და კომპენსაცია გაუწიე ნაკლებად იღბლიანს:

• *იფიქრე გლობალურად.* ყველა განვითარებადი სივრცისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზრები რეგიონის გარეთ მდებარეობენ. ნებისმიერი რეგიონული ინტეგრაციის პროცესის მიზანია ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა. მართლაც, რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებების წარმატების ფაქტორია „ღია რეგიონალიზმი" (Open regionalism), დაბალი საგარეო ტარიფები და საშინაო ტარიფების ჩახშობა (მსოფლიო ბანკი, 2004; გაერო, 2007). ეს არის მთავარი განსხვავება რეგიონალიზმის პირველი ტალღისგან, რომელიც 1970-იანი წლებში დაიწყო და მოიცავდა იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკას რეგიონებში.

• *დაიწყე მცირედით.* რეგიონული ინტეგრაციის ინიციატივები არ საჭიროებს დაუყოვნებლივ ყველა საკითხის ორიენტაციას ამ პრიორიტეტზე. მსოფლიო გამოცდილებიდან ჩანს, რომ ყოვლისმომცველი შეთანხმებები ქვეყნების დიდი რაოდენობისთვის რჩება მხოლოდ „ქაღალდის შეთანხმებებად". ხშირად რეგიონული ინტეგრაცია შეიძლება დაიწყოს ფორმალურობის გარეშე, ნებისმიერი სახის შეთანხმებით, მაგრამ განცხადება სტრატეგიული თანამშრომლობაზე იძლევა საშუალებას, რომ ნებისმიერი დავა გადაწყდეს სწრაფად და სამართლიანად.

რეგიონული ინტეგრაცია გულისხმობს პოლიტიკის დამატებით მოქმედებებს ქვეყნების მონაწილეობით. რაც უფრო მეტია მონაწილეთა რაოდენობა, უფრო რთულია კოორდინაცია და მაღალია მარცხის რისკი. კონკრეტულ შეთანხმებებს, რომლებიც ეფუძნება სახელმწიფო ინტერესს, შეუძლია სხვადასხვა სტრუქტურის რეგიონული ინტეგრაციის დაჩქარების გაღრმავება. ასეთი თანამშრომლობა ვაჭრობისა და არამხოლოდ ვაჭრობის საკითხებზე, ეტაპობრივად აყალიბებს ძლიერ სამეზობლოს.

• *კომპენსაცია გაუწიე ნაკლებად იღბლიანს.* რეგიონულ ინტეგრაციას შეუძლია დროის მოკლე პერიოდში წარმოადგინოს გამარჯვებული და დამარცხებული სახელმწიფოები (ვინეიბლისი, 2003). თუ ხდება ორი სხვადასხვა ქვეყნის შიდა ინფრასტრუქტურის ინტეგრირება, მათი უკეთესი ინფრასტრუქტურა ბევრად მიმზიდველი შეიძლება გახდეს სამრეწველო საქმიანობისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნებს შორის განსხვავებები შემოსავლებსა და დასაქმებაში. საფუძვლიანი თანამშრომლობის მშენებლობა მეზობელ სახელმწიფოებს შორის უნდა წარმოადგენდეს დახმარებისა და ინტეგრაციის მიღწევების თანაბარი გაზიარების მექანიზმს. მაგალითად, ევროკავშირში, მდიდარი წევრი სახელმწიფოები ახორციელებენ ნაკლებად განვითარებული წევრი ქვეყნების სუბსიდირებას [82].

სახელმწიფოს საზღვრების გადალახვის სირთულე განვითარებისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს. იზოლაციით იზრდება ეკონომიკური მანძილი ბაზრებს შორის. ზოგიერთ სამეზობლოში შედიან მცირე ქვეყნები, რომელთა ადგილობრივი ბაზრები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოახდინონ ინდუსტრიალიზაცია, ან არ გააჩნიათ დივერსიფიკაციის შესაძლებლობები. ამგვარად, სახელმწიფოები დგანან განსხვავებული პრობლემების წინაშე და სჭირდებათ სხვადასხვა ტიპის პოლიტიკურ რეაგირება მათ გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრირებისთვის. ინტეგრაცია დიდწილად ვაჭრობაში კერძო საქმიანობას და ფაქტორთა მობილურობას ეფუძნება. თუმცა, ინსტიტუტებისა და ინფრასტრუქტურის უმრავლესობას სჭირდება საზოგადოებრივი საქონელი რეგიონის გლობალურ ეკონომიკასთან დასაკავშირებლად, რაც მოითხოვს ერთობლივ ქმედებებს საშინაო და საგარეო პრობლემების დასაძლევად.

რეგიონული ინტეგრაციისთვის შეიძლება გამოვიყენოთ სამი ტიპის პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც გლობალურ ინტეგრაციასაც დაეხმარება:

- *ინსტიტუციური თანამშრომლობა, რომელსაც* სამეზობლოს შიგნით არსებული პრობლემების კოორდინირება და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა შეუძლია.
- *რეგიონული ინფრასტრუქტურა* – რეგიონის სტრატეგიულ კავშირს მსოფლიოს წამყვან ბაზრებზე, შეუძლია შეამციროს სატრანსპორტო დანახარჯები.
- *კოორდინირებული წახალისება,* რომელიც მოიცავს სამეზობლოს ყველა დაინტერესებულ მხარესა და დონორებს წამყვანი მსოფლიო ბაზრებიდან. მას შეუძლია ხელი შეუწყოს ფაქტორთა მობილობასა და ცხოვრების დონის „კონვერტაციაში“ წამყვან და ჩამორჩენილ სახელმწიფოებს შორის.

ინსტიტუციური თანამშრომლობა, როგორიცაა ორმხრივი შეთანხმებები ტექნიკურ და ბიზნეს პროცედურებზე, საერთაშორისო სტანდარტების მიღება და მაკროეკონომიკური

კონვერგენცია – რეგიონული ბაზრების ზომას აფართოებს. მართლაც, საინვესტიციო შესაძლებლობების შიდა და გარე შეფასებები და მასთან დაკავშირებული სამთავრობო პოლიტიკა და ბიზნეს გარემო – როგორიცაა საკუთრების უფლებები, რეგულირება, გადასახადები, ინფლაცია, ინფრასტრუქტურა, კორუფცია და მაკროეკონომიკური სტაბილურობა – განსაზღვრავენ ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას (მსოფლიო ბანკი, 2004). **რაც უფრო ნაკლებად მიმზიდველია ქვეყნის სამეზობლო, მით ნაკლებად მიმზიდველია კონკრეტული ინდივიდუალური სახელმწიფო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი ადგილობრივი ბაზარი მცირეა.**

სატარიფო ბარიერების შემცირების პირობებში, სასაზღვრო ბარიერები ვაჭრობაში ყველაზე მნიშვნელოვანი დეტერმინანტი გახდა. ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვით ინსტიტუტებს შეუძლიათ თავიანთი სახელმწიფოს მიმზიდველობა გააუმჯობესონ უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისთვის და ვაჭრობის შესაძლებლობები გაზარდონ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონული გლობალური წარმოების ქსელებისა და ბაზრების დაკავშირება.

ფინანსური და მონეტარული თანამშრომლობა აუმჯობესებს კაპიტალის მობილობასა და ზრდის რეგიონის მიმზიდველობას პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის, განსაკუთრებით კი მცირე ქვეყნების შემთხვევაში (მსოფლიო ბანკი, 2007). მცირე ბაზრები ნაკლებად კონკურენტულები და ნაკლებად ეფექტიანები არიან. იმისათვის, რომ გამოიყენონ ფინანსურ ბაზრებზე არსებული ეკონომიკის მასშტაბი, ზოგიერთი საბაზრო სეგმენტი შეიძლება დაიკარგოს, ან მისთვის ნაკლებად მისაღები იყოს ინვესტიციების დივერსიფიკაცია და საოპერაციო რისკები. მარეგულირებელი სტრუქტურა და დამხმარე მომსახურება უფრო ძვირია დაბალი ხარისხის ბაზრებზე. საკრედიტო ინფორმაცია რთულად არის ხელმისაწვდომი. რეგიონული და გლობალური ვაჭრობა საუკეთესო გზაა იმისთვის, რომ ეროვნული ბაზრები უცხო-

ურ ფინანსურ შუამავლებზე გავიდნენ. რეგიონულ ფინანსურ სისტემასთან სრულად ან ნაწილობრივ ინტეგრირება, ეტაპობრივად გახსნის ეროვნულ ბაზრებს საერთაშორისო კაპიტალისთვის. რეგიონული ფინანსური ინტეგრაციისგან მიღებული სარგებელი იზრდება, როცა ქვეყნების ჯგუფი შეთანხმდება, რომ ჰქონდეთ ერთიანი ვალუტა, ერთიანი ცენტრალური ბანკი და ანალოგიური რეგულაციები ფირმების ლიცენზირებისა და მარეგულირებელი სისტემის შესახებ. მაგრამ ასეთი ინტეგრაცია ამცირებს პოლიტიკურ რეაგირებას შოკებზე.

ანალოგიურად, რეგიონული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ამცირებს მანძილს სავაჭრო ეკონომიკურ პარტნიორებს შორის, როგორც სამეზობლოში, ასევე სამეზობლოსა და მსოფლიო ბაზრის ლიდერებს შორის. ელექტროენერგიის, წყლის, კავშირგაბმულობისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა ამაღლებს პროდუქტიულობას, თუმცა, სტანდარტებთან შეუსაბამოა ბევრ განვითარებად ქვეყანაში.

რეგიონული ინფრასტრუქტურა რეგიონული ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ნაწილია, მაგრამ ხშირად საჭიროებს ფინანსურ მხარდაჭერას, რადგან მოულოდნელი ხარჯები შეიძლება მაღალი იყოს. საზღვრებსშორისი პროექტების მომზადება კომპლექსურია და ინდივიდუალურ ქვეყნებს არ შეიძლება ჰქონდეთ შესაძლებლობა ჩამოაყალიბონ ტექნიკური დიზაინი და მიაღწიონ შეთანხმებას.

სამი ტიპის რეგიონალურ ინფრასტრუქტურასა და მასთან დაკავშირებულ სერვისებს შეუძლიათ ეკონომიკის მასშტაბის, ფაქტორთა მობილურობის და ქვეყნებს შორის ვაჭრობის ფორმირება:

1. **ეფექტიანობა – რეგიონული ინფრასტრუქტურის გაზრდა.** სიმძლავრე, მობილური ტელეფონები, ინტერნეტით დაკავშირება და ძირითადი მაგისტრალური გზები – ამ ყველაფრისგან შეიძლება შემოსავლის გამომუშავება საფასურის გადახდით. პროდუქტიულობა ზრდის ამ ინფრასტრუქტურულ მომსახურებაში ინვესტირების სურვილს. კერძო

კომპანია უზრუნველყოფს რეგიონულ ინფრასტრუქტურას, როდესაც ის შემოსავლის მომტანია.

2. **მობილობა – რეგიონული ინფრასტრუქტურის გაძლიერება.** თანამშრომლობა უმაღლესი განათლების სფეროში და ტრენინგები მოქმედებს არამარტო სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, არამედ ხელს უწყობს შრომის მობილობას, რადგანაც სტუდენტები განსხვავებული ქვეყნებიდან ქმნიან სახელმწიფოთაშორის ქსელებს, რაც ხელს უწყობს სოციალური და ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას.

3. **სავაჭრო მოდელები** – ქვეყნებს შორის ვაჭრობა აჩვენებს, რომ სახელმწიფოთაშორისო გზებში ჩადებული რეგიონული ინვესტიციები ხელს უწყობს რეგიონთაშორის ვაჭრობის ზრდას.

ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს კოორდინაცია, თანმიმდევრულობა, დროითი ოპერაციონალიზება და ურთიერთკონტროლი, რომელიც იმავდროულად ხელს არ უნდა უშლიდეს პოლიტიკის გამტარებლებისა და ინსტიტუტების დამოუკიდებელ საქმიანობას და გადაწყვეტილებებს. მდგომარეობა უფრო რთულ ხასიათს იძენს რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის შემთხვევაში და სირთულე არ არის დამოკიდებული იმაზე, განვითარებული ქვეყნები არიან ინტეგრაციის წევრები, განვითარებადი, თუ ორივე დონის ქვეყნები არიან წარმოდგენილი ინტეგრაციაში. ამ პროცესებთან დაკავშირებულია რეგიონული ინტეგრაციული პოლიტიკის წარმატება. მკაფიოდ განსაზღვრული სტრატეგიის არსებობის მიუხედავად წარმატების მიღწევა შეუძლებელი ხდება დროში შეუთავსებელი და არაკოორდინირებული ქმედებების მიზეზით. ამასთან, კოორდინირებულ სტიმულებს შეუძლია გადაწყვიტოს დაპირისპირება სახელმწიფოებსა და რეგიონალურ ასოციაციას შორის. მსგავსი ინიციატივების რისკს ამცირებს კომპენსაციის მექანიზმები, უკეთესი კომუნიკაცია და მონაწილეთა შეთანხმება გრძელვადიან პერსპექტივაში თანამშრომლობაზე.

ზოგჯერ, ინტეგრაციის თითოეული წევრი თანაბრად მნიშვნელოვანია. სხვა შემთხვევაში საზოგადოებრივი კეთილდღეობა დამოკიდებულია ყველაზე სუსტ ან ძლიერ წევრზე, ან მათ კომბინაციაზე. ეს დაყოფა მიუთითებს, რომ რეგიონული თანამშრომლობის მრავალფეროვანი ბუნება დამოკიდებულია ინტეგრაციის მიზანზე.

რეგიონულ თანამშრომლობაში ნდობის ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. საერთაშორისო ორგანიზაციებს შეუძლიათ დახმარება ნდობის ჩამოყალიბებაში დიპლომატიის გამოყენებით.

კონკრეტული რეგიონული შეთანხმებები შესაძლებელია სხვა შეთანხმების საფუძველი გახდეს, ისევე როგორც ეს მოხდა ევროკავშირის შემთხვევაში, როდესაც რეგიონული საწარმოო ინტეგრაციული შეთანხმება (ქვანახშირის და ფოლადის ევროპული გაერთიანება) შემდგომ სახელმწიფოთაშორის რეგიონული ინტეგრაციის საფუძველი გახდა (ევროგაერთიანება). განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში ხშირია მრავალჯერადი და გამარტივებული შეთანხმებები, თუმცა სუსტია კოორდინაცია. ამიტომ უმჯობესია შეთანხმებების და აქტივობების რაციონალიზაცია რეგიონალურ ეკონომიკურ თემებზე. თუმცა ფართო/ქოლგა შეთანხმებას შეუძლია ხელი შეუწყოს მცირე შეთანხმებებს, ან შესაძლებელია მცირე შეთანხმებების კონსოლიდაცია ქოლგა შეთანხმებების ქვეშ. გზის მოძებნა ტაქტიკური არჩევანია.

ასევე, არსებობს არჩევანი საერთო პოლიტიკური შეთანხმებების (როგორიცაა ევროკავშირის გაფართოება) დაწყებასა და ეკონომიკური კავშირების (აღმოსავლეთ აზიაში, ASEAN + 3-თან) დამყარებას შორის. ორივე მიდგომას ახასიათებს წარმატებაც და მარცხიც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაზარზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებლებით განხილვა ხაზს უსვამს შემდეგი სამი მთავარი მსოფლიო ბაზრის როლს: ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა და ჩრდილოეთით აზია, მდიდარი უბნები, სადაც ყველაზე მეტად ზრდადია მშპ. ამ ბაზრებთან სიახლოვე, საზ-

ღვრების გადალახვის შესაძლებლობები და მსოფლიო რეგიონებად ფრაგმენტაცია მკაფიოდ გვიჩვენებს ყველა სახელმწიფოს პოტენციალს, ხელი მიუწვდებოდეთ ამ ბაზარზე.

უფრო ვრცლად რომ გავაანალიზოთ რეგიონული ინტეგრაციის მოდელები, ისევ დავუბრუნდეთ ბაზრის ხელმისაწვდომობის მიხედვით განვითარებადი რეგიონების ტიპოლოგიას [მსოფლიო ბანკი; 2009]:

1. *მთავარ ბაზრებთან დაკავშირებულ რეგიონში მდებარე ქვეყნები.* ამ შემთხვევაში ინტეგრაციის ძირითადი ინსტრუმენტები ინსტიტუციურია: ფორმალური რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები, შეზღუდული სექტორის სპეციფიკური შეთანხმებები (შრომითი რესურსების მობილობა ან ბუნებრივი რესურსების გაზიარება) და სტანდარტების ჰარმონიზაცია და რეგულაციები – ყველაფრის განხორციელება ფორმალურია რეგიონული ორგანოების გარეშე.

2. *ქვეყანა, რომლის რეგიონშიც დიდი მეზობელი სახელმწიფოებია, მაგრამ მსოფლიო ბაზრებიდან შორს არიან.* ისინი მოიცავენ სამეზობლოში განვითარებადი მსოფლიოს გიგანტებს – ბრაზილიას, ჩინეთს, ინდოეთსა და სამხრეთ აფრიკას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არიან პოტენციურად მსხვილი ბაზრები, მათი ზრდა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი და გრძელვადიან პერსპექტივაში ბევრი შიდა ხარვეზი რჩება. მათთან ინტეგრაცია სხვადასხვა ხარისხის რისკია მსოფლიოს სხვადასხვა უბნისთვის – შიდა სტრუქტურიდან გამომდინარე არასტაბილურობისა და არაეფექტიანი შემოსავლის გამო. მაგრამ მათი საბაზრო პოტენციალი მიმზიდველია ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის საწარმოებისთვის. აგრეთვე, ისევე, როგორც სამხრეთ აზიაში, პოლიტიკური მოსაზრებებიც გამორიცხავს ყველა ქვეყნის ეკონომიკურ ინტეგრაცია სამეზობლოში. ამ მოდელით და არგუმენტით არამიმზიდველია აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნებისთვის ინტეგრაცია ისეთ ბაზრებთან, როგორიცაა რუსეთი და თურქეთი. ქვეყნების დაშორება ძირითადი ბაზრებიდან დაბლაა წევს მათ საერთო ქულას, მაგრამ დიდი განვითარე-

ბადი ქვეყნის მეზობლად ყოფნა ამავე ხარისხით ამაღლებს შეფასებას. შესაბამისი ინსტრუმენტები მოიცავს ინსტიტუციურ და ინფრასტრუქტურულ განვითარებას, მათ შორის რეგიონულ სატრანსპორტო დერეფნებსა და საზოგადოებრივი კეთილდღეობას.

3. *მსოფლიო ბაზრებისგან შორს მყოფი ქვეყნები დიდი მეზობლის გარეშე* (კოლიერი, 2007). ასეთი ქვეყნები ჩაბმულნი არიან კონფლიქტში, განიცდიან ბუნებრივი რესურსების ნაკლებობას, არ აქვთ კავშირი მეზობელ სახელმწიფოებთან ან ჰყავთ ცუდი მმართველობა. უმეტესობას, ძირითადად, გააჩნიათ მცირე, დაბალი საბაზრო წვდომის პოტენციალი. მსოფლიო ბაზრებისგან სიშორის გამო, ხასიათდებიან დაბალი ეკონომიკური სიმჭიდროვით. ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული ინსტრუმენტების გარდა, მათ სჭირდებათ კოორდინირებული წახალისება რეგიონული ინტეგრაციისთვის. ეს წახალისება მოიცავს საბაჟო ტრანსფერებსა და სხვა შემოსავლების წყაროებს, პირდაპირ დახმარებასა და შეღავათიან ბაზარზე ხელმისაწვდომობას.

სამივე ტიპის ქვეყნებს აქვთ ბაზრზე უფრო დაბალი ხელმისაწვდომობის პოტენციალი, ვიდრე მდიდარ ქვეყნებს, რაც მნიშვნელოვანია უფრო ეფექტიანი ეკონომიკური ინტეგრაციისათვის. თითოეული ამ ტიპის ქვეყნის, ეკონომიკური ინტეგრაციის სტრატეგიები და პრიორიტეტები განსხვავდება. როგორც კი ბაზრის ხელმისაწვდომობის პოტენციალი მცირდება, ინტეგრაციის პრობლემა უფრო მასშტაბური ხდება. ჩნდება ინსტრუმენტების ფართო სპექტრის საჭიროება და ინტეგრირების ეფექტიანად მართვა.

რათქმაუნდა, ქვეყნების ეკონომიკური წარმატება მხოლოდ რეგიონულ ინტეგრაციას არ უკავშირდება. შეიძლება ქვეყნებმა სხვა სტრატეგიით შეძლონ წარმატების მიღწევა. მაგალითად, ჩილე, დიდი ბაზრებისგან დაშორებით მდებარე შედარებით პატარა ქვეყანაა, მაგრამ მან ზრდას მიაღწია მსოფლიო ბაზარზე ექსპორტით, მნიშვნელოვანი რეგიონული ინტეგრაციის გარეშე. ასევე, სპეციფიკური შემთხვევაა

რუსეთი თავისებური ეკონომიკური გეოგრაფიის გამო, რომელიც მოიცავს 11 ზონას. მისი ყველაზე დასახლებული პუნქტები და ყველაზე განვითარებული დასავლური ნაწილი დაკავშირებულია ევროპასთან. აგრეთვე, აღმოსავლეთ აზიის დაუსახლებელ ტერიტორიებსა და ნაკლებად დასახლებულ ციმბირთან. რუსეთის ერთი ნაწილი, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან დაკავშირებულია პოლიტიკურად და ეკონომიკურად. იგი შეიძლება ჩაითვალოს სამეზობლოში მსოფლიო ბაზრისგან შორს მდებარე დიდ სახელმწიფოდ. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მისი ეკონომიკის ცენტრი დასავლეთის ნაწილშია, რუსეთი მთავარ ბაზრებთან დაკავშირებულ ქვეყნად მიიჩნევა (პირველ ჯგუფში).

რუსეთის მაგალითი ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რომ ბაზრის პოტენციალის კონცეფცია არის არა ქვეყნის მასშტაბის, არამედ სივრცობრივი სპეციფიკის მატარებელი. მაგრამ ბევრ განვითარებად ეკონომიკას აქვს სფეროები, რომლის ბაზრებიც ცუდი ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გამო სხვა ქვეყნებში პოტენციურად უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში. ამიტომ, რეგიონული ინტეგრაციული სტრატეგიები შეიძლება გამოყენებულ იქნას სწორედ სივრცობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.

იბადება კითხვა: რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა შეუძლიათ ქვეყნებს რეგიონული ინტეგრაციის, უკეთესი სამეზობლოს ჩამოყალიბებისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიმართულებით?

• **ინტეგრაციის ვარიანტები მსოფლიო ბაზრებთან ახლოს მყოფი ქვეყნებისთვის**: ბაზრის ხელმისაწვდომობა აუცილებელია ზრდისთვის, ხოლო ბაზართან სიახლოვე – წარმოებისთვის. მალფუჭებადი საქონლის (ახალი ხილი და ბოსტნეული) ექსპორტისთვის მისაღებია ახლომდებარე ბაზრები. სავაჭრო მომსახურებისთვის, როგორიცაა მარკეტინგი, კვლევა და ტექნოლოგიური ამოცანების შესახებ კომპლექსური ინფორმაცია – არსებითია პირისპირ ურთიერთობა და ახლოს მყოფი მომხმარებელი. ამდენად მსოფლიო ბაზ-

რებთან ახლოს მყოფ სახელმწიფოებს აქვთ თანდაყოლილი უპირატესობა კავშირი ჰქონდეთ ბაზრებთან, მიმწოდებლებთან და იდეებთან. და პირიქით, მდიდარი მსოფლიო რეგიონებისთვის – ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა და ჩრდილო-აღმოსავლეთი აზია – განვითარებად რეგიონებთან ახლომდებარეობა ზრდის მათ პოტენციალსა და ქმნის პლატფორმებს მათი კომპანიების საქმიანობისთვის. არსებობს ერთობლივი მიღწევები რეგიონული თანამშრომლობისთვის და ინტეგრაცია მიმდინარე პროცესების შემდგომ გაღრმავებას წარმოადგენს.

ამასთან, მსოფლიო ბაზრებთან დაახლოებული ქვეყნებისათვის **ინსტიტუციონალური რეფორმებისა და შიდა მმართველობის გაუმჯობესების** ამოსავალი წერტილია ახლოს მდებარე მსხვილი ბაზრებთან სრული ინტეგრირება. მარტო თავისუფალი ვაჭრობა ინტეგრაციის სარგებელს ბოლომდე არ მოიტანს. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთს ჰქონდა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან მრავალი წლის განმავლობაში, ძირითადი ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებამდე არ დაწყებულა ასოცირების შესახებ მოლაპარაკებები. მსოფლიო ბაზრებთან დაახლოებული სახელმწიფოების პოლიტიკა და მმართველობის სტანდარტები უნდა გავრცელდეს მათთან ახლოს მდებარე მაღალი შემოსავლის მქონე რეგიონზე. დიდ ბაზართან მდებარეობა ძლიერი სტიმულია უზრუნველყოს მისი სამეზობლოს სტაბილურობა: ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივამ გაზარდა რეფორმების ტემპი ევროპის ცენტრალურ ნაწილში.

ინსტიტუციური რეფორმები მოიცავს მაკროეკონომიკურ განვითარებას, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ინფლაციასა და ეფექტიან ფისკალურ სისტემასთან. ისინი ასევე მიმართულია ინსტიტუციონალური ჩარჩოს გაუმჯობესებისკენ, რომელიც კორუფციას ზღუდავს და მმართველობის ეფექტიანობას ზრდის.

მცირე ქვეყნებს მსოფლიო ბაზარზე შესვლისთვის ქვეყნებს სჭირდებათ ეფექტიანი სატელეკომუნიკაციო სისტემა და მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა. ხშირად ვხვდებით რეგიონულ მხარდაჭერას მცირე ქვეყნებისათვის ამ ტიპის საჭიროებების უზრუნველსაყოფად, მაგრამ ხშირად კოორდინაციის არარსებობას ვაწყდებით.

• **ინტეგრაციის ვარიანტები ქვეყნებისთვის, რომელთაც ჰყავთ დიდი მეზობლები, მაგრამ შორს არიან მსოფლიო ბაზრებიდან:** დიდი საშინაო ბაზარი მიმზიდველია სამრეწველო საქმიანობისთვის. თუ ეს უკანასკნელი კარგად არის დაკავშირებული მსოფლიო ბაზართან, უპირატესობა ძლიერდება. მაგრამ ქვეყნების მეორე ჯგუფი შორს არის მსოფლიო ბაზრებისგან. მათ შეუძლიათ გლობალური ინტეგრაციის შევსება უფრო ძლიერი რეგიონული ბაზრის შექმნით.

დიდი ქვეყნების სამეზობლოების კონკურენტული უპირატესობა არის დიდი ადგილობრივი ბაზრები, უხვი კაპიტალი, მნიშვნელოვანი ფულადი გზავნილები. მასშტაბური ეკონომიკა, როგორიცაა ნავთობისა და ქვანახშირის პროდუქცია, ფარმაცევტული, ელექტრონული მანქანები, რკინის და ფოლადის წარმოება. ინტეგრაციის ინსტრუმენტია – კონცენტრირება წამყვან ქვეყნებზე, რომლებსაც აქვთ ძლიერი ეკონომიკა და უკეთესი ბაზრის ხელმისაწვდომობა. მსგავსი გამოწვევები მოითხოვს ისეთი ინსტიტუტების უზრუნველყოფას, როცა პოლიტიკა და მთავრობა ორიენტირებულია ვაჭრობის, ფაქტორთა მობილობის, რეგიონული ზრდის, წამყვანი და ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოების ინფრასტრუქტურის დაკავშირების და რეგიონული ეკონომიკური კავშირების ხელშეწყობაზე. ასევე, რეგიონული წარმოების ქსელების ინტეგრირებაზე გლობალურ ეკონომიკასთან.

საზოგადოებრივი კეთილდღეობა რეგიონის ფარგლებში მის თითოეულ წევრზე განსხვავებული ხარისხით აისახება. მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან რეგიონული თანამ-

შრომლობა განიხილება, როგორც ძლიერი წევრების მიერ მართული პროცესი, ეს ვალიდურია მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში და დამოკიდებულია საზოგადოებრივი კეთილდღეობის ტიპის, სამშვიდობო პროცესების, კვლევის, საერთო ინფრასტრუქტურასა და სხვა ფაქტორებზე. სხვა ტიპის შემთხვევაში დაკავშირებულია ინსტიტუციურ რეფორმებზე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია რეგიონის სუსტ წევრებზე. ამ შემთხვევებში, ზოგ სუსტ წევრ სახელმწიფოსათვის შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობა ზრდის საერთო რეგიონული ინტეგრაციის განვითარებას.

მსოფლიო ბაზრებისგან მოშორებით მდებარე დიდი სახელმწიფოების მეზობელი მცირე ქვეყნების ინფრასტრუქტურაში ინვესტირების ხარჯები და სარგებელი განსხვავებულია. საერთაშორისო სატრანზიტო შეთანხმებები ხშირად საერთაშორისო თანამეგობრობის, ან რეგიონული ინსტიტუტების მხარდაჭერას საჭიროებს. მაგალითად, სამხრეთი აზიის სუბრეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა (SASEC) და აზიის განვითარების ბანკი ხაზს უსვამს, რომ ასეთი სასაზღვრო თანამშრომლობა შეიძლება სასარგებლო იყოს ყველა ქვეყნისთვის.

- **ინტეგრაციის ვარიანტები მსოფლიო ბაზრებისგან შორს მყოფი ქვეყნებისთვის დიდი მეზობლის გარეშე.** იზოლირებული ქვეყნების სამეზობლოს გამოწვევაა რეგიონული და გლობალური ინტეგრირება. მათი გეოგრაფიული მდებარეობა მიანიშნებს, რომ ინტეგრაციის ხარისხი იშვიათად იქნება მაღალი სხვა ქვეყნების მსგავსად. ასე რომ, წარმატებული ვაჭრობის პერსპექტივები თითქოს უფრო შეზღუდულია. თუმცა, პირიქით, მათი იზოლაცია მთავარი ბაზრებიდან მათ ბუნებრივ დაცვას უზრუნველყოფს.

ამრიგად, მსოფლიო ბაზრებიდან შორს მყოფი მცირე ქვეყნებით დაკომპლექტებულმა სამეზობლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ სპეციფიკურ ინსტიტუტებზე, რომელთა საქმიანობაც მიმართულია თანამშრომლობის განვითარებაზე. მართალია, არსებობს საერთაშორისო შეთანხმებე-

ბი, მაგრამ რეალობაში მათი გატარება ვერ ხდება და დაბალეფექტიანია. ამასთან, შეთანხმებების მონაწილეთა ადმინისტრაციული ხარჯები ძალიან მაღალია.

ასეთი ქვეყნების რეგიონულ გაერთიანებებს აქვთ დამატებითი ეკონომიკური შესაძლებლობები: საერთაშორისო და რეგიონული აეროპორტები, სპეციალიზებული უნივერსიტეტები და ტრენინგ ცენტრები სოფლის მეურნეობის მეცნიერებაში, რკინიგზებისა და პორტის მეშვეობით ქალაქებს შორის კავშირი, საფეიქრო მრეწველობა და ა.შ. ინფრასტრუქტურისა და რეგიონული მრეწველობის განვითარების ფარგლებში საფეიქრო წარმოების პროდუქცია შეიძლება გახდეს კონკურენტუნარიანი გლობალურ ბაზარზე. ასეთი ინიციატივებიც მონაწილე ქვეყნების, რეგიონული ასოციაციებისა და საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერას მოითხოვს. მცირე იზოლირებული ქვეყნები რეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტების ძლიერ გარე მხარდაჭერას საჭიროებენ. მნიშვნელოვანია საჯარო და კერძო პარტნიორობის შესაძლებლობები ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებაში. არსებობს მხარდაჭერის შესაძლებლობები რეგიონული განვითარების ბანკებიდან და გლობალური საფინანსო ინსტიტუტებიდან.

თავი II. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის განსხვავებული ფორმები, ფუნქციონირების თავისებურებები და პრაქტიკული შედეგები

2.1. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმები დასავლეთ ევროპაში

დასავლეთ ევროპული ქვეყნების განვითარებაზე გადამწყვეტი გავლენა აქვთ სახელმწიფოთაშორის დონეზე განვითარებულ ინტეგრაციულ პროცესებს. ინტეგრაცია ეს ობიექტური ეკონომიკური პროცესია, რომელიც მიმართულია გაერთიანებული ქვეყნების ფარგლებში ჩამოყალიბებული შრომის საერთაშორისო დანაწილების მოთხოვნების პრაქტიკული რეალიზაციისკენ.

ცხრილი 2. 1 დასავლეთ ევროპის ქვეყნების მრავალმხრივი ეკონომიკური ორგანიზაციები

ორგანიზაციის დასახელება	წევრთა რაოდენობა
ევროკავშირი (ეკ)	28
ევროპული სავალუტო კავშირი (ესკ)	19
ევროპული საინვესტიციო ბანკი (ესბ)	27
თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია (თვეა)	4
ევროპის ეკონომიკური სივრცე (ეეს)	12
ბალტიის ზღვის სახელმწიფოთა საბჭო	11
ტრანსპორტის მინისტრთა ევროპული კონფერენცია	41
სამოქალაქო ავიაციის ევროპული კონფერენცია	44
საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ევროპული ასოციაცია	20
ევროპული კოსმოსური სააგენტო	22
რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი	66

ევროკავშირი[6]. ევროკავშირის (European Union) საფუძველს წარმოადგენს ევროპის გაერთიანება (European Community), რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1957 წელს და რომელმაც გააერთიანა სამი ორგანიზაცია: ეეგ (ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, რომელიც რომის ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა 1957 წელს), ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება (1951) და ატომური ენერგიის ევროპული გაერთიანება (1957)[7].

II მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის სახელმწიფოებმა, მომავალში მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტიებისათვის გზებისა და საშუალებების ძიებისას, 1951 წელს ევროკავშირს ჩაუყარეს საფუძველი. იგი ექვსი ქვეყნის – ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, ნიდერლანდები – გაერთიანებით დაიწყო და 1995 წლისათვის უკვე თხუთმეტ წევრ სახელმწიფოს (ავსტრია, ბელგია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ესპანეთი, შვედეთი და გაერთიანებული სამეფო) ითვლიდა. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ქმნიან რა პარტნიორულ გაერთიანებას, მათი მიზანია ხელი შეუწყონ დემოკრატიის და მშვიდობის განვითარებას, მოქალაქეთა კეთილდღეობას და დოვლათის სამართლიან განაწილებას.

ევროკავშირი სათავეს იღებს რამდენიმე ხელშეკრულებიდან, რომელთა უმთავრესი მიზანია ომისშემდგომ ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვა და ეკონომიკური ინტეგრაციის მეშვეობით წევრი ქვეყნების ერთობლივი განვითარება. პირველი ხელშეკრულება – ქვანახშირისა და ფო-

---

[6] მასალა დამუშავებულია ევროკავშირის ოფიციალური ვებ-გვერდის (http://europa.eu/) მონაცემებზე დაყრდნობით. ასევე, გამოყენებულია სასწავლო კურსის „ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროლავშირისკენ მიმავალ გზაზე“ მასალები (ლეკაშვილი, გველესიანი, ყუფარაძე,მაისურაძე, 2013).

[7] http://infocenter.gov.ge/euinfo–e–library/ (15.01.2018)

ლადის ევროპული გაერთიანების შესახებ -1951 წელს დაიდო, რათა სულ ცოტა ხნის წინ ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების ქვანახშირისა და ფოლადის პროდუქცია ერთიან, ზესახელმწიფოებრივ კონტროლს დაქვემდებარებოდა. ამ ხელშეკრულების ძირითადი მიზანი იყო ევროპის მრეწველობის აღორძინება.

ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების წარმატებამ წევრ სახელმწიფოებს უბიძგა ატომური ენერგიის ევროპული გაერთიანების შესახებ ხელშეკრულება ("ევრატომი") გაეფორმებინათ, აგრეთვე, ბევრად უფრო მრავალმხრივი ხელშეკრულება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დაფუძნების შესახებ; ეს ხელშეკრულებები 1957 წელს გაფორმდა. ხელშეკრულება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ, "რომის ხელშეკრულების" სახელით არის ცნობილი. იგი მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაციის პროგრამას ითვალისწინებდა. ეკონომიკური ინტეგრაცია დაიწყო თავისუფალი ვაჭრობის ზონით, რაც შემდგომში საბაჟო კავშირად გარდაიქმნა, ხოლო 1993 წლიდან იქცა ერთიან ევროპულ ბაზრად საერთო წესებითა და კანონმდებლობით ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ევროპის კავშირში ინტეგრაციული პროცესების მთავარი მიზნები განსაზღვრულია ძირითადი დოკუმენტებით, როგორებიცაა:

- რომის ხელშეკრულება (1957);
- ერთიანი ევროპული აქტი (1987);
- მაასტრიხტის ხელშეკრულება (1992);
- ამსტერდამის ხელშეკრულება (1997).

ევროკავშირის ძირითადი დოკუმენტი დღეისათვის არის 2003 წლის „მიერთების შეთანხმება“, რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 1 მაისს. ზემოთაღნიშნული შეთანხმებებით განსაზღვრული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის

ვალდებულებები ჩამოყალიბდა ერთიან დოკუმენტში, ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტში.

ეკ-ის წევრები არიან ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი, შვედეთი, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, უნგრეთი, ლიტვა, ლატვია, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, რუმინეთი, ხორვატია. 2017 წლის მონაცემებით, ევროკავშირის საერთო ფართობია 3 892 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა 505.17 მლნ-ია და მშპ 14.82 ტრილიონი ევროა. სულადობრივი შემოსავალი 7 ათასიდან 78 ათას დოლარამდე მერყეობს.[8]

1970-იან წლებში ევროპის ეკონომიკურმა გაერთიანებამ შეიმუშავა საერთო დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკის საკითხებისადმი, რაც ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის სახელით არის ცნობილი. ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა ოფიციალურად 1986 წელს მიღებულ ერთიან ევროპულ აქტში გაფორმდა. 1992 წელს დადებულ ხელშეკრულებაში ევროკავშირის შესახებ, რომელსაც "მაასტრიხტის ხელშეკრულებასაც" უწოდებენ, ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა გადაიზარდა უფრო თანმიმდევრულ და მრავლისმომცველ საერთო საგარეო და თავდაცვით პოლიტიკად. მაასტრიხტის ხელშეკრულებამ ეკონომიკური ინტეგრაცია კიდევ უფრო წინ წასწია ეკონომიკური და მონეტარული ერთიანობის სტრუქტურის შემუშავებითა და 1999 წელს ერთიანი ევროპული ფულადი ერთეულის – ევროს შემოღებით. 1997 წელს ევროკავშირმა ახალი, ამსტერდამის ხელშეკრულება დადო. ამ ხელშეკრულების ოთხი მთავარი მიზანია მოქალაქეთა დასაქმება და მათი უფლებები, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის ზონის შექმნა, მსოფლიო მასშტაბის საქმეებში ევროპის ხმის მომძლავრება და ევროკავშირის ინსტიტუციური სტრუქტურე-

[8] https://www.statista.com/topics/921/european-union (15.01.2018)

ბის მეტი ეფექტიანობის მიღწევა ევროკავშირის გაფართოების გათვალისწინებით.

1993 წლის ივნისში ევროპულმა საბჭომ კოპენჰაგენის სამიტზე აღიარა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების უფლება შეუერთდნენ ევროპის კავშირს, თუ დააკმაყოფილებენ შემდეგ სამ კრიტერიუმს:

- პოლიტიკური კრიტერიუმი: სტაბილური ინსტიტუტები, რომლებიც წარმოადგენენ დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა დაცვისა და უმცირესობათა პატივისცემის გარანტიას;
- ეკონომიკური კრიტერიუმი: მოქმედი საბაზრო ეკონომიკა და უნარი მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის ერთიანი პოლიტიკის სფეროებში;
- გაერთიანების სამართლის გადმოტანა ქვეყნის საშინაო სამართალში (ინკორპორირება): ევროპის კავშირის სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და ფულადი სახის მიზნებისადმი ერთგულება.

მადრიდის ევროპულმა საბჭომ 1995 წლის დეკემბერში დაადასტურა ეს კრიტერიუმები და ხაზი გაუსვა განმცხადებელი ქვეყნების ადმინისტრაციული სტრუქტურების ადაპტირების აუცილებლობას ეტაპობრივი ინტეგრაციის პირობების შესაქმნელად.

ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 49-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერ ევროპულ ქვეყანას უფლება აქვს, გააკეთოს განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების სურვილის შესახებ.

1997 წლის დეკემბერში ლუქსემბურგის ევროპულმა საბჭომ გადაწყვიტა მოლაპარაკებების დაწყება ექვს ქვეყანასთან: კვიპროსთან, ჩეხეთთან, ესტონეთთან, უნგრეთთან, პოლონეთთან და სლოვენიასთან. ეს ექვსი ქვეყანა ქმნიდა გაფართოების პირველ ტალღას. მეორე ტალღა მოიცავდა ხუთ ქვეყანას: ბულგარეთს, ლატვიას, ლიტვას, რუმინეთსა და სლოვაკეთს. მოლაპარაკებათა მიმდინარეობა დამოკიდე-

ბული იყო აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროგრესზე.

2002 წლის დეკემბერში კოპენჰაგენის ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ათი აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპული ქვეყნის ევროპის კავშირში მიღების თაობაზე. ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი და ჩეხეთი 2004 წლიდან ევროკავშირის წევრები გახდნენ. რაც შეეხება ბულგარეთსა და რუმინეთს, 2007 წლისათვის ეს ორი ქვეყანაც შეუერთდა ევროპის კავშირს.

აღსანიშნავია, რომ შვეიცარიამ, ლიხტენშტეინმა და ნორვეგიამ სხვადასხვა დროს განაცხადეს ევროპის კავშირში გაწევრიანების სურვილის შესახებ. მიუხედავად ამისა, 1972 და 1994 წლებში გამართულ რეფერენდუმებზე ნორვეგიელებმა უარი თქვეს ევროპის გაერთიანებაში გაწევრიანებაზე. ლიხტენშტეინისა და შვეიცარიის განაცხადები კი შეჩერდა მას შემდეგ, რაც შვეიცარიამ რეფერენდუმის გზით უარი თქვა ევროპის ეკონომიკურ ზონაში გაწევრიანებაზე.

ეკონომიკური და სავალუტო კავშირის დაარსებისათვის წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკის მდგრადი ურთიერთთავსებადობის მისაღწევად მაასტრიხტის ხელშეკრულება ითვალისწინებს ხუთ კრიტერიუმს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს თითოეული წევრი სახელმწიფო ეკონომიკური და სავალუტო კავშირის მესამე ეტაპზე გადასვლამდე. კომისია და ევროპის ცენტრალური ბანკი მუდმივად ამოწმებენ აღნიშნული კრიტერიუმების შესრულებას. ეს კრიტერიუმებია:

- ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიგა პროდუქტის 3 პროცენტს;
- სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიგა პროდუქტის 60 პროცენტს;
- უნდა შენარუნდეს ფასების სტაბილურობა და ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი შემოწმებამდე ერთი წლის განმავლობაში. კერძოდ, ინფლაცია ერთნახევარ პროცენ-

ტზე მეტად არ უნდა აღემატებოდეს სამი ყველაზე წარმატებული წევრი სახელმწიფოს მონაცემებს;

- უნდა არსებობდეს გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც სამი ყველაზე წარმატებული ქვეყნის მაჩვენებელს არ უნდა აღემატებოდეს ორ პროცენტზე მეტად;

- უნდა მოხდეს ევროპულ სავალუტო სისტემაში არსებული სავალუტო გაცვლითი კურსების მექანიზმით გათვალიწინებული საზღვრების დაცვა ორი წლის განმავლობაში. ურთიერთთავსებადობის კრიტერიუმების დანიშნულებაა, რომ ეკონომიკურმა განვითარებამ ეკონომიკურ და სავალუტო კავშირის შიგნით პრობლემები არ შეუქმნას თითოეულ წევრ სახელმწიფოს. ამასთანავე, სახელმწიფო ვალთან და დეფიციტთან დაკავშირებული კრიტერიუმები უნდა სრულდებოდეს მესამე ეტაპის დაწყების შემდეგაც. ამ მიზნის მისაღწევად 1997 წელს ამსტერდამის ევროპული საბჭოს მიერ მიღებულ იქნა სტაბილურობის პაქტი.

ევროკავშირის საფინანსო ორგანიზაციებია: ევროპის ცენტრალური ბანკი და ევროპის საინვესტიციო ბანკი.

ევროპის კავშირის ბიუჯეტი საკუთარი სახსრებით ფინანსდება 1970 წლიდან. მანამდე ევროგაერთიანების ბიუჯეტი წევრი სახელმწიფოების შენატანებისაგან ყალიბდებოდა. დღეს ევროკავშირის ბიუჯეტის დაფინანსების წყაროებია: 1) გადასახადი სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტზე; 2) საბაჟო მოსაკრებელი, რომელიც იკრიბება ევროკავშირის საზღვრებზე; 3) გადასახადი დღგ-დან, რომელიც შეადგენს თითოეულ წევრ სახელმწიფოში აკრეფილი დღგ-ის 1%-ს; 4) გადასახადი თითოეული წევრი სახელმწიფოს მთლიან ეროვნულ პროდუქტზე.

ბიუჯეტის მიღების პროცედურა განსაზღვრულია რომის ხელშეკრულების 272-ე მუხლით და მოიცავს რამდენიმე საფეხურს.

ეკონომიკური და სავალუტო კავშირი წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური და სავალუტო პოლიტიკის ჰარმონი-

ზების შედეგად შეიქმნა. მთლიანი პროცესი კი ერთიანი ვალუტის შემოღებით დასრულდა. მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნამდე წევრმა სახელმწიფოებმა სამი ეტაპი გაიარეს:

– პირველი ეტაპი (1 ივლისი 1990 – 31 დეკემბერი 1993) – წევრ სახელმწიფოებს შორის კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა, ეკონომიკური პოლიტიკის მჭიდრო კოორდინაცია და ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკებს შორის მჭიდრო თანაშრომლობის დამყარება;

– მეორე ეტაპი (1 იანვარი 1994 – 31 დეკემბერი 1998) – წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკური და სავალუტო პოლიტიკის ურთიერთთავსებადობის მიღწევა ფასების სტაბილურობისა და მყარი სახელმწიფო ფინანსების უზრუნველსაყოფად;

– მესამე ეტაპი (1 იანვარი 1999) – შეიქმნა ევროპის ცენტრალური ბანკი, დაფიქსირდა კურსი ევროპულ ვალუტებს შორის და შემოღებულ იქნა ერთიანი ვალუტა – ევრო.

ევრო 2001 წლის იანვრამდე მხოლოდ ნომინალურად არსებობდა. 2001 წლის დასაწყისიდან კი ევროკავშირის იმ ქვეყნებში, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს შემოეღოთ ერთიანი ვალუტა, მიმოქცევაში შემოვიდა ევროს ბანკნოტები. ევროზონაში გაერთიანებული სახელმწიფოების ფულად პოლიტიკას ევროპის ცენტრალური ბანკი წარმართავს, რომლის უმთავრესი ამოცანა ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაა.

ევროკავშირის ძირითად მიღწევად უნდა ჩაითვალოს ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფა წევრ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა შეიარაღებულ კონფლიქტებში და დემოკრატიული თანხმობა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საერთო მიზნები.

ევროკავშირის ინსტიტუტები. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ გარკვეულ სფეროებში გააერთიანონ თავიანთი სუვერენიტეტი და რესურსები. შეთანხმე-

ბულ პოლიტიკას ამ სფეროებში ევროკავშირის ინსტიტუტები ატარებენ.

კავშირის ძირითად პოლიტიკურ ინსტიტუტებს ეკუთვნის: **ევროპის საბჭო**, რომლის მიზანია დასახოს კავშირის პრიორიტეტები და განსაზღვროს სამომავლო პოლიტიკა. საბჭოს სხდომები იმართება წელიწადში ორჯერ;

მინისტრთა საბჭო, გადაწყვეტილებათა მიღების უფლებამოსილებით აღჭურვილი, წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისგან შემდგარი ორგანოა. საბჭოს ფარგლებში მრავალი შეხვედრა იმართება, მაგალითად, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და სხვა დარგებში. საბჭოს სხდომებში მონაწილეობენ ამ დარგების მინისტრები ყოველი წევრი სახელმწიფოდან და იღებენ გადაწყვეტილებებს მიმდინარე საკითხებზე. მინისტრები კოორდინირებას უწევენ წევრი სახელმწიფოების ეროვნულ პოლიტიკას იმ დარგებში, რომლებზეც მათ პასუხისმგებლობა აკისრიათ;

ევროკომისია მთავარი აღმასრულებელი ორგანოა, რომელსაც საკანონმდებლო ინიციატივის უფლებაც აქვს. ევროკომისიას სათავეში 20 ევროკომისარი უდგას. იგი ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს წევრი ქვეყნების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ადექვატურად შესრულებას. ევროკომისია ევროკავშირისათვის საერთო გადაწყვეტილებების მიღების პროცესის უშუალო მონაწილეა. კომისიის წევრებს შორის ფუნქციები მკაცრად არის განაწილებული.

ევროპარლამენტი ევროპის მოქალაქეთა წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც პირდაპირი გზით არის არჩეული. ის განიხილავს წინადადებებს საკანონმდებლო სფეროში, გადამწყვეტ სიტყვას ამბობს ევროკავშირის ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ევროკავშირის ინსტიტუტები სხვადასხვა ქვეყნებში და ქალაქებშია განთავსებული: ბრიუსელი (ბელგია), სტრასბურგი (საფრანგეთი), ლუქსემბურგი (ლუქსემბურგი), მაინის ფრანკფურტი (გერმანია). ევროკავშირს ოფიციალური პო-

ლიტიკური ცენტრი არ აქვს, თუმცა დე-ფაქტო დედაქალაქად ბრიუსელი ითვლება.

ევროკავშირში შემდეგი ფუნქციონირებს შემდეგი ორგანიზაციები:

- შიგა ბაზრის სრულყოფის სამმართველო (ესპანეთი);
- ევროპის სავალუტო ინსტიტუტი და ევროპის ცენტრალური ბანკი (გერმანია);
- ვეტერინარული და ფიტოსანიტარული ინსპექციის ბიურო (ირლანდია);
- ნარკოტიკების გავრცელების კონტროლის ევროპული სამმართველო (პორტუგალია);
- ევროპოლი (ნიდერლანდები);
- ჯანდაცვის და შრომის დაცვის ევროპული სააგენტო (ესპანეთი);
- სამედიცინო პრეპარატების ექსპერტიზის ევროპული სააგენტო (დიდი ბრიტანეთი);
- გარემოს დაცვის ევროპული სააგენტო (დანია);
- განათლების ევროპული ფონდი (იტალია);
- პროფესიული განათლების განვითარების ევროპული ცენტრი (საბერძნეთი);
- ეკ-ს გზავნილებების ცენტრი; ევროპული პატენტების სააპელაციო სასამართლო (ბელგია).

ევროკავშირი ახალი ტიპის სტრუქტურაა, რომელიც არ ჯდება ტრადიციულ სამართლებრივ კლასიფიკაციაში. მისი პოლიტიკური სისტემა ისტორიულად უნიკალურია, იგი 60 წლის მანძილზე ვითარდებოდა. შეთანხმებები ანუ ხელშეკრულებები, რომლებიც პირველადი კანონმდებლობის სახელითაა ცნობილი, საფუძვლად უდევს დიდი მოცულობის მეორად კანონმდებლობას, რომელსაც უშუალო ზეგავლენა აქვს ევროკავშირის მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მეორადი კანონმდებლობა ძირითადად შედგება ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ მიღებული დებულებებისა-

გან, დირექტივებისა და რეკომენდაციებისაგან. კანონმდებლობა ზოგად პოლიტიკასთან ერთად არის იმ გადაწყვეტილებების შედეგი, რომლებსაც ინსტიტუტები იღებენ.

ევროკავშირის ორგანიზაციული სტრუქტურა იყოფა სამ „საყრდენ სვეტად“: პირველი წარმოადგენს ევროკავშირის წინამორბედ სამ საერთაშორისო ორგანიზაციათაგან ორს: ევროპული გაერთიანებას (ყოფილ ევროპულ ეკონომიკურ გაერთიანებას) და ატომური ენერგიის ევროპულ გაერთიანებას (ევრატომს). მესამე ორგანიზაციამ – ნახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება – შეწყვიტა არსებობა 2002 წელს; მეორე საყრდენს წარმოადგენს „საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა“; მესამე საყრდენი არის სისხლის სამართლის საქმეებში პოლიციური და სასამართლო თანამშრომლობა.

ეს „საყრდენი სვეტები“ თავიანთი არსის მიხედვით არათანაბარზომიერია: ევროპული გაერთიანების როლი არსებითად აჭარბებს სხვა ორი თანამშრომლობის ფორმას. იგი წყვეტს საკითხებს საერთო ბაზრის, საბაჟო კავშირის, ერთიანი ვალუტის, საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკისა და საერთო თევზჭერის პოლიტიკის შესახებ. თითოეულ საყრდენს ახასიათებს თავისი მექანიზმები, მაგრამ ყველა მათგანი სარგებლობს ევროკავშირის ორგანოების ერთიანი სისტემით.

დღესდღეობით ევროკავშირის, ევროპული გაერთიანებისა და „ევრატომის“ წევრობა ერთი და იგივეა. კავშირში შესული ყველა სახელმწიფო ავტონომიურად ხდება ყველა ამ გაერთიანების წევრი.

ევროკავშირის ძირითადი ორგანოების და ინსტიტუტების აღწერისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ სახელმწიფოებისთვის ტრადიციული დაყოფა აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოებად, ევროკავშირისთვის არ არის დამახასიათებელი.

„ევროკავშირის“ გაერთიანების ხელშეკრულების შესრულება აკისრია ხუთ ძირითად ინსტიტუტს. ესენია: ევროკავშირის საბჭო, ევროკავშირის კომისია, ევროკავშირის სა-

სამართლო, ევროკავშირის პარლამენტი და აუდიტორთა სასამართლო. ევროკავშირის საბჭო და ევროკავშირის კომისია ადმინისტრაციულ შტოს წარმოადგენენ. სასამართლო და პარლამენტი კი იურიდიულ და საკანონმდებლო სტრუქტურებს. აუდიტორთა სასამართლო კი იკვლევს და აკონტროლებს გაერთიანების ანგარიშგებას.

ევროკავშირის საბჭო. ევროკავშირის საბჭო რეალური ძალაუფლების მქონე ინსტიტუტია, რომელიც წარმოდგენილია წევრი სახელმწიფოების მთავრობათა წევრებით. საბჭო არის გადაწყვეტილებების მიმღები ძირითადი ინსტიტუტი, თუმცა მისი უფლებამოსილებები განსაზღვრულია სადამფუძნებლო ხელშეკრულების საფუძველზე. გარდა ამ სახელშეკრულებლო შეზღუდვისა, ევროკავშირის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს კომისიის შემოთავაზებითა და პარლამენტთან, ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან და, ასევე, რეგიონალურ კომიტეტთან კონსულტაციის შედეგად. ევროკავშირის საბჭო შედგება 28 წევრისაგან, რომლებიც წევრი ქვეყნების მინისტრები არიან. ძირითადად ევროკავშირის საბჭოს შეხვედრებზე იკრიბებიან საგარეო საქმეთა მინისტრები, დანარჩენ შემთხვევებში კი სხვადასხვა მინისტრები – იკრიბებიან მათი განსახილველი საკითხების შინაარსიდან გამომდინარე.

ის, თუ რომელ სხდომას რომელი მინისტრი დაესწრება, დამოკიდებულია დღის წესრიგის საკითხებზე. თუ, მაგალითად, საბჭომ გარემოსდაცვითი საკითხები უნდა განიხილოს, სხდომას დაესწრებიან გარემოს დაცვის მინისტრები ევროკავშირის ყოველი წევრი სახელმწიფოდან და სხდომას „გარემოსდაცვითი საბჭო“ დაერქმევა. ევროკავშირის ურთიერთობას მსოფლიოსთან განიხილავს „ზოგად საქმეთა და საგარეო ურთიერთობათა საბჭო“. თუმცა ამ საბჭოს უფრო ფართო, პასუხისმგებლობაც აკისრია ზოგადი პოლიტიკის სფეროში, ამიტომ მის სხდომებს ესწრებიან ის მინისტრები ან სახელმწიფო მდივნები, რომლებსაც წევრი სახელმწიფოები გადაწყვეტენ.

სულ არსებობს ცხრა განსხვავებული სტრუქტურის საბჭო:

- ზოგად საქმეთა და საგარეო ურთიერთობათა საბჭო;
- ეკონომიკურ და ფინანსურ საქმეთა საბჭო;
- მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა საბჭო;
- დასაქმების, სოციალური პოლიტიკის, ჯანმრთელობის დაცვისა და მომხმარებელთა საქმეების საბჭო;
- კონკურენციასთან დაკავშირებული საკითხების საბჭო (შიგა ბაზარი, მრეწველობა და კვლევა);
- ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ენერგეტიკის საკითხთა საბჭო;
- სოფლის მეურნეობისა და თევზრეწვის საქმეთა საბჭო;
- გარემოსდაცვითი საბჭო;
- განათლების, ახალგაზრდებისა და კულტურის საკითხთა საბჭო.

ევროკავშირის საბჭოს თითოეული მინისტრი უფლებამოსილია წარმოადგინოს საკუთარი მთავრობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მინისტრის ხელმოწერა მთელი მთავრობის ხელმოწერის ტოლფასია. გარდა ამისა, ევროკავშირის საბჭოს თითოეული მინისტრი ანგარიშვალდებულია თავისი ქვეყნის პარლამენტისა და იმ მოქალაქეების წინაშე, რომლებსაც პარლამენტი წარმოადგენს. ეს უზრუნველყოფს ევროკავშირის საბჭოს გადწყვეტილებათა დემოკრატიულ კანონიერებას.

ევროკავშირის საბჭოს ექვსი ძირითადი ფუნქცია აკისრია:

- ევროპული კანონების მიღება. რიგ სფეროებში საკანონმდებლო უფლებამოსილებას საბჭო ევროპარლამენტთან იზიარებს;

- წევრი სახელმწიფოების ზოგადი ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირება;
- ევროკავშირსა და ერთ ან მეტ სახელმწიფოს თუ საერთაშორისო ორგანიზაციას შორის საერთაშორისო შეთანხმებების დადება;
- ევროპარლამენტთან ერთად ევროკავშირის ბიუჯეტის დამტკიცება;
- ევროკავშირის საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის (**GFSP**) შემუშავება ევროპული საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე;
- წევრი სახელმწიფოების სასამართლოებსა და პოლიციის ძალებს შორის სისხლის სამართლის საკითხებზე თანამშრომლობის კოორდინირება.

1. კანონმდებლობა

ევროკავშირის კანონმდებლობის უმეტეს ნაწილს ერთობლივად იღებენ საბჭო და პარლამენტი. როგორც წესი, საბჭო მოქმედებს მხოლოდ კომისიის მიერ წამოჭრილ წინადადებასთან დაკავშირებით, ხოლო კომისიის ჩვეულებრივი ფუნქციაა უზრუნველყოს ევროკავშირის უკვე მიღებული კანონმდებლობა სათანადოდ შესრულება.

2. წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირება

ევროკავშირის ქვეყნებმა გადაწყვიტეს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ საერთო ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მათ ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას დაეფუძნება. ეს თანამშრომლობა ხორციელდება ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების მეშვეობით, რომლებიც ერთობლივად ეკონომიკურ და ფინანსურ საქმეთა საბჭოს (**ECOFIN**) ქმნიან.

3. საერთაშორისო შეთანხმებების დადება

ყოველწლიურად საბჭო ოფიციალურად ხელს აწერს რიგ შეთანხმებებს ევროკავშირისა და ევროკავშირის ქვეყ-

ნებს, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. ეს შეთანხმებები შეიძლება ეხებოდეს ზოგად სფეროებს, მაგალითად, ვაჭრობას, თანამშრომლობას და განვითარებას, ანდა შეიძლება არეგულირებდეს კონკრეტულ საკითხებს, მაგალითად, ტექსტილის წარმოებას, თევზრეწვას, მეცნიერებასა და ტექნოლოგიას, ტრანსპორტს და ა.შ. გარდა ამისა, საბჭოს შეუძლია ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის კონვენციების დადება ისეთ სფეროებში, როგორიც არის საგადასახადო სისტემა, კომპანიებთან დაკავშირებული კანონმდებლობა ან საკონსულო დაცვა. კონვენციებით შესაძლებელია, აგრეთვე, მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა სფეროებში თანამშრომლობის რეგულირება.

4. ევროკავშირის ბიუჯეტის დამტკიცება

ევროკავშირის წლიურ ბიუჯეტს ერთობლივად ადგენენ საბჭო და ევროპარლამენტი. თუ ეს ორი ინსტიტუტი ვერ თანხმდება, წესები ნებას აძლევენ საბჭოს, მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება „სავალდებულო დანახარჯებთან“ დაკავშირებით (ეს ძირითადად ეხება სოფლის მეურნეობის სფეროში დანახარჯებს და დანახარჯებს, რომლებიც წარმოიშობა ევროკავშირის მიღმა დადებული საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე), ხოლო პარლამენტი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას „არასავალდებულო დანახარჯებთან“ დაკავშირებით და მას აკისრია მთლიანად ბიუჯეტის საბოლოოდ დამტკიცების უფლებამოსილებაც.

5. საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა

წევრი სახელმწიფოები მუშაობენ საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის შესამუშავებლად. მაგრამ საგარეო პოლიტიკა, უშიშროება და თავდაცვა ეს ის საკითხებია, რომლებთან დაკავშირებითაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები დამოუკიდებელ კონტროლს ინარჩუნებენ. ამ სფეროებში მათ არ გაუერთიანებიათ საკუთარი ეროვნული სუვერენიტეტი, ამიტომ ევროპარლამენტი და კომისია ამ საკითხებთან დაკავშირებით მხოლოდ შეზღუდულ როლს თამაშობენ.

იმისათვის, რომ ევროკავშირს ჰქონოდა შესაძლებლობა უფრო ეფექტიანი რეაგირება მოეხდინა საერთაშორისო კრიზისებზე, ევროპულმა საბჭომ (1999 წლის დეკემბერში ჰელსინკიში გამართულ სამიტზე) მიიღო გადაწყვეტილება ევროკავშირში „სწრაფი რეაგირების შენაერთის" დაარსების შესახებ. ამ შენაერთში უნდა ყოფილიყო დაახლოებით 60 000 სამხედრო მოსამსახურე, რომელთა განლაგება მათთვის განკუთვნილ ადგილზე 60 დღეში იქნება შესაძლებელი. შენაერთი სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყო ქმედითუნარიანი.

6. მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები

ნარკოტიკები, ტერორიზმი, საერთაშორისო თაღლითობა, ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია ის პრობლემებია, რომლებიც უაღრესად აშფოთებს ევროპელ მოქალაქეებს. ამიტომ მათთან საბრძოლველადაც მხოლოდ საზღვრების მიღმა თანამშრომლობა იქნება ეფექტიანი. თუ ევროპა აპირებს და ყველა მისი მოქალაქისათვის მთელს ევროკავშირში სამოქალაქო მართლმსაჯულების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, მაშინ ეროვნულმა სასამართლოებმა, პოლიციის ძალებმა, საბაჟო და საიმიგრაციო სამსახურებმა მთელ ევროკავშირში ერთობლივად უნდა იმუშაონ.

ევროკავშირის ყოველ წევრ სახელმწიფოს ბრიუსელში ჰყავს მუდმივი წარმომადგენლობა, რომელიც იცავს მის ეროვნულ ინტერესებს. მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტს „კორეპერი" ეწოდება და მისი ფუნქციაა საბჭოს სამუშაო საკითხების მომზადება.

საბჭოში გადაწყვეტილებები კენჭისყრით მიიღება. რაც უფრო დიდია ქვეყანა, მით მეტი ხმა აქვს. არსებობს სამი სახის კენჭისყრა: 1. ერთსულოვნება, როდესაც არცერთი მონაწილე არ არის წინააღმდეგი. გამოიყენება კავშირის განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას (მაგ., საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა, მიგრაციული პოლიტიკა, ეკონომიკური და სოციალური პო-

ლიტიკა). ყოველ წევრ სახელმწიფოს ამ სფეროებში ვეტოს უფლება აქვს. 2. კვალიფიციური უმრავლესობა (ეს მეთოდი შემოღებულ იქნა ნიცის ხელშეკრულებით), გულისხმობს წევრთა უმრავლესობას და სულ მცირე 255 ხმას, (ხმების მაქსიმალური რაოდენობა 345) რაც უნდა მოიცავდეს გაერთიანების მოსახლეობის 62%-ს. 3. უბრალო უმრავლესობა.

საბჭოს პრეზიდენტი ქვეყანა ექვს თვეში ერთხელ იცვლება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევროკავშირის ყოველი ქვეყანა მორიგეობით ახორციელებს საბჭოს პროგრამის კონტროლს და თავმჯდომარეობს ყველა შეხვედრას ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში, ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღებას და შუამავლობს წევრ სახელმწიფოებს შორის კომპრომისების მიღწევას. პრეზიდენტი ქვეყნის მთავრობის წევრები ნახევარი წლის განმავლობაში განსაზღვრავენ ევროპულ მინისტრთა საბჭოს სხდომების დღის წესრიგს და თავმჯდომარეობენ მათ.

საბჭოს პრეზიდენტ ქვეყანას დახმარებას უწევს გენერალური სამდივნო, რომელიც ამზადებს და უზრუნველყოფს საბჭოს შეუფერხებელ მუშაობას ყველა დონეზე.

ევროკავშირის პარლამენტი. ევროპარლამენტი არის ერთადერთი პირდაპირი გზით არჩეული ინსტიტუტი. ევროსაბჭოსთან ერთად იგი ქმნის ევროპული ინსტიტუტების ორდონიან საკანონმდებლო ორგანოს და არის მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი კანონმდებელი.

ევროპარლამენტი შედგება 785 წევრისაგან და ჰყავს მსოფლიოში ინდოეთის მერე მეორე უდიდესი ამომრჩეველთა რაოდენობა, მსოფლიოში უდიდესი ტრანს-ერონული ელექტრორატი.

ევროპარლამენტი არის ევროკავშირის პირველი ინსტიტუტი. იგი 1970 წლიდან აკონტროლებს ევროკავშირის ბიუჯეტს და ევროკომისიის დანიშვნასთან დაკავშირებით აქვს ვეტოს უფლება.

ევროპარლამენტი მუშაობს საფრანგეთში, ბელგიასა და ლუქსემბურგში. ყოველთვიური პლენარული სესიები,

რომლებსაც ევროპარლამენტის ყველა წევრი ესწრება, ტარდება სტრასბურგში (საფრანგეთი), სადაც არის პარლამენტის რეზიდენცია. საპარლამენტო კომიტეტების შეხვედრები და ნებისმიერი სხვა პლენარული სესიები იმართება ბრიუსელში (ბელგია), ლუქსემბურგში კი განლაგებულია ადმინისტრაციული ოფისები (გენერალური სამდივნო).

ევროპარლამენტი და ევროსაბჭო წარმოადგენენ ორდონიანი საკანონმდებლო ორგანოს ორ პალატას. საკანონმდებლო უფლებები მათ შორის თანაბრად არის განაწილებული. ზემოხსენებული საქმიანობა დიდად განსხვავდება ეროვნული კანონმდებლობისაგან, არც პარლამენტს და არც საბჭოს არა აქვს უფლება გამოვიდეს საკანონმდებლო ინიციატივით, ეს ევროკომისიის უფლებაა. მაშინ როცა ევროპარლამენტი ამტკიცებს ან უარყოფს ახალ კანონმდებლობას, სწორედ ევროკომისია აკეთებს ახალი კანონის მონახაზს.

ევროპარლამენტს ასევე გააჩნია დიდი არაპირდაპირი გავლენა არაშემზღუდველი რეზოლუციებისა და საკომიტეტო სხდომების სახით. არაპირდაპირი ეფექტი აისახება საგარეო პოლიტიკაშიც, პარლამენტი ამტკიცებს განვითარებისკენ მიმართულ ყველა გრანტს. გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების პროცედურა ამ ორ ორგანოს თანაბარ დონეზე აყენებს. გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების პროცედურასთან ერთად, პარლამენტს ერთადერთი დემოკრატიული ინსტიტუტის მანდატი სხვა ინსტიტუტებთან შედარებით აძლევს საკანონმდებლო პროცესზე მეტი კონტროლის უფლებას.

სხვა პროცედურები მოიცავს:

- კოოპერაციას;
- კონსულტაციას;
- სანქცირების პროცედურას.

ევროკავშირის ბიუჯეტი გაყოფილია გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ ხარჯებად. გათვალისწინებული ხარჯები არის ხარჯები, რომლებიც გამომდინარეობს ევროკავშირის ხელშეკრულებებიდან (მათ შორის სოფლის მეურნე-

ობის) და საერთაშორისო შეთანხმებებიდან, ბიუჯეტის დანარჩენი ნაწილი გაუთვალისწინებელ ხარჯებზეა გათვლილი. გათვალისწინებულ ხარჯებთან დაკავშირებით ევროსაბჭოს ეკუთვნის საბოლოო სიტყვა, მაშინ როცა პარლამენტი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას გაუთვალისწინებელ ხარჯებზე.

ინსტიტუტები ადგენენ საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვას და კომისია ამტკიცებს მათ შემდგარ ბიუჯეტში. ორივეს, ევროსაბჭოსაც და ევროპარლამენტსაც შეუძლიათ შეიტანონ შესწორებები ბიუჯეტში. საბიუჯეტო გეგმის ძალაში შესასვლელად აუცილებელია მასზე იყოს ევროპარლამენტის პრეზიდენტის ხელმოწერა.

ევროპარლამენტი ახორციელებს ევროკავშირის სხვა ინსტიტუტების დემოკრატიულ მეთვალყურეობას. ევროკომისიის წარდგენა ხდება ევროსაბჭოს მიერ და ამტკიცებს ევროპარლამენტი უმრავლესობის წესით. პარლამენტს აქვს აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის კანდიდატურასთან დაკავშირებით ვეტოს გამოყენების უფლება, მაგრამ არა მისი წარდგენის უფლება. ევროკომისიის პრეზიდენტი შემდეგ წარუდგენს კომისიის წევრებს სახელმწიფოებთან შეთანხმებით, რომელთაც ასევე პარლამენტი ამტკიცებს. პარლამენტს ასევე უფლება აქვს ხმათა 2/3-ით მოითხოვოს კომისიის გადადგომა. ეს უფლება პარლამენტს არცერთხელ არ გამოუყენებია.

არსებობს მეთვალყურეობის შემდეგი სახეები:

- კომისიისადმი მოთხოვნა, რომ პარლამენტს წარუდგინოს მოხსენებები და უპასუხოს პარლამენტის წევრების შეკითხვებს;
- მოთხოვნა ევროსაბჭოს პრეზიდენტისადმი, რომ მან პრეზიდენტობის დასაწყისში წარმოადგინოს თავისი სამოქმედო პროგრამა;
- პარლამენტის წევრების უფლება კომისიასა და საბჭოს წარუდგინოს საკანონმდებლო და პოლიტიკური წინადადებები და უფლება ამ ინსტიტუტების წევრებს დაუსვას წერილობითი ან ზეპირი შეკითხვები.

ევროსაბჭოს პრეზიდენტი ესწრება პარლამენტის პლენარულ სესიებს და მონაწილეობს მნიშვნელოვან დებატებში.

პარლამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს საბჭოსთან გარკვეულ სფეროებში, როგორიცაა მაგალითად, საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა და სასამართლო სისტემათა თანამშრომლობა, აგრეთვე, საერთო ინტერესების ისეთ საკითხებზე, როგორიც არის თავშესაფრის მიცემა, საიმიგრაციო პოლიტიკა, საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლა.

მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, პარლამენტს სხვა უფლებებიც გააჩნია. პარლამენტს შეუძლია შექმნას საგამოძიებო კომიტეტი, შეუძლია ასევე გამოიძახოს დაკითხვებზე სხვა ინსტიტუტები და, თუ აუცილებელია, ევროკავშირის კანონმდებლობისა და ხელშეკრულებების დარღვევის შემთხვევაში, წარუდგინოს ისინი სასამართლოს.

გარდა ამისა, მას აქვს აუდიტორთა ევროპული სასამართლოს წევრების დანიშვნის უფლება, ასევე ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის და აღმსრულებელი საბჭოს დანიშვნის უფლება, ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი ვალდებულია პარლამენტს წარუდგინოს ყოველწლიური მოხსენება. ევროპარლამენტის მიერ ირჩევა ასევე ევროპის ომბუდსმენი.

პარლამენტის წევრები აირჩევიან 5 წლის ვადით საყოველთაო არჩევნების წესით და პოლიტიკური ალიანსების მიხედვით ღებულობენ ადგილებს. წევრთა მესამედს ქალები შეადგენენ.

ევროპარლამენტში ადგილები განაწილებულია პროპორციული წესით, ანუ რაც უფრო დიდია სახელმწიფო, მით უფრო მეტ მოქალაქეს წარმოადგენს თითო პარლამენტის წევრი.

ამჟამად ევროპარლამენტის წევრები ღებულობენ იგივე ხელფასს, რასაც ეროვნული პარლამენტის წევრები. 2009 წლიდან ახალი კანონით ევროპარლამენტის ყველა წევრს თანაბარ 7000 ევროს უხდის.

პარლამენტის მუშაობა ორ ძირითად ეტაპად არის დაყოფილი:

- **პლენარული სესიისთვის მომზადება,** რასაც ახორციელებენ ევროპარლამენტის წევრები სხვადასხვა საპარლამენტო კომიტეტებში, რომლებიც ევროკავშირის საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში არიან სპეციალიზებული. დებატებზე გასატანი საკითხები პოლიტიკური ჯგუფების მიერაც განიხილება.
- **თავად პლენარული სესია.** პლენარული სესიები, რომლებსაც ევროპარლამენტის ყველა წევრი ესწრება, ჩვეულებრივ, სტრასბურგში იმართება (თვეში ერთი კვირა), ზოგჯერ კი ბრიუსელში (ორი დღე) ტარდება. ამ სესიებზე ევროპარლამენტი იხილავს შეთავაზებულ კანონმდებლობას და მთლიან ტექსტთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებამდე კენჭს უყრის შესწორებებს.

დღის წესრიგის სხვა საკითხები შეიძლება იყოს საბჭოს ან კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის განხილვა ან კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდება ევროკავშირში ან მსოფლიოში

ევროკავშირის კომისია. ევროპული კომისია არის ევროკავშირის ძირითადი მამოძრავებელი ძალა. იგი შედგება 28 წევრისაგან თითოეული წევრი სახელმწიფოდან. ისინი დამოუკიდებელნი არიან და მოქმედებენ მხოლოდ ევროკავშირის ინტერესებიდან გამომდინარე. მათ არა აქვთ უფლება მოღვაწეობდნენ სხვაგან. წევრ სახელმწიფოებს უფლება არა აქვთ ზემოქმედება მოახდინონ ევროკომისიის წევრებზე.

ევროკომისია ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ფორმირდება შემდეგი სახით. ევროკავშირის საბჭო სახელმწიფოთა მეთაურების დონეზე სთავაზობს ევროკომისიის თავმჯდომარის კანდიდატურას, რომელიც მტკიცდება ევროპარლამენტის მიერ. შემდეგ ევროკავშირის საბჭო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატთან ერთად აყალიბებს ევროკომისიის სავარაუდო შემადგენლობას წევრი ქვეყნების შეხედულებების გათვალისწინებით. „კაბინეტის“ შემადგენ-

ლობა ნებადართული უნდა იყოს ევროპარლამენტის მიერ და საბოლოოდ დამტკიცებული ევროკავშირის საბჭოს მიერ. კომისიის თითოეული წევრი სათავეში უდგას შესაბამის ქვედანაყოფებს (ეგრეთწოდებულ გენერალურ დირექტორატს).

კომისია ასრულებს მთავარ როლს ევროკავშირის ყოველდღიური მოღვაწეობის უზრუნველყოფაში, რომელიც მიმართულია ძირითადი შეთანხმებების შესრულებაზე.

კომისია არის აღმასრულებელი ორგანო და გააჩნია 6 ძირითადი ფუნქცია:

1. ის ასრულებს ზედამხედველის როლს, რათა დარწმუნდეს, რომ კავშირში მიღებულ გადაწყვეტილებებს ასრულებს ყველა წევრი და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მიმართოს ევროკავშირის სასამართლოს.

2. მას ერთადერთს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, რა თქმა უნდა, ეს ინიციატივა წარედგინება საბჭოს გეგმის ან კანონპროექტის სახით. ასევე წინადადებით მიმართავს ევროპის პარლამენტს.

3. ზოგ შემთხვევაში ის ასრულებს მედიატორის როლს ევროკავშირის საბჭოს შეხვედრებზე. ხშირად შეაქვს შესწორებები საკუთარ წინადადებებში, რათა ისინი მისაღები იყოს ყველა წევრისათვის.

4. მოლაპარაკებებს აწარმოებს საერთო პოლიტიკების გარკვეულ საკითხებზე, მაგალითად, საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებზე.

5. მას გააჩნია გარკვეული ადმინისტრაციული ძალაუფლება გაერთიანებაში მოქმედი წესების კონტროლის თვალსაზრისით.

6. განაგებს ბიუჯეტს და მართავს ევროკავშირის პროგრამებს.

კომისიას გააჩნია მნიშვნელოვანი ავტონომიური უფლებები პოლიტიკის სხვადასხვა დარგში, მათ შორის აგრარულ, სავაჭრო, სატრანსპორტო, რეგიონულ და ა.შ. კომისიას ჰყავს აღმასრულებელი აპარატი. კომისიის შტაბ-ბინა

მდებარეობს ბრიუსელში კომისიის ძირითად სამუშაო ენებად ითვლება ინგლისური, ფრანგული და გერმანული.

ევროკომისია ამზადებს და ახორციელებს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებებს და ზედამხედველობას უწევს მათ შესრულებას. კომისიის ფუნქციებს აწესრიგებს ევროკავშირის ხელშეკრულების 211-ე მუხლი. მას მიეკუთვნება საკანონმდებლო ინიციატივის უფლება შეიმუშაოს საკანონმდებლო წინადადება და გადააგზავნოს საბჭოში, გააკონტროლოს შემდგომი კანონშემოქმედებითი პროცესი: თვალყური ადევნოს საბჭოს მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტებს; დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ისეთ სფეროებში როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, კონკურენცია, ტრანსპორტი, ერთიანი შიგა ბაზრის ფუნქციონირება, გარემოს დაცვა და ა. შ. იგი თავად არ იღებს სტრატეგიულ-პოლიტიკურ ან ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მომზდებისას კომისია ატარებს კონსულტაციებს წევრი ქვეყნების მთავრობებთან და შესაბამის ექსპერტებთან. იგი ეროვნული მთავრობებისაგან დამოუკიდებებლია საბაჟო კავშირის, ერთიანი ბაზრის, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკისა და სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელების სფეროებში.

კომისიის პრეზიდენტს შემდეგი ფუნქციები აკისრია:

- წარმოადგენს ევროკავშირის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ინიციატივებს;
- ხელს უწყობს კომისიის წევრებს შორის უთანხმოებების მოგვარებას და პარლამენტს წარუდგენს კომისიის ყოველწლიურ ანგარიშს;
- წარმოადგენს კომისიას მინისტრთა საბჭოში საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრისას;
- წარმოადგენს კომისიას ევროპულ საბჭოში;
- წარმოადგენს კომისიას უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ფორუმებზე; კერძოდ, დიდი შვიდეულის შეხვედრებზე და აშშ-ევროკავშირის შეხვედრებზე, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება.

კომისია შედგება გენერალური სამდივნოსაგან და 20-ზე მეტი გენერალური დირექტორისაგან, რომლებიც დასაქმებულნი არიან ევროკავშირის ცალკეული მიმართულებით. კომისიის შტატში ირიცხება 15 ათასი თანამშრომელი. ეს არის ევროკავშირის ყველაზე დიდი დაწესებულება. მისი სხდომების ჩატარების ადგილია ბრიუსელი.

ევროპული სასამართლო. ევროკავშირის განსაკუთრებულობას, რომელიც განასხვავებს მას სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან, საკუთარი სასამართლოს არსებობა წარმოადგენს, რომელიც უშუალოდ არეგულირებს არა მხოლოდ წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს, არამედ მათ მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს შორისაც. ევროკავშირის სამართალი შედგება ეგრეთწოდებული პირველადი და მეორადი სამართლისაგან: პირველადი სამართალი – ევროკავშირის სადამფუძნებლო შეთანხმებები და ის შეთანხმებებია, რომლებმაც მასში ცვლილებები შეიტანეს. მეორადი სამართალი – ევროკავშირის ორგანოების მიერ გამოცემული აქტებია.

ევროკავშირის სამართალს გააჩნია პირდაპირი მოქმედების უნარი ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე და პრიორიტეტულობა ნაციონალურ კანონმდებლობასთან შედარებით. ევროკავშირის სამართალს ყოფენ ინსტიტუციონალურ სამართლად (ნორმები, რომლებიც რეგლამენტირებას უკეთებენ ევროკავშირის ორგანოების და ინსტიტუტების ფუნქციონირებას) და მატერიალური სამართალი (ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ევროკავშირის მიზნების რეალიზაციის პროცესს). საამართლომ უზარმაზარი როლი შეასრულა ევროკავშირის სამართლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. კავშირის მრავალი ძირითადი სამართალდამცავი პრინციპები დაფუძნებულია არა საერთაშორისო შეთანხმებებზე, არამედ სასამართლოს პრეცენდენტულ გადაწყვეტილებებზე.

ევროპული სასამართლო თავის სხდომებს მართავს ლუქსემბურგში და წარმოადგენს ევროკავშირის სასამართლო ორგანოს უმაღლეს ინსტანციას. სასამართლო არეგუ-

ლირებს უთანხმოებებს წევრ სახელმწიფოების შორის; წევრ სახელმწიფოებსა და თვით ევროკავშირს შორის; ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის; ევროკავშირსა და ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს შორის; მისი ორგანოების თანამშრონლების ჩათვლით (ამ ფუნქციისთვის შექმნილია სამოქალაქო სამსახურის ტრიბუნალი). სასამართლო აძლევს დასკვნებს საერთაშორისო შეთანხმებებზე. მას გამოაქვს აგრეთვე დადგენილებები ნაციონალური სასამართლოების თხოვნით. ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა ევროკავშირის ტერიტორიზე. მისი იურისდიქცია, როგორც წესი, ვრცელდება ევროკავშირის კომპეტენციის სფეროზე. სასამართლოს ფუნქციაა ხელშეკრულებებზე დაყრდნობით კანონის შესრულების კონტროლი. ამსტერდამის ხელშეკრულებით სასამრთლოს კომპეტენციას დაემატა:

- ადამიანთა უფლებების ევროპული კონვენციის შესრულების ზედამხედველობა.
- იმიგრაციის, თავშესაფრის მიცემის, მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების საკითხების რეგულირება.
- პოლიტიკური და იურიდიული თანამშრომლობა კრიმინალურ საკითხებში.

ევროკავშირის სასამართლო იყენებს 5 სახის ინსტრუმენტს:

- **რეგულაციები,** რომლებსაც თანაბარი ძალა აქვს ყველა წევრ სახელმწიფოში და არ საჭიროებს ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას;
- **დირექტივები,** ასევე კანონის ძალის მქონეა, თუმცა მათი ასახვა ეროვნულ კანონმდებლობაში აუცილებელია;
- სასამართლოს **გადაწყვეტილებები** გარკვეულ პრობლემებთან დაკავშირებით, წევრების ან კონკრეტული პირების მიმართ;

- **რეკომენდაციები** და **შეხედულებები,** რომლებიც სავალდებულო ხასიათს არ ატარებენ.

მაასტრიხტის ხელშეკრულების შესაბამისად, სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლება დააკისროს ჯარიმები წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც არ ასრულებენ მის დადგენილებებს. ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე არის ევროკავშირის მოქალაქე და მასზე ვრცელდება ევროკავშირის სამართალი. ეროვნული კანონმდებლობს მხრიდან მისი შეზღუდვის შემთხვევაში მოქალაქეს უფლება აქვს სახელმწიფოს უჩივლოს ევროკავშირის სასამართლოში.

ევროკავშირის ეს ინსტიტუტი იყოფა სამი სახის სასამართლოდ: იუსტიციის სასამართლო, პირველი ინსტანციის სასამართლო და სამოქალაქო სამსახურის ტრიბუნალი.

სასამართლო შედგება 28 მოსამართლისაგან (თითო წევრი თითოეული წევრი სახელმწიფოსაგან) და 8 გენერალური ადვოკატისაგან. ისინი ინიშნებიან 6 წლიანი ვადით. რომელიც შეიძლება გახანგრძლივდეს. ყოველ 3 წელიწადში ხდება სასამართლოს შემადგენლობის ნახევრის განახლება. მოსამართლეები წევრი სახელმწიფოების თანხმობით ინიშნებიან, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ მათ ქვეყნებს, არამედ დამოუკიდებელი სუბიექტები არიან. მოსამართლეებს არა აქვთ სხვაგან მუშაობის უფლება პარალელურად. სასამართლოს პრეზიდენტს თავად წევრები ირჩევენ 3 წლით. სასამართლოში ფორმირდება 3-5 მოსამართლისაგან შემდგარი სასამართლო პალატები, მათივე მიერ შერჩეული თავმჯომარით, რომლებიც ატარებენ სასამართლო სხდომებს. „გრანდ" პალატაში შედის 13 მოსამართლე, რომელსაც სასამართლოს პრეზიდენტი თავმჯდომარეობს. სრული შემადგენლობით მოსამართლეების დასწრება ხდება მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების განხილვისას. სასამართლოს სხდომას ესწრება მოსამართლეთა კენტი რაოდენობა. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება როდესაც პალატის 5 წევრიდან 3 თანხმდება გადაწყვეტილებაზე. "გრანდ" პალატის შემთხვევაში

13-დან 9 თანხმობაა საჭირო. სრული შემადგენლობის დასწრებისას კი – 15-ის თანხმობა.

აუდიტორთა სასამართლო. აუდიტორთა სასამართლო დაფუძნდა 1975 წელს პარლამენტის ინიციატივით კავშირის ანგარიშგების მონიტორინგის, ბიუჯეტში შემოსავლების და ხარჯების კანონიერების შემოწმების მიზნით. აუდიტორთა სასამართლომ უნდა აკონტროლოს ევროკავშირის ინსტიტუტების, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ინსტიტუტების მიერ გაერთიანების ფონდების მართვა, ევროკავშირის დახმარებები კავშირს შიგნით თუ გარეთ.

აუდიტორთა სასამართლო არის დამოუკიდებელი ინსტიტუტი რომელიც ზედამხედველის როლს ასრულებს ევროკავშირის მოქალაქეთა ინტერესების დაცვაში. ის ამოწმებს ფინანსური ოპერაციების სისწორეს, რათა უზრუნველყოს ეკონომიკის ეფექტიანობა. ის უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ეხმარება პარლამენტს და საბჭოს ბიუჯეტის განაწილებაში. აუდიტორთა სასამართლო 5 უმთავრეს ინსტიტუტს შორის არის. ეს ინსტიტუტი მიჩნეულია ერთერთ ელემენტად რომელმაც უნდა უზრუნველყოს დემოკრატია. აუდიტორთა უშუალო მოვალეობაა ვიზიტები წევრ ქვეყნებში და ცენტრალური თუ ადგილობრივი ადმინისტრაციებისათვის აუდიტის ჩატარება. ეს ვიზიტები ორ კვირამდე გრძელდება.

სადამფუძნებლო ხელეკრულების 246 და 248 მუხლებით აუდიტორთა სასამართლოს მთავარი ფუნქციაა ხარჯების კონტროლი და დახმარების გაწევა ევროკავშირისათვის ფინანსური საკითხების გაუმჯობესებაში. ის აკონტროლებს გაერთიანების ყველა ორგანოს ხარჯს თუ შემოსავალს. ფინანსური წლის ბოლოს ამზადებს მოხსენებას ბიუჯეტის განაწილების შესახებ, რომელიც იბეჭდება ევროკავშირის ჟურნალში.

აუდიტორთა სასამართლოში დასაქმებულია 850 მოხელე. დასაქმებულთა 50% ქალია, თანამშრომლების 63% 44 წლამდე ასაკისაა (მინიმალური ასაკი 25, მაქსიმალური – 60)

მისი ბიუჯეტია 120 მლრდ. ევროა, რაც არის 28 ქვეყნის შემოსავლების 1% და ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის 0.1%. თუმცა ზოგიერთი ქვეყნის, მაგ. რუმინეთის შემოსავალს თითქმის უტოლდება. აუდიტორთა სასამართლო დაყოფილია 5 ჯგუფად. თითოეული ბიუჯეტის გარკვეულ სექტორს აკონტროლებს. ესენია: 1. ბუნებრივი რესურსების მართვა და დაცვა; 2. სტრუქტურული პოლიტიკები, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კვლევები, საგარეო საქმიანობა; 3. საკუთარი რესურსები, საბანკო საქმიანობა, ადმინისტრაციული ხარჯები; 4. კავშირის ინსტიტუტები, ორგანოები და საშინაო პოლიტიკები; 5. კოორდინაცია, კომუნიკაცია, შეფასება, დაზღვევა და განვითარება (CEAD coordination, communication, evaluation, assurance and development). აუდიტორთა სასამართლო ხელმძღვანელობს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით.

წევრები ინიშნებიან 6 წლის ვადით. საბჭო პარლამენტთან კონსულტაციის შემდეგ ხმათა უმრავლესობით ამტკიცებს წევრებს. წევრები შემოთავაზებულია წევრი სახელმწიფოების მიერ. წევრები შეიძლება მეორე ვადით აირჩეს.

ამრიგად, ევროკავშირი წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს უდიდეს ინტეგრაციულ გაერთიანებას. მან ეტაპობრივად გაიარა ინტეგრაციის ოთხივე საფეხური და მიაღწია ინტეგრაციის უმაღლეს ფორმას. დღეს ის წარმოადგენს ქვეყანათა თანამშრომლობის ყველაზე წარმატებულ მაგალითს, რომლის განხორციელების სურვილი აქვთ სხვა დიდ სახელმწიფოებსაც. ევროკავშირმა შექმნა ერთიანი ევროპული ოჯახი, რომლის წევრობისკენ მიისწრაფვის ყველა ახლოს მდებარე სახელმწიფო, რადგანაც დამოუკიდებლად განვითარების მაღალი დონის მიღწევა სულ უფრო რთულდება გლობალიზაციის პირობებში. წარმატებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ევროკავშირის ინსტიტუტებმა, რომლებიც მოქალაქეთა ინტერესებს იცავენ და დემოკრატიის სადარაჯოზე დგანან.

ევროკავშირის ინსტიტუტებმა გაამართლეს თავიანთი არსებობა, მაგრამ საჭიროა მათი ადაპტირება კავშირის გაფართოებასთან და იმ მზარდი ამოცანების შესრულებასთან, რომლებიც მათ პასუხისმგებლობას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ყველამ ვინც კი მონაწილეობს ამ უპრეცედენტო პროცესში, თავის თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, რათა უზრუნველყოს ევროკავშირის ინსტიტუციური სისტემის ქმედითი მუშაობის გაგრძელება. საჭიროა რეფორმების კონცენტრირება გადაწყეტილების მიღების პროცესზე. ერთსულოვანი კონსესუსის დაჟინებული მოთხოვნა ყველა შემთხვევაში სისტემის პარალიზების გამოიწვევს. ერთადერთი სისტემა, რომელიც იმუშავებს – ეს არის უმრავლესობის არჩევნებზე დამყარებული პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემა კონტროლისა და დაბალანსების მექანიზმებით.

ევროკავშირის 28 სახელმწიფო თავისუფლად, მშვიდობიანად, ყოველგვარი კონფლიქტების გარეშე ახერხებს თანაცხოვრებას, რაც პირველ რიგში სწორედ ამ ინსტიტუტების დამსახურებაა. ინსტიტუტები დაკომპლექტებულია სხვადასხვა ქვეყნების სრულიად განსხვავებული წარმომადგენლებით, რომელთაც ეროვნული თუ ინდივიდუალური ინტერესები გააჩნიათ, მაგრამ ეს არ არის ხელის შემშლელი ფაქტორი თანამშრომლობისათვის, პირიქით ეროვნული მრავალფეროვნება კიდევ უფრო საიმედოს ხდის მათი საქმიანობის შედეგებს. ეს არის დემოკრატიული თანაცხოვრების საუკეთესო მაგალითი.

ევროკავშირი და საქართველო. საქართველოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ინტეგრირება. მიმდინარე ეტაპზე საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრირების პოლიტიკის სამართლებრივ საფუძველს ევროკავშირსა და საქართველოს შორის დამყარებული ასოცირების ხელშეკულება წარმოადგენს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მხარეებს შორის პოლიტიკურ ასოცირებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთო ღირებულებებსა და მჭიდრო კავშირებზე. წარმატებუ-

ლი ინტეგრაციისთვის არსებითია ევროკავშირის განვითარებულ წევრ ქვეყნებთან თუ რეგიონებთან არსებული განსხვავებების შემცირება. თუმცა იმავდროულად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს რეგიონები გადაიქცნენ წამყვან მოთამაშეებად საერთო ეროვნული წარმატების მიღწევაში, ვინაიდან ექსტერნალიები და მზარდი უკუგება – როგორც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ძირითადი მამოძრავებლები – სწორედ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე წარმოიშობა.

ევროკავშირი საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს, რასაც ადასტურებს ის, რომ მთლიანი ვაჭრობის თითქმის მეოთხედი სწორედ ევროკავშირზე მოდის. ეს ურთიერთობა გამყარდა 2016 წლის პირველ ივლისს მიღებული თავისუფალი სავაჭრო სივრცის დაწესებით და საქონლისა და მომსახურების თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობის მიცემით.

განვიხილოთ საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული სავაჭრო ურთიერთკავშირები უკანასკნელ წლებში იმპორტის, ექსპორტისა და სავაჭრო ბალანსის ცვლილების მიხედვით.

საქართველოს ექსპორტმა[9] 2017 წლის იანვარ-ოქტომბრის თვეში შეადგინა 2,203,071.7 ათასი აშშ დოლარი. აქედან 531,057.0 ათასი აშშ დოლარი (24.1 %) მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე.

დიაგრამაზე (2.1.1) გამოსახულია საქართველოს ექსპორტის მოცულობა ევროკავშირის ქვეყნებთან 2017 წლის იანვარ-ოქტომბრის თვეებში. აღნიშნული მაჩვენებლით ლი-


[9] სტატისტიკური მასალები დამუშავებულია ევროკავშირის ოფიციალური ვებ-გვერდის (http://europa.eu/), საქართველო და ევროკავშირი – საინფორმაციო ცენტრის (http://infocenter.gov.ge) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (http://www.geostat.ge/) მონაცემებზე დაყრდნობით. (15.01.2018).

დერობს ბულგარეთი (142,913.9 ათასი აშშ დოლარი), რომელსაც მოსდევს იტალია, რუმინეთი, ესპანეთი და გერმანია.


რაც შეეხება ქვეყნის იმპორტს (დიაგრამა 2.1.2), მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 6,363,028.3 ათასი აშშ დოლარი, რომელშიც ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტი ტოლია 1,793,171.4 ათას აშშ დოლარის, რაც შეადგენს მთლიანი იმპორტის 28.2%-ს. იმპორტის წილი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ამავე პერიოდში, გამოკვეთილი ლიდერია გერმანია, რომელიც საქართველოს უმთავრეს იმპორტიორად (358,478.9 ათასი აშშ დოლარი) გვევლინება. შემდგომ – იტალია, რუმინეთი, ბულგარეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი და ა.შ.

2017 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოს ევროკავშირთან უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა (-1,262,114.4 ათასი აშშ დოლარი). რაც შეეხება საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობის დინამიკას 2007-2017 წლებში (დიაგრამა 2.1. 3) , სავაჭრო ბრუნვის მინიმუმი დაფიქსირდა 2012 წელს, ხოლო შემდგომ იგი მატების ტენდენციით ხასიათდება. საკმაოდ გაზრდილია ვაჭრობის მოცულობა 2017 წელს, რაც განპირობებულია ევროკავშირთან დადებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA), რომელიც გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას.


დიაგრამა 2.1.1



დიაგრამა 2.1.2



დიაგრამა 2.1.3.




ევროკავშირის მთლიან სავაჭრო ბრუნვაში საქართველოს წილი 2016 წლის მონაცემებით შეადგენს 0.1%-ს, რაც მიანიშნებს, რომ ევროკავშირისთვის საქართველო მიმდინარე ეტაპზე ეკონომიკური კრიტერიუმებით საინტერესო ქვეყანა არ არის, თუმცა, საქართველოსთვის ევროკავშირი ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორებით რეგიონთან და მსოფლიო ბაზართან ინტეგრირებისათვის სტრატეგიულ პარტნიორს წარმოადგენს.


აღსანიშნავია ასევე, ევროკავშირის რეგიონის ვაჭრობის დინამიკა 2007-2017 წლებში (დიაგრამა 2.1.4), ასევე, ეკის შიგა- და გარე-რეგიონული ვაჭრობა. იკვეთება, რომ შიგა-რეგიონული ვაჭრობა უპირატესობაშია გარე-რეგიონულ ვაჭრობასთან (დიაგრამა 2.1.5).

დიაგრამა 2.1.4.

ვაჭრობის დინამიკა ევროკავშირთან ურთიერთობაში 2007-2017 წლებში



დიაგრამა 2.1.5. ევროკავშირის შიგა და გარე-რეგიონული ვაჭრობა,%, 2016 წელი.



ბალტიის ზღვის სახელმწიფოთა საბჭო (Council of Baltic Sea States)[10] შეიქმნა 1992 წელს ბალტიის ზღვის რეგიონის მაკოორდინირებელი ორგანოს სახით. მასში 11 წევრი ქვეყანაა: გერმანია, დანია, ისლანდია, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, ნორვეგია, პოლონეთი, რუსეთის ფედერაცია, ფინეთი, შვედეთი. მასთან თანამშრომლობს ეკ-ის ეკონომიკური კომისია. საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ტურიზმის, ინფორმაციის გაცვლის, გარემოს დაცვის სფეროებში თანამშრომლობა, ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების გაწევა; ტექნიკური დახმარების გაწევა დსთ-ს ქვეყნებისთვის და საქართველოსათვის; ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნებისთვის ხელშეწყობა პოლონეთისა და უნგრეთისთვის; სახელმწიფოს მართვის, მენეჯმენტის, სამართლის და ეკონომიკის სფეროში ევროფაკულტეტის (ქ. რიგა) საფუძველზე კვალიფიკაციის ამაღლება.

ტრანსპორტის მინისტრთა ევროპული კონფერენცია (European Conference of Ministers of Transport)[11] 1953 წელს შეიქმნა, მთავარი ოფისი პარიზში მდებარეობს ეკონომიკური უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) შტაბ-ბინაში. ეკონომიკური საკითხების სამდივნო შედის ეუთო-ს სამდივნოში. მასში 41 სახელმწიფოა. საქართველო სარგებლობს დამკვირვებლის სტატუსით.

ორგანიზაციის მიზანია: საერთაშორისო მნიშვნელობის ევროპული ტრანსპორტის განვითარებისთვის ხელშეწყობა; ტრანსპორტის სფეროზე მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია; ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავება; ერთიანი ეკოლოგიური სატრანსპოტრო სტრატეგიის შემუშავება; ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებების შემუშავება; სატრანსპორტო პრობლემების განსაზღვრა; გადაზიდვების უსაფ-

[10] http://www.cbss.org/ (16.01.2018)
[11] http://www.cemt.org/ (16.01.2018)

რთხოების პრობლემების გადაჭრა; ეკ-ის ახალი წევრების ევროპულ სატრანსპორტო ბაზართან უმტკივნეულო ინტეგრაცია, რაც გამოიხატება მოქმედი სატრანსპორტო ნორმების ჰარმონიზაციაში.

უმაღლესი ორგანოა მინისტრთა საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია საშინაო ტრანსპორტის მდგომარეობაზე; ადმინისტრაციული მართვის ორგანოა სამდივნო, რომელიც შედგება სატრანსპორტო პოლიტიკის, ეკონომიკური კვლევის და დოკუმენტაციის და ადმინისტრაციული მართვის განყოფილებებისგან.

სამოქალაქო ავიაციის ევროპული კონფერენცია (European Civil Aviation Conference)[12] შეიქმნა 1955 წელს, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის და ევროსაბჭოს მხარდაჭერით. მასში 44 წევრია. მისი საქმიანობის მიზანია: სამოქალაქო ავიაციის შეუფერხებელი განვითარების და უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სამოქალაქო ავიაციის კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტა; საჰაერო ტრანსპორტის ნაკადების კონტროლის სისტემის დახვეწა; აეროპორტების ინფრასტრუქტურის სრულყოფა; ავიატრანსპორტის პოტენციალის ზრდა ნაკადების მართვის სისტემის უნიფიკაციის გზით; სხვა ანალოგიურ რეგიონალურ ორგანიზაციებთან, სამოქალაქო აეროპორტების საერთაშორისო ასოციაციასთან თანამშრომლობა; ნატოს საჰაერო კოსმოსური სივრცით სარგებლობა და ა.შ.

საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ევროპული ორგანიზაცია – ევროკონტროლი (European Organization for the Safely of Air Navigation – EUROKONTROL)[13] 1963 წელს შეიქმნა საჰაერო ნავიგაციის უზრუნველყოფაში თანამშრომლობის 1960 წელს ხელმოწერილი საერთაშორისო კონვენციის საფუძველზე. მასში 20 სახელმწიფოა გაერთიანებული. მისი მიზნებია: აერონავიგაციის სფეროში წევრი

[12] https://www.ecac–ceac.org/ (16.01.2018)
[13] https://eurocontrol.int/ (16.01.2018)

ქვეყნების თანამშრომლობა; ევროპაში აერონავიგაციის კონტროლის სისტემის კოორდინაცია; აერონავოგაციის კონტროლის ჰარმონიზაციის ევროპული პროგრამის განხორციელება; საჰაერო მოძრაობის მართვის ერთიანი ცენტრის შექმნა; ევროპაში აერონავიგაციის კონტროლის მიზნით კვლევების და გამოგონებების განხორციელება.

ევროპის კოსმოსური სააგენტო (European Space Agency)[14] 1980 წელს შეიქმნა, მისი წევრია 22 სახელმწიფო. სააგენტოს მიზანია: კოსმოსური გამოკვლევების სფეროში თანამშრომლობა და გამოგონებების მშვიდობიანი მიზნით გამოყენება; ევროპის გრძელვადიანი კოსმოსური პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია; კოსმონავტიკაში გეგმების და პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია; ევროპის და ეროვნული კოსმოსური პროგრამების კოორდინაცია, სამრეწველო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია.

სააგენტო თანამშრომლობს მრავალ ევროპულ ორგანიზაციასთან, განსაკუთრებით ეკ-ს კომისიასთან, გაეროს კოსმოსური ტექნიკის და ტექნოლოგიების გამოყენების პროგრამასთან.

რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი (European Bank for Reconstruction and Development)[15] შეიქმნა 1990 წელს. ფუნქციონირება დაიწყო 1991 წლიდან. მისი დამფუძნებელია 40 ქვეყანა, შემდეგ წევრთა რიცხვი 66-მდე გაიზარდა. ბანკში ინსტიტუციური წევრების სახით შედიან ეკ, ესბ; მჭიდრო კავშირი არსებობს მსოფლიო ბანკთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. 1992 წელს რგებსთან ხელშეკრულება გააფორმა იაპონიამ, ამიტომაც მან მიიღო საერთაშორისო სტატუსი. ბანკის ინვესტიციებმა 2016 წელს 9.4 მილიარდი ევრო შეადგინა.

ბანკის მიზნებია: ოპერაციების განხორციელება განსაკუთრებით ცენტრალურ და აღ. ევროპის ქვეყნებში; მხარდა-

[14] http://www.esa.int/ESA (16.01.2018)
[15] http://www.ebrd.com/home (16.01.2018)

ჭერა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში; კერძო მეწარმეობის მხარდაჭერა დემოკრატიულ ქვეყნებში; კომერციული და განვითარების ბანკის ფუნქციების შეთავსება.

ბანკი მოითხოვს, რომ საწარმოების მიერ წარმოდგენილ პროექტებს ჰყავდეთ ძლიერი სპონსორები და ჰქონდეთ საიმედო ბიზნეს-გეგმები. კომერციულ საფუძველზე ბანკი წარადგენს სესხებს საბაზრო განაკვეთების მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია რისკები; დაკრედიტების ძირითადი ობიექტებია ერთობლივი საწარმოები. დაფინანსებას ახორციელებს ბანკის კომერციული დეპარტამენტი. პროექტების შერჩევისას გათვალისწინებულია ქვეყნის სტრატეგიები და მოცემული საქმიანი წინადადების გავლენა ეკოლოგიაზე.

რგებ ახორციელებს კრედიტებს კომერციული საწარმოებისათვის 10 წლიანი, ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის – 15 წლიანი ვადით. არ მოითხოვება სამთავრობო გარანტიები. იგი აფინანსებს შემკვეთის დანახარჯების 35%-ს საბაზრო ღირებულებით.

რგებ-სთან ერთობლივი დაფინანსება შესაძლებელია შეთანხმებული პროპორციებით, პარალელური დაფინანსებით, სინდიცირებით (ბანკის დოკუმენტაციით სხვა საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსება).

ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის პროგრამები მიიღება მხოლოდ უშუალოდ მთავრობების მიერ.

ტექნიკური პროექტების დაფინანსების პრიორიტეტული სფეროებია: პრივატიზაცია და სტრუქტურული რეფორმები, კონვერსია, საფინანსო სექტორის განვითარება, ენერგეტიკა, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ტურიზმი, სოციალური სფერო, გარემოს დაცვა, ტელეკომუნიკაციები.

რგებ ზემოქმედებს საფინანსო ინსტიტუტების სამართლებრივი სისტემის გაძლიერებაზე ქვეყნის სამეურნეო პროცესის რეგულირების, საფონდო ბირჟების, საინვესტიციო ფონდების ფუნქციონირების, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პროცედურების გამარტივების და ა. შ. მიმართულებით.

2.2. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის რეგიონული ორგანიზაციები და მათი ფუნქციონირების შედეგები

ვიშეგრადის ჯგუფი[16]. ვიშეგრადის ჯგუფი შესაძლებელია განისაზღვროს, როგორც საშინაო და საგარეო საკითხებში რეგიონული თანამშრომლობის მექანიზმი ცენტრალური ევროპის ოთხ ქვეყანას უნგრეთს, ჩეხეთს, სლოვაკეთსა და პოლონეთს შორის. თანამშრომლობის ეს მექანიზმი შეიქმნა კომუნიზმის მემკვიდრეობის დასაძლევად და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისათვის საჭირო რეფორმების მხარდასაჭერად. რეგიონული თანამშრომლობის მექანიზმი არჩეულ იქნა ინტეგრაციის პროცესების დაჩქარებისათვის, გამომდინარე იქედან, რომ ოთხივე ქვეყანას მეტნაკლებად მსგავსი სასტარტო პირობები გააჩნდა. 1989 წლის მოვლენების შემდგომ, როცა მოხდა ტოტალიტარული რეჟიმის ნგრევა, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და უნგრეთის თანამშრომლობის სამეული რეგიონული თანამშრომლობის წარმატებულ მაგალითად იქცა. 2004 წელს უკვე ვიშეგრადის ოთხეული ევროკავშირის წევრები გახდნენ.

ოფიციალურად ვიშეგრადის ჯგუფი შეიქმნა 1991 წლის 15 თებერვალს „ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე უნგრეთს, ჩეხეთს, სლოვაკეთსა და პოლონეთს შორის თანამშრომლობის შესახებ დეკლარაციის“ ხელმოწერით.

დეკლარაციით განისაზღვრა ვიშეგრადის ჯგუფის ძირითადი მიზნები:

- სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და თავისუფლების სრულად აღდგენა;
- ტოტალიტარული სისტემის ყველა არსებული სოციალური, ეკონომიკური და მენტალური ასპექტის აღმოფხვრა;
- საპარლამენტო დემოკრატიის და სახელმწიფო სა-

[16] http://www.visegradgroup.eu/ (16.01.2018)

მართლის მშენებლობა, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების პატივისცემა;

- თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის შექმნა;
- სრული ჩართულობა ევროპულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში, ასევე უსაფრთხოებისა და საკანონმდებლო სისტემაში.

ორგანიზაციული სტრუქტურის თვალსაზრისით, თანამშრომლობის ფორმაა რეგულარული შეხვედრები პრემიერ-მინისტრებისა და მინისტრების დონეზე, სადაც განიხილება საერთო სტრატეგიები. ამ მიზნით ოთხივე ქვეყნის წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე შეიქმნა ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი, რომლის ძირითადი მიზანი რეგიონული მასშტაბის პროექტების დაფინანსებაა. ფაქტობრივად, ვიშეგრადის თანამშრომლობა არ არის ინსტიტუციონალიზებული რაიმე ფორმით. ის ემყარება მისი წარმომადგენლების პერიოდულ შეხვედრებს სხვადასხვა დონეზე. პრემიერ მინისტრების ოფიციალური შეხვედრა ყოველწლიურად ეწყობა. სამიტებს შორის საპრეზიდენტო პოზიცია აქვს ამ ოთხი ქვეყნიდან ერთ-ერთს, რომელიც პასუხისმგებელია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე.

მიუხედავად საერთო რეგიონული თანმშრობლობისა და განვითარების მსგავსი სტრატეგიების არჩევისა, ვიშეგრადის ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც სახელმწიფოს ზომებით, ასევე მოსახლეობის ოდენობით, ეთნიკური კომპოზიციითა და სხვა რიგი მაჩვენებლების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნები იმავდროულად არიან ევროკავშირის წევრები.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა – დსთ (Commonwealth of Indipendent States-CIS)[17]. დსთ შეიქმნა 1991 წელს. მისი მიზანი იყო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ სფეროებში თანამ-

[17] http://www.cis.minsk.by/ (17.01.2018)

შრომლობა; ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფარგლებში წევრი-ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე, სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობაზე და ინტეგრაციაზე ზემოქმედება. მისი წევრები არიან აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, მოლდავეთი, ბელორუსი, ყაზახეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი. 1993 წელს ქვეყნებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიური კავშირის შექმნის შესახებ, რაც ითვალისწინებს:

- საქონლის, მომსახურების, წარმოების ფაქტორების თავისუფალ გადაადგილებას;
- ფულად – საკრედიტო, საბიუჯეტო, ფასების, დაბეგვრის. სავალუტო და საბაჟო საკითხებში შეთანხმებული პოლიტიკის გატარებას;
- თავისუფალი მეწარმეობის და ინვესტიციების წახალისებას, საწარმოო კოოპერაციის მხარდაჭერას;

აღნიშნულ შეთანხმებაზე დაყრდნობით წევრი-სახელმწიფოს სახელმძღვანელო პრინციპებია:

- ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობა, ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვა;
- დავების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა და ერთმანეთის მიმართ ეკონომიკური ზეწოლის გამოუყენებლობა;
- მიღებულ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა;
- იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გამორიცხვა;
- მესამე მხარის მიმართ ეკონომიკური აგრესიის საკითხზე კონსულტაციების წარმოება.

ეკონომიკური კავშირის მიზნებია:

- წევრი ქვეყნების სტაბილური განვითარების პირობების ფორმირება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით;
- საბაზრო ურთიერთობების საფუძველზე ერთიანი ეკონომიკური სივრცის ეტაპობრივი ფორმირება;

- ყველა სამეურნეო სუბიექტისთვის თანასწორი შესაძლებლობების და გარანტიების შექმნა;
- საერთო ინტერესის მქონე ეკონომიკური პროექტების ერთობლივი განხორციელება;
- ეკოლოგიური პრობლემების ერთობლივი ძალით მოგვარება და სტიქიური უბედურებების და კატასტროფების ლიკვიდაცია.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ეკონომიკური კავშირის ჩამოყალიბება უნდა განახორციელონ ინტეგრაციის გაღრმავების გზით, ეკონომიკური რეფორმების საშუალებით ეტაპობრივად (თავისუფალი ვაჭრობის სახელმწიფოთაშორისი ასოციაცია, საბაჟო კავშირი, საერთო ბაზარი, სავალუტო კავშირი).

1994 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას ᲗᲘᲖ-ს შექმნის შესახებ, რაც ითვალისწინებდა საბაჟო ტარიფების ეტაპობრივ შემცირებას და მოხსნას; საბაჟო პროცედურების გამარტივებას; საბაჟო დოკუმენტაციის უნიფიკაციას საბაჟო სტატისტიკის წარმოების გამარტივების მიზნით; თავისუფალი ტრანზიტის პრინციპის დაცვას და სხვა.

1995 წელს დაიდო შეთანხმება რუსეთის ფედერაციას, ბელარუსსა და ყაზახეთს შორის საბაჟო კავშირის შექმნის შესახებ. საერთო ბაზარზე გადასასვლელად წევრ – ქვეყნებს უნდა შეექმნათ სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები საქონლისა და წარმოების ფაქტორთა თავისუფალი გადაადგილებისათვის; სამართლიანი კონკურენციისათვის, ერთიანი სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემის შექმნისათვის.

1996 წელს რუსეთის ფედერაციას, ბელორუსს, ყაზახეთსა და ყირგიზეთს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებში ინტეგრაციის გაღრმავების შესახებ.

ასევე, რუსეთსა და ბელორუსს შორის გაფორმდა შეთანხმება მათი თანამეგობრობის შესახებ, რაც პირველ რიგში გულისხმობს მატერიალური და ინტელექტუალური პო-

ტენციალის გამთლიანებას, ცხოვრების დონის ამაღლებას და პიროვნების სულიერი განვითარების უზრუნველყოფას.

1991 წლის დეკემბერში ქ. მინსკში და 1992 წლის იანვარში ქ. მოსკოვში სახელმწიფო მეთაურთა მიერ ხელმოწერილი შეთანხმებით განისაზღვრა წევრი ქვეყნების ორმხრივი ურთიერთობის პრინციპები. ეკონომიკურ სფეროში თავდაცვის სფეროში, კოსმოსურ კვლევებში, ჰუმანიტარული პრობლემების გადაწყვეტაში თანამშრომლობა. 1992 წლის განმავლობაში მიღებული დოკუმენტები დსთ-ს სამართლებრივი დოკუმენტები გახდა. დოკუმენტებიდან მნიშვნელოვანია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქარტია, რომელიც მიღებულ იქნა სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს მიერ 1993 წლის 22 იანვარს მინსკში. თანამეგობრობის ქარტიაში განსაზღვრულია წევრი ქვეყნებისათვის შესაბამისი პირობები: კოლექტიური უსაფრთხოებისათვის, პოლიტიკური თანამშრომლობის მიზნები და პრინციპები, ორმხრივი თანამშრომლობა ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ სფეროებში.

თანამეგობრობის წევრი შეუძლია გახდეს ის ქვეყანა, რომელიც მიიღებს და განახორციელებს თანამეგობრობის მიზნებს და პრინციპებს. საჭირო არის ყველა წევრი ქვეყნის თანხმობა.

ინტეგრაციული პროცესის განვითარების კვალდაკვალ შემუშავებულ იქნა კონკრეტული ღონისძიებები, რათა მომავალში მომხდარიყო თანამშრომლობის გაღრმავება ექვს ძირითად სფეროში: ეკონომიკურ, სამხედრო, სამშვიდობო, სასაზღვრო საკითხებში, ჰუმანიტარულ და სოციალურ სფეროებში.

2008 წლის 10 ოქტომბერს, სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს მიერ მიღებულ იქნა "2020 წლამდე დსთ-ს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია". 2008 წლის 14 ნოემბერს კი დამტკიცებულ იქნა მმართველთა საბჭოს მიერ. მიღებული დოკუმენტი მიუთითებს თანამეგობრობის ფარგლებში ინტეგრაციული პროცესის ახალ მიმართულებებზე.

შეთანხმების საფუძველში დევს მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური სივრცის ფორმირების აუცილებლობა, რაც ეფუძნება საქონლის, მომსახურეობის, სამუშაო ძალის, კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას, სამეურნეო საქმიანობის რეგულირების მეთოდების დაახლოებას, შესაბამისი პირობების შექმნას საწარმოო კავშირების განვითარებისათვის.

ქვეყნებს შორის ურთიერთობა დსთ-ს ფარგლებში რეგულირდება შემდეგი ინსტიტუტების მიერ: სახელმწიფო მეთაურთა საბჭო, მმართველობითი საბჭო, საპარლემენტთაშორისო ასამბლეა და აღმასრულებელი კომიტეტი.

დსთ-ს ორგანოებია:

1. დსთ-ს აღმასრულებელი კომიტეტი;
2. დსთ-ს საკანონმდებლო ორგანო;
3. სახელმწიფო მეთაურთა საბჭო;
4. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო;
5. სასაზღვრო ჯარების მეთაურთა საბჭო;
6. თავდაცვის მინისტრთა საბჭო;
7. საპარლამენტთაშორისო ასამბლეა;
8. ეკონომიკური სასამართლო.

1999 წლის 2 აპრილს სახელმწიფო მეთაურთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აღმასრულებელი სამდივნოს, საერთაშორისო ეკონომიკური კომიტეტის, ეკონომიკური კავშირის, სამრეწველო ორგანოების სამუშაო აპარატის რეორგანიზაცის შესახებ. უნდა ჩამოყალიბებულიყო ერთიანი აღმასრულებელი, მაკოორდინებელი ორგანოს – დსთ-ს აღმასრულებელი კომიტეტის სახით. იგი წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილი ორგანოების სამართალმემკვიდრეს.

მისი მთავარი ფუნქციაა: უზრუნველყოს სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს, მინისტრთა და ეკონომიკური საბჭოს საქმიანობა, შეიმუშავოს წინადადებები თანამეგობრობის სტრატეგიაზე, შეიმუშავოს სამართლებრივი დოკუმენტები, მოახდინოს განხორციელებული გადაწყვეტილებების შედეგების ანალიზი.

ეკონომიკური სასამართლო ჩამოყალიბდა 1992 წლის 15 მაისის შეთანხმების საფუძველზე, ეკონომიკური სასამართლოს წევრები არიან: ბელორუსიის რესპუბლიკა, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდავეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი. ეკონომიკურ სასამართლოს ევალება სხვადასხვა სახის სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური დავების გადაწყვეტა:

- დავები, რომლებიც წარმოიქმნება იმ ეკონომიკური ვალდებულებების შეუსრულებლობისას, რომელიც მიღებულია სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს, მმართველი საბჭოს და სხვა ინსტიტუტების მიერ;
- სახელმწიფო მოქმედებების ნორმატიულ და სხვა აქტებთან შეუსაბამობის შედეგად წარმოშობილი დავები;

დავები განიხილება ეკონომიკური სასამართლოს მიერ დაინტერესებული მხარე-სახელმწიფოს განცხადების საფუძველზე. ეკონომიკური სასამართლო მოწოდებულია უზრუნველყოს დადებითი შეთანხმებების მიღწევა დაპირისპირებულ მხარეებს შორის. იგი იღებს გადაწყვეტილებებს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოქმედებს უმაღლესი მმართველობითი ორგანოების მითითებით.

დსთ და საქართველო. საქართველო დსთ-ის წევრი 1993 წლის დეკემბერში გახდა. ის ორგანიზაციაში ყველაზე ბოლოს გაწევრიანდა. 1994 წელს საქართველოს პარლამენტმა შევარდნაძის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაამტკიცა. არსებული ინფორმაციით, დსთ-ში ყოფნის პერიოდში საქართველომ ხელი მოაწერა 113 მრავალმხრივ, არასამხედრო ხასიათის ხელშეკრულებას.

2008 წლის საქართველოს წინააღმდეგ განახორციელებული სამხედრო აგრესიის მიზეზით, საქართველომ მიიღო გადაწყვეტილება დსთ-დან გამოსვლის შესახებ.

2008 წლის 14 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილებები, რომელთა თანახმად საქართველოს მიმართ შეწყვიტა მოქმედება "დამოუკიდებელ სახელმწიფო-

თა თანამეგობრობის შექმნის შესახებ" 1991 წლის 8 დეკემბრის შეთანხმებამ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს 1993 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით დამტკიცებულმა "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდებამ" და "ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ" 1993 წლის 24 სექტემბრის ხელშეკრულებამ.

ამავე დროს, "სახელშეკრულებო სამართლის შესახებ" ვენის 1969 წლის კონვენციის შესაბამისად, საქართველოსათვის ძალაში რჩება დსთ-ს ფარგლებში დადებული ის საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულებები, რომლებში მონაწილეობაც არ არის შეზღუდული დსთ-ს წევრობით (სულ 75 ხელშეკრულება) მათ შორის შეთანხმება დსთ-ს მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეების უვიზო მიმოსვლის შესახებ, შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ, კონვენცია სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ და ა.შ.

2009 წლის 19 აგვისტოდან საქართველო ოფიციალურად წყვეტს ურთიერთობას დსთ-სთან, ამასთან საქართველო რჩება დსთ-ს მრავალმხრივი ეკონომიკური შეთანხმებების წევრი. მათგან მნიშვნელოვანია:

- თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ მრავალმხრივი შეთანხმება, რომლის ძირითად არსს წარმოადგენს წევრ ქვეყნებს შორის საქონლის თავისუფალი მოძრაობა (საქონლის გადაადგილება ნულოვანი დაბეგვრით).

აღნიშნული შეთანხმების სრულფასოვან ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, საჭიროა მხარეებმა იხელმძღვანელონ დსთ-ს საქონლის წარმოშობის სახელმწიფოს განსაზღვრის წესებით, რაც გულისხმობს საქონლის წარმოშობის კრიტერიუმების განსაზღვრას, რომლის შესაბამისადაც გაიცემა საქონლის წარმოშობის სერთიფიკატი. ეს სერთიფიკატი უზრუნველყოფს საქონლის მოქცევას თავისუფალი ვაჭ-

რობის რეჟიმში. ხსენებული საკითხის დარეგულირება მიმდინარეობს დსთ-ს წევრ ქვეყნებთან ორმხრივ ფორმატში.

• საქართველო რჩება ასევე თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მარეგლამენტირებელ, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერთიფიკაციის სფეროში შეთანხმებული პოლიტიკის წარმოების შესახებ მრავალმხრივი შეთანხმების წევრი. ამ შეთანხმების შესაბამისად, წევრი ქვეყნები აღიარებენ ერთმანეთის მიერ საექსპორტო პროდუქციაზე მინიჭებულ ხარისხისა და შესაბამისობის სტანდარტებს.

• ტრანსპორტის სფეროში მნიშვნელობა ენიჭება ტვირთის გადაადგილებას სარკინიგზო ტრანსპორტით, რისთვისაც საქართველომ მიიღო გადაწყვეტილება დარჩეს:

- დსთ-ს ქვეყნების რკინიგზათა თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი;
- საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო შეტყობინების შეთანხმების წევრი
- შპს "საქართველოს რკინიგზა" რჩება რკინიგზათა საერთაშორისო საბჭოს წევრი.
- საშიში და ფეთქებად საშიში ტვირთის სახელმწიფოთაშორისი გადაზიდვების შესახებ შეთანხმების წევრი.

საქართველო კვლავ დარჩა:

• საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების წევრი;

• ყალბი სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შეტყობინებისა და აღკვეთის ზომების შესახებ შეთანხმების წევრი.

ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (Economic Cooperation Organization – ECO[18]). ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია 1985 წელს შეიქმნა. იგი არის განვითარების რეგიონული თანამშრომლობის ორგანიზაცი-

[18] http://www.eco.int (20.01.2018)

ის მემკვიდრე. მისი მიზანია ურთიერთშორის ვაჭრობის განვითარება და მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის პირობების შექმნა. მისი წევრები არიან: აზერბაიჯანი, ავღანეთი, ირანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, პაკისტანი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, თურქეთი, უზბეკეთი. ინტეგრაციის მოსახლეობა 460 მილიონს შეადგენს, ფართობი 8 მილიონი კვ.კილომეტრია. ორგანიზაციის მართვა ხორციელდება დარგობრივი კომიტეტების მეშვეობით შემდეგი მიმართულებებით: სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობა; ენერგეტიკა; სოფლის მეურნეობა; ტრანსპორტი და კომუნიკაციები; გარემოს დაცვა და ჯანდაცვა; განათლება, მეცნიერება და კულტურა; ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლა და ა.შ.

1993 წელს მიღებული იქნა სტამბულის დეკლარაცია გრძელვადიანი თანამშრომლობის შესახებ, სადაც ყურადღება გამახვილებულია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგის განვითარებაზე. თანამშრომლობენ განვითარების ისლამურ ბანკთან და აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკურ კომისიასთან. შექმნილია სამეცნიერო-ტექნიკური ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს პროექტების სამეცნიერო-ტექნიკურ მომზადებას.

ვაჭრობის გამარტივების მიზნით ხელი მოეწერა ოქმს პრეფერენციული ტარიფების მექანიზმების შესახებ. 1993 წელს შეიქმნა სპეციალიზირებული დაწესებულებები: ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (თურქეთი); ორგანიზაციის სადაზღვევო კომპანია (პაკისტანი); ორგანიზაციის გემთმავალი კომპანია (ირანი); ორგანიზაციის ავიაკომპანია (ირანი).

მიმდინარე ეტაპზე ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტს წარმოადგენს „ECO Vision 2025“, რომელშიც გაწერილია თანამშრომლობის განვითარების ძირითადი მიმართულებები და მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა (Black Sea Economic Cooperation – BSEC)[19] ორგანიზაცია 1992 წლიდან არსებობს, მაგრამ ოფიციალურად 1998 წელს დაარსდა. მისი სამდივნი სტამბულში მდებარეობს. მისი წევრები არიან აზერბაიჯანი, ალბანეთი, სომხეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, საქართველო, მოლდავეთი, რუსეთის ფედერაცია, რუმინეთი, თურქეთი, უკრაინა და სერბეთი. ორგანიზაციის მიზნებია:

- ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარება. შეთანხმებულ სფეროებში;
- თანამშრომლობის დივერსიფიკაციის გაფართოება;
- მეწარმეობისთვის პირობების გაუმჯობესება, ინიციატივის წახალისება.

ორგანიზაციის საქმიანობის მიმართულებებია:

- თანამშრომლობა ენერგეტიკის, მინერალური რესურსების მოპოვების და დამუშავების, სოფლის მეურნეობის და ასკ-ს, მეცნიერებისა და ტექნიკის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, ტურიზმის, გარემოს დაცვის სფეროში, პროდუქციის სტანდარტიზაციის და სერთიფიკაციის, ჯანდაცვის და ფარმაცევტიკის, ვეტერინარული და სანიტარული პროფილაქტიკის, ეკონომიკური და კომერციული ინფორმაციის გაცვლის საკითხებში;
- სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა, რომლის განვითარების მიზნით შეიქმნა შავი ზღვის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, შზეთ-ის სამეცნიერო ფონდი, სწავლულთა სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევების და ასოციაციების საინფორმაციო ქსელი;
- მეწარმეობის განვითარებისთვის ხელშეწყობა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს, ინვესტორებს, მეწარმეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების გზით;

[19] http://www.bsec–organization.org/Pages/homepage.aspx (20.01.2018)

• ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარებაზე ზემოქმედება, ტრანსევროპულ სისტემასთან მიერთება;

• ორგანიზებულ დანაშაულთან, ნარკობიზნესთან, იარაღის და რადიაქტიული ნივთიერებების უკანონო რეალიზაციასთან ბრძოლაში შეთანხმებული მოქმედება.

ამასთან, თანამშრომლობა მუშაობს ბანკების და ფინანსების, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების, ინვესტიციების დაცვის, სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლის და ა.შ. საკითხებზე.

1995 წლიდან ფუნქციონირებს შზეთ-ის საბჭო, რომელშიც წევრი ქვეყნების მრეწველთა კავშირების და სავაჭრო პალატების წარმომადგენლები შედიან. საბჭოს მიზანია არასამთავრობო ორგანიზაციის ფორმატში მრავალმხრივი თანამშრომლობა მრეწველობისა და მეწარმეების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ვაჭრობის და განვითარების შავი ზღვის ბანკი (Black Sea Bank of Trade and Devalopment-BSBTD)[20]. ბანკი შეიქმნა 1995 წელს 1994 წელს შზეთ-ის წევრების მიერ მიღებული შეთანხმების საფუძველზე.

ბანკის მიზნებია:

• შავი ზღვის რეგიონის ეკონომიურ განვითარებაზე ზემოქმედება;

• ინფრასტრუქტურის პროექტების დაფინანსება;

• ინვესტიციების მოზიდვა;

• საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

• შზეთ-ს ფარგლებში მრავალმხრივი პროექტების დაკრედიტება;

[20] http://www.bstdb.org/ (20.01.2018)

• წევრი ქვეყნების ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაზე ზემოქმედება;

• შავი ზღვის აუზის ეკონომიკის განვითარებაზე ზემოქმედება პროექტების დაფინანსების გზით.

ბანკის საწესდებო კაპიტალი 3.5 მლრდ. ევროა. ბანკის პროექტები მიმართულია წევრი ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისა და რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებისკენ.

ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ბანკი (Internatonal Bank for Economic Cooperaton – IBEC)[21]. ბანკი დაარსდა 1963 წელს, თუმცა 1964 წელს დარეგისტრირდა გაეროს სამდივნის მიერ. ბანკის წევრები არიან: ბულგარეთი, ვიეტნამი, მონგოლეთი, პოლონეთი, რუსეთის ფედერაცია, რუმინეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი. მანადე მასში შედიოდნენ გდრ და უნგრეთი. ბანკი უზრუნველყოფდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს (ეუს) წევრებს შორის თანამშრომლობას. 1991 წლიდან დაიწყო ბანკის საქმიანობის მიმართულებების, ცენტრალიზებული საქონელბრუნვის მომსახურების ცვლილება. 1999 წლიდან ბანკის ქსელმა 300 ბანკი მოიცვა და დაიწყო კომერციული კლიენტურის საანგარიშსწორებო – საკრედიტო მომსახურება. აქცენტი კეთდება ახალი კლიენტურის მოზიდვაზე. ბანკი აწარმოებს მსოფლიო პრაქტიკაში არსებული საბანკო ოპერაციების ყველა სახეობას.

საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი (Bank of International Investment)[22]. ბანკი 1970 წელს შეიქმნა ეუს-ს წევრი ქვეყნების გრძელ- და საშუალოვადიანი დაკრედიტების მიზნით. 1991 წლიდან რუბლის ნაცვლად ოპერაციებს ახორციელებს კონვერტირებად ვალუტაში. ბანკის წევრები არიან: ბულგარეთი, უნგრეთი. მონგოლეთი, პოლონეთი, რუსეთის ფედერაცია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი, კუბა, ვიეტნამი. ბანკი ახლა აკრედიტებს არა მარტო მსხვილ სა-

[21] http://en.ibec.int (20.01.2018)

[22] https://www.iib.int/en (20.01.2018)

ხელმწიფო წარმოებებს, არამედ სხვადასხვა საკუთრების ფორმის საწარმოებს. 1991 წლიდან ბანკი ჩაერთო მსოფლიო ბანკთაშორის სატელეკომუნიკაციო სისტემაში.

2.3. რეგიონული ინტეგრაციის განვითარება ამერიკაში

ამერიკის ქვეყნებში რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები ეკონომიკური ინტეგრაციის 4 ფორმით გვხვდება:

1. თავისუფალი ვაჭრობის ზონა – ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია;

2. საერთო ბაზარი – სამხრეთის საერთო ბაზარი (მერკოსური); ცენტრალურამერიკული საერთო ბაზარი – გათვალისწინებულია სატარიფო და არასატარიფო ბარიერების შეცვლა; კაპიტალის და სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილება; ერთიანი საგარეო ტარიფის შემოღება; დარგობრივი ეკონომიკის პოლიტიკის კოორდინაცია; სავალუტო – საფინანსო პოლიტიკის კოორდინაცია.

3. ეკონომიკური თანამშრომლობა – ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია; ლათინოამერიკული ეკონომიკური სისტემა; ინტეგრაციის ლათინოამერიკული ასოციაცია – გათვალისწინებულია შეთანხმებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გატარება; ეკონომიკურ თანამშრომლობის გავითარებაზე ზემოქმედება; სტრატეგიულ საკითხებზე საერთო პოზიციის შემუშავება;

4. ეკონომიკური კავშირი და საერთო ბაზარი – კარიბის თანამეგობრობა და კარიბის საერთო ბაზარი; ანდის ჯგუფი; აღმოსავლეთ კარიბის სახელმწიფოთა ორგანიზაცია – გათვალისწინებულია ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება; მრეწველობის განვითარებაზე ზემოქმედება; საქონლის, კაპიტალის და ხალხის თავისუფალი მოძრაობა; საგარეო პოლიტიკის კოორდინაცია; ეკონომიკის, მეცნიერე-

ბისა და ტექნიკის დარგებში თანამშრომლობა; კანონმდებლობის ჰარმონიზაცია.

ამერიკაში სულ 14 ამგვარი ორგანიზაციაა, რომელთაგან მხოლოდ 3 არის ორიენტირებული მთლიანად რეგიონის განვითარებაზე.

ლათინურ ამერიკაში ინტეგრაციულმა პროცესებმა ბოლო 20 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს. 1960 წელს შექმნილმა ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციამ (ლათვა) და 1965 წელს ჩამოყალიბებულმა თავისუფალი ვაჭრობის კარიბულმა ასოციაციამ შეიცვალეს სახელი და ორიენტაცია. თუ დასაწყისში ისინი იმპორტის ჩანაცვლების სტრატეგიას ატარებდნენ, შემდგომ მოუწიათ ბაზრის ტევადობის ზრდის პირობებში ამ პოლიტიკაზე უარის თქმა. ამ ორგანიზაციების რეორგანიზაციის მიზეზი იყო ის, რომ მათ არ ჰქონდათ რეგიონისშიგა თანამშრომლობის სტიმულები. ორივე ორგანიზაცია აშშ-სთან ვაჭრობდა უფრო მეტს, ვიდრე ერთმანეთს შორის. ლათვა-ს მიზანი – სწრაფვა ვაჭრობაში ყველა ბარიერის მოსპობისკენ, აღმოჩნდა პრაქტიკულად არარეალური. ლათვა-ს ალტერნატივის სახით 1980 წელს შეიქმნა ლათინოამერიკული ინტეგრაციის ასოციაცია, თუმცა მისი ვაჭრობის 90% არარეგიონულ ბრუნვაზე მოდიოდა. ანალოგიური პრობლემები გააჩნდა ანდის ჯგუფის, კარიბის თანამეგობრობის და კარიბის საერთო ბაზრის, ცენტრალურამერიკული საერთო ბაზრის წევრ ქვეყნებს.

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის შემდეგი ეტაპი იყო „ორივე ამერიკის სამეწარმეო პროექტი", რომლის მიხედვითაც დაგეგმილია ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებისთვის თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა.

ამერიკის სახელმწიფოების მიერ შეიქმნა განვითარების ამერიკათაშორისი ბანკი, კარიბის განვითარების ბანკი, ეკონომიკური ინტეგრაციის ცენტრალურამერიკული ბანკი, ამერიკათაშორისი საინვესტიციო კორპორაცია (იხ. ცხ. 2.3.1)

ცხრილი 2.3.1 ამერიკის სახელმწიფოთა რეგიონალური ეკონომიკური ორგანიზაციები

ორგანიზაციის დასახელება	წევრი ქვეყნების რიცხვი
ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია	35
განვითარების ამერიკათაშორისი ბანკი	46
ამერიკათაშორისი საინვესტიციო კორპორაცია	45
ლათინურამერიკული ეკონომიური სისტემა	26
ინტეგრაციის ლათინურამერიკული ასოციაცია	13
კარიბის თანამეგობრობა და კარიბის საერთო ბაზარი	20
განვითარების კარიბული ბანკი	25
აღმოსავლეთკარიბული სახელმწიფოების ორგანიზაცია	10
ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია	3
სამხრეთის საერთო ბაზარი – მერკოსური	6
ანდის ჯგუფი	6
ცენტრალურ ამერიკული საერთო ბაზარი	6
ეკონომიკური ინტეგრაციის ცენტრალურამერიკული ბანკი	6
ენერგეტიკის ლათინურამერიკული ორგანიზაცია	25

ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია (Organization of American States)[23] შეიქმნა 1948 წელს. იგი იყო ამერიკული რესპუბლიკების საერთაშორისო კავშირის სამართალმემკვიდრე. მისი წევრების არიან: ანტიგუა და ბარბუდა, არგენტინა, ბაჰამის კუნძულები, ბარბადოსი, ბელიზი, ბოლივია, ბრაზილია, ვენესუელა, ჰაიტი, გაიანა, გვატემალა,

[23] http://www.oas.org/en (20.01.2018)

გონდურასი, გრენადა, დომინიკას რესპუბლიკა, კანადა, კოლუმბია, კოსტარიკა, კუბა, მექსიკა, ნიკარაგუა, პანამა, პარაგვაი, პერუ, სალვადორი, სენტ – ვინსენტი და გრენადინე, სენტ – კისტი და ნევისი, სენტ – ლუსია, აშშ, სურინამი, ტრინიდადი და ტიბაგო, ურუგვაი, ეკვადორი, ჩილე, იამაიკა. 1994 წლის უმაღლესი დონის შეხვედრებზე მიღებული იქნა „დეკლარაცია დემოკრატიის, ვაჭრობის თავისუფლების და ამერიკის მდგრადი განვითარების საკითხებში პარტნიორობის მიზნით". ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაციის შტაბბინა განთავსებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ. ვაშინგტონში.

ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია მსოფლიოს უძველესი რეგიონალური ორგანიზაციაა, რომელიც უკავშირდება 1889-1890 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ. ვაშინგტონში ჩატარებულ ამერიკის სახელმწიფოთა პირველ საერთაშორისო კონფერენციას.

ორგანიზაციის წესდება ძალაში შევიდა 1951 წლის დეკემბერში. შემდეგში სხვადასხვა წლებში წესდებაში ცვლილებების შეტანა მოხდა ბუენოს აირესის (1967 წელი), ინდოეთის (1985 წ.), მანაგუას (1993 წ.) და ვაშინგტონის (1992წ.) შეთანხმებების საფუძველზე. ორგანიზაციის წესდების პირველი მუხლის მიხედვით ორგანიზაციის შექმნის მიზანი არის „მშვიდობისა და სამართლიანობის დაცვა, რათა ხელი შეეწყოს სოლიდარობას, გააძლიეროს თანამშრომლობა, დაიცვას მათი სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებლობა."[24] დღეს ორგანიზაცია მოიცავს ამერიკის 35 დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ხოლო მუდმივი დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობს 63 ქვეყანა, მათ შორის ევროკავშირი.

თავისი მიზნების განსახორციელებლად ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია იყენებს ოთმხრივ მიდგომას,

---

[24] ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაციის წესდება http://www.oas.org/dil/treaties_A–41_Charter_of_the_Organization_of_American_States.htm (15.01.18)

რომელიც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: დემოკრატია, ადამიანის უფლებები, უსაფრთხოება და განვითარება.

წესდების მე-2 მუხლის[25] მიხედვით, თავისი პრინციპებისა და რეგიონალური ვალდებულებების **შესასრულებლად ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია** თავის საქმიანობაში ისახავს შემდეგ მიზნებს:

- კონტინენტზე მშვიდობისა და უსაფრთხოების გაძლიერება;
- დემოკრატიის ხელშეწყობა და გამყარება ჩაურევლობის პრინციპის დაცვით;
- შესაძლო გართულებების პრევენცია და წევრ ქვეყნებს შორის წარმოშობილი დავების მშვიდობიანად გადაწყვეტა;
- ერთობლივი მოქმედებების განხორციელება რომელიმე წევრ ქვეყანაში აგრესიის წარმოშობის შემთხვევაში;
- წევრი ქვეყნების სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში ჩართვა;
- ერთობლივი მოქმედებებით წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ხელშეწყობა;
- სიღარიბის აღმოფხვრა, რომელიც წარმოადგენს დაბრკოლებას სრული დემოკრატიული განვითარებისთვის;
- იარაღის მოხმარების ეფექტურ დონეზე შეზღუდვა, რითაც დიდი რაოდენობის რესურსების გამოთავისუფლება მოხდება ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის;

წესდების მე-3 მუხლის[26] თანახმად, ორგანიზაცია თავისი საქმიანობის განხორციელებისას ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

---

[25] http://www.oas.org/dil/treaties_A–41_Charter_of_the_Organization_of_American_States.htm (15.01.18)

[26] http://www.oas.org/dil/treaties_A–41_Charter_of_the_Organization_of_American_States.htm (15.01.18)

- საერთაშორისო სამართალი არის სტანდარტი, რომელსაც წევრი ქვეყნები იყენებენ ორმხრივ ურთიერთობებში;
- ქვეყნების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პატივისცემა, ხელშეკრულებებით დაკისრებული ვალდებულებების და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმების კეთილსინდისიერად შესრულება;
- წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის კეთილსინდისიერად დარეგულირება;
- ქვეყნების ვალდებულება ითანამშრომლონ ერთმანეთთან თითოეულ წევრ ქვეყანაში სოლიდარობის და დემოკრატიის განმტკიცების მიზნით;
- თითოეულ სახელმწიფოს აქვს უფლება დამოუკიდებლად, გარე ჩარევის გარეშე, აირჩიოს თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის მოწყობა და ვალდებულია თავი შეიკავოს ყოველგვარი ჩარევისაგან სხვა ქვეყნების საქმეებში. აქედან გამომდინარე, ამერიკის ქვეყნების შეუძლიან ითანამშრომლონ ერთმანეთთან, მიუხედავად მათი განსხვავებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემებისა;
- თითოეული წევრი სახელმწიფო თანაბრად არის პასუხისმგებელი აღკვეთოს უკიდურესი სიღარიბე და ამით ხელი შეუწყოს დემოკრატიის განვითარებას;
- ამერიკის ქვეყნებისთვის მიუღებელია ნებისმიერი სახის აგრესიის გამოვლენა და ომი: ომში გამარჯვებულ ქვეყანას არ ეძლევა არანაირი უფლებები;
- რომელიმე ერთი ამერიკული სახელმწიფოს მიმართ გაწეული საომარი აგრესია აღიქმება აგრესიად ყველა ამერიკული ქვეყნის წინააღმდეგ;
- ამერიკის ნებისმიერ ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის წარმოშობილი დავა უნდა გადაწყდეს მშვიდობიანი მოქმედებების შედეგად;
- სოციალური თანასწორობა და სოციალური უსაფრთხოება არის ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობის საფუძველი;

▪ ეკონომიკური თანამშრომლობა აუცილებელია კონტინენტის ხალხთა საყოველთაო კეთილდღეობის მისაღწევად;

▪ ამერიკის სახელმწიფოები აღიარებენ პიროვნების ფუნდამენტალურ უფლებებს განურჩევლად რასისა, ეროვნებისა, მრწამსისა და სქესისა;

▪ კონტინენტის სულიერი ერთობა ეფუძნება თითოეული ქვეყნის კულტურული ღირებულებების პატივისცემას; ქვეყნები ვალდებულნი არიან მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ ერთმანეთთან საერთო მაღალი მიზნების მისაღწევად;

▪ ხალხთა განათლება მიმართული უნდა იყოს სამართლიანობის, მშვიდობისა და თავისუფლების განმტკიცებისკენ;

ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლის მეშვეობითაც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია წარმართავს საქმიანობას და ახორციელებს თავის მიზნებს, შემდეგი სახისაა:

▪ გენერალური ასამბლეა;

▪ საგარეო საქმეთა მინისტრების საკონსულტაციო კრება;

▪ საბჭოები (მუდმივმოქმედი საბჭო და ამერიკათაშორისი საბჭო ინტეგრალური განვითარებისათვის);

▪ ამერიკათაშორისი იურიდიული კომიტეტი;

▪ ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკათაშორისი კომისია;

▪ გენერალური სამდივნო;

▪ სპეციალიზირებული კონფერენციები;

▪ სპეციალიზირებული ორგანიზაციები;

▪ გენერალური ასამბლეის მიერ შექმნილი სხვა ორგანიზაციები.

გენერალური ასამბლეა ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა, რომელიც მოცავს დელეგაციებს წევრი ქვეყნიებიდან. გენერალურ ასამბლეაში ყველა წევრ სახელმწიფოს ჰყავს წარმომადგენელი და აქვს ერთი ხმის უფლება.

მუდმივმოქმედი საბჭო განიხილავს იმ საკითხებს, რომელიც დაევალება მას გენერალური ასამბლეის ან საგარეო საქმეთა მინისტრების საკონსულტაციო კრების მიერ. საბჭო ასევე მონიტორინგს უწევს ქვეყნებს შორის მეგობრულ ურთიერთობებს.

პოლიტიკურ საქმეთა სამდივნოს მისიაა განამტკიცოს პოლიტიკური პროცესები ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის, კერძოდ, მხარი დაუჭიროს დემოკრატიის საუკეთესო ვარიანტს, რაც თავის მხრივ მშვიდობის, უსაფრთხოების და განვითარების გარანტია. თავისი ძალისხმევით, სამდივნო აძლიერებს ორგანიზაციის, როგორც ამერიკათაშორისი სისტემის ძირითადი პოლიტიკური ფორუმის როლს და აქტიურად ეხმარება წევრ სახელმწიფოებს დემოკრატიის შენარჩუნებაში. ახორციელებს რა თავის მიზნებს, პოლიტიკურ საქმეთა სამდივნო ზრდის ინსტიტუტების ლეგიტიმურობას პოლიტიკურ პროცესებში.

სამდივნო შედგება აღმასრულებელი აპარატისა და შემდეგი დამოკიდებული ორგანოებისგან:

- საარჩევნო თანამშრომლობის და სადამკვირვებლო დეპარტამენტი;
- მდგრადი დემოკრატიისა და სპეციალური მისიების დეპარტამენტი;
- სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის დეპარტამენტი.

საარჩევნო თანამშრომლობის და სადამკვირვებლო დეპარტამენტი შეიმუშავებს და ამტკიცებს მუდმივ, საარჩევნო დაკვირვებების პროფესიონალურ სერვისს და ამ სფეროში ტექნიკურ დახმარებას უწევს ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს. დეპარტამენტი კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე დაყრდნობით ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სადისკუსიო ფორუმების გამართვას, რათა დაეხმაროს რეგიონს საარჩევნო ინსტიტუტების განვითარებაში, ხელი შეუწყოს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას და ამ პროცესში მოქალაქეების აქტიურ ჩართვას.

მდგრადი დემოკრატიისა და სპეციალური მისიების დეპარტამენტის მეშვეობით ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის პოლიტიკურ საქმეთა სამდივნო კონტროლს უწევს რეგიონში პოლიტიკურ და ინსტიტუციონალურ კონფლიქტებს.

დეპარტამენტი თავის ძალისხმევას მიმართავს სამი მიმართულებით, ეს არის: კონფლიქტების თავიდან აცილება, კონფლიქტების მართვა და კონფლქტების მოგვარება. დეპარტამენტი იყენებს სხვადასხვა მეთოდოლოგიებს პოლიტიკური ანალიზისას, უზრუნველყოფს ტექნიკურ მხარდაჭერას კონფლიქტის მხარეებისთვის; კოორდინაციას უწევს კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას და ხელს უწყობს მშვიდობიანი თანაცხოვრების კულტურის დამკვიდრებას.

სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის დეპარტამენტი დახმარებას უწევს წევრ სახელწიფოებს თავიაანთი ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარებაში, რათა შემდგომ მათ უკეთესი მომავალი შეუქმნან საკუთარ მოქალაქეებს და ეფექტიანად განავითარონ ეროვნული სტრატეგიული გეგმები. მთავარი პრინციპი მდგომარეობს შემდეგში – იმისათვის, რომ დემოკრატია იყოს მდგრადი და ეფექტიანი პირველ რიგში მან ხალხის ცხოვრების პირობები უნდა გააუმჯობესოს, მთავრობა კი ამას ვერ შეძლებს კომპეტენტური და პროფესიონალური სახელმწიფო ინსტიტუტების გარეშე.

ამერიკის რეგიონი წარმოადგენს მსოფლიოში დემოკრატიული არჩევნების და მთავრობის მშვიდობიანად შეცვლის მაგალითს. ორგანიზაციის წევრი ქვეყნები აცნობიერებენ, რომ დემოკრატიის განვითარება განსაზღვრავს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, როგორც ორგანიზაციის ქარტია განსაზღვრავს, დემოკრატია და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება არის „ურთიერთდამოკიდებული“ და „განამტკიცებს ერთმანეთს“.

ეფექტიანი მთავრობა არ გულისხმობს მხოლოდ კარგ პოლიტიკურ ლიდერს, არამედ ორგანიზებულ და პროფესიონალ სამოქალაქო სამსახურს, რომელიც არის სტრატეგიებისა და გეგმების შესაბამისად აღჭურვილი.

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მეშვეობით, წევრმა ქვეყნებმა დადეს მრავალმხრივი ხელშეკრულებები, რომელიც ხელს უწყობს რეგიონში ურთიერთობების გამყარებას. ასევე მოხდა ქვეყნებისთვის კანონმდებლობის სხვადასხვა სფეროების დახვეწაში დახმარება, როგორიცაა მაგალითად, იარაღის უკანონო ვაჭრობის აღკვეთა და უნარშეზღუდული ადამიანების უფლებების დაცვა.

განვითარების ამერიკათაშორისი ბანკი (Inter-American Development Bank-IDB)[27] 1959 წელს შეიქმნა ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაციის შეთანხმების საფუძველზე. მასში 46 სახელმწიფოა, აქედან 28 ლათინური ამერიკის და კარიბის აუზის. ბანკის მიზნებია: ლათინური ამერიკის და კარიბის აუზის ქვეყნების სოციალურ – ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისთვის ხელშეწყობა; ქვეყნების ეკონომიკაში კერძო და სახელმწიფო ინვესტიციებზე ზემოქმედება; წევრი – ქვეყნების თანამშრომლობა საგარეო ვაჭრობის და რესურსების ეფექტიანად გამოყენების საკითხში.

ბანკის საქმიანობა მიმართულია რეგიონში ეკონომიური და სოციალური პროექტების, განვითარების რეგიონული გეგმების და პროექტების დაფინანსებისკენ.

ბანკის შემადგენლობაში 8 დეპარტამენტია: საბანკო ოპერაციების, ფინანსების, ეკონომიკური და სოციალური განვითარების, პროექტების ანალიზის, იურიდიული, გეგმების და პროგრამების, ადმინისტრაციული და სამდივნო. ბანკს ჰყავს განსაზღვრული საზოგადოებრივი წარმომადგენელი ევროპაში.

1993 წელს ბანკის წევრმა ქვეყნებმა შექმნეს მრავალმხრივი საინვესტიციო ფონდი; ბანკის შემადგენელი ნაწილია ამერიკათაშორისი საინვესტიციო კორპორაცია, რომელიც 1989 წელს შეიქმნა და აქვს ფილიალები ლათინური ამერიკის 26 ქვეყანაში და საფრანგეთში.

[27] https://www.iadb.org/en (20.01.2018

ამერიკათაშორისი საინვესტიციო კორპორაცია (Inter-American Investment Corporation-IIC)[28] განვითარების ამერიკათაშორისი ბანკის შემადგენლობაში შედის, თუმცა იურიდიულად დამოუკიდებელი ორგანიზაციაა. იგი შეიქმნა ლათინური ამერიკის და კარიბის აუზის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების, კერძო სამეწარმეო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით. მასში 45 სახელმწიფოა გაერთიანებული, მათ შორის 19 არარეგიონული ქვეყანა – ავსტრია, გერმანია, ისრაელი, ესპანეთი, იტალია, ნიდერლანდები, საფრანგეთი, შვეიცარია, იაპონია და ა.შ.

კორპორაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ფინანსური საშუალებების მობილიზება, ინვესტიციების განხორციელება, გარანტიების გაცემა, პროექტების დაფინანსება და აქციონერული კაპიტალის შეძენა (საწესდებო კაპიტალის არაუმეტეს 33%). მისი ძირითადი კლიენტები არიან წვრილი და საშუალო საწარმოები. სესხის გაცემა საბაზრო განაკვეთების მიხედვით ხდება.

კორპორაციას აქვს საკუთარი დაფინანსების წყაროები და მმართველობითი ორგანოები, რომელიც ბანკის დაფინანსების წყაროებისგან და ადმინისტრაციისგან განსხვავებულია. სააქციო კაპიტალი 200 მლნ. დოლარს შეადგენს.

ლათინურამერიკული ეკონომიური სისტემა (Latin American Economic System – SELA)[29] 1975 წელს შეიქმნა პანამის კონვენციის საფუძველზე წევრი ქვეყნების შიგარეგიონული თანამშრომლობის დაჩქარების, ერთიანი სტრატეგიის და პოზიციების შემუშავების მიზნით ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობისას და მესამე ქვეყნებთან მოლაპარაკებების წარმართვისას. მისი ძირითადი მიზნებია: შიგა რეგიონულ ვაჭრობაზე ზემოქმედება; თევზჭერის პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება და წევრ სახელმწიფოთა შეთანხმებული მოქმედე-

[28] http://www.iic.org (20.01.2018)
[29] http://www.sela.org/en (20.01.2018)

ბა ამ სფეროში; სასუქებით ვაჭრობის განვითარებაზე ზემოქმედება; მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში თანამშრომლობის კოორდინაცია; რეგიონის ფარგლებში ხელოსნობის განვითარება; საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მხარდაჭერა.

ლათინური ამერიკის და კარიბის ზღვის ეკონომიკური სისტემა არის რეგიონული მთავრობათაშორისი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის 26 ქვეყანას. მისი სათაო ოფისი მდებარეობს ვენესუელაში, კარაკასში. მისი წევრები არიან არგენტინა, ბაჰამის კუნძულები, ბარბადოსი, ბელიზი, ბოლივია, ბრაზილია, კოლუმბია, კუბა, ჩილე, ეკვადორი, ელ სალვადორი, გრენადა, გვატემალა, გაიანა, ჰაიტი, ჰონდურასი, იამაიკა, მექსიკა, ნიკარაგუა, პანამა, პარაგვაი, პერუ, დომინიკის რესპუბლიკა, სურინამი, ტრინიდადი და ტობაგო, ურუგვაი და ვენესუელა.

ორგანიზაციის ინსტიტუციური დოკუმენტებია:

- ლათინური ამერიკის ეკონომიკური სისტემის დამფუძნებელი პანამის კონვენცია;
- კანონმდებლობა, მიღებული ვენესუელის რესპუბლიკის მთავრობასა და ლათინური ამერიკის ეკონომიკური სისტემის თავმჯდომარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე;
- მოლაპარაკება SELA-ის შეთანხმების დებულებების გაუმჯობესების შესახებ;
- ლათინური ამერიკის საბჭოს მარეგულირებელი დოკუმენტი;
- აღმასრულებელი კომიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- მუდმივი სამდივნოს მარეგულირებელი დოკუმენტი;
- დამკვირვებლების მარეგულირებელი დოკუმენტი.

საქმიანობის მთავარი მიმართულებებია:

❖ გლობალიზაცია – საერთაშორისო ცვლილებების სცენარის ანალიზი ექსპერტებისა და მეცნიერების შეხვედრების ფარგლებში და პოლიტიკის მეთვალყურეობა, რომელიც გავლენას ახდენს საერთაშორისო მაკროეკონომიკურ კოორდინაციაზე;

❖ ექსტრარეგიონული ურთიერთობები, რომელშიც შედის:

• ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების ურთიერთობის შეფასება და მეთვალყურეობა სხვა ქვეყნებთან და რეგიონებთან – აშშ-სთან, კანადასთან, იაპონიასთან, ევროკავშირთან, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასთან, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონთან – რათა გაღრმავდეს ურთიერთგაგება, მიიღონ სარგებელი ბიზნესისა და ინვესტიციების შესაძლებლობებიდან და გაზარდონ საერთაშორისო თანამშრომლობა;

• ინიციატივების შემუშავება ბიზნესისა და თანამშრომლობის შესახებ ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის რეგიონში;

• სისტემატური კვლევების ჩატარება ამ რეგიონის ეკონომიკურ სისტემებზე გლობალური ეკონომიკური გადაწყვეტილებების და პროცესების გავლენის კუთხით;

• პროცესების შეფასება, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო ბიზნესთან, კომერციულ, ეკონომიკურ და ფინანსურ მოლაპარაკებებთან რეგიონულ განვითარებასა და ინტეგრაციასთან მიმართებაში;

• საჭიროების შემთხვევაში წევრი-სახელმწიფოების მოლაპარაკებების წარმოებაში დახმარების გაწევა.

❖ საერთაშორისო ვაჭრობა – ტენდენციებისა და მოლაპარაკებების ანალიზი მრავალმხრივ ვაჭრობაში, განსაკუთრებით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გადაწყვეტილებები, მომსახურებით ვაჭრობა, ვაჭრობისა და გარემოს პრობლემა;

❖ ფინანსები და უცხოური ინვესტიციები – კაპიტალის ნაკადების, რეგიონული უცხოური ვალებისა და ადგი-

ლობრივი დანაზოგების შესწავლა, მრავალმხრივი ფინანსური ინსტიტუტების ანალიზი, გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცვლა ეროვნული ფინანსური სისტემის მოდერნიზაციის საკითხებზე;

❖ შიდარეგიონული ურთიერთობები, რომელიც მოიცავს:

- საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების ანალიზს, დაკვირვებას ინტეგრაციულ მექანიზმებზე – MERCOSUR, ანდის კავშირი, ცენტრალური ამერიკის ერთიანი ბაზარი, CARICOM, სამთა ჯგუფი, კარიბის ზღვის ქვეყნების ასოციაცია – და, ასევე, დაკვირვება ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (FTAA) შექმნის პროცესზე;
- ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების შიგა-რეგიონული პროცესების განვითარების, კოორდინაციისა და კონვერგენციის ხელშეწყობას;
- აღნიშნულ რეგიონში ქვეყნებს შორის ინტეგრაციის ჰარმონიული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ფაქტორების სისტემატიური ანალიზის ჩატარებას;
- სტრატეგიების შემუშავებას ოპერატიული მოქმედებების იდენტიფიცირებისათვის, რომლებიც შემდგომში ხელს შეუწყობენ მთელ რეგიონში ეკონომიკური ინტეგრაციის კოორდინაციასა და კონვერგენციას;
- წინადადებების შემუშავებას ინტეგრაციისათვის ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნის მიზნით, რომელიც გააფართოვებს კოორდინაციას და კონვერგენციას შიგა-რეგიონულ პროცესებში.

❖ ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობა, რომელიც ორიენტირებულია:

- ხელი შეუწყოს მრავალმხრივი და ორმხრივი თანამშრომლობის მიმდინარეობას საერთაშორისო სააგენტოებს, დონორ ქვეყნებსა და რეგიონის ქვეყნებს შორის და გახდეს რეგიონული ფოკუსი განვითარებად ქვეყნებს შორის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობისათვის; იგი არის

ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების ცენტრი განვითარებად ქვეყნებს შორის ტექნიკურ კოოპერაციაში (TCDC) გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში (UNDP) და ათანხმებს პოზიციებს საერთაშორისო ტექნიკური თანამშრომლობის დირექტორების ყოველწლიურ შეხვედრებზე;

• გააძლიეროს გამოცდილებისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლა ეროვნულ პოლიტიკებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ისეთის, რომლებიც დიდად არის დაკავშირებული მაკროეკონომიკურ კოორდინაციასთან, სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლასთან, სოციალურ მდგომარეობასთან და საერთაშორისო კოოპერაციასთან.

SELA-ის საქმიანობა:

• ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური სისტემის ფარგლებში ყოველწლიურად ტარდება ლათინური ამერიკის საბჭოს შეხვედრა მინისტერიალის დონეზე და რეგულარულად ხდება რეგიონული შეხვედრების მოწვევა წევრი-ქვეყნების მაღალი თანამდებობის პირებთან კონსულტაციებისა და კოორდინაციისთვის მათი კომპეტენციის სფეროებში საერთო პრობლემებთან დაკავშირებით;

• SELA აწყობს შეხვედრებს ექსპერტებთან რეგიონული და გლობალური ეკონომიკური გამოწვევების სპეციფიკური პრობლემების მოსაგვარებლად, ასევე აწყობს ფორუმებს სამთავრობო და არასამთავრობო უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით;

• იგი ხელს უწყობს მჭიდრო თანამშრომლობას მნიშვნელოვან მთავრობათაშორის ორგანიზაციებთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან და კერძო სააგენტოებთან რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით;

• ორგანიზაცია ატარებს სემინარებს, კურსებსა და სასწავლო ტრენინგებს ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით ლათინური ამერიკისა და კარიბის

ზღვის ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე, გამიზნულს მაღალი რანგის მთავრობის წევრებზე, მეწარმეებზე, დასაქმებულებზე, პარლამენტარებზე, მეცნიერებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე.

SELA-ის ორგანიზაციული სტრუქტურა:

• ლათინურამერიკული საბჭო არის ორგანიზაციის მთავარი აღმასრულებელი ორგანო. ყველა წევრ ქვეყანას ჰყავს ერთი წარმომადგენელი საბჭოში, რომელიც ესწრება შეხვედრებს წელიწადში ერთხელ. მისი მოვალეობებია ორგანიზაციის ძირითადი პოლიტიკის განსაზღვრა და სპეციფიური დეკლარაციების ფორმულირება გადაწყვეტილებების ფორმით, რომლებიც მიღებულია კონსენსუსის საფუძველზე.

• მუდმივი სამდივნო არის ორგანიზაციის ტექნიკური ადმინისტრირების ორგანო. მისი თავმჯდომარეა მუდმივი მდივანი, რომელსაც ლათინოამერიკული საბჭო ირჩევს ოთხი წლის ვადით.

• აღმასრულებელი კომიტეტები არის თანამშრომლობის მოქნილი მექანიზმი, რომელიც იქმნება მაშინ, როცა ორზე მეტი წევრი ქვეყანა გამოთქვამს სურვილს საერთო პროგრამებისა და პროექტების განხორციელებისათვის კონკრეტულ სფეროებში. ეს კომიტეტები უქმდება მიზნის მიღწევისთანავე, ან ხდება სისტემის მუდმივი ორგანო. დღესდღეობით მოქმედი მუდმივი ორგანოებია ლათინური ამერიკის ტექნოლოგიური ინფორმაციის ქსელი (RITLA) და ლათინური ამერიკის თევზჭერის განვითარების ორგანიზაცია (OLDEPESCA). ასევე მოქმედებს თანამშრომლობის მექანიზმები, როგორიცაა ლათინური ამერიკის განათლებისა და ტექნოლოგიების კომისია (COLCYT), ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების კუსტარული წარმოების თანამშრომლობის პროგრამა (PLACART) და ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების სავაჭრო ინფორმაციისა და საერთაშორისო ვაჭრობის ინფორმაციის პროგრამა (PLACIEX).

SELA-მ არსებობის მანძილზე რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარა:

- **ლათინური ამერიკის ქვეყნების უფლებების ლეგიტიმაციის დაცვა.** ლათინური ამერიკის ქვეყნების საბჭოს პირველმა სპეციალურმა შეხვედრამ შეათანხმა ლათინური ამერიკის ქვეყნების პოზიცია, 1977 წელს ჩაეტარებინათ ჯგუფის კონფერენცია. შეხვედრაზე გამოითქვა პოზიცია აშშ-ის თავისუფალი ვაჭრობის აქტის შემზღუდავი და დისკრიმინაციული პუნქტების შესახებ და წევრებმა მოითხოვეს ერთობლივი ზომების მიღება ლათინური ამერიკის ქვეყნებზე ამ აქტის უარყოფითი გავლენის წინააღმდეგ და ერთმანეთის დასახმარებლად. 1977 წელს ლათინური ამერიკის საბჭოს მესამე რეგულარულ შეხვედრაზე წევრებმა გვატემალას მიმართ გამოიჩინეს მხარდაჭერა ამერიკის მხრიდან გვატემალას მიერ საკუთარი სავაჭრო ფლოტის შექმნის მცდელობის დაბლოკვის წინააღმდეგ. 1982 წელს არგენტინისა და ბრიტანეთის კონფლიქტის გამო მალივის კუნძულებთან დაკავშირებით არგენტინის დახმარების აღმასრულებელი კომიტეტი შეიქმნა და მიღებული იქნა რეზოლუცია არგენტინისათვის ეკონომიკური დახმარების აღმოჩენისა და სავაჭრო უპირატესობების მინიჭების თაობაზე. იმავე წლის მერვე რეგულარულ შეხვედრაზე მიღებული იქნა სტრატეგია ლათინური ამერიკის ეკონომიკური დაცვისა და დამოუკიდებლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა, რომ თუ ლათინური ამერიკის საბჭოს წევრ სახელმწიფოს დაეკისრებოდა სანქცია, აუცილებელი ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული და განხორციელებული. შეხვედრამ განიხილა ევროპის თანამეგობრობის მიერ არგენტინაზე დაკისრებული სანქციები. მეხუთე სპეციალურმა შეხვედრამ მოითხოვა აშშ-ისაგან, მოეხსნა სავაჭრო ემბარგო ნიკარაგუას წინააღმდეგ.

- **რეგიონალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.** 1982 წელს ლათინური ამერიკის საბჭომ კართაგენის შეთანხმების კომიტეტთან ერთად მოაწყო ლათინური ამერიკის სუბ-რეგიონული ორგანიზაციის კონფერენცია. კონფერენციამ მიუ-

თითა, რომ წევრმა ქვეყნებმა უნდა მიიღონ ზომები შიგარეგიონული ვაჭრობისა და ლათინური ამერიკის ეკონომიკის თანამშრომლობისა და ინტეგრაციის გაფართოებისათვის. მან ასევე დაადგინა ინფორმაციული თანამშრომლობის დაახლოების საჭიროება ყველა სუბრეგიონულ ორგანიზაციას შორის.

- **უცხოური ვალის პრობლემის გადაწყვეტა ლათინური ამერიკის ქვეყნებში.** 1983 წელს მეცხრე რეგულარულ შეხვედრაზე მიღებული იქნა რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც ლათინური ამერიკის ქვეყნებმა უნდა გააძლიერონ თანამშროლობა და განახორციელონ ერთიანი ქმედებები ვალის ტვირთის შესამსუბუქებლად. შეხვედრაზე ასევე დაგმობილი იქნა აშშ-ის მიერ ნიკარაგუაზე დაკისრებული ეკონომიკური სანქციები. 1990 წელს მოხდა ყველა წევრი ქვეყნის ფინანსთა მინისტრებისა და ცენტრალური ბანკების პრეზიდენტების შეხვედრა, რომელზეც განხილული იქნა რეგიონის უცხოური ვალის საკითხი და გადაწყდა 11 სახელმწიფოს მინისტერიალის კომიტეტის შექმნა კოორდინირებული მოქმედებების გატარების მიზნით რეგიონის სახელით დებიტორი ქვეყნების მიმართ უცხოური ვალის პრობლემის გადაწყვეტის მიზნით ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნებში. 1991 წელს მე-17 რეგულარულ შეხვედრაზე გადაწყდა ვალის შესახებ მინისტერიალის კომიტეტის აღდგენა.

- **სოციალური განვითარების ხელშეწყობა.** 1983 წელს ლათინური ამერიკის საბჭოს 18-მა წევრმა ხელი მოაწერა პროტოკოლს ცენტრალური ამერიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობის მოქმედი კომიტეტის შექმნის შესახებ. გადაწყვიტეს ხელი შეეწყოთ ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესისათვის ცენტრალურ ამერიკაში, რათა უზრუნველეყოთ ეკონომიკური, ტექნიკური და სავაჭრო თანამშრომლობა და გაეძლიერებინათ რეგიონალური ინტეგრაციული ინსტიტუტები. 1997 წელს 23-ე რეგულარულ შეხვედრაზე წარმოადგინეს ოფიციალური მონაცემები ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების

შესახებ. აღნიშნეს, რომ წევრმა ქვეყნებმა მეტად ეფექტიანი ღონისძიებები უნდა გაატარონ სიღარიბის დაძლევისა და დასაქმების პოლიტიკის შექმნის საქმეში, რათა შეამცირონ სოციალური უსამართლობა ხანგრძლივი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად.

- **კუბის პრობლემის გადაწყვეტა.** 1995 წლის 21-ე რეგულარულ შეხვედრაზე მიღებული იქნა განცხადება, რომელიც გმობდა აშშ-ის მიერ კუბის ბლოკადას. 1997 წლის 23-ე შეხვედრაზე მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელიც მკაცრად აპროტესტებდა ჰოლმს-ბარტონის აქტს და აშშ-ის განზრახვას, მოქმედებაში მოეყვანა ეს აქტი და ისინი მოითხოვდნენ აშშ-ისგან მოეხსნა კუბის ბლოკადა დაუყოვნებლივ. ასევე 1998 წლის 24-ე შეხვედრაზე მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელიც სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ზემოხსენებულ აქტს და მოითხოვდა აშშ-ისაგან, შეეწყვიტა კუბის იზოლაციის პოლიტიკა.

- **ფინანსური კრიზისის გავლენის შემცირება და ახალი ეკონომიკური წყობის შექმნა.** ბოლო შეხვედრაზე მიღებული იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ლათინური ამერიკის ქვეყნებს უნდა დაეჩქარებინათ მათი ფინანსური ინსტიტუტების რეფორმები და გაეძლიერებინათ რეგიონული ინტეგრაციული პროცესის მიმდინარეობა. ყველა ქვეყანამ უნდა გააძლიეროს თანამშრომლობა, რათა გაუმკლავდეს გლობალიზაციის პრობლემებს, შექმნას მსოფლიო ვაჭრობის ახალი სისტემა, რომელიც იქნება ღია, არადისკრიმინაციული და იზრუნებს განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებებზე. ეს განცხადება მიმართული იყო განვითარებული ქვეყნებისა და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისადმი, რომელთაც უნდა მიიღონ ხელსაყრელი ზომები ფინანსური კრიზისის უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად. მსო-ის წევრებისაგან, განსაკუთრებით განვითარებული ქვეყნებისაგან მოითხოვეს, არ გაეზარდათ ახალი სავაჭრო ბარიერები, რისი მაგალითებიც დღეს უკვე აქტიურად გვხვდება.

ინტეგრაციის ლათინურამერიკული ასოციაცია (Latin American Integration Association – LAIA)[30] შეიქმნა 1980 წელს მონტევიდეოს შეთანხმების საფუძველზე. მან შეცვალა თავისუფალი ვაჭრობის ლათინოამერიკული ასოციაცია, რომელიც 1960 წელს ჩამოყალიბდა. ამჟამად მისი წევრია 13 ლათინურამერიკული ქვეყანა. მისი მიზანია ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება და აქტივიზაცია ბაზრის გაფართოების მიზნით; ურთიერთშორის ვაჭრობის დარეგულირება; ერთიანი ლათინურამერიკული ბაზრის ეტაპობრივი შექმნა; ეკონომიკური პრეფერენციული ზონების ჩამოყალიბება და ა.შ.

კარიბის თანამეგობრობა და კარიბის საერთო ბაზარი (Caribbean Community and Common Market – CARICOM)[31] 1973 წელს შეიქმნა, როგორც კარიბის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის სამართალმემკვიდრე. საერთო ბაზარი კარიბის თანამეგობრობის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. მასში 15 ძირითადი და 5 ასოცირებული წევრი ქვეყანაა. მისი მიზანია საერთო ბაზრის ჩამოყალიბება ერთიანი საგარეო ტარიფის მიხედვით; ფისკალური ღონისძიებების შეთანხმება; საგარეო პოლიტიკის კოორდინაცია; ქვეყნებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება; ვაჭრობის ლიბერალიზაცია, შეზღუდვების მოხსნა საქონლის და წარმოების ფაქტორთა მოძრაობის გზაზე; თანამშრომლობა ტურიზმის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის სფეროებში. აქვთ რეგიონული სავალუტო კავშირის შექმნის განზრახვა, ერთიანი ვალუტის შემოღება, საფინანსო კანონმდებლობის დაახლოვება და სხვა.

ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობდა გაეროსთან, სსფ-სთან, განსაკუთრებით ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან მასში შემდგომი გაწევრიანების მიზნით.

---

[30] http://www.itamaraty.gov.br/en/politica-externa/integracao-regional/5975-aladi-en (20.01.2018)

[31] http://caricom.org (20.01.2018)

ორგანიზაციის ფინანსური უზრუნველყოფისათვის შეიქმნა განვითარების კარიბული ბანკი (Caribbean Development Bank CDB) 1970 წელს, 1973 წელს კარიბის საინვესტიციო კორპორაცია, ხოლო 1991 წელს კარიბის საინვესტიციო ფონდი.

აღმოსავლეთკარიბული სახელმწიფოების ორგანიზაცია (Organization of Eastern Carribbean States-OECS)[32] 1981 წელს შეიქმნა ეკონომიკური ინტეგრაციის და შეთანხმებული საგარეო პოლიტიკის გატარების მიზნით. მასში 10 სახელმწიფოა გაწევრიანებული. საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ვაჭრობა და ეკონომიკური განვითარება; ერთიანი ბაზრის შექმნა; სავალუტო კავშირის (1991 წლიდან) ფარგლებში კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება; ბუნებრივი რესურსების და რესურსთსარგებლობის განვითარება; საავიაცო გადაზიდვების რეგულირება; სამართლებრივ საკითხებში და საინფორმაციო მომსახურების სფეროში თანამშრომლობა.

ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის სივრცე (North American Free Trade Area – NAFTA)[33] შეიქმნა 1994 წლის შეთანხმების საფუძველზე კანადას, აშშ-ს და მექსიკას შორის. შეთანხმება მოიცავს ბაზარზე შეღწევადობის საკითხებს, ინვესტიციებს, გარანტიებს, მომსახურებას, ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს. განისაზღვრა სავაჭრო და საინვესტიციო ბარიერების მოხსნა შემდგომი 15 წლის მანძილზე, რომელიც კანადა – აშშ-ს შორის აღარ არსებობს.

თანამშრომლობა მოიცავს ენერგეტიკის სფეროს, რომელიც ითვალისწინებს უცხოური კომპანიების მონაწილეობაზე უარის თქმას მექსიკის ნავთობის ძიება, მოპოვება, გადამუშავებაზე. აკრძალვა ეხება რადიაქტიულ ნივთიერებებს, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სფეროს. შეუზღუდავი მონაწილეობა განისაზღვრა კანადის და აშშ-ს კომპანი-

[32] http://www.oecs.org (20.01.2018)
[33] https://www.nafta-sec-alena.org (20.01.2018)

ებისთვის მექსიკის სადაზღვევო და საბანკო კომპანიებში. მნიშვნელოვანია ეკოლოგიური ღონისძიებების ერთობლივად გატარება.

კანადა-ამერიკის შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ გაფორმდა 1988 წელს, ხოლო NAFTA-მ გააფართოვა ამ შეთანხმების პირობები შემდგომი წევრების მოზიდვისთვის, კერძოდ, მექსიკისთვის. NAFTA რატიფიცირებული იქნა 1993 წელს და შევიდა ძალაში 1994 წლის 1 იანვარს.

NAFTA-ს ძირითადი პირობებია ტარიფების, საბაჟო გადასახადების და სხვა სავაჭრო შეზღუდვების თანდათანობით შემცირება სამ წევრს შორის, რამდენიმე ტარიფის დაჩქარებულად გაუქმება, დანარჩენის კი – 15 წლის განმავლობაში. NAFTA გარანტიას აძლევს საბაჟო ხარჯების გარეშე შემოიტანონ მისი წევრებისთვის საწარმოო და სამომხმარებლო საქონლის ფართო ასორტიმენტი.

NAFTA ამყარებს პრინციპებს და მიმართულებებს, რომელზეც დაფუძნებულია ქვეყანათაშორის შეთანხმებები. ინტეგრაცია ვალდებულებას იღებს ხელი შეუწყოს სამივე ქვეყანას დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდაში, სავაჭრო და საინვესტიციო შესაძლებლობების გაფართოებაში და, აგრეთვე, გლობალურ ბაზარზე აშშ-ის, კანადის და მექსიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

NAFTA-ს ორგანიზაციული სტრუქტურა შემდეგი სახისაა: ცენტრალურ ინსტიტუტს წარმოადგენს კომისია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელშიც შედიან წარმომადგენლები მინისტრების დონეზე სამივე მონაწილე ქვეყნიდან. კომისია თვალყურს ადევნებს შეთანხმების მოქმედებას და მის შემდგომ მუშაობას, ეხმარება ინტეგრაციის დროს აღმოცენებული დავების გადაჭრას. ამასთან, მართავს 30-ზე მეტ კომიტეტს და სამუშაო ჯგუფს.

მინისტრების შეთანხმებით კომისიას მუშაობაში ეხმარება NAFTA-ს კოორდინირებული სამდივნო, რომელიც შეიქმნა 1997 წლის ბოლოს მექსიკო სიტიში. სამდივნოს საქმია-

ნობა მიმართულია შეასრულოს მიმდინარე საქმეები კომისიასთან.

NAFTA-ს ნორმების განხორციელებისა და მათი ადმინისტრირებისათვის შეიქმნა 30-ზე მეტი სამუშაო ჯგუფი და კომიტეტი. ისინი მუშაობენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: საქონლის წარმომავლობა, საბაჟო, სოფლის მეურნეობის საქონლით ვაჭრობა და სუბსიდიები ეკონომიკურ სფეროში, საქონლის სტანდარტიზაცია, სახელმწიფო შესყიდვა და საქმიანი ადამიანების გადაადგილება საზღვარგარეთ. ეს სამუშაო ჯგუფები და კომიტეტები კომისიას ყოველწლიურად წარუდგენენ ანგარიშს.

ჩრდილოეთ ამერიკაში განხორციელებული ვაჭრობის უმეტესი ნაწილი წარმოებს გამჭირვალედ, NAFTA-ს მიერ მკაცრად განსაზღვრული ნორმებით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შესაბამისად.

NAFTA შექმნისას პოტენციურად ითვალისწინებდა გაფართოებას ახალი მონაწილეების შეერთების ხარჯზე. უკვე გაწევრიანებული ქვეყნები ემყარებიან იმ პოზიციას, რომ წევრობა უნდა იყოს ღია ყველა ქვეყნისთვის.

პოლიტიკური ხასიათის არგუმენტების გარდა, შეთანხმების ყოველ მონაწილე-ქვეყანას გააჩნდა NAFTA-ში მონაწილეობის საკუთარი ეკონომიკური მიზეზები. ამერიკელი ექსპერტების აზრით, ექსპორტის გაზრდა გამოიწვევს სამუშაო ადგილების გაზრდას. დიდ იმედებს ამყარებდნენ მექსიკის ტერიტორიაზე შრომატევადი, მასალატევადი და სხვა ძვირადღირებული წარმოების გატანის პროცესზე, რამაც მნიშვნელოვნად უნდა იმოქმედოს დანახარჯების შემცირებაზე და აქედან გამომდინარე, აამაღლოს ამერიკული საქონლის კონკურენტუნარიანობა. ამერიკელი პოლიტოლოგები და ეკონომისტები თვლიდნენ, რომ NAFTA-ს თავისებურ ტრამპლინად იქცევა ლათინურ ამერიკის ქვეყნების ეკონომიკაში უფრო ღრმად შეღწევისათვის.

NAFTA-ს განსხვავებულ თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ მოიცავს დიდ ტერიტორიას 444 მლნ. მოსახლით,

რომელიც აწარმოებს 17 ტრილიონი დოლარი ღირებულების საქონელსა და მომსახურებას[34] და აქვს ძლიერი ეკონომიკური პოტენციალი, განსაკუთრებით აშშ-ის დახმარებით. ჩრდილოეთ ამერიკულ ინტეგრაციას გააჩნია ასიმეტრიული ხასიათი (ასიმეტრია განვითარებაში და ასიმეტრია ინტესიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში), რადგან ერთის მხრივ შეთანხმება დადეს ისეთმა განვითარებულმა ქვეყნებმა, როგორიცაა აშშ და კანადა, ხოლო მეორე მხრივ – მექსიკამ, რომელსაც გააჩნია დიდი ეკონომიკური და დემოგრაფიული პოტენციალი, მაგრამ მიეკუთვნება განვითარებად ქვეყნებს. გარდა ამისა, თავისი პოტენციალით სამხრეთელი პარტნიორი მრავალჯერ ჩამორჩება აშშ-ს.

კანადის ეკონომიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული აშშ-სთან. აშშ-ის წილი კანადის საგარეო-სავაჭრო ბრუნვაში შეადგენს დაახლოებით 70%-ს და პირიქით, კანადის წილი 20%-ია. კანადის მთავრობა თვლის, რომ NAFTA-ში მონაწილეობა მისცემს შესაძლებლობას უფრო ეფექტიანად აწარმოოს მეცნიერებადტევადი პროდუქცია, აამაღლოს შემოსავალი, რადგან შრომის ანაზღაურება კანადაში უფრო მაღალია, ვიდრე პარტნიორ ქვეყნებში. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ კანადაში არსებობს აშშ-თან ინტეგრაციის გაღრმავების ბევრი მოწინააღმდეგე, რადგან ამერიკული ფირმები კანადაში ძალიან აგრესიულნი არიან და არსებობს რამდენიმე დარგში ნაციონალური კონტროლის დაკარგვის განსაზღვრული საშიშროება. კანადელების შიში გასაგებია კიდევ იმიტომ, რომ ჯერ-ჯერობით არ არის შექმნილი ძლიერი იურიდიული ინსტიტუტები, რომლებიც გააკონტროლებენ ეკონომიკურ პროცესებს.

დიდი იმედები გააჩნდა NAFTA-თან დაკავშირებით მექსიკას. ინტეგრაციულ დაჯგუფებაში გაწევრიანებით იგი ელოდებოდა თავისი განვითარების ტემპის დაჩქარებას, გატარებას რეფორმების და უკვე 10-15 წლის შემდეგ დაუახ-

[34]http://www.ustr.gov/trade–agreements/free–trade–agreements (3/18/2010)

ლოვდეს თავისი განვითარების დონით ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს. მიღებულ იქნა გადამწყვეტი ღონისძიებები კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციისათვის, დაიწყო მისი შემოდინება, გაიზარდა უცხოური ინვესტიციების მოცულობა. ამავდროულად, არსებობს საშიშროება, რომ მექსიკურ კომპანიებს გაუძნელდებათ შეაკავონ ჩრდილოეთ მეზობლების ზეწოლა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, სადაც შეიძლება აღმოცენდეს სერიოზული პრობლემები.

მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა, დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტების შემდგომ დაისვა საკითხი აშშ-ს მიერ ორგანიზაციის დატოვების შესახებ, თუმცა სავაჭრო ურთიერთიერთობები კანადასთან და მექსიკასთან კვლავ შენარჩუნებული იქნება.

მერკოსური (MERCOSUR)[35] – უმსხვილესი დაჯგუფებაა სამხრეთ ამერიკაში. მასში შედიან არგენტინა, ბრაზილია, პარაგვაი, ურუგვაი, ბოლივია და ვენესუელა, ხოლო ასოცირებული წევრების სახით – ჩილე, კოლუმბია, ეკვადორი, გაიანა, პერუ და სურინამი. იგი სიდიდით მეხუთე რეგიონული დაჯგუფებაა. გაერთიანების ფართობია 14 მლნ კმ., 295 მილიონი მოსახლით. მისი მშპ 3,5 ტრილიონი აშშ დოლარია.

MERCOSUR-ის გაერთიანებული ბაზრის შექმნის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს შეთანხმება თავისუფალ ვაჭრობაზე, რომელიც ხელმოწერილია არგენტინისა და ბრაზილიის მიერ 1986 წელს. 1990 წელს ამ შეთანხმებას შეუერთდნენ პარაგვაი და ურუგვაი.

ინტეგრაციული პროცესების ხელმძღვანელობისთვის შექმნილი იქნა მმართველობის ნაციონალური ორგანოები: საერთო ბაზრის საბჭო საგარეო საქმეთა მინისტრების შემადგენლობით; მუდმივმოქმედი აღმასრულებელი ორგანო – საერთო ბაზრის ჯგუფი (შტაბ-ბინა მონტევიდეოში); 10 ტექნიკური კომისია, რომელიც ექვემდებარება საერთო ბაზრის

[35] http://www.mercosur.int (21.01.2019)

ჯგუფს. მის ფუნქციებში შედის საგარეო ვაჭრობის, საბაჟო რეგულირების, ტექნიკური ნორმების, სავალუტო-საფინანსო და მაკროეკონომიკური პოლიტიკის, სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტის, სამრეწველო ტექნოლოგიის, სოფლის მეურნეობისა და ენერგეტიკის საკითხები. ტარდება ღონისძიებები მონაწილე-ქვეყნებს შორის სავაჭრო კონფლიქტების გადასაჭრელად სპეციალური ტრიბუნალის შესაქმნელად.

1994 წელს ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად 1995 წლის 1 იანვრიდან MERCOSUR გადავიდა უფრო მაღალ ინტეგრაციულ დონეზე: თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან საბაჟო კავშირზე. შიგაზონურ ვაჭრობაში ყველა მონაწილესათვის შემოიღება ერთიანი საგარეო საბაჟო ტარიფი მესამე ქვეყნიდან შემოტანილ პროდუქციაზე (იმპორტზე ბაჟების დონე ცალკეული საქონელისათვის მერყეობს 0-დან – 20%-მდე). 1997 წლისთვის ერთიანი ტარიფი შემოღებული იყო დაახლოებით სასაქონლო ნომენკლატურისთვის 85%-სათვის. დანარჩენისთვის განსაზღვრული იყო გარდამავალი პერიოდი 5-10 წლის ვადით, რომლის განმავლობაში ქვეყნებმა, შესაბამისად, უნდა აწიონ ან შეამცირონ თავისი ტარიფები ერთიან დონემდე. ეს პირველ რიგში ეხება კაპიტალტევად საქონელს და ინფორმატიკისა და ტელეკომუნიკაციის საშუალებების პროდუქტებს. მესამე ქვეყნიდან შემოტანილ კაპიტალტევად საქონელზე საიმპორტო ბაჟი შეადგენს MERCOSUR-ის მონაწილეებისათვის 14%.

დროებითი გამონაკლისები ერთიანი საგარეო საბაჟო ტარიფებიდან გავრცელდება რამოდენიმე საქონელზე. არგენტინისთვის – ეს არის ტანსაცმელი, შავი და ფერადი ლითონები, ქაღალდი; ბრაზილიასა და ურუგვაისთვის – რძე და რძის პროდუქტები; პარაგვაისთვის – შაქარი და ა.შ. ყველა ქვეყნისთვის ასეთი გამონაკლისების სია შეადგენს 300-450 პოზიციას. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ეხება 200-ზე მეტი დასახელების საქონელს.

რაც შეეხება შიგაზონურ საქონელს, ბაჟებისაგან თავისუფლდება 90% მეტი ადგილობრივი წარმოების საქონელი.

ამ კატეგორიას მიეკუთვნება ის პროდუქტები, სადაც „ეროვნული კომპონენტი" შეადგენს საშუალოდ არანაკლებ 60%-ს, ხოლო კაპიტალური საქონელისათვის – 80%-ს. MERCOSUR-ის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან ევროკავშირი (21%) და NAFTA(20%).[36]

MERCOSUR-ის მსხვილი სამრეწველო კომპანიები ჩართული არიან ინტეგრაციულ პროცესებში. კოოპერაცია და თანამშრომლობა, ურთიერთინვესტიციები მნიშვნელოვანად გავრცელდა მანქანათმშენებლობის დარგებსა და მეტალურგიაში. არსებობს უამრავი შეთანხმება, რომლის ფარგლებში ხორციელდება ტექნოლოგიების გაცვლა და გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოება.

ინტეგრაციამ და ინვესტიციურმა თანამშრომლობამ მნიშვნელოვან დონეს მიაღწია ენეგერტიკაში. 1993 წელს შეთანხმებული პრინციპებით ხორციელდება მონაწილე-ქვეყნების პრიორიტეტული უზრუნველყოფა ენერგიამატარებლებით. სრულდება მასშტაბური ერთობლივი პროექტები: სამხრეთ არგეტინაში გაზის მსხვილი საბადოების ათვისების და ჩრდილოეთ ბრაზილიის შტატების საწვავით მომარაგებისთვის გაზგაყვანილობის მშენებლობა. აგრეთვე, რეალიზდება MERCOSUR-ის მონაწილე-ქვეყნების ენერგოსისტემების გაერთიანების გეგმა.

შიგაზონური ვაჭრობა და თანამშრომლობა მრეწველობაში ყოველთვის ვითარდებოდა პარალელურად. ინტეგრაციულ პროცესებში ორივე სექტორის ინტერესების მჭიდრო კავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია რეგიონული სასაქონლო ბრუნვის დინამიკურობა. ინტეგრაციული პროცესი მოიცავს აგრეთვე ჰუმანიტარულ სფეროს. დადებულია შეთანხმება დაწყებითი და საშუალო განათლების ატესტატების, დიპლომების და პასპორტების ურთიერთაღიარების შესახებ. მნიშვნელოვნად გამარტივებულია MERCOSUR-ის

[36] Ivana Termansen, harmonization of Mercosur statistics,IFC Bulletin, No 32, p.64

ტერიტორიაზე ფიზიკური პირების გადაადგილების ფორმალური მხარე.

რაც შეეხება შრომით ურთიერთობებს, ასუნსონის შეთანხმების თანახმად, ამოქმედდა პრინციპი სამუშაო ძალის თავისუფლად გადაადგილების შესახებ MERCOSUR-ის ქვეყნებში და ამგვარად შეიქმნა 290 მლნ-ზე მეტი ადამიანური რესურსის ტევადობის შრომის ბაზარი.

რეგიონის ყველა ქვეყანა დგას ისეთი პრობლემის წინაშე, როგორიცაა უმუშევრობა, სამუშაო ძალის გაიაფება და „სოციალური დემპინგი". MERCOSUR-ში გაერთიანებულნი სახელმწიფოები განსხვავდებიან არა მარტო ეკონომიკური განვითარებით, არამედ ტრადიციით, კულტურით, დემოგრაფიით და მოსახლეობის განათლების დონით, რაც რათქმა უნდა, ზეგავლენას ახდენს ინტეგრაციის სოციალურ ასპექტზე, უპირველეს ყოვლისა, ახალ შრომის ბაზარზე. ყველა ქვეყანას გააჩნია სპეციფიკური შრომის ბაზარი: ურუგვაისთვის დამახასიათებელია მოსახლეობის განათლების მაღალი დონე და სამუშაო ძალის ემიგრაციის ტრადიცია; არგენტინისთვის, პირიქით, დამახასიათებელია იმიგრაცია; პარაგვაი განსხვავდება სოფლის მეურნეობის მოსახლეობის მაღალი წილით და, შესაბამისად, არაკვალიფიციური სამუშაო ძალით; ბრაზილიას, MERCOSUR-ის ეკონომიკური ლიდერს, გააჩნია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალი.

2013 წელს შეიქმნა მერკოსურის კონვერგენციის ფონდი, რომლის საფონდო კაპიტალი 1 მილიარდი აშშ დოლარია. მისი 70% აფინანსებს ბრაზილია. თანხები მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტებისკენ და ნაკლებადგანვითარებული რეგიონების ეკონომიკური განვითარებისკენ.

მერკოსური აწარმოებს მოლაპარაკებებს ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების გაფორმებაზე.

მთლიანობაში სამხრეთამერიკელი ექსპერტები MERCOSUR-ს წარმატებულ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მონაწილე ქვეყნების განვითარების გზაზე დასაძლევია სირთულეები და წინააღმდეგობები, მნიშვნელოვანია განსხვავე-

ბა ეკონომიკურ პოტენციალში, შესარჩევია საბაზრო მექანიზმთან სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ოპტიმალური შერწყმის ვარიანტი, რომელიც ლათინური ამერიკის რეგიონის სპეციფიკის შესაბამისი იქნება.

ანდის ჯგუფი (Andean Group Market) 1969 წელს შეიქმნა კარტაჰენის შეთანხმების საფუძველზე. მასში 6 სახელმწიფოა: ბოლივია, ვენესუელა, კოლუმბია, პერუ, ეკვადორი და ჩილე. ამ სისტემის მეორე ნაწილია პოლიტიკური სტრუქტურები, რომლებიც წევრმა ქვეყნებმა შექმნეს. საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება; კანონმდებლობის ჰარმონიზაცია; რეგიონებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება. ანდის ჯგუფის ფარგლებში შეიქმნა კერძო მეწარმეთა კავშირი და ანდის შრომის ინსტიტუტი. 1986 წელს ჩამოყალიბდა ანდის განვითარების კორპორაცია (ვენესუელა, კარაკასი); ანდის სარეზერვო ფონდი (კოლუმბია, ბოგოტა); სატელეკომუნიკაციო კომპანიების ასოციაცია.

1990 წელს მიიღეს ე.წ. ანდის სტრატეგია, რომლის მიზანიც იყო ანდის ეკონომიკური სივრცის განვითარება; ანდის ჯგუფის საერთაშორისო კავშირების ზრდა და ლათინური ამერიკის განვითარებაში მხარდაჭერა. 1993 წელს ანდის ჯგუფთან ეკ-მ გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება თანამშრომლობის გაღრმავებაზე ანდის ქვეყნების რეგიონული ინტეგრაციის გაღრმავების მიზნით.

ცენტრალურამერიკული საერთო ბაზარი (Central American Common Market – CACM) საერთო ბაზარი 1997 წელს შეიქმნა. გაფორმდა ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ცენტრალურამერიკულ ქვეყნებსა და დომინიკეს რესპუბლიკას შორის ჯანდაცვის, ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის მიზნით. მასში შედის გვატემალა, გონდურასი, კოსტარიკა, ნიკარაგუა, პანამა და სალვადორი.

ეკონომიკური ინტეგრაციის ცენტრალურამერიკული ბანკი (Central American Bank for Economic Integration –

CABEI)[37] შეიქმნა 1961 წელს ეკონომიკური ინტეგრაციის და კაპიტალდაბანდებების რეგიონული პოლიტიკის განხორციელების მიზნით. მასში 5 ქვეყანა: გვატემალა, კოსტა-რიკა, ელ სალვადორი, ჰონდურასი, ნიკარაგუა. მისი მიზანია: გრძელვადიანი ინვესტიციების დაფინანსება სამრეწველო სფეროში; ცენტრალურამერიკული საერთო ბაზრის განვითარება, თანამშრომლობა ეკონომიკის ყველა სფეროში.

ბანკის სახსრები მოიცავს საწესდებო კაპიტალს, სარეზერვო კაპიტალს, მოზიდულ თანხებს, გარანტიებს, სუბსიდიებს და ა.შ. ბანკი სესხებს გასცემს ზოგადი ფონდის, სახელისუფლებო ფონდის, საცხოვრებელთა მშენებლობის ფონდის, სოციალური განვითარების ფონდის მეშვეობით.

ენერგეტიკის ლათინურამერიკული ორგანიზაცია (Latin American Energy Organisation – OLADE) შეიქმნა 1973 წელს. მასში გაწევრიანდა 25 სახელმწიფო. მისი მიზანია ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა, კოორდინაცია, კონსულტაცია.

2.4. აზია-წყნარი ოკეანის სახელმწიფოების რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციების თავისებურებები

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის სწრაფმა განვითარებამ განაპირობა რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა და სუბრეგიონული ინსტიტუტების წარმოშობა. პრაქტიკულად ყველა მოქმედი რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციის ძირითადი მიზნებია: ეკონომიკური პოლიტიკის შეთანხმებულობა; ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიის, პოლიტიკის კოორდინაცია; ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობა; რეგიონის შიგა ვაჭრობის განვითარება; სამრეწველო თანამშრომლობაზე, კაპიტალის თავისუ-

[37] http://www.bcie.org (21.01.2018)

ფალ გადაადგილებაზე, ტექნოლოგიის გადაცემაზე, დახმარების წარდგენაზე ზემოქმედება (იხ. ცხრილი 2.4.1).

რეგიონულ ინტეგრაციაში სხვადასხვა განვითარების დონის ქვეყნებია, რაც თავისებურს ხდის თანამშრომლობას. თანამშრომლობა მოიცავს ყველა დარგს. მნიშვნელოვანია ერთობლივი საწარმოების როლი.

აღნიშნულ რეგიონში საერთაშორისო ორგანიზაციის ტრადიციულ ფორმებს ემატება ახალი ფორმები, როგორიცაა სამმხრივი ხელშეკრულებები, რომლის ამოცანაც არის რეგიონულ ვაჭრობაზე ზემოქმედება და ეროვნული ეკონომიკური უპირატესობების გამოყენება; დისკრიმინაციის მოსპობა მესამე ქვეყნების მიმართ და ინვესტიციისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ამგვარმა სამმხრივმა ხელშეკრულებებმა მიიღეს „ეკონომიკური ზრდის სამკუთხედის" სახელი. მათ ფარგლებში ხორციელდება თანამშრომლობა სამი-ოთხი ქვეყნის მოსაზღვრე რაიონების სივრცეში. ასეთებია:

- ჰონკონგი, ტაივანი, სამხრეთ კორეა;
- სინგაპური, სამხრეთ მალაიზია (ჯოჰორი) და ინდონეზიის კუნძულების პროვინციები;
- ჩინეთი, რუსეთი, სამხრეთ კორეა;
- ინდონეზია, ჩრდ. მალაიზიის და ტაილანდის პროვინციები;
- ბრუნეი, ინდონეზია, მალაიზია, ფილიპინები.

გაეროს სოციალური და ეკონომიკური განვითარების საბჭომ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონისთვის 30 პროექტი წარადგინა, რომლითაც გათვალისწინებული იყო საპორტო მეურნეობებში, სამოქალაქო ავიაციაში, საზღვაო საბაჟო სამსახურში პრობლემური ადგილების ლიკვიდაცია. პირველმნიშვნელოვანია ტრანსაზიური ავტომაგისტრალის მშენებლობა, ავიაციის ერთიან კოდირებულ სისტემაზე გადასვლა. მიმდინარეობს ფინანსების მოძიება ისეთი დარგების გასავითარებლად, როგორებიცაა საფეიქრო, საქსოვი, ფარმაცევტული, საიუველირიო, საინფორმაციო ტექნოლოგიები, თევზჭერა, ხილისა და ბოსტნეული მოყვანა და ა.შ.

ცხრილი 2.4.1 აზია – წყნარი ოკეანის რეგიონის რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები

ორგანიზაციის დასახელება	ქვეყნების რიცხვი
აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობა	21
სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია	10
„კოლომბოს გეგმა" აზია-წყნარი ოკეანის ერთობლივი სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის	27
წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილის ქვეყნების კომისია	26
სამხრეთ წყნარი ოკეანის ფორუმი	15
სამხრეთ აზიის რეგიონული თანამშრომლობის ასოციაცია	7
მწარმოებლურობის საკითხების აზიური ორგანიზაცია	20
განვითარების აზიური ბანკი	69

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ინტეგრაციული პროცესების თავისებურებების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი:

• პირველი, ინტეგრაციული პროცესები მიმდინარეობს ტრანსნაციონალური კომპანიების მნიშვნელოვანი გავლენით, რაც ქმნის საფუძველს სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობისთვის. ეს ვლინდება არასამთავრობო რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში, როგორებიცაა წყნარი ოკეანის ეკონომიკური საბჭო (1967 წელი) და წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის საბჭო (1980 წელი);

• მეორე, ინტეგრაციული პროცესი მოიცავს ისეთ ქვეყნებს, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელოვნად განსხვავებული ეკონომიკური განვითარების დონე, განსხვავებული კულტუ-

რა და სოციალურ-პოლიტიკური სისტემა. რეგიონის გაერთიანებების უნიკალური როლი მდგომარეობს იმაში, რომ მასში გაერთიანებულია უდიდესი ეკონომიკური გიგანტები – აშშ, იაპონია და ჩინეთი. აუცილებელია ავღნიშნოთ ის ფაქტიც, რომ მასში შედიან ჩრდილოეთ კორეის რესპუბლიკა და ტაივანი, რომელთა შორის რთული ურთიერთობა მოითხოვს ხელსაყრელ საგარეო პირობებს;

• მესამე, ინტეგრაცია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მოიცავს სუბრეგიონალურ ეკონომიკურ კავშირებს (ASEAN, NAFTA, სამხრეთ-წყნარი ოკეანის ფორუმი და ა.შ.) ე.ი. უშვებს სხვადასხვა დონის ინტეგრაციას, მაგალითად, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის დონის მიხედვით;

• მეოთხე, წყნარი ოკეანის „ღია რეგიონალიზმის" იდეოლოგია იხილავს რეგიონულ ინტეგრაციას, როგორც ეკონომიკური გლობალიზმის ელემენტს. ამასთან ერთად, მსოფლიო ეკონომიკის ევოლუცია ვლინდება, როგორც თანდათანობით გაერთიანების და რეგიონული ეკონომიკური კავშირების ურთიერთშეჭრის პროცესი. „ღია რეგიონალიზმის" კონცეფცია გულისხმობს, აგრეთვე, რომ წყნარი ოკეანის რეგიონის შიგნით იხსნება შეზღუდვები საქონლის, კაპიტალის, სამუშაო ძალის მოძრაობაზე, მიიღება ვალდებულებები პროტექციონიზმის უარყოფის მიმართ, სტიმულირდება შიდარეგიონული ეკონომიკური კავშირები.

აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობა (Asian – Pasific Economic Cooperation APEC)[38] – აღმოსავლეთ აზიაში ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების პერსპექტივები მჭიდროდ არის დაკავშირებული აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური გაერთიანების ჩამოყალიბებასთან. APEC არის სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს რეგიონის 21 სახელმწიფოს.

APEC – შეიქმნა 1989 წელს ავსტრალიის ინიციატივით წყნარი ოკეანის აუზში ეკონომიკური თანამშრომლობის გან-

[38] https://www.apec.org (22.01.2018)

ვითარების მიზნით. თავდაპირველად იგი აერთიანებდა 12 სახელმწიფოს: ავსტრალია, ბრუნეი, კანადა, ინდონეზია, იაპონია, მალაიზია, ახალი ზელანდია, ფილიპინები, სინგაპური, სამხრეთ კორეა, ტაილანდი და ამერიკის შეერთებული შტატები. მომდევნო წლებში მას შეუერთდნენ ჩინეთი, ჰონკონგი, ტაივანი, მექსიკა, ჩილე, პაპუა-ახალი გვინეა, ხოლო 1998 წელს – ვიეტნამი, პერუ და რუსეთი.

APEC-ს ფორმალურად გააჩნია საკონსულტაციო სტატუსი, მაგრამ მასში მოქმედი ორგანოების ფარგლებში ხორციელდება ვაჭრობის, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის წარმოების რეგიონული წესების ჩამოყალიბება. ტარდება აგრეთვე ამა თუ იმ სფეროში დარგების მინისტრებისა და ექსპერტების შეხვედრები თანამშრომლობის საკითხების გადასაწყვეტად.

APEC-ის განვითარება და ინტეგრაციული პროცესები ამ ორგანიზაციის ფარგლებში მიმდინარეობდა შემდეგი ეტაპების სახით:

პირველი – APEC-ის განვითარება განხორციელდა ბოგორში მიღებული სცენარით (1994, ინდონეზია). მის შესაბამისად შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობის ზონა და დაიგეგმება საინვესტიციო სფეროს ლიბერალიზაცია 2020 წლამდე (ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისთვის 2010 წლამდე), აგრეთვე საბაჟო ტარიფების შემცირება განხორციელდება GATT/WTO-ს ფარგლებში მიღებული შეთანხმების შესაბამისად.

მეორე – როგორც სპეციალისტები თვლიან, ყველაზე უკეთესი ვარიანტია, APEC-ს მიენიჭოს ფორუმის ფუნქცია რეგიონში სავაჭრო პრობლემების გადასაწყვეტად. ამ შემთხვევაში წარმოიქმნება პრობლემები უკვე არსებული შეთანხმებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, რაც გამოიწვევს ორგანიზაციის დასუსტებას. ამ პირობებში გაიზრდება სხვა რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებების როლი, იქიდან გამომდინარეც, რომ ზოგიერთი ქვეყნის წილი სუბრეგიონულ გაერთიანებებში შედარებით მაღალია და

ისინი შეიძლება იქცნენ მთლიანად რეგიონში ინტეგრაციული პროცესების დაჩქარებული განვითარების თავისებურ ღერძად. არსებობს ე.წ."ზრდის სამკუთხედი" – სამხრეთ ჩინეთის ეკონომიკური ზონა (კორეის რესპუბლიკა, ჰონკონგი, ტაივანი); „ზრდის ოქროს სამკუთხედი" (ინდონეზია, მალაიზია, სინგაპური); იაპონიის ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური ზონა და ინდოჩინეთის ეკონომიკური ზონა.

მესამე ვარიანტი არ გამორიცხავს პროტექციონისტული განწყობილებების განახლებას აშშ-სთან და ევროკავშირთან, რაც შეაფერხებს მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციას და შეიძლება შეზღუდოს ინტეგრაციული პროცესები აზიური ქვეყნების ფარგლებში.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია (Association of South East Asian Nations – ASEAN)[39] 40 წლის განმავლობაში წარმატებულად მოქმედებს, რომელშიც შედის ერთ-ერთი აზიური „დრაკონი" – სინგაპური, აგრეთვე, ახალი ინდუსტრიული ქვეყნების „ახალი ტალღის" ქვეყნები – მალაიზია, ინდონეზია, ტაილანდი, ბრუნეი, ლაოსი, მიანმარი, კამბოჯა, ვიეტნამი და ფილიპინები. ამ ჯგუფის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის წარმატება მჭიდროდ უკავშირდება ASEAN-ის უმეტესი მონაწილე-ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს, აგრეთვე, მათი განვითარების თანაბარ დონეებს, ადრეული ისტორიული ტრადიციებით დამყარებულ ურთიერთსავაჭრო კავშირებს და თანამშრომლობის დარეგულირებულ ფორმებს. იგი მსოფლიოს სიდიდით მეექვსე რეგიონული ბაზარია, რომელიც მსოფლიო შიგა პროდუქტის 6,2 % აწარმოებს (2016 წლის მონაცემები). სიღარიბე 47 %-დან 14 %-მდე შემცირდა, ხოლო რეგიონის შიგა ვაჭრობა 2,2 ტრილიონი აშშ დოლარია, რაც რეგიონის მთლიანი ვაჭრობის 24 %-ს შეადგენს.

ASEAN შეიქმნა 1967 წელს ბანჰკოკის დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ და მისი მიზანია წევრი-ქვეყნების სო-

[39] http://asean.org (24.01.2018)

ციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგებში თანამშრომლობა, ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება და ა.შ. 1976 წელს მიღებული იქნა შეთანხმება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ და ASEAN-ის დეკლარაცია. ასოციაციის ფარგლებში თანამშრომლობა ხორციელდება აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე.

ASEAN-ის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურთა კონფერენცია, რომელიც 3 წელიწადში ერთხელ ტარდება, ხოლო ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოა საგარეო საქმეთა მინისტრების ყოველწლიური შეხვედრა. ASEAN-ის ფარგლებში რამდენიმე სპეციალიზებული დაწესებულება ფუნქციონირებს, როგორიცაა სანაოსნო ასოციაცია, საბანკო საბჭო, საფინანსო კორპორაცია და ა.შ. ASEAN-ის სამდივნოს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ ინიშნება.

ASEAN-მა 2000 წლისთვის საბაჟო ბარიერები შეამცირა წევრ-ქვეყნებს შორის, საშუალოდ 5%-მდე 38 ათასი დასახელების საქონელისათვის. დაგეგმილია თანამშრომლობის გაძლიერება უსაფრთხოების, ფინანსების, ტელეკომუნიკაციების, ტურიზმის, ეკოლოგიის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და ჯანდაცვის სფეროებში. პოლიტიკის თვალსაზრისით ნავარაუდევია მშვიდობის, თავისუფლების და ნეიტრალიტეტის რეგიონის ჩამოყალიბება, თანამშრომლობის გაღრმავება ავსტრალიასთან, კანადასთან, ევროკავშირთან, იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან და აშშ-სთან.

„კოლომბოს გეგმა“ აზია-წყნარი ოკეანის ერთობლივი სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის (The Colombo Plan for Cooperative Economic and Social Development in Asia and the Pacific)[40] მიღებული იქნა თანამეგობრო-

[40] http://www.colombo–plan.org (26.01.2018)

ბის წევრი ქვეყნების მინისტრების შეხვედრაზე, რომელიც მოიცავს სამხრეთ და სამხრეთ აღ. აზიის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ერთობლივ ინიციატივას. მასში 27 სახელმწიფოა: ავსტრალია, ავღანეთი, ბანგლადეში, ბუტანი, ინდოეთი, ინდონეზია, ირანი, კამბოჯა, ლაოსი, მალაიზია, მალდივის კუნძულები, მიანმა, ახალი ზელანდია, ნეპალი, პაკისტანი, მონგოლეთი, საუდის არაბეთი, ბრუნეი დარუსალამი, პაპუა-ახალი გვინეა, კორეის რესპუბლიკა, სინგაპური, აშშ, ტაილანდი, ფიჯი, ფილიპინები, შრი-ლანკა, იაპონია.

კოლომბოს გეგმის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფორმირებაში ხელშეწყობა;
- გარემოს დაცვითი პოლიტიკის ფორმირება;
- ორმხრივ საფუძველზე ფინანსური და ტექნიკური დახმარების წარდგენა;
- ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე ზემოქმედება;
- მცირე ბიზნესის, განათლების და ტექნოლოგიის სფეროს სტიმულირება;
- კადრების მომზადება და ტექნიკური თანამშრომლობა;
- ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის განხორციელება.

წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილის ქვეყნების კომისია (South Pacific Commission – SPC)[41] ორგანიზაცია შეიქმნა 1947 წელს ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების შეთანხმების მიზნით. მასში 26 ქვეყანაა. მისი მიზანია:

[41] http://www.spc.int (26.01.2018)

- სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელშეწყობა – მცენარეთა დაცვა, მეცხოველეობის განვითარება, საქონლის დაავადებებთან ბრძოლა;
- პრიორიტეტული პროექტების განხორციელება;
- თევზჭერის განვითარება;
- სასოფლიო რაიონების განვითარება;
- ტექნიკური დახმარების გაწევა, ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის სფეროების განვითარება და ა.შ.

ორგანიზაციის მიზანია რეგიონში მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა, მშვიდობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნა და ინოვაციური მეთოდებისა და ცოდნის გავრცელება პრიორიტეტულ სფეროებში.

სამხრეთ წყნარი ოკეანის ფორუმი (South Pacific Forum – SPF)[42] შეიქმნა 1979 წელს 15 წევრის მონაწილეობით (ავსტრალია, ვანუატუ, დას. სამოა, კირიბატი, კუკის კუნძულები, მარშალის კუნძულები, ნაურუ, ახალი ზელანდია, ნიუე, პაპუა-ახალი გვინეა, სოლომონის კუნძულები, ტონგა, თუვალუ, მიკრონეზიის შეერთებული შტატები, ფიჯი).

ფორუმის მიზანია რეგიონულ პოლიტიკაში ერთიანი პოზიციების შემუშავება ეკონომიკის, გარემოს დაცვის, უსაფრთხოების და სხვა გლობალური პრობლემების გადასაწყვეტად. იგი ახორციელებს რეგიონულ ორგანიზაციებთან საქმიანობის კოორდინაციას და თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უპირველესად, გაეროს სამრეწველო განვითარების პროგრამასთან და ეკ-სთან. ფორუმს აქვს დამკვირვებლის სტატუსი გაეროს გენერალურ ასამბლეაში.

ფორუმის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

[42] http://www.forumsec.org (26.01.2018)

- ფორუმის ინსტიტუტების საქმიანობის კოორდინაცია და ჰარმონიზაცია წევრი ქვეყნების მთავრობებთან;
- გარემოს დაცვის სამხრეთ წყნარი ოკეანის რეგიონულ პროგრამაში მონაწილეობა;
- სამხრეთ წყნარი ოკეანის რეგიონში ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობის ხელშეკრულების რეალიზაციაში მონაწილეობა.

ფორუმის ფარგლებში შექმნილია შემდეგი ორგანიზაციები:

1. „სამხრეთ წყნარი ოკეანის ფორუმის მიმართულება“, რომელიც გემთმავალი მიმართულებების ექსპლოატაციას უზრუნველყოფს;
2. ფორუმის სააგენტო თევზჭერის საკითხებზე;
3. მარკეტინგის მხარდაჭერის ფონდი;
4. სამხრეთ წყნარი ოკეანის სავაჭრო კომისია და ბიურო;
5. ტურიზმის მთავრობათაშორისი ორგანიზაცია.

სამხრეთ აზიის რეგიონული თანამშრომლობის ასოციაცია (South Asian Association for Regional Cooparation – SAARC)[43] შეიქმნა 1985 წელს და მასში 7 ქვეყანაა გაწევრიანებული: ბანგლადეში, ბუტანი, ინდოეთი, მალდივი, ნეპალი, პაკისტანი, შრი-ლანკა. მისი მიზანია ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სოციალურ, კულტურულ სფეროებში თანამშრომლობა; წევრ-ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება.

ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- თანამშრომლობის პროგრამების აქტივობის კოორდინაცია და მათი დაფინანსება;

[43] http://www.saarc–sec.org (26.01.2018)

- სექტორთაშორისი პრიორიტეტების განსაზღვრა, რეგიონული და საგარეო რესურსების მობილიზაციის ოპერაციების განხორციელება;
- ეკონომიკურ, ტექნიკურ და სავაჭრო თანამშრომლობის პროექტების შემუშავება და რეალიზაცია; ამ კუთხით ცენტრალური ადგილი უკავია მოქმედების კომპლექსურ პროგრამას, რომელიც თანამშრომლობის 12 სფეროს მოიცავს.

1995 წელს წევრმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას პრეფერენციული სავაჭრო სისტემის შექმნის შესახებ, რომლითაც შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობის ზონის საფუძვლები.

მწარმოებლურობის საკითხების აზიური ორგანიზაცია (Asian Productivity Organization – APO)[44] შეიქმნა 1961 წელს მთავრობათაშორისი რეგიონული ორგანიზაციის სახით, სამეწარმეო საქმიანობაში მწარმოებლურობის ამაღლების და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით. მასში რეგიონის 20 სახელმწიფოა: ბანგლადეში, ვიეტნამი, ჰონკონგი, ინდოეთი, ინდონეზია, ირანი, მალაიზია, მონღოლეთი, ნეპალი, პაკისტანი, კორეის რესპუბლიკა, სინგაპური, ტაილანდი, ტაივანი, ფიჯი, ფილიპინები, შრი-ლანკა, იაპონია, ჩინეთი, კამბოჯა. იგი საქმიანობას ახორციელებს წევრ-ქვეყნებში შექმნილი ეროვნული ორგანიზაციების მეშვეობით.

პრიორიტეტულია მწარმოებლურობის საკითხების ამაღლება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და მომსახურების სფეროებში.

მომსახურების და მრეწველობის პროგრამა მოიცავს მწარმოებლურობის ამაღლებას და სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, მართვას, ხარისხის კონტროლს, პერსონალის მართვას, მარ-

[44] http://www.apo-tokyo.org (26.01.2018)

კეტინგს, ტექნოლოგიების მართვას და საინფორმაციო უზრუნველყოფას.

სოფლის მეურნეობის პროგრამა მოიცავს სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შემუშავებას და განვითარებას, რესურსებს, ტექნოლოგიას და გარემოს დაცვას, მარკეტინგს და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ორგანიზებას, აგროსამრეწველო კომპლექსს, სოფლის რაიონების განვითარებას.

ორგანიზაცია თანამშრომლობს სურსათის მსოფლიო ორგანიზაციასთან, შრომის მსოფლიო ორგანიზაციასთან, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციასთან და ა.შ.

განვითარების აზიური ბანკი (Asian Development Bank – ADB)[45] შეიქმნა 1966 წელს გაეროს აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკური კომისიის ფარგლებში გამართული მოლაპარაკებების შედეგად. იგი 1974 წელს გადაკეთდა გაეროს აზია – წყნარი ოკეანის ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ კომისიად. მისი მიზანია ბანკის წევრი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისთვის ხელშეწყობა და თანამშრომლობის გაღრმავება. მასში გაწევრიანებულია 69 ქვეყანა, მათ შორის 50 რეგიონული წევრი, 19 რეგიონის არაწევრი ქვეყანა. საქართველო გაწევრიანდა 2007 წელს. აზიის განვითარების ბანკის მიერ საქართველოში დაფინანსებული პროექტები საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას ემსახურება. 2017 წელს 14,27 მილიონი აშშ დოლარი თბილისის მეტროს რეაბილიტაციისთვის, ხოლო ძველი თბილისის უბნების რეაბილიტაციისთვის 10 მილიონი დოლარი გამოიყო.

ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა რეგიონის განვითარებადი ქვეყნების რეგიონული, სუბრეგიონული და ეროვნული პროექტების დაფინანსება, რომელიც მიმარ-

[45] https://www.adb.org (26.01.2018)

თულია ეკონომიკური ზრდისკენ. პრიორიტეტულია შემდეგი დარგები:

- სოფლის მეურნეობა: ირიგაცია, სასოფლო რაიონების განვითარება, თევზჭერა, მესაქონლეობა, მეტყევეობა;
- ენერგეტიკა: პროექტები ენერგეტიკის სფეროში, ბუნებრივი გაზის და ქვანახშირის მოპოვება, ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების და გაზსადენების ქსელის შექმნა;
- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა: პორტები და გემების მიმოსვლა, გზები, რკინიგზები, აეროპორტები, ტელეკომუნიკაციები;
- ინფრასტრუქტურა: წყალმომარაგება, სანიტარია, ქალაქის მეურნეობის ინფრასტრუქტურა, განათლების და ჯანდაცვის სფეროს პროექტები.

ბანკი ახორციელებს მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებას სახელმწიფო და კერძო კაპიტალის ინვესტირების, უცხოურ კაპიტალნაკადებზე ზემოქმედების, პორტფელური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

ინტეგრაცია ცენტრალურ აზიაში. ცენტრალურ აზიაში მდებარეობს ხუთი სახელმწიფო, რომლებსაც ზღვაზე გასასვლელი არ აქვთ: ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი. ქვეყნები განსხვავდებიან მოსახლეობის, მმართველობის ტიპისა და მზადყოფნის მიხედვით, ითანამშრომლონ ერთმანეთსა და დანარჩენ მსოფლიოსთან. თუმცა, რეგიონი ჩამოაყალიბდა საკუთარი ეროვნული იდენტობითა და ინსტიტუტებით, თავიდან აიცილა ძალადობრივი კონფლიქტები.

ცენტრალურ აზიაში ჩამოყალიბდა შემდეგი რეგიონული ორგანიზაციები: **ცენტრალური აზიის თანამშრომლობის ორგანიზაცია (CACO)** მოიცავს ყაზახეთს, ყირგიზეთს, რუსეთს, ტაჯიკეთს, თურქმენეთსა და უზბეკეთს, რომელიც გაერთიანდა EURASEC-თან (ევრაზიული ეკონომიკური თანამეგობრობა) 2005 წელს. **აზიის რეგიონული ეკონომიკუ-**

რი თანამშრომლობის ინიციატივის (CAREC) წევრები არიან აზერბაიჯანი, ჩინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთის რესპუბლიკა, მონღოლეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი. **შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია (SCO)** კი წარმოდგენილია ჩინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთის რესპუბლიკა, რუსეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთით. ასევე, ფუნქციონირებს **კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია (CSTO), ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (ECO) და სპეციალური პროგრამა ცენტრალური აზიის ეკონომიკისთვის (SPECA).**

რეგიონული შეთანხმებების რაოდენობა ასახავს იმ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას რომელიმე მათგანში არგაწევრიანებით. რეგიონულმა ინიციატივებმა ცენტრალურ აზიაში შეიძლება ხელი შეუწყოს ინტეგრაციას, მაგრამ ამას ემატება რეფორმის სირთულე. ამ სახელმწიფოებს პრობლემების გადაწყვეტაში ეხმარებოდა მსო, რომელსაც გააჩნია მკაფიო რეგულაციები რეგიონული სავაჭრო შეთანხმების შესახებ. ასევე, მნიშვნელოვანია ვაჭრობასა და სატრანსპორტო საშუალებათა შესახებ ინიციატივები, რეფორმები საზღვრის უკანონო გადაკვეთაზე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება და მათ გლობალური ინტეგრაცია.

რეგიონი ყოველწლიურად მშპ-ს 3%-ს კარგავს წყლის მენეჯმენტში. საჭიროა შეთანხმებები ნავთობსა და გაზზე საერთაშორისო ბაზრებისთვის. საბჭოთა ეპოქის მემკვიდრეობად რჩება ისეთი გარემოსდაცვითი პრობლემები, როგორიცაა რადიოაქტიური და სხვადასხვა ბიოლოგიური და ბირთვული ნარჩენები. რეგიონულმა ორგანიზაციებმა უნდა შეძლონ ყურადღების გამახვილება ისეთ თემებზე, როგორიცაა ვაჭრობისა და ტრანსპორტირების ხელშეწყობა, წყლის, ენერგეტიკის სფეროსა და გარემოს მართვა. ასევე, შეძლონ გრძელვადიანი გეგმების შემუშავება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და აკადემიური ინსტიტუტების განვითარების საკითხებზე.

წყნარი ოკეანის კუნძულების ინტეგრაცია მსოფლიო ბაზრთან. პატარა კუნძულების სახით წარმოდგენილი განვითარებადი ქვეყნები დგანან მარგინალიზაციის დიდი რისკის წინაშე გლობალურ დონეზე, შემდეგი მიზეზებიდან გამომდინარე: მცირე ეკონომიკა, დიდი ბაზრებიდან სიშორე და ეკონომიკის დაუცველობა და ბუნებრივი შოკი. აქვთ ადვილად მოწყვლადი ეკოსისტემები, რომელებიც ძალიან დაუცველნი არიან შიგა დაბინძურებისა და ზღვის დონის ამაღლების წინაშე.

ერთ-ერთი ძალისხმევა, მცირე კუნძულების პრობლემებთან გასამკლავებლად არის **წყნარი ოკეანის რეგიონული სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმება (SPARTECA)**. მასში 12 წევრი სახელმწიფოა. აღნიშნული სავაჭრო შეთანხმებით ავსტრალია და ახალი ზელანდია გვთავაზობენ შეუზღუდავ, შეღავათიან წვდომას წყნარი ოკეანის კუნძულოვანი სახელმწიფოების თითქმის ყველა სახის პროდუქტზე. თუმცა, ამისთვის პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს ზემოთქმული სავაჭრო შეთანხმების სტანდარტებს.

წყნარი ოკეანის კუნძულებს სჭირდებათ სხვა გზები მათ დიდ მეზობლებთან ინტეგრაციისთვის. განსახილველია სხვა რადიკალური მიდგომებიც, მათ შორის შრომითი მობილობის სახით. კუნძულებზე მცხოვრები ბავშვების საზღვარგარეთ ემიგრირებული ოჯახის წევრებისგან მიღებული ფულადი გზავნილები გვიჩვენებენ განათლების დონისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ასე რომ, შრომითი მობილობა შესაძლოა იყოს გრძელვადიანი განვითარების მამოძრავებელი ძალა ამ სახელმწიფოებისთვის.

2.5 არაბეთის სახელმწიფოების რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციების გამოწვევები

არაბეთის სახელმწიფოებს შორის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა ოთხი ძირითადი რეგიონული ორგანიზაციის ფარგლებში ხორციელდება. ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელოვანი დონე მიღწეულია არაბეთის ეკონომიკური ერთიანობის საბჭოში, რომელიც ერთიანი ბაზრის სახით წარმოგვიდგება, სადაც მიმდინარეობს საქონლის, მომსახურების და სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილება. ამ ორგანიზაციის ფარგლებში მიმდინარეობს ეკონომიკური პოლიტიკის შეთანხმება, ეკონომიკის ძირითადი დარგების განვითარების კოორდინაცია და კანონმდებლობის უნიფიკაცია. მეორე რეგიონული ორგანიზაციაა სპარსეთის ყურის არბულ სახელმწიფოთა თანამშრომლობის საბჭო, რომელშიც ეკონომიკური თანამშრომლობა გამოიხატება წევრი-ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციაში. თანამშრომლობა მოიცავს სამეწარმეო საქმიანობის სფეროს. გამიზნულია ექვსი წევრი ქვეყნის მიერ მომავალში საერთო ბაზრის შექმნა. ეკონომიკური და სოციალური განვითარების არაბული ფონდი მოქმედებს 1968 წლიდან და ახორციელებს ეკონომიკურ პროექტების, რეგიონის შიგა ვაჭრობის დაფინანსებას, აფართოებს ინვესტიციებს, ახორციელებს ტექნიკურ დახმარებას წევრ-ქვეყნებზე. არაბული სავალუტო ფონდი კი წარადგენს სესხებს და კრედიტებს, ახორციელებს საგადასახდელო ბალანსების დაფინანსებას, სავალუტო პოლიტიკის კოორდინაციას და წევრი-ქვეყნების საინვესტიციო საქმიანობას; მონაწილეობას იღებს ვაჭრობის ლიბერალიზაციის და მისი დაფინანსების პროგრამებში. ყველა აღნიშნული ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ერთმანეთთან.

ცხრილი 2.5.1 არაბეთის ქვეყნების რეგიონული ორგანიზაციები

ორგანიზაციის დასახელება	ქვეყნების რიცხვი
არაბეთის ეკონომიკური ერთიანობის საბჭო	18
სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭო	6
ეკონომიკური და სოციალური განვითარების არაბული ფონდი	21
არაბული სავალუტო ფონდი	20
აფრიკის ეკონომიკური განვითარების არაბული ფონდი	41

არაბეთის ეკონომიკური ერთიანობის საბჭო (Council of Arab Econimic Unity – CAEU)[46] შეიქმნა 1957 წელს არაბეთის სახელმწიფოების ლიგის წევრების მიერ. მის შემადგენლობაში არიან ეგვიპტე, ერაყი, იორდანია, იემენი, ქუვეიტი, ლიბია, მავრიტანია, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, პალესტინა, სომალი, სუდანი. საერთო ბაზრის წევრები არიან ეგვიპტე, ერაყი, იორდანია, იემენი, ლიბია, მავრიტანია და სირია.

საბჭოს მიზნებია: საერთო ბაზრის შექმნა; თავისუფალი სატრნსპორტო მიმოსვლის განვითარება; საკუთრების უფლების უზრუნველყოფა.

საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ნორმატიული აქტების შეთანხმება და ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების რეგულირების პოლიტიკის უნიფიკაცია; სატრანსპორტო გადაზიდვებისთვის ხელშეწყობა; ეკონომიკური კანონების უნიფიკაცია; სხვა ქვეყნებთან სავაჭრო და საანგარიშსწორებო შეთანხმებების დადება; მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის ინტერგირება; ეკონომიკური

[46] caeu.org.eg – (შენიშვნა: ოფიციალურ საიტზე წვდომა ვერ განხორციელდა – ე.ლ.)

განვითარების სფეროს კოორდინაცია ერთობლივი პროექტების და ტექნიკური დახმარებების განხორციელებაში; არაბულ სახელმწიფოებში მრავალმხრივი შეთანხმებების გაფორმება კაპიტალდაბანდებების, გადასახადების ამოღების, საინვესტიციო დავების გადაჭრის, სოციალური დაზღვევის და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში; თანამშრომლობის განხორციელება საერთაშორისო და რეგიონულ ეკონომიკურ ორგანიზაციებთან; ერთობლივი არაბული კომპანიების ჩამოყალიბება (ამგვარი კომპანიები ფუნქციონირებს მომპოვებელ მრეწველობაში, სამედიცინო მრეწველობაში, მესაქონლეობაში და სამრეწველო ინვესტიციების სფეროში).

საბჭოს ფარგლებში სამეწარმეო საქმიანობის კოორდინაციისათვის და მართვის სისტემის უზრუნველსაყოფად ცოდნისა და გამოცდილების გასაცვლელად შეიქმნა სპეციალიზებული სამეწარმეო გაერთიანებები:

- საფეიქრო მრეწველობის არაბული კავშირი (სირია);
- ცემენტის და სამშენებლო მასალების არაბული კავშირი (სირია);
- შაქრის არაბული ფედერაცია (სუდანი);
- ქიმიური სასუქების მწარმოებელთა არაბული ფედერაცია (კუვეიტი);
- მანქანათმშენებლობის არაბული ფედერაცია (ერაყი);
- თევზპროდუქტების არაბული ფედერაცია (ერაყი);
- კვების მრეწველობის არაბული ფედერაცია (ერაყი);
- გემთმავალთა არაბული ფედერაცია (ერაყი);
- არაბული კოოპერატიული ფედერაცია (ერაყი);
- არასახმელეთო ტრანსპორტის არაბული კავშირი (ერაყი);
- მედიკამენტების და სამედიცინო დანადგარების მწარმოებელთა არაბული ფედერაცია (ერაყი).

სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭო (Cooperation Council for the Arab

States of the Gulf – CCG)[47] შეიქმნა 1981 წელს. მისი წევრები არიან ბაჰრეინი, კატარი, ქუვეიტი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, ომანი, საუდის არაბეთი. საბჭოს მთავარი ამოცანაა ფინანსების, ეკონომიკის, ვაჭრობის, სამართლის, მართვის, ინფორმაციულ, განათლების და კულტურის სფეროებში ერთიანი (მსგავსი) სისტემების ჩამოყალიბება. საბჭო მოწოდებულია ზეგავლენა მოახდინოს სამეცნიერო კვლევების განვითარებაზე, ერთობლივი საწარმოების ჩამოყალიბებასა და კერძო სექტორის განვითარებაზე.

საბჭოს კოლექტიური მოქმედებების ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს უმაღლესი საბჭო, რომელიც წევრი ქვეყნების მეთაურებისაგან შედგება. იგი განსაზღვრავს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების საკითხებს.

წევრი-ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ბაზაზე ფუნქციონირებს მინისტრთა საბჭო, რომელიც ამზადებს თანამშრომლობის პერსპექტიული განვითარების პროექტებს და რეკომენდაციებს. იგი ხელმძღვანელობს სავაჭრო პალატების თანამშრომლობას.

საბჭოს მიერ შემუშავებულია განვითარების ერთობლივი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას შემდეგი მიმართულებებით: ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვა; საფინანსო, ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობა; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა; სამრეწველო წარმოება; ნავთობი; სოციალური და კულტურული მომსახურება; სავალუტო-საფინანსო თანამშრომლობა.

მიმდინარეობს მუშაობა ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე, რომლის საფუძველშიც დევს ნავთობის ექსპორტზე დამოკიდებულების შემცირება, შემოსავლების წყაროების დივერსიფიკაცია, სოლიდური სამრეწველო და სასოფლო – სამეურნეო ბაზის ფორმირება.

ეკონომიკური თანამშრომლობის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულებები: კომპლექსური ეკონომიკური ხელშეკრუ-

[47] http://www.gcc-sg.org/en-US/Pages/default.aspx (01.02.2018)

ლება (1982); ერთიანი ინდუსტრიული განვითარების სტრატეგია (1985); ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა (1986) და ა.შ.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების არაბული ფონდი (Arab Fund for Economic and Social Development – AFESD)[48] შეიქმნა 1968 წლის ხელშეკრულების საფუძველზე, ძალაში შევიდა 1971 წლიდან. ფონდმა პროექტების დაფინანსების ოპერაციების განხორციელება დაიწყო 1974 წლიდან. მასში არაბული ლიგის 21 წევრი ქვეყანაა გაწევრიანებული. ფონდის საქმიანობის მიმართულებებია: საინვესტიციო ეკონომიკური პროექტების დაფინანსება, მთავრობებისთვის, ორგანიზაციებისთვის, კერძო და სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის პირობებში სესხებისა და შეღავათების წარდგენა; კერძო და სახელმწიფო ინვესტიციების გაფართოება; ტექნიკური დახმარების აღმოჩენა ეკონომიკური სფეროების განვითარების მიზნით; არაბულ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის პროგრამის დაფინანსება. არაბეთის განვითარების ეროვნული და რეგიონული ინსტიტუტების საქმიანობის კოორდინაცია.

ფონდი ატარებს სხდომებს არაბულ რეგიონულ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

არაბული სავალუტო ფონდი (Arab Monetary Fund – AMF)[49] შეიქმნა 1977 წელს. მასში არაბული სახელმწიფოების ლიგის 20 სახელმწიფოა (ჯიბუტის და კომორის კუნძულების გარდა).

ფონდის მიზნებია: საგადასახდელო ბალანსების დეფიციტების დაფინანსება წევრ – სახელმწიფოებზე კრედიტების გაცემის გზით; ვალუტის კურსების სტაბილიზაცია და მათი კონვერტირებადობა არაბულ ქვეყნებში; არაბული

[48] http://arabfund.org (01.02.2018)
[49] http://www.amf.org.ae/en (01.02.2018)

ეკონომიური ინტეგრაციის ტემპების დაჩქარება; არაბული ქვეყნების საფინანსო ბაზრების განვითარებაზე ზემოქმედება; საერთაშორისო სავალუტო და ეკონომიკურ საკითხებზე პოზიციების კოორდინაცია.

ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

1. შეღავათიანი სესხების გაცემა მოქნილი პირობებით:

- ავტომატური სესხები დაფარვის სამწლიანი ვადით;
- ჩვეულებრივი სესხები დაფარვის ხუთწლიანი ვადით;
- საკომპენსაციო სესხები სამწლიანი ვადით;
- გაფართოებული სესხები შვიდწლიანი ვადით.

სესხები გაიცემა სტაბილიზაციის პროგრამების შესაბამისად.

2. აღმასრულებელი დირექტორების საბჭოს მიერ დადგენილი საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად საინვესტიციო საქმიანობის წარმართვა;

3. არაბული საფინანსო ბაზრებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა;

4. კადრების მომზადებაზე ზემოქმედება;

5. რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

6. არაბულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

აფრიკის ეკონომიკური განვითარების არაბული ფონდი (Arabian Fund of Economic Development of Africa – BAEDA)[50] შეიქმნა 1973 წელს. ოპერაციებს ახორციელებს 1975 წლიდან. იგი არის დამოუკიდებელი საერთაშორისო დაწესებულება და აქვს საერთაშორისო იურიდიული პირის სტატუსი. ბანკი დამოუკიდებელია მართვასა და საფინანსო საქმიანობაში. მისი მიზანია: აფრიკული სახელმწიფოების განვითარებისთვის ფინანსური ხელშეწყობა; მათთვის ტექნიკური დახმარების გაწევა; ინვესტიციების ნაკადების წარმართვა აფრიკული სახელმწიფოებისკენ.

[50] http://www.badea.org (01.02.2018)

ფონდიდან დახმარების მიღება შეუძლია 41 სახელმწიფოს, რომელიც აფრიკული ერთიანობის ორგანიზაციის წევრია, მაგრამ არ არიან არაბულ სახელმწიფოთა ლიგის წევრები. დახმარების მიღება შეუძლიათ ქვეყნებს, რეგიონებს, პროვინციებს, კომპანიებს, კერძო პირებს, ერთობლივ არაბულ-აფრიკულ საწარმოებს, რომელთაც სჭირდებათ ფინანსები კონკრეტული ეკონომიკური პროექტის დასაფინანსებლად. ბანკის წილი პროექტის დაფინანსებაში არაუმეტეს 60%-ია, ცალკეულ შემთხვევებში კი – 80%.

2.6 აფრიკის სახელმწიფოთა რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები და მათი განვითარების პერსპექტივები

აფრიკის ქვეყნებში რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია ხორციელდება ოთხი ეკონომიკური კავშირის ფარგლებში, რომელთაგან თითოეული გვევლინება სუბრეგიონული ტერიტორიული გაერთიანების სახით. მათ შორისაა: ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოთა, დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა, სამხრეთ აფრიკის სახელმწიფოთა, აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის სახელმწიფოთა კავშირები. არსით ყველა ეს დაჯგუფება ეკონომიკური დაჯგუფებაა, რომელსაც საერთო ბაზრის ფორმა აქვს და რომელიც მოიცავს საქონლის, კაპიტალის, სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებას. მათ ამავდროულად პოლიტიკური დატვირთვაც აქვთ. ეკონომიკურ სფეროში მათი საქმიანობა მიმართულია მეურნეობის ძირითად დარგებში ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციისაკენ; ეკონომიკური განვითარების გეგმების კოორდინაციისა და შეთანხმებულობისაკენ, სტრატეგიის ერთობლივი გეგმის შემუშავებისაკენ ინვესტიციების და მეწარმეობის სფეროში.

სუბრეგიონული ორგანიზაციები თანამშრომლობენ განვითარების შესაბამის ბანკებთან – ცენტრალური აფრი-

კის, დასავლეთ აფრიკის და აღმოსავლეთ აფრიკის ბანკებთან. მათი მიზანია წევრი-ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედება, დარგობრივი ეკონომიკური პროექტების დაფინანსება, პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური საფუძვლების მომზადება.

განვითარების აფრიკული ბანკის შემადგენლობაში განვითარების აფრიკული ფონდია, რომელიც ზემოთჩამოთვლილი სუბრეგიონული განვითარების ბანკებში მონაწილეობს და მათთან მჭიდროდ თანამშრომლობს. ყველაზე მრავალრიცხოვანი ორგანიზაცია – აფრიკული ერთობის ორგანიზაცია – გვევლინება უფრო პოლიტიკურ, ვიდრე ეკონომიკურ გაერთიანებად. იგი 1963 წელს შეიქმნა და მისი თავდაპირველი ამოცანა იყო კოლონიალიზმის და რასიზმის მოსპობა აფრიკაში. მისი მიზანია აფრიკის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნა. აფრიკაში ინტეგრაციული პროცესები მტკივნეულად მიმდინარეობს, რაც გამოწვეულია ეროვნული ბაზრების მცირე ტევადობით და შიგა რეგიონული ვაჭრობის ძალიან დაბალი დონით.

ინტეგრაციის სტრატეგიები განსხვავებულია ზღვაზე გასასვლელის არქმონე აფრიკის სახელმწიფოებისთვის. არსებობს რიგი უარყოფითი მხარეები, რომელიც უკავშირდება გეოგრაფიასა და დიდი მანძილით დაშორებას ბაზრიდან, რაც მათ პოტენციურ ზრდას ამცირებს, თუმცა ბევრი ისეთი ანალოგი მოიპოვება მსოფლიოში, როდესაც სხვა ქვეყნებმა, ანალოგიური პირობების მიუხედავად, დაძლიეს ჩამორჩენა. განსხვავებულ სტრატეგიას მოითხოვს სანაპირო ქვეყნები, რომლებიც საჭიროებენ ფიზიკურ ინფრასტრუქტურასა და გლობალურ ბაზრებთან უკეთეს ინტეგრაციას. ამასთან საჭიროა სპეციფიკური მიდგომა, რომელიც აყალიბებს უფლებებსა და მოვალეობებს რეგიონებში მათი პოტენციური რეგიონული როლის მიხედვით. აფრიკის რეგიონებისთვის, ხელშეკრულება მოიცავს სპეციფიკური ვალდებულებებსა და ქმედებებს რეგიონული განვითარების წახალისებისთვის. აღმოსავლეთ, დასავლეთ და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკების მთავრობები აყალიბებენ „რეგიონულ ეკონომიკურ ზონებს“, რაც

უზრუნველყოფს აფრიკის ეკონომიკური ინტერესების სფეროში წამყვანი და ჩამორჩენილი ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობას საერთო რეგიონული სარგებლისთვის; რეგიონებში შრომის, კაპიტალის, საქონელისა და მომსახურების თავისუფალ გადაადგილებას; ხმელეთით შემოსაზღვრული სახელმწიფოებისთვის ვაჭრობის მიზნით ზღვაზე გასასვლელის ხელმისაწვდომობას.

ცხრილი 2.6.1. აფრიკის სახელმწიფოთა რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები

ორგანიზაციის დასახელება	წევრი-ქვეყნების რიცხვი
აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია	23
ცენტრალური აფრიკის საბაჟო და ეკონომიკური კავშირი	6
ცენტრალური აფრიკის განვითარების ბანკი	11
დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამეგობრობა	16
განვითარების სამხრეთ აფრიკული თანამეგობრობა	15
აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის საერთო ბაზარი	19
დასავლეთ აფრიკული ეკონომიკური და სავალუტო კავშირი	7
განვითარების დასავლეთ აფრიკული ბანკი	7
განვითარების აფრიკული ბანკი	77
განვითარების აფრიკული ფონდი	29
განვითარების აღმოსავლეთ აფრიკული ბანკი	3
აფრიკის ეკონომიკური განვითარების არაბული ბანკი	18

აფრიკის რეგიონული განვითარების სტრატეგია აერთიანებს ინსტიტუციონალურ თანამშრომლობას, ინვესტიციებს რეგიონული ინფრასტრუქტურაში და კოორდინირებულ ინტერვენციებს, რაც გარკვეულწილად ითხოვს ეროვნული სუვერენიტეტის ზოგიერთი ატრიბუტის დათმობას.

თუმცა სანაცვლოდ, ისინი მიიღებენ გაუმჯობესებული სოციალური სერვისებსა და სიცოცხლის შენარჩუნებისთვის აუცილებელი სხვა ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც გულისხმობს ცხოვრების სტანდარტების ამაღლებას განვითარებად ქვეყნებში; გაზრდილ ფინანსურ მხარდაჭერას პორტების, სატრანსპორტო კავშირებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მხრივ სანაპირო ქვეყნებში – როგორც დამაკავშირებელ სატრანსპორტო დერეფნებში; საჰარის ქვეყნებისთვის აფრიკის ექსპორტზე შეღავათიან წვდომას, რეგულაციების ლიბერალიზაციას, რაც უზრუნველყოფს რეგიონული მიწოდების ჯაჭვის წარმოქნას.

აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია (Organisation of African Unity – OAE)[51] შეიქმნა 1963 წელს წმინდა პოლიტიკური მიზნით. იგი სთავაზობდა თანამშრომლობის კოორდინაციას ეკონომიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მეცნიერებისა და ტექნიკის, სურსათით უზრუნველყოფის სფეროებში. 1991 წელს წევრმა ქვეყნებმა აფრიკის ეკონომიკური თანამეგობრობის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომლის ჩამოყალიბებაც 34 წლის მანძილზე უნდა განხორციელებულიყო. მისი მიზანი იყო აფრიკის ქვეყნების სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ განვითარებაზე და თანამეგობრობის ჩამოყალიბებაზე ზემოქმედება, თუმცა 2002 წელს ორგანიზაცია დაიშალა.

ცენტრალური აფრიკის საბაჟო და ეკონომიკური კავშირი (Central African Customs and Economic Union – CACEU[52]**)** შეიქმნა 1966 წელს და გახდა ეკვატორული საბაჟო კავშირის სამართალმემკვიდრე. მისი მიზანია წევრი ქვეყნების საერთო ბაზრის ჩამოყალიბება და გამყარება.

კავშირის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

---

[51] http://www.un.org/popin/oau/oauhome.htm (01.02.2018)

[52] http://www.internationaldemocracywatch.org/index.php/central–african–economic–and–monetary–community (14.02.2018)

- წევრი ქვეყნების საბაჟო, ეკონომიური და საგადასახადო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტების განსაზღვრა, განსაკუთრებით ბაჟის საკითხებში მესამე ქვეყნების მიმართ და ერთიანი ტარიფის გამოყენებისას;
- ერთიანი პოლიტიკის შემუშავება და წევრი ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობების კოორდინაცია;
- დავების გადაჭრა წევრ-ქვეყნებს შორის ხელშეკრულების საფუძველზე;
- რეგიონულ აფრიკულ გაერთიანებებთან თანამშრომლობა;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

1991 წელს მიიღეს რეგიონული რეფორმების პროგრამა, რომელიც მოიცავს მჭიდრო თანამშრომლობას მსოფლიო ბანკთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და ევროკავშირთან. იგი ორ მიმართულებას მოიცავს: 1. გადასახადებს და საბაჟო საკითხებს; 2. ტრანსპორტსა და ტრანზიტს. 1992 წელს შეთანხმება გაფართოვდა და მან მოიცვა მრეწველობა, მეცნიერება, სოფლის მეურნეობა, სურსათი, გარემოს დაცვა.

1994 წელს გადაწყდა ცენტრალური აფრიკის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნა, რომლის მიზანიც იყო ეკონომიკური და სავალუტო სფეროს მიღწევების კოორდინაცია და რეალიზაცია, რაც გამოიხატება: ერთიანი ვალუტის გამყარებაში; შესაბამის მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში, რომელიც ინვესტიციებს და ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს.

ცენტრალური აფრიკის განვითარების ბანკი (Central African States Development Bank – CASDB[53]) შეიქმნა 1975 წელს. მასში 11 სახელმწიფოა, ამათგან 6 აფრიკული ქვეყანა,

[53] https://www.afdb.org/en/countries/central–africa (14.02.2018)

2 ინსტიტუციური ერთეული – განვითარების აფრიკული ბანკი, ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოთა ბანკი და სამი არარეგიონული ქვეყანა – გერმანია, ქუვეიტი, საფრანგეთი.

ბანკის მიზანია:

- ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე ზემოქმედება;
- ეკონომიკური ინტეგრაციის პროექტების დაფინანსება;
- პროექტების ტექნიკურ – ეკონომიკური უზრუნველყოფა.

ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ეკონომიკის დარგობრივი პროექტების დაფინანსება;
- პროექტების შემუშავების ეფექტიანობის ზრდა;
- სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა.

ბანკის საფინანსო რესურსების მოიცავს: საწესდებო კაპიტალს, კაპიტალის მსოფლიო ბაზრიდან მოზიდულ სახსრებს, ბანკის კერძო შემოსავლებს. 1989 წელს ბანკის წევრთა მიერ დაარსდა სასოფლო-სამეურნეო რაიონების განვითარების ფონდი. 1993 წელს ბანკი შეუერდა ცენტრალურ აფრიკულ საბანკო სისტემას/ჯგუფს და მასზე ზედამხედველობას ახორციელებს ცენტრალური აფრიკის საბანკო კომისია.

დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამეგობრობა (Economic Community of West African States – ECOWAS[54]) შეიქმნა 1975 წელს და მასში გაწევრიანებულია 16 ქვეყანა. მისი მიზანია:

- თანამშრომლობაზე და ინტეგრაციაზე ზემოქმედება, რომელის შედეგიც იქნება დასავლეთ აფრიკის ეკონომიკური კავშირის ფორმირება;
- ეკონომიკური სტაბილურობის მხარდაჭერა და შენარჩუნება;

[54] http://www.ecowas.int (14.02.2018)

• პოლიტიკის კოორდინაცია და სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობა.

საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

• ეროვნული პოლიტიკის ჰარმონიზაცია და კოორდინაცია;

• ინტეგრაციული პროგრამების რეალიზაციაზე ზემოქმედება;

• საერთო ბაზრის შექმნა;

• ეროვნული საინვესტიციო კანონმდებლობის შემუშავება;

• ერთობლივი საწარმოების შექმნა;

• ტექნიკური კომისიის ფარგლებში პროექტებისა და პროგრამების მომზადება მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ენერგეტიკის და ა. შ. სფეროებში;

• რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოდერნიზაცია: ტრანსდასავლეთაფრიკული ავტომაგისტრალების, რეგიონული ავახაზების, სანაპირო თევზჭერის რეგიონული კომპანიის, კომუნიკაციების რეგიონული ქსელის ჩამოყალიბება.

ორგანიზაციის ფარგლებში შექმნილია თანამშრომლობის, კომპენსაციების და განვითარების ფონდი.

განვითარების სამხრეთ აფრიკული თანამეგობრობა (South African Development Community – SADC[55]) შეიქმნა 1992 წელს და მან შეცვალა განვითარების კოორდინაციის სამხრეთ აფრიკული კონფერენცია. მისი გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად და მათი რეალიზაციისათვის შექმნილია სამართლებრივი ინსტრუმენტები.

თანამეგობრობის წევრია 15 სახელმწიფო და აქვს პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზნები. კერძოდ, ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედება და სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა რეგიონული ინტეგრაციის გზით; ეროვნული

[55] http://www.sadc.int (14.02.2018)

და რეგიონული პროგრამების და სტრატეგიის კოორდინაცია; რეგიონული რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე ზემოქმედება; გარემოს დაცვის ეფექტიანობის ზრდა.

საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- წევრი-ქვეყნების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიების და გეგმების ჰარმონიზაცია;
- კაპიტალის, სამუშაო ძალის, საქონლისა და მომსახურების მოძრაობის გზაზე დაბრკოლებების ლიკვიდაცია;
- ტექნოლოგიების გადაცემის სფეროს განვითარებაზე ზემოქმედება;
- რეგიონული თანამშრომლობის გზით წარმოების ეფექტიანობის და მართვის სრულყოფა;
- საერთაშორისო სახელმწიფო და კერძო რესურსების მოზიდვა რეგიონში. ხდება კონკრეტული დარგების შერჩევა, სადაც მიემართება ინვესტიციები და მათი მკაცრი კონტროლი ხორციელდება.

პასუხისმგებლობა დარგზე ეკისრება სხვადასხვა სახელმწიფოს:

ტანზანიას – მრეწველობსა და ვაჭრობაზე;

ანგოლას – ენერგეტიკაზე;

ზამბიას – მომპოვებელი მრეწველობაზე;

ზიმბამბეს – სურსათზე, სოფლის მეურნეობაზე, ბუნებრივი რესურსებზე;

ნამიბიას – საზღვაო თევზჭერასა და საზღვაო რესურსებზე;

მალავის – თევზჭერა შიდა წყლებზე, სატყეო მეურნეობაზე, ბუნებაზე;

მოზამბიკის – ტრანსპორტზე, კავშირზე, კულტურაზე, ინფორმაციაზე;

ლესოტოს – ტურიზმზე, გარემოს დაცვაზე, მიწათსარგებლობაზე;

ბოტსვანას – სოფლის მეურნეობის და მესაქონლეობის კვლევაზე;

სვაზილენდს – ადამიანური რესურსების განვითარებაზე.

აღმასრულებელი ორგანოა სამდივნო, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიულ დაგეგმვაზე, პროგრამების მართვაზე, ფინანსურ უზრუნველყოფასა და ადმინისტრირებაზე.

1994 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ევროკავშირთან თანამშრომლობაზე შემდეგ სფეროებში: რეგიონული ინტეგრაცია, ვაჭრობა, ეკონომიკა, განვითარება, ინვესტიციები, გარემოს დაცვა, მეცნიერება და ტექნიკა, ტურიზმი, კულტურა, საერთაშორისო დამნაშავეობასთან ბრძოლა, საგარეო პოლიტიკა.

ინტეგრაციის საქმიანობა მიმართულია გაერთიანების წევრებს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირების სტაბილურ განვითარებაზე.

აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის საერთო ბაზარი (Common Market for Eastern and Southern Africa – COMESA[56]) შეიქმნა 1994 წელს და არის აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის ქვეყნების ვაჭრობის პრეფერენციული ზონის სამართალმემკვიდრე. მისი მიზანია ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნა, თუ მიღწეულ იქნა საერთო ბაზრის მიზნები. მასში გაერთიანებულია 19 სახელმწიფო.

გაერთიანების მიზნებია: მდგრადი განვითარების და ზრდის უზრუნველყოფა; ერთობლივი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება; უცხოური ტრანსსასაზღვრო და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვა; აფრიკის ეკონომიკური თანამეგობრობის ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა; საერთაშორისო ფორუმებზე ერთობლივი შეთანხმებული პოზიციის შემუშავება; სხვა რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; პოლიტიკური მიზნების განხორციელება.

საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- სავალუტო-საფინანსო სფეროში თანამშრომლობა, რომელიც გვთავაზობს საანგარიშსწორებო კავშირის ფორმი-

[56] http://www.comesa.int (14.02.2018)

რებას ერთიანი ვალუტით (ესაკუ); ვალუტის კონვერტირებადობის უზრუნველყოფა; საბანკო საქმის განვითარება და ა.შ;

- პროდუქციის ხარისხის გარანტიის და სტანდარტიზაციის სფეროში თანამშრომლობა;
- ადამიანური რესურსების განვითარება;
- კერძო მეწარმეობის განვითარება: სავაჭრო პალატებს და სამეწარმეო კავშირებს შორის თანამშრომლობა;
- ინვესტიციების დაცვა;
- სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილება;
- სამხრეთ აფრიკული განვითარების თანამეგობრობასთან თანამშრომლობა და საქმიანობის კოორდინაცია.

დასავლეთ აფრიკული ეკონომიკური და სავალუტო კავშირი (Union Economique et Monétaire Ouest Africaine – UEMOA[57]) შეიქმნა 1994 წელს, როგორც დასავლეთაფრიკული სავალუტო კავშირის სამართალმემკვიდრე, რომელიც 1973 წლამდე ფუნქციონირებდა. მის შემადგენლობაში 7 ქვეყანაა: ბენინი, ბურკინა-ფასო, კოტდეივუარი, მალი, ნიგერია, სენეგალი, ტოგო.

კავშირის მიზნებში და საქმიანობის ძირითად მიმართულებებში შედის: წევრი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება; მრავალმხრივი კონტროლის შემოღება; ერთიანი საბაჟო ტარიფების შემოღების საშუალებით საერთო ბაზრის ფორმირება; დარგობრივი ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია; კანონმდებლობის ჰარმონიზაცია; კონკურენტუნარიანობის, ქვეყნების ეკონომიკური და სავალუტო პოტენციალის ამაღლება.

გადაწყვეტილების მიღება ხდება სახელმწიფოს მეთაურთა კონფერენციაზე, რომელიც კავშირის უმაღლეს ორგანოდ გვევლინება. მინისტრთა საბჭო კი იღებს გადაწყვეტილებებს დაგეგმვის, ფინანსების და სხვა საკითხებზე.გადაწყვეტილების

[57] http://www.uemoa.int (14.02.2018)

შესრულების კონტროლი ევალება კომისიას, რომელიც მუდმივმოქმედი ორგანოა. ავტონომიურ სპეციალიზებულ ინსტიტუტთა რიცხვშია დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ცენტრალური ბანკი, განვითარების დასავლეთ აფრიკული ბანკი.

განვითარების დასავლეთ აფრიკული ბანკი (West African Development Bank – WADB[58]) შეიქმნა 1973 წელს. ოპერირება დაიწყო 1976 წელს. მისი მიზანია დასავლეთ აფრიკული სავალუტო კავშირის ქვეყნების განვითარების დაფინანსება. მასში 7 დასავლეთ აფრიკული სახელმწიფო შედის, ასევე 3 ინსტიტუციონალური ერთეული – დასავლეთ აფრიკული ქვეყნების ცენტრალური ბანკი, განვითარების გერმანული კორპორაცია, ევროპის საინვესტიციო ბანკი, ასევე, ბელგია და საფრანგეთი.

ბანკის მიზნებია:

- წევრი-ქვეყნების დაბალანსებული განვითარებისათვის ხელშეწყობა;
- დასავლეთ აფრიკის ეკონომიკური ინტეგრაციის რეალიზაცია;
- პრიორიტეტული პროექტების დაფინანსება.

ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მოიცავს: დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციაზე და განვითარებაზე ზემოქმედებას; ნაციონალური რეგიონული პროექტების დაფინანსებისთვის კრედიტების გამოყოფას, გარანტიების წარდგენას; საწარმოების და ეროვნული საფინანსო ინსტიტუტების კაპიტალში მონაწილეობას; ტექნიკურ- ეკონომიკური საფუძვლების დაფინანსებას; მცირე და საშუალი ბიზნესისთვის დახმარების გაწევას; განვითარების რეგიონულ და სუბრეგიონულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას; გაეროს სისტემის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, ასევე, ეკ-თან, აზიის ბანკთან, აშშ-თან, გერმანიასთან და ა.შ. ორმხრივი კავშირების გაღრმავე-

[58] https://www.boad.org/en (14.02.2018)

ბას ბელგიასთან, გერმანიასთან, დანიასთან, კანადასთან, ნიდერლანდებთან, ნორვეგიასთან, ფინეთთან, საფრანგეთთან, შვეიცარიასთან, შვეციასთან და იაპონიასთან.

აფრიკის განვითარების ბანკი (African Development Bank – ADB[59]) შეიქმნა 1964 წელს, როგორც საერთაშორისო საბანკო ინსტიტუტი, რომელიც აფრიკის სახელმწიფოებს ეროვნული და რეგიონული განვითარების პროექტებზე წარუდგენს კრედიტებს სუბსიდირებული პროცენტული განაკვეთით. მასში 77 სახელმწიფოა, რომელთაგან 53 რეგიონული და 24 არარეგიონული ქვეყანაა. არარეგიონული წევრი - ქვეყნების წილი აქციონერულ კაპიტალში 1998 წლისთვის 40 % გახდა, ხოლო რეგიონული წევრებისა შემცირდა 60% – მდე. ბანკის მიზანია: რეგიონული წევრი ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე ზემოქმედება; საინვესტიციო პროგრამების და პროექტების დაფინანსება; სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებზე ზემოქმედება; განვითარების პროექტების მომზადებისას წევრი ქვეყნებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა.

ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მოიცავს: რეგიონული ტრანსსასაზღვრო განვითარების პროექტების დაფინანსებას; აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავებას; დაფინანსების ობიექტების შერჩევისას ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევას, ნოუ-ჰაუ-ს შეღავათიანი პირობებით გადაცემას; აფრიკული დებიტორი ქვეყნების სავალო ვალდებულებების შემცირებისთვის ოპერაციების წარმოებას; არამომგებიან სფეროებში პროექტების დაფინანსებას.

90-იან წლებში ბანკი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა, რაც განპირობებული იყო არაეფექტიანი საკრედიტო პოლიტიკით, მმართველთა არაკომპეტენტურობით, კორუფციით. 1998 წელს გატარდა აქტიური ზომები სტაგნაციის დასაძლევად და საკრედიტო საქმიანობის დივერსიფიკაციისთვის. შე-

[59] http://allafrica.com/infocenter/afdb (14.02.2018)

მუშავდა სპეციალური პროგრამა აფრიკის აგრარულ სფეროში მოქმედი მცირე მწარმოებლებისთვის.

ბანკი დღეს გვევლინება უმსხვილეს პანაფრიკულ ბანკად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაიწყო „აფრიკის აღორძინების" საერთაშორისო პროგრამის განხორციელება.

განვითარების აფრიკული ფონდი (African Development Fund – ADF[60]) შეიქმნა 1972 წელს. ოპერირება დაიწყო 1974 წლიდან. იგი იურიდიული პირია და შედის განვითარების აფრიკული ბანკის ჯგუფში. მასში 29 წევრია, მათ შორის 14 ევროპული ქვეყანა, აშშ, კანადა და იაპონია, თუმცა ბენეფიციარია 38 აფრიკული ქვეყანა.

ფონდის მიზანია:

- აფრიკის უღარიბესი სახელმწიფოებისთვის პროექტების და ტექნიკური დახმარებების შეღავათიანი პირობებით წარდგენა;
- წევრ-ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებისთვის ხელშეწყობა.

ფონდის კაპიტალი ძირითადად ფორმირდება დასავლეთის ქვეყნების შენატანების ხარჯზე. ფონდი წარადგენს შეღავათიან კრედიტებს სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კვების პროდუქტების წარმოების განვითარების მიმართულებით.

განვითარების აღმოსავლეთ აფრიკული ბანკი (East African Development Bank – EADB[61]) შეიქმნა 1976 წელს. მისი წევრები არიან: კენია, ტანზანია, უგანდა, ასევე კორპორატიული ორგანიზაციები, საწარმოები, ინსტიტუტები, რომელთა შორისაც არის განვითარების აფრიკული ბანკი.

ბანკის მიზანია: წევრი-ქვეყნების განვითარებაზე ზემოქმედება; ეროვნული ინსტიტუტების ფორმირებისათვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევა.

---

[60] https://www.afdb.org/en/about–us/corporate–information/african–development–fund–adf (14.02.2018)

[61] http://eadb.org (14.02.2018)

ბანკის საქმიანობა მიმართულია მრეწველობის, ექსპორტის განვითარების, ასევე პრივატიზაციის განხორციელების დაფინანსებისკენ; რეგიონის ნევრი-ქვეყნებისთვის საკონსულტაციო მომსახურების წარდგენისკენ; აღმოსავლეთ აფრიკის კაპიტალის ბაზრის განვითარების ინიციატივის ფინანსური მხარდაჭერისკენ.

თავი III. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმირების სისტემური პრობლემები სამხრეთ კავკასიაში (მაგალითის განხილვა)

მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციების ცვლილების პირობებში მცირე ქვეყნები, რომელთა ეკონომიკა უფრო გახსნილი და ნაკლებად დივერსიფიცირებულია, ურთიერთდამოკიდებულებისა და ინტეგრაციული პროცესების დიდ ზეგავლენას განიცდიან. ამ თვალსაზრისით აქტუალურია მეზობელ ქვეყნებთან ობიექტურად განვითარებული კავშირების კვლევა ეკონომიკური ინტეგრაციის კონტექსტით.

ამასთან, თანამედროვე პერიოდში განვითარებულმა საფინანსო კრიზისმა და გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გამოყოფის საკითხის აქტუალიზაციამ მრავალი კითხვა დასვა ევროკავშირის ინტეგრაციის მდგრადობასთან დაკავშირებით. ინტეგრაციის ფარგლებში განვითარებული პრობლემების ფონზე ბევრი პოლიტიკოსი და ექსპერტი (მ. შულცი, ვ. რომპელი, ი. უილიამზი, ნ. სარკოზი, ფ. უაიტი, ნ. ფარაჟი, დ. როდრიკი და სხვები) ეჭვქვეშ აყენებს ევროკავშირის ინტეგრაციის განვითარებას, მაშინ როდესაც ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიაში ევროკავშირი ინტეგრაციის კლასიკური მაგალითია.

საბჭოთა კავშირის რღვევის პროცესში გავრცელდა აზრი იმის შესახებ, რომ ინგრეოდა ისეთი გაერთიანება, რომლის მსგავსის შექმნისკენაც ათწლეულების განმავლობაში იღწვოდა ევროპა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი წარმოადგენდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირს, რომელშიც ფორმალურად გაცხადებული იყო სუვერენული რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, თუმცა საზოგადო მოღვაწეთა შეფასებით მსოფლიო ისტორიაში იგი „საბჭოთა იმპერიის“ სახელით შევიდა (ნ. ბერდაევი, ს. ფრანკი, ს. ბულგაკოვი და სხვა). საზოგადოების კომუნისტური იდეის ეკონომიკური არაპრაქტიკულობის შესახებ შეხედულებები გადმო-

ცემულია ვ. ბერკენის ნაშრომშიც.[62] პარალელების გავლება საბჭოთა კავშირსა და ევროკავშირს შორის დღესაც განიხილება (ვერნონ კოლემენი, ვლ. ბუკოვსკი, ა. მერკელი და ა.შ). საფუძვლიანი იყო და არის თუ არა ეს შეფასებები, იყო თუ არა საბჭოთა კავშირი, როგორც სოციალისტური ინტეგრაციის მაგალითი თავისი მაჩვენებლებით კლასიკური ეკონომიკური ინტეგრაცია? შეუწყო თუ არა ხელი შვიდი ათწლეულის განმავლობაში სოციალისტურმა ინტეგრაციამ საბჭოთა კავშირის რღვევის შემდგომ საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს შორის მარტივი სავაჭრო-საწარმოო კავშირების შენარჩუნებას და განვითარებას, რაც საბაზრო პირობებში ინტეგრაციის წინაპირობა შეიძლება გამხდარიყო?

წინამდებარე მაგალითში წარმოდგენილია აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე. მაგალითის განხილვის მიზანია სოციალისტური ინტეგრაციის თავისებურებების კვლევა რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიის კონტექსტით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე დაყრდნობით.

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების გათვალისწინებით ვეცადეთ ჩაგვეტარებინა შედარებითი ანალიზი და გამოგვეკვეთა მკვეთრი საზღვრები სოციალისტურ და საბაზრო ეკონომიკური ინტეგრაციას შორის.

კავშირი და გაერთიანება ქვეყნებს შორის შესაძლებელია ნებაყოფლობითი და ძალმომრეობითი ფორმებით, მიუხედავად იმისა, რომ მათი მიზნების ნაწილი – ბაზრის განვრცობა, სხვა რესურებზე წვდომა და ა.შ – შესაძლებელია მსგავსი იყოს. არსობრივი განსხვავება საბაზრო ინტეგრირებულ და იმპერიალისტურ[63] გაერთიანებებს შორის სწორედ

---

[62] William Peter von den Bercken „Christian thinking and the end of communism in Russia", 1993

[63] იმპერიალიზმი კოლონიების დამორჩილების და მსოფლიო ბაზრების გადანაწილების ძლიერი ინსტრუმენტია, თუმცა მას მნიშვნელოვანი იდეოლოგიური დატვირთვაც აქვს. ეროვნულ საზ-

გაერთიანების ფორმებში და მეთოდებში გამოიხატება. სოციალისტური ეკონომიკური სისტემის, როგორც ეკონომიკური გაერთიანების საკითხი იმპერიალიზმის გამოვლინებად განიხილება. იმპერიების რღვევისა და ყოფილი კოლონიების სუვერენულ სახელმწიფოებად გადაქცევის შემდეგ ხშირად რჩება ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც უხილავ ან აშკარა ეკონომიკურ ან პოლიტიკურ დომინირებას, ბატონობას გულისხმობენ[64].

აღნიშნული თეორიული მიდგომებიდან გამომდინარე შეგვიძლია განვახორციელოთ რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის კონტექსტით სოციალისტური ინტეგრაციის თავისებურებების შედარებითი ანალიზი (იხ. ცხრილი 3.1).

ცხრილი 3.1. სოციალისტური და რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის თავისებურებების შედარებითი ანალიზი

მაჩვენებელი	სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია	ეკონომიკური ინტეგრაციის თეორია
ეკონომიკური ინტეგრაციის ხასიათი	იძულებითი	ნებაყოფლობითი
ეკონომიკური ზრდის ტიპი ინტეგრაციის ფარგლებში	ექსტენსიური	ინტენსიური
ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების საფეხურების თანმიმდევრულობა	ეკონომიკური ინტეგრაციის საფეხურები არათანმიმდევრულია	ეკონომიკური ინტეგრაციის საფეხურები თანმიმდევრულია
პოლიტიკის და იდეოლოგიის ფაქტორი	პოლიტიკა და იდეოლოგია განმსაზღვრელია საწყის ეტაპზე	პოლიტიკა და იდეოლოგია განმსაზღვრელია ინტეგრაციის საბოლოო ეტაპზე

ღვრებს გარეთ სხვა ხალხებზე ბატონობა არის ისტორიული მოვლენა, რომელსაც იმპერიალიზმს ან კოლონიალიზმს უწოდებენ (M.Doyle, 1986).

[64] ა. რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 1996, გვ.156

ეროვნული ინტერესები	ეროვნული ინტერესები იგნორირებულია	ინტეგრაციის შექმნა განისაზღვრება ურთიერთსარგებლიანობაზე დამყარებული ეროვნული ინტერესებით
ეკონომიკური ინტეგრაციის წევრთა რაოდენობა	დამოკიდებულია იმპერიის სამხედრო ძლიერებაზე და ინტერესებზე	დამოკიდებულია ინტეგრაციული გაერთიანების წევრთა ერთიან მიზნებზე
სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი	იკარგება სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი	შენარჩუნებულია სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი
ეკონომიკური მასშტაბის უპირატესობებით სარგებლობა	არ ემყარება ეკონომიკური მასშტაბის უპირატესობებით	ემყარება ეკონომიკური მასშტაბის უპირატესობებს
ხელსაყრელი საგარეო-პოლიტიკური გარემო	ძალმომრეობაზე დამყარებული საგარეო-პოლიტიკური გარემო	ხელსაყრელი საგარეო-პოლიტიკური გარემო
სავაჭრო პოლიტიკის ამოცანების გადაწყვეტა	სავაჭრო პოლიტიკის ამოცანების ცენტრალიზებული მართვა	სავაჭრო პოლიტიკის ამოცანების გადაწყვეტა კონსესუსის საფუძველზე
ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაზე ზემოქმედება	პოლიტიკური მიზნებით ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაზე ზემოქმედება	ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაზე ზემოქმედება ურთიერთსარგებლიანობის პრინციპით
ეროვნული მრეწველობის ჩვილი დარგების მხარდაჭერა	ცენტრალიზებულად ეროვნული მრეწველობის ჩვილი დარგების მხარდაჭერა	ეროვნული მრეწველობის ჩვილი დარგების მხარდაჭერა საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით

შედარებითი ანალიზის შედეგები ცხადყჰოფს, რომ ინტეგრაციული პროცესები სოციალისტურ სისტემაში იმპერიალისტური იდეოლოგიის გატარებას ემსახურებოდა. ნაკლებად იყო გათვალისწინებული ეროვნული მოთხოვნილებები, ქვეყნების შეფარდებითი უპირატესობები, რაც ადასტურებს ინტეგრაციის არაობიექტურ ხასიათს.

სოციალისტური ინტეგრაციის (იმპერიის) პირობებში ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების შენარჩუნების და ეკონომიკური ინტეგრაციის საბაზისო პრინციპებთან შესაბამისობის საკითხი განვიხილოთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე.

XIX საუკუნის ამიერკავკასიაში სავაჭრო ურთიერთობების განვითარება მიმდინარეობდა ცარიზმის სავაჭრო პოლიტიკის საფუძველზე. მისი მიზანი იყო არა რეგიონის შიგნით კომერციული ურთიერთობების სრულყოფა-განვითარება, არამედ რუსული ბაზრის დაკავშირება აზია-ევროპასთან. კოლონიალიზმის პოლიტიკის გატარებამ ბევრი დადებითი შედეგი გამოიღო ამიერკავკასიის რეგიონისათვის. ამ პერიოდში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მათ მსგავსი სიმძიმის ტვირთის ტარება მოუხდათ, რაც განპირობებული იყო მათი გეოფიზიკური მდებარეობით.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, დასავლეთის ხელისუფლებამ საბჭოთა რუსეთს დართო ნება ამიერკავკასიის რეგიონში დასაბრუნებლად. აზერბაიჯანი თავისი სანავთობო რესურსებით მოსკოვის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა. 1920 წელს, ბაქოს ნავთობსაბადოების დაბრუნების შემდეგ, საჭირო გახდა ქართული ქალაქი ბათუმიც, სადაც გადიოდა ნავთობსადენი და, ამასთან, იყო საუკეთესო პორტი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. თურქეთთან გან-

საზღვრული გარიგების სანაცვლოდ, რუსეთმა კვლავ მოახდინა საქართველოს ანექსია 1921 წელს.[65]

მეოცე საუკუნის დასაწყისში (1918 წლიდან) კავკასიის სამხრეთ ნაწილში არსებობდა მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა[66], რომელიც შემდეგომ დაიშალა აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად და არარატის რესპუბლიკად.

საბჭოთა რუსეთის კომუნისტური ძალაუფლების განვრცობის პირობებში ინტეგრაციული პროცესებმა მიიღო ახალი შინაარსი, კერძოდ, 1922 წელს ჩამოყალიბდა ინტეგრაციული გაერთიანება პოლიტიკურ-იდეოლოგიურ პრინციპზე დაყრდნობით – ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაშიც გააერთიანეს სამი საბჭოთა რესპუბლიკა – საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. აღნიშნული სუბინტეგრაციული გაერთიანება გვევლინებოდა მსხვილი ინტეგრაციული გაერთიანების საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენელ ნაწილად. სუბგაერთიანების არსი მდგომარეობდა „ცენტრის“ მხრიდან „ტურბულენტური“ რეგიონის ეფექტიან მართვაში. აღნიშნული სუბგაერთიანება დაიშალა 1936 წელს, მას შემდეგ რაც მიღწეულ იქნა მთავარი მიზნები: შემცირდა ეთნიკური წინააღმდეგობები, ჩამოყალიბდა რუსეთთან ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძვლები, დამკვიდრდა სოციალისტური იდეოლოგია და სხვა[67].

---

[65] ხოშტარია თ., მრეწველობის განვითარების საკითხები ამიერკავკასიის ეკონომიკურ რაიონში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1966, გვ.88.

[66] Центральный Кавказ и экономика Грузий, Т. Беридзе, Э.Исмаилов, В. Папава, АИСИРК, ФСМИГ, Баку, 2004, с.10

[67] Центральный Кавказ и экономика Грузий, Т. Беридзе, Э.Исмаилов, В. Папава, АИСИРК, ФСМИГ, Баку, 2004, с.12

ამიერკავკასიის საჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის და შემდგომ ამიერკავკასიის ეკონომიკური რაიონის ეკონომიკურ-სამართლებრივი მექანიზმები ორიენტირებული იყო ავტონომიური რესპუბლიკების ურთიერთდა ცენტრთან ინტეგრირებისკენ. იგი არსებობდა ერთიანი რეგიონის სახით საბჭოთა კავშირის რღვევამდე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო – აზერბაიჯანის რესპუბლიკა, საქართველოს რესპუბლიკა და სომხეთის რესპუბლიკა.

ამიერკავკასია, საბჭოური დარაიონების მიხედვით, მოიცავდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მოძმე რესპუბლიკებს. გასაბჭოების შემდეგ, ეკონომიკური დარაიონების გეგმის მიხედვით, არ მოხდა ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ერთ ეთნიკურ რაიონად გაერთიანება, არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მიზეზით. ამიერკავკასიის ხალხებს შორის სამეურნეო ურთიერთობების განვითარებისა და გაღრმავების საქმეში ამიერკავკასიის ეკონომიკური რაიონის სსრ კავშირის მთელი ტერიტორიის 0,8% ეჭირა და იქ სსრკ მოსახლეობის 4,6% ცხოვრობდა და სადაც ეროვნული შემოსავლის 3,8% იქმნებოდა (მისი ფართობი შეადგენდა 186,1 ათას კვ.კმ-ს)[68].

ეკონომიკური რაიონი ქვეყნის ერთიანი სახალხო მეურნეობის სპეციალიზებული ნაწილი იყო და მისი მეშვეობით ხდებოდა რესპუბლიკებისა და ოლქების მატერიალური და შრომითი რესურსების მაქსიმალური გამოყენება. ბაქოს ნავთობი, საქართველოს ქვანახშირი და მარგანეცი, სომხეთის სპილენძი, დიდძალი ძვირფასი საშენი მასალა, აზერბაიჯანისა და სომხეთის ბამბა, აზერბაიჯანის რკინის მადნის საბადოები, საქართველოს ტყის მდიდარი მასივები, მისი მინერალური წყლები, კურორტები – ყველაფერი ეს ერთად

[68] ხოშტარია თ., მრეწველობის განვითარების საკითხები ამიერკავკასიის ეკონომიკურ რაიონში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1966, გვ.82.

აღებული მთლიანად ამიერკავკასიის სიმდიდრეს წარმოადგენდა.

ამიერკავკასიის თითოეული რესპუბლიკა ვითარდებოდა დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვის ურთიერთშეხამებიდან გამომდინარე მრეწველობის სპეციალიზაციის გარკვეული ხასიათისა და დონის მიხედვით. თუ საქართველოში ვითარდებოდა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა შავი მეტალურგია (კერძოდ, მარგანეცის, ფეროშენადნობთა, შავი ლითონების ნაგლინისა და უნაკერო მილების წარმოება) და კვების მრეწველობა (ჩაის, თამბაქოს, ეთერზეთოვანთა, მინერალური წყლების წარმოება და მეღვინეობა), აზერბაიჯანში ვითარდებოდა ნავთობის, ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ხოლო სომხეთში – ფერადი მეტალურგია (სპილენძის წარმოება), მანქანათმშენებლობა და ელექტრონული ტექნიკის წარმოება.

საბჭოთა ეკონომიკურ რაიონებს შორის ყველაზე მჭიდრო მეურნეობრივი კავშირები დამყარებული იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის. XX საუკუნის 60-70-იან წწ. საქართველოდან სომხეთსა და აზერბაიჯანში გაჰქონდათ სატვირთო მანქანები, გადასამუშავებელი თუჯი, სქელფურცლოვანი ფოლადი, შავი ლითონების ნაგლინი, ფოლადის მილები, გლინულა, მარგანეცის მადანი, ფეროშენადნობები, ლიფონმჭრელი ჩარხები, სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღები, არამადნეული წიაღისეული, ბამბეულის, აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, ტყავი, ტყავის ნაწარმი და ტყავის ფეხსაცმელი, კვების მრეწველობის პროდუქციის მრავალი სახეობა და სხვა. იმავდროულად, აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოიზიდებოდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ალუმინის, რკინის მადანი, საბრძმედე წარმოებისათვის შავი ლითონის ჯართი, სხვადასხვა სახის ქსოვილები, ნატურალური მატყლი, ნედლი ბამბა და სხვა. ხოლო სომხეთიდან საქართველოში შემოიზიდებოდა ელექტროტექნიკური მოწყობილობა, ავტომატიზაციის ხელსაწყოები, ავტოსაბურავები, ლითონმჭრელი ჩარხები, ლითონის ჯართი, საყო-

ფაცხოვრებო ქიმიის სხვადასხვა პროდუქცია, ტყავი, ტყავის ნაწარმი, ზედა და თეთრეული, ტრიკოტაჟი, საშენი მასალები და სხვა[69]. [15;258].

